


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

13 იანვარი 2012 №1(157)

*გაერთიანებული შიშველ-სხელ ტყეებს!*



## შინაარსი

<b>რედაქტორის გვარდი</b>	<b>2</b>	<b>ამგავი „ცოფიანის“ მკვდრებით აღდგომისა</b> (ბიბლიოგრაფიული შენიშვნები)
<b>ჩვენ და მსოფლიო</b>	<b>4</b>	<b>ნიკოლოზ სანებლიძე დიდი ახლო აღმოსავლეთი და საქართველო</b>
<b>ილიას გზით</b>	<b>10</b>	<b>მურმან ჯინორია იღუმალის სათქმელი</b>
<b>მესარას-ინტერვიუ</b>	<b>11</b>	<b>თამაზ გოდერძიშვილი „ღვიში არასოდეს მქონია“</b> (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>აროზა</b>	<b>12</b>	<b>გია ხოფერია ოპერაცია „ვახტანგი“</b>
	<b>21</b>	<b>დათო აღფენიძე ორი ნოველა</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>23</b>	<b>მაკა ჯოხაძე უნივერსალური სიმართლენი...</b>
<b>აოუზია</b>	<b>24</b>	<b>გენო კალანდია ფიროსმანი და სხვა ლექსები</b>
<b>უსწოთის ცხოვრებიდან</b>	<b>28</b>	<b>ნინო დოლიძე სახლი — სამშობლოს მიღმა</b> (ერიკ-ემანუელ შმიტის რომანი „ულისე ბაღდადიდან“)
<b>ღიალოგი</b>	<b>31</b>	<b>გიორგი სიცოცხლა</b> (ანა ბერძენიშვილს ესაუბრება ზურაბ კანდელაკი)
<b>როგორ ვითხოვოთ ქვანიკას</b>	<b>34</b>	<b>ლია კარიჭაშვილი მკვიდრი მამული</b>
<b>რეპორაჟი</b>	<b>37</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი „ექსკლუზიური ინტელექტუალური თამაგი“</b> (მიხეილ ანთაძის რომანის წარდგინება)
<b>კრიტიკა</b>	<b>42</b>	<b>ირაკლი ქასრაშვილი მოგზაურობა სამოცდაათი წლის შემდეგ</b> (ოთარ ჩხეიძის „ბორიასი“ და აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“)
<b>მარადი ხალხუნება</b>	<b>45</b>	<b>ქეთევან ტომარაძე ბედისწერასთან განმარტობა...</b> (ნანა ბოტკოველი)
<b>ერი და ბედისწერა</b>	<b>47</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ავტობიოგრაფიული რომანის ქარბა</b> (ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან „მზის რაინდი“)
<b>ახალი რომანი</b>	<b>53</b>	<b>ნინო სადღობელაშვილი „ბანაკართული“ მინდიას ოდისეა</b> (ზურაბ ლავრელაშვილის რომანი „განკვართული“)
<b>აოუზიის მერიდიანები</b>	<b>55</b>	<b>ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ძვიშა და ქაფი</b>
<b>აინტროლა</b>	<b>58</b>	<b>ეთერ ბერიაშვილი ბულმტკივნეულ შვილს სვესურათისას</b> (პასუხად ბატონ ნოშრევან არაბულს)
<b>უსწორი ნოველა</b>	<b>59</b>	<b>ნორა იკსტენა ნაღვა</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ტინარა სკვიტთა მეფისა</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 32) 96\_20\_62

E\_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“  
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17  
ატელფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAIISHVILI STREET  
TEL: PHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ცეცხლის ჯვარი, ბაბუა ალუდაურის ფოტოგეტიუდი

მიხეილ ანთაძე, ნინო ცავას ფოტოგეტიუდი

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 27 იანვარს**

# ამბავი „ცოფიანის“ მკვდრებით აღდგომისა

□

## ბიბლიოგრაფიული პენიშვნები

გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2011 წლის სანთებზოდ — მწერლის დაბადების დღისათვის — ცალკე წიგნაკად გამოსცა მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა „ცოფიანი“.

რედაქტორი და ბოლოსიტყვაობის ავტორია ცისანა გენძეხაძე.

ბოლოსიტყვაობა ასეა დასათაურებული: „დიდი მწერლის უცნობი მოთხრობა“.

ეს გარემოება, რომ მოთხრობა აქამდე უცნობი იყო, საგანგებოდაა აღნიშნული წიგნაკის ანოტაციაშიც, რომელიც აღნიშნულია, რომ ეს ბელეტრისტული ნიმუში პირველად დაიბეჭდა ჟურნალის „ქართული მწერლობა“ ფურცლებზე 1926 წელს და მას შემდეგ აღარსად გამოჩენილა.

ეს მოსაზრება დაბეჭდვითაა განმეორებული ბოლოსიტყვაობაშიც:

„შეუვდექით ძიებას. აღმოჩნდა, რომ არც ერთხელ, არც ერთ გამოცემაში „ქართული მწერლობის“ (რედაქტორი ნიკოლოზ მინიშვილი) გარდა, იგი არ დაბეჭდილა“.

და კიდევ ერთხელ უზიარებენ მკითხველს უცნობი მოთხრობის მოპოვებით გამოწვეულ სიხარულს:

„ასე აღმოვაჩინეთ ხელმოწერად მიხეილ ჯავახიშვილის „ცოფიანი“, რომელიც არც მწერლის სიცოცხლეში და არც შემდგომში წიგნად აღარ გამოქვეყნებულა“.

მიუხედავად იმისა, რომ დიდად ვაფასებ ცისანა გენძეხაძის თვალსაჩინო ღვაწლს მიხეილ ჯავახიშვილის არქივის შესწავლა-მონესრიგებასა და მისი ტომებისა და ჩანაწერების გამოსაცემად მომზადების საქმეში და მიმანია, რომ ასეთი ერთგულება კლასიკური ლიტერატურისადმი სანიმუშოა;

მიუხედავად იმისა, რომ არანაკლებ ვაფასებ „არტანუჯის“ საგამომცემლო მოღვაწეობას, უკვე საგულისხმო კვალი რომ დააჩნია ჩვენს სამწერლო და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას;

და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთხელ მღელვარედ გადავიკითხე ეს გულისშემძვრელი, მძაფრი ტრაგიზმით განმსჭვალული — სამწუხაროდ, სადღეისოც — ნოველა, მისი აღმოჩენის სიხარულს ვერ გავიზიარებ.

და ვერ გავიზიარებ ერთადერთი მიზეზით: უკვე აღმოჩენილს განა რაღა აღმოჩენა სჭირდება?!

არ არის ასე:

თითქოს „ქართული მწერლობის“ შემდგომ „ცოფიანი“ აღარსად განმეორებულიყოს.

და თითქოს არც მისი კრიტიკულ-ესთეტიკური ანალი-

ზი და შეფასება მომხდარიყოს და აქამდე უცნობი ამიტომაც დარჩენილიყოს.

არ არის და რა ვუყო!..

ის კი მართალია, რომ ეს ნოველა არ შესულა არც მწერლის სიცოცხლეში გამოცემულ მოთხრობების კრებულებში და შემდგომ აღარც მის ტომებში მოხვედრილა, მაგრამ ცალკე წიგნაკად კი დაიბეჭდა და ამ დამსახურებას ნუ დავუკარგავთ ნურც გამოცემის თაოსანსა და ნურც თვითონ გამომცემლობას.

ეს მოხდა 1996 წელს, ქუთაისში.

გამოცემა მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო მანანა ჭიჭინაძემ.

გამომცემლობა „მონამეთა“.

წიგნაკის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ: „ცოფიანი“ 1926 წლის პუბლიკაციის შემდეგ აღარსად განმეორებულა, „ქართული მწერლობის“ ის სექტემბერ-ოქტომბრის გაერთიანებული ნომერი კი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და თანამედროვე მკითხველს მასზე ნაკლებად მიუწვდება ხელი. ამიტომ გადაწყდა ამ მოთხრობის ცალკე გამოცემა და მცირე ნარკვევის დართვაც. ტექსტი ჟურნალიდან უცვლელად გადმოიბეჭდა, გასწორდა მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული შეცდომა.

თანდართულ ნარკვევებში საგულისხმოდაა გაანალიზებული პერსონაჟთა ხასიათებიც და ზოგიერთი არსებითი გარემოებაც და გახსენებულია ნოველის სიუჟეტური ქარგა: თუ როგორ გადაწყვეტს ნაადრევად დაქვრივებული ხირჩლა ჯიხალაური — ქალ-ვაჟი, ძაღლიცა და კმარა, რომ აღუზრდია და საკმაოდ დოვლათიც დაუგროვებია — ქალიშვილის გათხოვებას, და ამ დროს რეალური ხდება, მამის ის საშინელი ეჭვი, რომელიც აქამდეც გულს უღრღნიდა და მოსვენებას არ აძლევდა: და-ძმას შორის ინცესტია ჩადენილი. ამიტომაცაა, ძაღლიცა მამას უხეშად რომ მიახლის: „კმარას არავის მივცემ, არავის! ჩემია, ჩემი“, — რის პასუხადაც ხირჩლა ჯიხალაური ჰკლავს შვილს და თვითონაც სადღაც უძირო კლდეზე ჩაიჩეხება.

მაინც რას უქცევია ძაღლიცა ნელცოფად, ოცფეხიან მორიელად, ობობად?

სამხედრო ბეგარას — რუსის ჯარში სამსახურს.

ეს მხოლოდ ერთგანაა აღნიშნული ნოველაში, მაგრამ მთავარი სწორედ ეს გამჭვირვალე მინიშნებაა, რამაც „ცოფიანი“ პოლიტიკური მუხტით განმსჭვალა და მისი მხატვრული ქსოვილი პოლიტიკურ პამფლეტად აქცია, მძაფრ მონოდებად რუსული სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ, ამჯერად ბოლშევიკური რეჟიმის სახელით რომ გაბატონებულიყო.

ის ერთი პუბლიკაცია რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით გასხლტა, თორემ ცენზურა მას შემდეგ როგორღა გააჭაჭანებდა წიგნის ფურცლებზე, ვიდრე კომუნისტური რეჟიმი სულს არ დალაფავდა.

მანანა ჭიჭინაძე საგანგებოდ წარმოაჩენს ამ გარემოებას, რომ ნოველის მხატვრული მრწამსი ძირითადად ამ კუთხით უნდა აიხსნას და გადამეტებული მნიშვნელობა არ მიენიჭოს ფსიქოანალიზის მეთოდის გამოყენებას, რაც დაბნევით თუ დააბნევს მკითხველს, თორემ „ცოფიანის“ აზრობრივი შინაარსის ამოხსნას ვერაფერს შესძენს. დააბნევს სწორედ გადაჭარბებული მცდელობა „ცოფიანის“ კონცეფციის განმარტებისა ფროიდიზმზე დაყრდნობით, თორემ ფსიქოანალიზი მახლობელი რომ გახლდათ მწერლისათვის, მისი მოთხრობე-

ბის ერთი რკალიც ადასტურებს: „ოქროს კბილი“ იქნება, „მუსუსი“ თუ „კურდღელი“ (ამ მიმართულებით საგულისხმოა თეიმურაზ დოიაშვილის დაკვირვება-ანალიზი).

ბოლოსიტყვაობაში რამდენჯერმე მეც ვარ მოხსენიებული.

და ეს იმიტომ, რომ ჩემმა ლიტერატურულ-პოლიტიკურმა ესეიმ „ცოფის ბუდე“, გამოქვეყნებულმა „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 16 მარტის ნომერში, მიაგნებინა მკვლევარს ეს ნოველა ძველ პერიოდიკაში და მისი გამორჩეული მნიშვნელობაც თვალნინ გადაუშალა.

პირველად იქ განიმარტა „ცოფიანის“ მხატვრული კონცეფცია და პერსონაჟთა ხასიათებიც მკაფიოდ გამოიკვთა, განსაკუთრებით ძალლიკასი (ეს სახელი მიხეილ ჯავახიშვილს, ცხადია, საგანგებოდ აქვს შერჩეული!), ლაზღანდარა, თალორა, მოუხეშავ, ურჩ, კანდიერ და ულაგამო ადამიანად რომ დაუბრუნდება სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ თავის სოფელს, ველარავის რომ ველარ უცვნია, და, ზნეობრივად გადაგვარებული, კიდევ ააყირავებს იქაურობას: აღარც მაძახურა სწამს, აღარც ოროპინტე, აღარც მეჯალაფე ახალი აზრებით თავგამოტენილს, ეროვნული ადათ-წესები ყველგასული რომ ჰგონია და მათ ამოშანთვას ლამობს თვისტომთა გულიდან და გონებიდან, ამიტომაც ეურჩება ხევისბერსაც, ეკამათება, დაცინის, სახელს უტეხავს და პატივს უქარწყლებს.

„— ხევსურული ნირი აღარ აქვს ძალლიკას, ნირი! — როცა გომბორელები ძველისძველ ადათებს ასრულებდნენ — წელიწად-წუხრას, მგელთ-უქმს, სულთაკრეფას ან კუდიანთ წუხრას, ძალლიკა უშნოდ იკრიჭებოდა, უკადრისს გაჰკიოდა, ხალხის წმინდანებს მასხრად იგდებდა.

— ლავი თუ აქვს, შაულოცოთ, — უთხრა ხევისბერმა. შეულოცეს, მაგრამ ძალლიკამ თილისმა მოიგლიჯა და სიცილით გადააგდო.

მამამ ასახელებული მოზვერი დაუქლა ხატს და შვილის თავი შაავედრა. არც ამან უშველა“.

სულიერად გადაგვარებულს უკვე ველარაფერი შველის და ზნეჩვეულებათა აბუჩად აგდება და ფეხქვეშ გათელვა და ეროვნულ სინმინდეთა შელახვა ამ საზარლობით — დის შეცდენით — უნდა დაგვირგვინდეს.

და კიდევ უნდა განყდეს ხირჩლას მოთმინების ძაფი და, მარტოდენ პირადად კი არ გამოუტანოს მკაცრი განაჩენი შვილს, არამედ ღვთის ნება აღასრულოს და ოცფეხიანი მორიელი მოაშოროს ეროვნულ სინმინდებებსა და ტრადიციებს.

როდესაც მოგვიანებით ელგუჯა თავბერიძე გამოეხმაურებოდა ჩემს ესეის საფუძვლიან ნარკვევში „მიხეილ ჯავახიშვილის“ „ცოფიანი“ („უქიმერიონი“, 2000, №5), ისიც ძალლიკას ხასიათსა და მის განზოგადებულ სახეს ჩაუკვირებოდა:

„ძალლიკა ავტორს ზოგად ბოროტებად, საყოველთაო უბედურებად ჰყავს მოაზრებული. იგი „ცოფის ბუდე“, რომელიც აუცილებლად უნდა განადგურდეს, თუ საზოგადოებას სურს ამ სენის გადამდები ჯაჭვური რეაქცია თავიდან აიცილოს. ასეც ხდება. ხირჩლა ანგრევს „ცოფის ბუდეს“ და თავს ასე იმართლებს: „ხალხო, ორ ბოკვერ მყავდის... მაგრამ ერთი გამიცოფდის... ვაჟი გამიცოფდის და მახვკალ!“

და ნოველის მხატვრულ კონცეფციას კი პუბლიცისტური გზნებით გააშიშვლებდა:

„თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ ცივილიზებული ადამიანის გავლენება, უპირველეს ყოვლისა, პატივი უნდა ვცეთ ეროვნულ ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს, საუკუნებით განმტკიცებულ ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებს, რამეთუ იგია ის სანდო ჯებირი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია თანამედროვეობის ყველა ცუდი გავლენის შეკავება, პიროვნებისა და ერის ინდივიდუალური, განუმეორებელი სახის შენარჩუნება“.

ამ ანალიტიკური განსჯის ფონზე კი ფსიქოანალიზის მეთოდსაც მოიმარჯვებდა კრიტიკოსი იმ ზომიერებით, ესთეტიკურ ანალიზს რომ სჭირდება და თხზულების დედაზრიდან არ გადაგახვევინებს.

ჩემი ესეი ერთ-ერთ თავად ჩაერთვოდა მონოგრაფიას „შურისგება“, 1996 წელს რომ გამოიცემოდა.

ელგუჯა თავბერიძის ნარკვევი კი განმეორებით გამოქვეყნდებოდა მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულში „სიტყვა ვუთხარ და იწყინა“ (2002).

ისე გამოვიდა, რომ ქუთაისმა თბილისზე მეტადაც აიტაცა „ცოფიანის“ გამჭვირვალე პოლიტიკური მონოდედა.

და კიდევ:

2011 წლის 21-22 ოქტომბერს გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამართულ IV საერთაშორისო კონფერენციაზე („ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება“) მარინე გიგაშვილი-ცერცვაძე წაიკითხავდა მოხსენებას „ერთი ტაბუდადებული თემა XX საუკუნის ქართულ პროზაში“, რომელშიც „ცოფიანს“ შეუპირისპირებდა ნოდარ დუმბაძის რომანს „ნუ გეშინია, დედა!“ და გურამ

გეგეშიძის მოთხრობას „აპრილი“ (გარდა კონფერენციის კრებულისა მოხსენება დაიბეჭდებოდა მკვლევარის წიგნში „ახალი ადამიანი“).

ერთი ნოველის კვალობაზე ცოტა მასალა ნამდვილად არ დაგროვებულა.

ის, რომ „ცოფიანი“ ძალდაუტანებლად შემოდის მოთხრობათა იმ რკალში, რომელსაც შეადგენენ პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბა“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გორა“ და აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და ამ თუნდ თვალსაზრისითაც მოითხოვს გააზრებას, ეს კიდევ ცალკე, რაც გულისხმობს, რომ აკაკი ბაქ-



რადის ლიტერატურული ნარკვევი „არსებობის მარადისობის რღვევა ანუ შვილის მკვლელობა“ სხვა მკვლევარის ხელში გაგრძელდება და ამ მასალითაც შეივსება, ტრაგიკულ მამათა რიგს ხირჩლა ჯიხალაურიც რომ შეემატება.

და კიდევ...

თუმცა ამჯერად შორს ნულა გავყვებით, რადგანაც ამ ბიბლიოგრაფიული შენიშვნების გამოქვეყნების მიზანი ერთადერთია:

დაზუსტდეს მიხეილ ჯავახიშვილის რეპრესირებული ნოველის — „ცოფიანი“ — მკვდრეთით აღდგენის ისტორია.

ის, რაც 1990 წელს შემოვიდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, 21 წლის დაგვიანებით ნულა გამოცხადდება აღმოჩენად.

\*\*\*

ისე არც კმარას სახელი შეურჩევია მწერალს შემთხვევით.

ეს ხომ თვითონ მისი მძაფრი შეძახილია, გამოფხიზლებისაკენ მოწოდებაა, მღელვარე მოთხოვნაა.

კმარა ეროვნულ ზნეჩვეულებათა აბუჩად აგდება და დრომოჭმულად მოხსენიება.

კმარა გონებაარეულ და ზნეობამორღვეულ ადამიანთა გაპარპაშება.

კმარა სულიერი სიმტკიცის რღვევა.

და კმარა ამ ყოველივეს წინააღმდეგ დათმობაც, წაყრუებაც, გულგრილობაც.

სამწუხაროდ, მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოწოდება თუ მოთხოვნა არ არის მარტოდენ ისტორიული რეალობის გამოსატყულება, რადგანაც ამ საფრთხისაგან ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი. ცვლილება მხოლოდ გარეგნულია და სხვა არაფერი — სოციალისტურ გლობალიზმს ჩანაცვლებია ლიბერალური გლობალიზმი, არანაკლებ საშიში და შესაძლოა საბედისწეროც ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრების გზაზე.

ამიტომაც კვლავ მძაფრად უნდა დატრიალდეს ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში ეს ნოველა, ჯერაც სარკედ რომ აღიქმება.

თუმცა... ამჯერად შორს ნულა გავყვებით...

\*\*\*

მაშ მე რა გამოვეცი? — ალბათ გაკვირვებით იკითხავს მანანა ჭიჭინაძე, თუკი „არტანუჯის“ მიერ გამოქვეყნებული „ცოფიანი“ ხელთ ჩაუვარდება და იქ ამოიკითხავს, რომ ეს ნოველა აქამდე უცნობი ყოფილა და „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე ჩარჩენილი.

\*\*\*

კმარაო, თავისას წუხდა და გვაფრთხილებდა მიხეილ ჯავახიშვილი მისებური შეუპოვრობით და თავგანწირვით.

ნიკოლოზ სანებლიძე

# დიდი ახლო აღმოსავლეთი და საქართველო

2011 წლის მარტიდან არაბულ სამყაროში განვითარებულ მოვლენებს „არაბული გაზაფხული“ უწოდეს. იგი თავისი მასშტაბებითა და შედეგებით შესაძლოა საბჭოთა იმპერიის დაშლის ტოლფასი იყოს. ჯერჯერობით ამ დიდი მოძრაობის მხოლოდ ზოგიერთი ტენდენციის გამოყოფა და ანალიზია შესაძლებელი.

## არაბული გაზაფხული

ჩვენს მეზობელ თურქეთში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა რ.ერდოგანმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ინიცირებას გაუკეთებს საკონსტიტუციო ცვლილებებს და ეს ცვლილებები თურქეთს ნამდვილად დემოკრატიულ და საერთო სახელმწიფოდ აქცევს.

უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი განცხადებაა. აშკარაა, რომ თურქეთში იწყება პროცესები, რომლებიც შეიძლება დიდ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების გამოძახილად (და გაგრძელებად) მივიჩნიოთ. თურქეთის ხელისუფლება კარგად გრძნობს შექმნილ ვითარებას და ცდილობს წინასწარი ზომები მიიღოს, ვინაიდან განვითარებული მოვლენები გვიჩვენებენ, რომ არაბულ სამყაროში იწყება უმნიშვნელოვანესი ძვრები — ფუნდამენტალისტურ-ტერორისტული აქტიურობიდან მკვეთრი შემობრუნებისა. რა სახეს მიიღებენ ეს პროცესები და რომელი ტენდენციები გაიმარჯვებენ, აი კითხვები რომლებზე პასუხსაც არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ნიშანდობლივია, რომ ვერცერთმა ხელისუფლებამ, რომლის წინააღმდეგაც გამოსვლები დაიწყო, ვერ მოახერხა ფუნდამენტალისტური კოზირის გათამაშება (მუბარაქი, კადაფი, სალუჰი, ასადი ამაოდ დაშვრნენ ამ მიმართულებით). ბაშარ ალ ასადმა სცადა ებრაული კოზირის გამოყენებაც, მაგრამ სრულიად ამაოდ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისლამისტები კარგად ინიღბებიან და, როცა დრო მოვა, გამოჩნდებიან ასპარეზზე, რათა ვითარება თავის სასარგებლოდ შეცვალონ, არამედ სრულიად სხვა რამეს, კერძოდ — მათი როლი მართლაც უმნიშვნელოა. თუ კონტინენტურმა ევროპამ და ანგლო-საქსურმა სამყარომ შესამჩნევი და სერიოზული შეცდომები არ დაუშვეს, ეს პროცესები მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებენ ისლამურ ფუნდამენტალიზმს (და არა ისლამს საერთოდ).

უნდა ითქვას ისიც, რომ „არაბული გაზაფხული“ განვითარების უაღრესად სპეციფიკურ ლოგიკას ამჟღავნებს. მისი სწორი და თანმიმდევრული შეფასება სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვს. ეს კი, თავის მხრივ, ანალიზის აპარატის განახლებას განაპირობებს.

კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ არაბული გაზაფხული თან ერთვის და ეჯახება რადიკალურ-ისლამისტურ მოძრაობას. ეს არის ორი დიდი შინაგანი ძალისა და გავრცელების მქონე მოვლენა. მათი ურთიერთრეზონანსი გამოათავისუფლებს უმძლავრეს საზოგადოებრივ ენერგიას, რომლის ფორმასა და რიტმიკას დღეს ვერავინ გამოიცნობს. თუმცა ამ მიმდინარეობათა თეორიული განცალკევება და სა-

\* წერილი პირველი

კუთრივი ანალიზი აუცილებელი ჩანს. თავის დროზე ასე დაემთხვა ერთმანეთს ალორძინება და რეფორმაცია. უახლეს ისტორიაში შეგვიძლია დავასახელოთ ხავერდოვანი რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის დაშლა. ურთიერთკავშირის მიუხედავად ამგვარ მოვლენებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები და ინტერესთა ჯგუფები განსაზღვრავენ. მათი ურთიერთდამოკიდებულება კი ცალსახა მიმართებებსა და შეფასებებს გამოიწვევს.

**რადიკალურ-ისლამური პროტესტი და მისი მოკლე ისტორია**

რა არგუმენტები არსებობს ამგვარი პროზიციისა და მოლოდინების სასარგებლოდ?

საქმე ისაა, რომ ისლამური ტერორიზმი არ არის მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ შედეგებზე ორიენტირებული მოვლენა (როგორცაა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ან ისრაელის მიერ 1967 წლის საზღვრებზე უკან დახევა, ბრძოლა „ამერიკული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ და სხვა ამგვარი). იგი გაცილებით უფრო სერიოზულ მიზნებს ისახავს, რაც მიახლოებით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ისლამური ცივილიზაცია ყველაზე გავლენიან ფენომენად უნდა იქცეს მსოფლიოში და წარმატებული მეტოქეობა გაუწიოს სხვა ცივილიზაციებს (კონტინენტურ-ევროპულს, ანგლო-საქსურს, ჩინურს, ინდურს და ა.შ.).

როგორ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, ისლამური ტერორიზმი, როგორც გლობალური პოლიტიკური მოვლენა, სწორედ ამ მიზანს ისახავს. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ სახით არის ის ყველაზე სახიფათო და პოლიტიკური დინამიზმის შემცველი.

ვერ ვიტყვით, რომ ამგვარ პროცესებს საერთოდ არ იცნობს ისტორია (ანუ პოლიტიკურ კულტურული ლიდერობის მისაღწევად ექსტრემალური მეთოდების გამოყენებას). პირიქით, საკმარისია 20-ე საუკუნეში განვითარებული მოვლენები გავიხსენოთ. თუმცა ცხადია, რომ ისლამურ რევოლუციას რამდენიმე განსხვავებული შემადგენელი კომპონენტი აქვს და ისინი განსხვავებულ მიდგომებს გულისხმობენ. ამკარაა, რომ ისლამური მოძრაობა, სულ მცირე, სამ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ-კულტურულ კომპონენტს მოიცავს (არაბული, ირანული და თურანული სამყაროები), მაგრამ უკანასკნელ მომენტამდე მათ აერთიანებდათ ერთი საერთო რწმენა — დასავლური გზის ტოტალური და უპირობო მიუღებლობა. ამას განაპირობებდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-ისტორიულ, ფსიქოლოგიურ და სხვა გარემოებათა მთელი წყება. თუმცა ამ გა-



ნიკოლოზ სანებლიძე

რემოებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ფაქტორი — დრო.

უპირობო ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ დასავლურ ცივილიზაციას კონკურენციას ვერ გაუწევს თუ მის გზას დაადგები. ამიტომ ისლამურ ცივილიზაციას უნდა ჰქონდეს საკუთარი მეთოდები, მიზნები, სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები.

როგორც ჩანს, ისლამური სამყაროს მოქმედების ლოგიკა (სადაც რადიკალური ანტიდასავლური განწყობილება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს), არ იყო ერთმნიშვნელოვანი და ისტორიული ჩამოყალიბების თვალსაზრისით ერთდროული. იგი რამდენიმე ფაზას მოიცავდა. ჩვენი მიზნებისათვის არ არის საჭირო ისტორიაში ღრმად შეჭრა, თუმცა ერთგვარი ექსკურსი აუცილებელია, მხოლოდ იმისათვის, რომ სწორად შევასოთ სადღეისოდ მსოფლიო არენაზე გამოსული ძალები.

პირველი ნიშანი მუსლიმანურ სამყაროში განვითარებული რადიკალური ცვლილებისა იყო ისლამისტური რევოლუცია ირანში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. მკვეთრად ანტიამერიკული ხასიათის გამო შეფასდა როგორც გამოსვლა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ლიდერის (და მთლიანად ამ სისტემის) წინააღმდეგ. როგორც შემდგომ გახდა ნათელი, ეს შეფასება უმართებულად ვიწრო იყო. მაგრამ იმ დროის სტანდარტულმა მიდგომებმა განაპირობეს მრავალი არასწორი და ილუზორული მიზნებისა და მისწრაფებათა გაჩენა.

მრავალ სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც საბჭოთა კავშირის ავღანეთში ჯარების შეყვანისკენ უბიძგა სწორედ ირანის რევოლუცია იყო. მიიჩნევდნენ, რომ რაც ანტიამერიკულია და ანტიდასავლური, იმავდროულად და აუცილებლად საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებასა და გაძლიერებას უწყობს ხელს. ისლამური რადიკალიზმის მსოფლიო საფრთხეზე არავის უფიქრია. თავის მხრივ, დიდ ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა გავლენის გაძლიერების საფრთხემ აიძულა დასავლეთის ქვეყნები და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, მხარი დაეჭირა მოჯაჰედებისათვის. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო პაკისტანიც (პაკისტანში მოჯაჰედთა მომზადების ცენტრები და საბჭოთა ტყვეთა ბანაკებიც იყო. 80-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ ამგვარ ბანაკში საბჭოთა ტყვეების აჯანყებაც კი მოხდა, რასაც დიდი ხმაური მოჰყვა). გასაგებ მიზეზთა გამო ისლამური ერთობის შეგნება ხალხებს შორის კიდევ უფრო ამაღლდა. ირანი, პაკისტანი, ავღანეთი დესტაბილიზაციის ის სარტყელი აღმოჩნდა, რომელიც ისლამური ფუნდამენტალიზმის მყარი საფუძველი გახდა.

ძალზედ არასტაბილური ვითარება იყო ახლო აღმოსავლეთიც. ისრაელის მოქმედებებს (რომელიც აშშ-ის ტრა-

დიციული სტრატეგიული პარტნიორია), არაბული სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა (სირია, ეგვიპტე, ლიბია, ალჟირი) არა მხოლოდ იარაღი დაუპირისპირა, არამედ არაბული ნაციონალიზმიც. ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ისლამურ რელიგიურ რადიკალიზმს (მაგალითად, ეგვიპტეში სიკვდილით დასაჯეს თანამედროვე ფუნდამენტალიზმის უპირველესი იდეოლოგი ალ ქუტბი), მაგრამ ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრამ და საბჭოთა გეოპოლიტიკური ამბიციების საფრთხემ სერიოზული კორექტივები შეიტანა ამ ქვეყნების მმართველი წრეების მოქმედებაში. ამ უკანასკნელებს რადიკალურად განწყობილ ისლამისტებს საშუალება მისცეს დაუბრკოლებლად შეერთებოდნენ ავღანელ მოჯაჰედებს და შესაბამისი რეგულარული წვრთნაც გაეწეოთ პაკისტანელ, ამერიკელ და სხვა ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით.

სწორედ ამიტომ ავღანეთში იბრძოდნენ ეგვიპტელი, საუდეელი, იემენელი და სხვა მოხალისე მოჯაჰედები. აქ გამოჩნდა და პირველი საბრძოლო და ლოგისტიკური გამოცდილება მიიღო უსამა ბინ ლადენმაც. ზემოთაღწერილმა პროცესებმა გამოიწვიეს არა მხოლოდ კარგად განვრთნილ და თავზეხელაღებულ ისლამისტთა არნახული რაოდენობრივი ზრდა, არამედ ისლამური ქვეყნების დიდი ნაწილის მოსახლეობის განწყობათა რადიკალიზაციაც, რისი დასტურიც იყო მუსლიმი ძმების ორგანიზაციის მიერ ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ ას სადათის მკვლელობა სამხედრო აღლუმზე 1981 წელს. რასაკვირველია, მაშინ არავის უფიქრია, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ პრობლემური რეგიონი გახდებოდა ცენტრალური აზია (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), ნაწილობრივ ვოლგისპირეთი და მთელი ჩრდილოეთ კავკასია.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ ბიპოლარულ კონტექსტში განიხილებოდა, ერთგვარი შემფოთება ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხის გამო მაინც წარმოიშვა. ამიტომაც ამ რეგიონში მხარდაჭერა მოიპოვეს „მაგარი ხელის“ მქონე ლიდერებმა, როგორებიც იყვნენ: ზია ულ ჰაკი პაკისტანში, სადამ ჰუსეინი ერაყში, მუამარ კადაფი ლიბიაში და ა.შ. საკმარისია ითქვას, რომ დასავლეთი იძულებული გახდა შერიგებოდა ტერორისტ კადაფის და მხოლოდ სიმბოლურ ბოდიშს დაჰყაბულებოდა. პარადოქსული შემთხვევა მოხდა პაკისტანში, სადაც გენერალმა ზიამ თავს უფლებამოსცა არ გაეთვალისწინებინა პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტის, ზულფიკარ ალი ბჰუტოს შეწყალების თხოვნა, რომლითაც მას ერთდროულად მიმართეს საბჭოთა კავშირის, აშშ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მეთაურებმა. ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ, მსოფლიო მოწინავე ქვეყნების ფარული თანხმობითა და ხელშეწყობით დაიწყო ათწლიანი ომი ირანსა და ერაყს შორის. ამ ომს არანაირი სარგებელი ან უპირატესობა მოწინავე მხარეთათვის არ მოუტანია, გვარიანად კი დაასუსტა ისინი.

ერთი სიტყვით, ბიპოლარული სამყაროს მთავარმა აქტიორებმა, რომელთა მთელი ძალისხმევა ცივი ომის ლოგიკით იყო განსაზღვრული, ურთიერთქიშპობისა და ვიწროდ გაგებული საკუთარი ინტერესების დაცვის პროცესში გზა გაუხსნეს სრულიად ახალი გლობალური ინტერესებისა და პრეტენზიების მქონე ძალას, რომლის გამოხმობაც ისტორიის ასპარეზზე, ცხადია არცერთს არ უფიქრია. ამგვარ მოვლენებს ჰეგელი მსოფლიო-ისტორიული გონის ცბიე-

რებას უწოდებდა და, სხვათა შორის, ისტორიული წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშკარა გახდა ორი გარემოება.

(ა) დიდი ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურ ხაზს დამატა კავკასია და ცენტრალური აზია.

(ბ) ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი სამიზნე გახდა აშშ. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური წინააღმდეგობა რამდენიმე განსხვავებული კომპონენტისაგან შედგება (არაბული სამყარო, ირანი, აგრეთვე თალიბური და მისი მსგავსი მოძრაობები, რომელთა მოქმედების არეალია ავღანეთი, პაკისტანი, ცენტრალური აზია, ნაწილობრივ — ვოლგისპირეთი), მთელ ამ უზარმაზარ სარტყელში მოხდა განწყობათა უკიდურესი რადიკალიზაცია. კარგად განვრთნილი და ისლამისტურად განწყობილი მებრძოლები მზად არიან უკიდურეს ზომებს მიმართონ. მათ კარგად ორგანიზებული ცენტრები აქვთ, სადაც არა მხოლოდ იარაღის ფლობას სწავლობენ, არამედ სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნასაც იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალებს აქვთ განსხვავებული ამოცანები და საკმაოდ დიდია მათ შორის დაპირისპირებაც, ერთი საერთო განწყობა და მიზანი მათ მაინც მოეპოვებათ — უკიდურესი მიუღებლობა დასავლური ცივილიზაციის, განსაკუთრებით ამ ცივილიზაციის ლიდერის აშშ-ს, ღირებულებათა და მისი გავლენის მაქსიმალური შესუსტება მთელს მსოფლიოში, რისთვისაც მისაღებია ყველანაირი ხერხი.

ამ დიდი მოძრაობის ერთიანი მიზანი საკმაოდ რთულს ხდის შიდა მდინარებათა გარჩევას, მითუმეტეს, რომ მიზნის ერთიანობას არაფერს აკლებს ის ფაქტი, თუ რომელი ქვეყნიდან (მდიდარი თუ ღარიბი, ავტორიტარული თუ შედარებით რბილი მმართველობის) არიან რადიკალური მოძრაობის მონაწილენი — საუდის არაბეთი და ეგვიპტე, იემენი და ლიბანი, კუვეიტი და ტაჯიკეთი — ყველანი აწვდიან საწვავ მასალას ამ რადიკალურ ისლამურ მოძრაობას. ერაყი და ავღანეთი ძალის ის წერტილებია, სადაც დაპირისპირებას ცხელი ომის ხასიათი აქვს. ყველაფერ ზემოთქმულს კიდევ უფრო ართულებს ენერგორესურსთა კრიზისი, დასავლეთის მომხრე და მოწინააღმდეგე რეჟიმების არსებობა, ისრაელის ფაქტორი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური თუ ისტორიული პრობლემები და ა.შ.

უეჭველია, რომ ადამიანები იმ ტიპის დასობრივ მოძრაობას, როგორსაც მათ რადიკალური ისლამისტები სთავაზობენ, მხოლოდ უარყოფითი მიზნით (ზიანი მიაყენონ სხვას) ან მხოლოდ უკიდურესი მატერიალური სიდუხჭირის გამო არ უერთდებიან და თავს მასობრივად არ სწირავენ. მათ ამისათვის ძალზე ძლიერი დადებითი მოტივაცია სჭირდებათ. ცხადია, ერთ-ერთი ძლიერი მოტივაციაა მოწამებრივი სიკვდილი ალაჰის სახელით, რაც მათ საიქიო სასუფეველს ჰპირდება, მიუხედავად იმისა თუ როგორ იცხოვრეს მანამდე. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებდა „სიბრძნე-სიცრუისაში“, რომ სიკვდილის მძებნელთა შორის ერთ-ერთი პირველნი არიან სამოთხეში სწრაფად მოხვედრის მოსურნენი. ამ ფაქტორის უგულვებლყოფა არ შეიძლება, თუმცა იგი, რასაკვირველია, არაა საკმარისი ასეთი სერიოზული მსოფლიო პროცესების ახსნისა და გაგებისათვის. პოზიტიური ფაქტორი სხვადასხვა იყო, თანაც არაერთი და უფრო მნიშვნელოვანი.

ვფიქრობთ, ამგვარი ზემოცანა უნდა იყოს დასავლუ-

რი ცივილიზაციის კონკურენტუნარიანი ალტერნატიული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა. ისლამურ ღირებულებათა გავრცელება, რომლებიც მსოფლიოსათვის უფრო მისაღები და, ასე ვთქვათ, უფრო „ადამიანური“ იქნება. ამ მოძრაობას უეჭველად აქვს თავისი აქსიოლოგია და ანთროპოლოგია (თეოლოგიასთან ერთად). ასეთია მაგალითად, ყველა მუსლიმანთა ძმობა და ერთობა, ურთიერთდახმარება და სხვ. საინტერესოა, რომ თავად უსამა ბინ ლადენი ტერორისტულ საქმიანობის დაწყებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებით და, კერძოდ პალესტინელ არაბთა გამოუყალიბდგომარეობით ხსნიდა.

რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ ბერდიაევი წერდა — რევოლუციის უსამართლობის შესაფასებლად აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რამაა მართალი ეს რევოლუციაო. უეჭველია, რომ ადამიანთა მიმართ თანალობა და თანაგრძნობა, ყველა მუსლიმანთა ერთიანობის შეგნება, ყველა იმ პროცესთან ერთად, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, ძალზე სერიოზული არგუმენტი ამ მოძრაობის ძლიერებისა და მიმზიდველობის სასარგებლოდ. ცხადია, ძალიან ბევრი სხვა ფაქტორი არის საჭირო ასეთი განწყობის დიდ პოლიტიკურ მოძრაობად გარდასაქმნელად, მაგრამ თუ ამ მოძრაობას ზემოხსენებულ განზომილებას წავართმევთ, მისი გაგება ნამდვილად გაჭირდება. უეჭველია, რომ ისლამი ერთი უდიდესი რელიგიაა, სადაც სამართლიანობა და გაჭირვებულთა დახმარება უზარმაზარ როლს თამაშობს. რა თქმა უნდა, აქედან ის დასკვნა არ გამოიმდინარეობს, რომ ამისათვის უდანაშაულო ადამიანები უნდა დაიხოცნონ, მაგრამ ადამიანთა ლოკა ხშირად პარადოქსული გზით დადის.

უნდა ითქვას, რომ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ადმინისტრაციის სერიოზულმა შეცდომებმა რადიკალურ ისლამისტთა გაერთიანებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. სამხედრო ძალაზე უპირატესობის აპელირებამ, ეგოისტურ ენერგონტიერესთა შეუნიღბავმა წინ წამოწევამ, ერთგვარმა, ასე ვთქვათ, პოლიტიკურმა ამპარტავნობამ და ბინარული სისტემით აზროვნებამ, არა მარტო ისლამური სამყაროს რადიკალიზაცია გამოიწვია, არამედ ევროპელი პარტნიორებიც კი შეაშფოთა და დააფრთხო. ცხადია, ამ მომენტებს დაპირისპირების არსი ძირეულად არ შეუცვლია, თუმცა სასარგებლო ფონი კი შექმნეს რადიკალიზმის სასარგებლოდ და მისი ზოგი მნიშვნელოვანი მახასიათებელი განსაზღვრეს.

ამგვარად, დაახლოებით 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიქმნა ვითარება, როცა ისლამურმა სამყარომ ძირითადად მიაღწია შეთანხმებას ორ მნიშვნელოვან საკითხში.

(ა) უსამართლობის წინააღმდეგ ისლამური სოლიდარობისა და ერთიანობის სახელით საჭიროა აქტიური მოქმედება, დაპირისპირება და ბრძოლა დასავლეთსა და მის ლიდერთან — აშშ-თან;

(ბ) ამ ბრძოლაში საჭიროა რადიკალური მეთოდების გამოყენება, რადგან სხვა გზა ისლამურ ღირებულებათა დასაცავად და სამართლიანობის აღსადგენად (ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთში, სხვადასხვა არაბულ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება აშკარად მოწყდა ხალხს და უსამართლო რეჟიმი დაამყარა) არ არსებობს.

ყველა შემთხვევაში ცხადი იყო, რომ დასავლურ საზოგადოებასთან შეჯახებამ პირდაპირი და უკომპრომისო ხასიათი მიიღო და ბრძოლა უხემ ძალაზე დაყრდნობით ორი-

ვე მხარეს თანდათან ჩიხში აქცევდა. 2005 წლისათვის დღის წესრიგში დადგა ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებაც. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა, რაც საშუალო პერსპექტივაშიც კი შეუძლებელს გახდიდა ამ მოჯადოებული ეშმაური წრისგან თავის დაღწევას.

### არაპირდაპირი პოლიტიკური სტრატეგიის ელემენტები

ობამას ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ვითარება ნელა, მაგრამ საგრძნობლად შეიცვალა. გაკეთდა განცხადებები ერაყიდან ჯარების გაყვანის უკიდურესი მიჯნის თაობაზე, უფრო თანმიმდევრული და სამართლიანი გახდა პოზიცია პალესტინელთა მიმართ, აუცილებელი განმარტებანი გაისმა გუანტანამოსა და აბუ-გრეიბის ციხეებთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო კეთილგანწყობილი სახე მიიღო ევროპულმა პოლიტიკამ და დაიწყო „გადატვირთვა“ რუსეთთან. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა მსოფლიო დაძაბულობა, მოხსნა უსაფუძვლო შიში და პოლიტიკური აზროვნება უფრო მრავალფეროვანი (არაბიოლარული და მრავალგანზომილებიანი) გახდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადმინისტრაციის პოზიცია არაბულ-ებრაულ დაპირისპირებაში. პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მისი საზღვრების მიმართ ვაშინგტონის დამოკიდებულება სულ უფრო უახლოვდება პალესტინურს და, უნდა ითქვას, რომ ეს სამართლიანი პოზიციაა, იმ პირობით, რომ არაბები (უპირველეს ყოვლისა პალესტინელი არაბები) აღიარებენ ებრაელთა უფლებას საკუთარ სახელმწიფოზე და მათთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. ზედმეტი დაძაბულობა მოიხსნა. შესაძლებელი გახდა უხემ ძალაზე უპირატესი აპელირების შეზღუდვა.

მოხდა პოლიტიკურ ღირებულებათა ერთგვარი გადაფასებაც. მაგალითად, აშკარა გახდა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა და ბრძოლა ენერგოუსაფრთხოებისათვის ორი სხვადასხვა ამოცანაა და საჭიროა მათი რანგირება. ვფიქრობთ, ობამას ადმინისტრაციამ აშკარა პრიორიტეტი ტერორიზმის დამარცხებაზე გადაიტანა და გეზი ე.წ. ლბილი ძალის გამოყენებაზე აიღო. ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი ფონი, რათა გარკვეული ძვრები დაწყებულიყოს მთელს მსოფლიოში და მათ შორის ისლამურ სამყაროში.

ვიმეორებთ, ვერცერთი სახელმწიფო (და სახელმწიფოთა გაერთიანება, მაგ. ნატო, ევროკავშირი და სხვ.) ვერ მოახერხებს სოციალურად მნიშვნელოვანი მსოფლიო პროცესების გამოწვევას და მათ კონტროლს. შესაძლებელია მხოლოდ ამგვარი პროცესების წარმოშობისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა, თვალყურის დევნება და შესაბამისი რეაგირება. რევოლუციების სიმართლეზე რეაგირებაც გამოორჩეულ პოლიტიკოსთა ნიშანია. მაგრამ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური პროცესი მრავალმნიშვნელოვანია და რამდენიმე განსხვავებულ (ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ) ფაქტორსა და ტენდენციას აერთებს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური, არამედ ისტორიული, კულტურული, ფსიქოლოგიური გარემოებანი, სი-ახლეზე რეაგირების უნარი, სხვადასხვა სახის მობილობა-



ნი, ელიტის თვისებები და მრავალი სხვა რამ.

### ისლამური ცივილიზაციის ტრანსფორმაცია?

ამკარაა, რომ არაბული გაზაფხული მიანიშნებს ცივილიზაციური დაპირისპირების ახალი (შესაძლოა თვისობრივად ან პრინციპულად ახალი) ეტაპის დაწყებას და, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მოსალოდნელია, რომ ჩვენ ვდგავართ კიდევ უფრო დიდი ძვრების წინაშე, ვიდრე ეს იყო 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლამ რომ გამოიწვია. ამიტომ უნდა ვცადოთ პროცესების ახლებური თვალთახედვით გაანალიზება.

ფაქტია, რომ არაბულ სამყაროში დაიწყო ახალი მოძრაობა, რამაც თავი მოიყარა არაბული გაზაფხულის ცნებაში. არაბულ სამყაროში აღმოჩნდნენ გავლენიანი ძალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია დასავლური ცივილიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის მიღება და დინამიურ განვითარებად ცივილიზაციად დარჩენა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ადეკვატური, ან მითუმეტეს, ისტორიულად და პოლიტიკურად მომგებიანი აღმოჩნდება ეს შეხედულება, მაგრამ ფაქტია, რომ არაბულ სამყაროში მისმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ფუნდამენტალიზმსა და ტერორიზმს. საქმე მარტო ალ ქაიდას ლიდერის ლიკვიდაციაში კი არ არის, არამედ სხვა, ალტერნატიული და პერსპექტიული გზის გამოჩენაში.

ამ მოძრაობაში ბევრი რამ არის შენარჩუნებული ძველი განწყობიდან, კერძოდ სოლიდარობა, სამართლიანობა, მიდრეკილება სოციალური მობილურობისაკენ და, რაც მთავარია, არაბული სამყაროს ღირსების, მის ღირებულებათა წარუვალლობისა და კულტურულ-ცივილიზაციური კონკურენტებისათვის მზადყოფნის შეგრძნება. ვინც ფიქრობს, რომ არაბული გაზაფხულის წარმატების შემთხვევაში მივიღებთ ისეთ დიდ ახლო აღმოსავლეთს, რომელიც დასავლურ (ან ნებისმიერ სხვა) ცივილიზაციის უბრალო დანამატი გახდება, იგი ძალიან ცდება. პირიქით, მისი კონკურენტუნარიანობა მკვეთრად გაიზრდება და მსოფლიო მიზიდულობის კიდევ ერთი ცენტრის შექმნის მოწვევა გახდება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თუ არაბული გაზაფხულის საქმე პერსპექტივაში წარმატებით დაგვირგვინდა, მსოფლიო მკვეთრად გამოხატულ პოლიცენტრულ სახეს მიიღებს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ არაბული სამყაროს ბრწყინვალე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული წარსული, ოსვალდ შპენგლერი მაგიურ კულტურას რომ ეძახდა. იგი მაგიურის ცნებაში უარყოფით კონოტაციებს გამოირიცხავდა და აღფრთოვანებული იყო ამ კულტურის მიღწევებით (აქვე უნდა ითქვას, რომ შპენგლერის მიხედვით, საქართველოც ზემოხსენებულ კულტურულ არეალში ექცევა). ვფიქრობთ, ღირსეული და ბრწყინვალე წარსული კიდევ ერთი არგუმენტია არაბული გაზაფხულის წარმატების სასარგებლოდ.

რასაკვირველია, ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, ვერაფერს გამოიცნობს მის შედეგებს. მაგრამ ფაქტია, რომ არაბულ სამყაროში გაჩნდა მძლავრი ტენდენცია, რომელიც ფუნდამენტალიზმისა და რადიკალური ისლამური მოძრაობისა და შესაბამისი ქმედებებიდან მკვეთრად განსხვავდება.

ვიმეორებთ, ეს მოძრაობა ისლამის აქსიოლოგიურ ჩარჩოებში მიმდინარეობს, აქვს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური სახე, მაგრამ მისი მიზნები შენაცვლებულია და მოქ-

მედების ხერხებიცა და მეთოდებიც ადრინდელი ექსტრემისტულისაგან მკვეთრად განსხვავებული, და მას გრანდიოზულ ცვლილებათა გამოწვევა ძალუძს. ისე, რომ შესაძლოა, ისტორიის შედარებით მცირე მონაკვეთში, მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური და კულტურული რეალობა მივიღოთ.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს მრავლად მოეპოვებათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებით ფაქტორებს შორის უეჭველად უნდა დავასახელოთ ინფორმაციის გაცვლის თავისუფლება. დღეს, ინტერნეტის ეპოქაში, არსებითად შეუძლებელია პროპაგანდის ტრადიციული კომპონენტის — არასასურველი ინფორმაციის დაფარვის — წარმატებული განხორციელება. შეუძლებელია დაფარო, მაგალითად, ტოტალური კორუფცია, ელიტის ცხოვრების წესი, სამართლიანობა/უსამართლობის რეალური თანაფარდობა ქვეყანაში და ა.შ. შეუძლებელია დაიფაროს სხვა ქვეყნებში ცხოვრების რეალური მიღწევები ან ჩავარდნები. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ცხოვრების ავ-კარგზე ყველა მეტ-ნაკლებად დაინტერესებულ ადამიანს მიუწვდება ხელი. არაბი ახალგაზრდებისთვის (და არა მარტო მათთვის), სანაში, ქაიროში, ალჟირსა ან დამასკოში საკმაოდ იოლი წარმოსადგენია თუ როგორ და რის ხარჯზე ცხოვრობენ ქვეყნის ელიტარული ჯგუფები. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მათში პროტესტის გრძნობამ გაიღვიძა.

არის უფრო მნიშვნელოვანი მომენტიც — არაბული ქვეყნების დიდი ნაწილი საკმაოდ მდიდარია და ვერაფერს ახსნის, რატომ უნდა იყოს იქ დიდი სოციალური უთანასწორობა. ეს კი ნიშნავს, რომ ელემენტარული თანასწორობა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და ქვეყნის წინსვლის რეალური გზაა. ქვეყნის მეტ-ნაკლებად სამართლიანი მოწყობა შესაძლებელს გახდის ელიტის განახლებას და, შესაბამისად, მაღალ სოციალურ მობილურობას. ამის გარეშე რაიმე წინსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამგვარ სოციალურ მობილურობას, ღირებულებათა მობილურობაც დავმატებთ (ისლამური ღირებულებანი, ცხადია, მხოლოდ ალაჰის სახელით თავგანწირვას არ გულისხმობს, არამედ ბევრ სოციალურად და სახელმწიფოებრივად სასარგებლო ქცევებს, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ მსოფლიო კონკურენტიაში წარმატების მიღწევა. მოდერნიზაცია ასე უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს). ასე რომ, ვფიქრობთ, ღრმად ცდება ისინი, ვინც „არაბულ გაზაფხულში“ ამერიკის ხელს ხედავს. არაბები, რომელთაც ერთხელ შექმნეს საოცარი ცივილიზაცია და მსოფლიოს ლიდერების რანგში მოევილინენ, თვითონვე გადაწყვეტენ საკუთარ ბედს და, ვფიქრობთ, საკმაოდ პერსპექტიულ გზასაც ადგანან საამისოდ.

კითხვა შეიძლება სხვაგვარად დაისვას — რატომ დაუჭირა მხარი აშშ-მ და ევროპამ ამ პროცესს?

პასუხი ნათელი უნდა იყოს. ეს პროცესები ძალიან ძლიერ დარტყმას აყენებენ ტერორიზმის ტალღას და მის იდეოლოგიურ საფუძველს. ამიტომ ღრმად ცდება ისინი, ვინც აშშ-მ ამ ნაბიჯში ენერგეტიკულ ინტერესებს ხედავენ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ტაქტიკურ-ოპერატიული თვალსაზრისით ენერგეტიკული ინტერესები აქ ერთგვარად იგნორირებულია სტრატეგიულ ინტერესთა სასარგებლოდ და ცივილიზაციურ-ჰუმანიტარული დაახლოების სასარგებლოდ.

ვფიქრობთ, არის მეორე, უფრო სიღრმისეული საფუძველიც — ანგლო-საქსური ცივილიზაცია ძალზედ კონკურენტუნარიანია და იგი მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი თანაარსე-

ბობის პირობებში არანაირ მეტოქეობას არ უფრთხის. ეს შესაძლოა ერთგვარი ზედმეტი თავდაჯერებულობაც იყოს, მაგრამ, როგორც იტყვიან, საკუთარ ხასიათს ვერ გაეცქევია. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ომს გაუზრბიან. არა, ეს ასე ვთქვათ, პოლიტიკური გემოვნებისა და არჩევანის საკითხია, და კიდევ — პოლიტიკური მოქნილობაც სწორედ ის არის, რომ დაპირისპირებას შენთვის უფრო მომგებიანი (ან უფრო ჩვეული) ფორმა მიანიჭო.

სწორედ ამ არჩევანის შედეგია ბარაკ ობამას მიმართვა ისრაელისადმი არაბულ-ებრაული კონფლიქტის მონესრიგების გზების თაობაზე, რამაც ასე სერიოზული შემოფოთება გამოიწვია ისრაელის ხელისუფალთა შორის. თუმცა ამერიკის ადმინისტრაციამ ამ დროს საკუთარ გლობალურ ინტერესთა გათვალისწინებით მოქმედებდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბინ ლადენის ლიკვიდაცია ძალიან ზუსტად დაემთხვა „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებს და თითქმის გაითქვიფა მასში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ყურადღება მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ტერორისტი ცხოვრობდა ფეშენებელურ ვილაში პაკისტანის დედაქალაქიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, რაც პაკისტანის მმართველი წრეების ნაწილის მიერ ბინ ლადენის მხარდაჭერად შეფასდა, თუმცა არავის მიუცქევია ყურადღება, რომ ამერიკის ნომერ პირველი მტრის ლიკვიდაცია მოხერხდა ისეთ დროს, როცა ისლამური სამყაროს დიდი ნაწილის ყურადღება დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებითაა მიპყრობილი. ეს აშშ-ს პოლიტიკოსთა და სპეცსამსახურების ტერორიზმთან ბრძოლის სწორ სტრატეგიაზე უნდა მიუთითებდეს და არა დაგვიანებულ რეაგირებაზე ან (მითუმეტეს) მოუქნელობაზე.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ და პირადად პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განაცხადეს ტერორისტის ცხედრის ჩვენებაზე. მეტიც, შეეცადნენ არ მიეყენებინათ შეურაცხყოფა ისლამის მიმდევრებისათვის ბინ ლადენის დაკრძალვის დროს. რა თქმა უნდა მათ გაითვალისწინეს წინა ადმინისტრაციის შეცდომები, რაც ამ უკანასკნელს სადამ ჰუსეინთან დაკავშირებით მოუვიდა, განსაკუთრებით ფინალურ ეტაპზე, როცა მსოფლიოს აჩვენეს სადამის სიკვდილით დასჯა. ბუშის ადმინისტრაციის ამ ნაბიჯს არც მათი საკუთარი და არც აშშ-ს პრესტიჟისათვის კარგი არაფერი მოუტანია. ეს არა მხოლოდ ახლანდელი ადმინისტრაციის სწორ სტრატეგიას მონშობს, არამედ მის მაღალ კულტურასაც.

ვიმეორებთ, ენერგეტიკული სტრატეგია ჩაითვალა გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანად, ვიდრე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს პოზიცია საკვებით გასაგებია, რაც არ ნიშნავს, რომ ტერორიზმი საბოლოოდ დამარცხებულია, და არც იმას, რომ ტერაქტები აღარ მოხდება, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისლამის მიმდევართა დიდ ნაწილს სხვა, უფრო პერსპექტიული შესაძლებლობანი გაუჩნდა. ამის მიღწევა მხოლოდ გარეგანი ზეგავლენით შეუძლებელია. ადამიანს, ხალხს, ერს, რელიგიურ ერთობას შინაგანი რესურსებიც უნდა გააჩნდეს ამისათვის, რაც არაბულმა გაზაფხულმა ნათლად აჩვენა.

ამკარაა, რომ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ გრანდიოზულ მოვლენას, სადაც თანაარსებობენ ძველი (ექსტრემისტულ-ტერორისტული) და ახალი (პოლიტიკურ-ნაციონალურ-კულტურული) ტენდენციები. არის შანსი პირვე-

ლის თანდათანობითი მინავლების და მეორეს სწრაფი განვითარებისა. წინასწარი პროგნოზირება აქ უბრალოდ შეუძლებელია, მაგრამ „არაბული გაზაფხულის“ მნიშვნელობაც სწორედ ისაა, რომ მან გამოაჩინა და ერთგვარად აამოქმედა კიდევ განვითარების ახალი პერსპექტიული მოდელი. დანარჩენ მსოფლიოს შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს ეს პროცესები, ანდა სულაც საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოიყენოს (ვინც როგორ მოახერხებს და ვისაც რისი უნარი და შესაძლებლობა აქვს). უნდა ითქვას, რომ ესეც საკმაოდ კარგად ჩანს (უკვე სანყის ეტაპზეც კი), მაგრამ მთავარი შემოქმედი ამ დრამატული მოვლენისათვის არაბები არიან და მისი ბედიც მათსავე ხელშია.

ახლო აღმოსავლეთში წინ ჯერ კიდევ დიდი წინააღმდეგობებია და არავინ იცის, ეს პროცესი რით დასრულდება. თუმცა ამკარაა, რომ ვითარება ისე ტრაგიკულად გამოიყვალა აღარ ჩანს. არაპირდაპირი სტრატეგია ჯიქურ შეჭიდებაზე გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. თუმცა უნდა ვაღიაროთ მისი პოლიტიკური ხორცშესხმის მაღალი დონე.

ცხადია, თუ ისლამურ წინააღმდეგობას არაბული კომპონენტი გამოაკლდა და თანაც ამ უკანასკნელის მიერ არჩეული გზა პერსპექტიული აღმოჩნდა, მაშინ ირანული კომპონენტის ჯერიც დადგება. ვფიქრობ, ეს მიმართულებაც პერსპექტიულია.

ავლანეთი და ცენტრალური აზია ამ წინააღმდეგობის მესამე, ძალზე რთული კომპონენტია. თუმცა მარტო დარჩენილი ან ძალზე შესუსტებული ეს მესამე კომპონენტი სხვების დაუხმარებლად გლობალური ამოცანების გადაწყვეტას ვეღარ შეძლებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კომპონენტის ნეიტრალიზაციის საქმეში აშშ-ს რუსეთის იმედი აქვს (და პირიქით), რადგან ცენტრალური აზიის თალიბანიზაცია რუსეთს სასიცოცხლო საფრთხეს შეუქმნის. ეს, ცხადია, მოსკოვს შესანიშნავად ესმის. ამიტომ, სურს მას თუ არა, აუცილებლად დაეხმარება აშშ-ს ავლანეთში. აქ მათ სტრატეგიულ ინტერესთა თანხვედრასთან გვაქვს საქმე.

ამასთან, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგობის დაძლევა ამ სამი კომპონენტის დროში თანმიმდევრულ ტრანსფორმაციას გულისხმობს აუცილებლად. არა, ყველა დაფაზე ბრძოლა ერთდროულად მიმდინარეობს. უბრალოდ, პარტიების ხანგრძლივობა შეიძლება სხვადასხვა აღმოჩნდეს და თავდაპირველი და ფინალური პოზიციები კი განსხვავებული.

უეჭველია, რომ ამ გლობალურ თამაშში კავკასიას (და კონკრეტულად საქართველოს) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ როლის არც შეუფასებლობა ღირს და არც გადაფასება. სწორი ანალიზის ჩასატარებლად ყველა იმ მნიშვნელოვანი დასკვნის გათვალისწინება მოგვიწევს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამ პრობლემას შემდეგ განვიხილავთ გამონვლილვით.

**P.S.**

მოვლენები მართლაც დრამატულად და ელვისებურად ვითარდება. ამჯერად განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს პალესტინის პრობლემა. უეჭველია, რომ რისი მონშენიც არ უნდა შევიქნეთ ახლო მომავალში, დროს უკან ვერავინ დააბრუნებს. ყველა შემთხვევაში წარმოჩნდება სრულიად ახალი ვითარება, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს არა მარტო მსოფლიოზე, არამედ კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე. ასე რომ, თვით ცხოვრება გვაიძულებს

8 ნოემბერს საგურამოში აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 174-ე წლისთავი. სახლ-მუზეუმში შეკრებილმა საზოგადოებამ პატივი მიაგო დიდი ქართველი მოღვაწის ხსოვნას.

გაიმართა საგურამოს ყოველწლიური პრემიის ლაურეატების დაჯილდოება. პრემიები მიენიჭათ: პროზაში — რაქო ჭიქიშვილს, პოეზიაში — თეიმურ ჩალაბაშვილსა და მეუფე თადეოზ იორამაშვილს, კრიტიკაში — ნოდარ ბრიბალაშვილს, თარგმანში — ზაზუა მელულაშვილს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში — ელდარ ნადირაძეს, ხელოვნებაში — მურმან ჯინორიას. ილიას მედალი ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცა კომპოზიტორ მინ ჰანჩაქლს.

მურმან ჯინორია

# იდუმალი სათქმელი

სმირად მეკითხებიან რა განსხვავებაა თეატრს, კინოსა და მხატვრულ კითხვას შორის. მე გულწრფელად ვპასუხობ — არავითარი, იმიტომ, რომ შეიძლება აქტიორი ამ სამ მდგომარეობაში სხვადასხვა გამოსახვის ხერხებით სარგებლობს, მაგრამ ძირი ერთია. ეს არის სათქმელი — რა გინდა ამა თუ იმ როლით ან ლექსით ემოციურად გადასცე მაყურებელს? ადვილია სათქმელად, ემოციურად გადასცე მაყურებელს, მაგრამ აქ დიდი საფრთხეა და უსაშველო ეჭვი იმისა, შენი სათქმელი იქნება კია სხვებისთვის მისაღები და გასაგები? მშველელი მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალობაა, რომლის მიღმა შეიგრძნობა გულწრფელობა და შენივე წარმოსახვა. ამ დროს მაყურებელი იმას შეიგრძნობს, რაც ყველა ადამიანს ბუნებამ უბოძა, მაგრამ სულ სხვა ელფერით, რომელიც მარტო შენს წარმოსახვას გაუმხილა შემოქმედმა. ეს კი, ერთი ხელის მოსმით არ ხდება, მის ძეხნაში ბევრის შეფასება და კიდევ უფრო ბევრის გადაფასება მოხდება. ეს სხვების დასანახად კი არა, შენივე თავის შესაცნობად გჭირდება. აქ სიყალბე ვერ ბუდობს. თავს ვერ მოიტყუებ, აქ სინდისი ზეიმობს, ამის შეგრძნება უზომო სიხარულს და აღმაფრენას განიჭებს. აი ამ წუთიდან ხდება ინდივიდი. შენი თვალით, შენი ყურით და შენი გულით გრძნობ რა ხდება გარშემო და რაც მთავარია შენს წარმოსახვაში, რომელიც არასდროს ემსგავსება სხვის წარმოსახვას. მას ვერავინ მოგპარავს. მხოლოდ შეიძლება სხვამ გაიმეოროს, მეორადი კი მაინც მეორადია. მას ორიგინალის სიხასხასე აკლია და მამასადამე გულწრფელობა.

რა არის გულწრფელობა? ეს არის ისეთი მდგომარეობა სულისა, როცა მთელი შენი არსება, ბავშვივით, მეოცნებე ბავშვივით დაკავებულია, შეპყრობილია, რაღაც მოვლენის ამოცნობით. ამას არავინ არ გაძალეხს, არც არავინ მოთხოვს, არც მადლობას გამოგიცხადებენ, არც ტიტულები მოგემატება, არა! ეს მხოლოდ შენი ტკივილი და სიხარულია, მამასა-



დამე ხარ საინტერესო. რას ნიშნავს იყო საინტერესო? საინტერესო ნიშნავს, როცა ინდივიდის არსებობა ამა თუ იმ სიტუაციაში გარშემო მყოფთ იზიდავს. იზიდავს არა გარეგნობით, არა ჩაცმულობით, არა გამომწვევი ქცევებით, რის მიღწევასაც ბევრი ახერხებს, ბევრსაც გამოსდის, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რასაც ჰქვია საინტერესო ადამიანი. საინტერესოა ის ადამიანი, რომელსაც ამ ცხოვრებაში ბევრ რამეზე უფიქრია, ბევრი რამ განუცდია, ბევრ რამეს გვერდი ვერ აუარა და აქედან გამომდინარე, ბევრ რამეზე თავისი ამოხსნები აქვს. ეს განაპირობებს მის არასტანდარტულობას. ის სხვებივით არ იმეორებს ვილაცი-გან გაგონილ „საინტერესო“ აზრებს, ის არ არის დაკავებული იმით, რა შთაბეჭდილებას დატოვებს „გამორჩეულ“ საზოგადოებაში. მას მოხსნილი აქვს ეს ტვირთი, ამიტომ მსუბუქად გამოიყურება. ძალდაუტანებელია მისი ქცევები და მშვიდია მისი გამოხედვა. ის არ ნერვიულობს იმაზე, თუ რას იტყვის მასზე ეს „ხალხი“. პირიქით ღია თვალებით აფასებს ყველას და თავის თავს ამ ყველაში.

ყველა პოეტს, კარგ პოეტს გამორჩეული ინდივიდუალობა გააჩნია. მამასადამე საინტერესოა თავისი ტემპით, თავისი რითმით და რიტმით, თავისი პლასტიკით, თავისი მელოდიით. სიტყვებს მიღმა უნდა შეევიგრძნოთ, რაღაც საიდუმლო, ერთი მთავარი საიდუმლოს პოვნაა აუცილებელი ყველა ლექსში, რომელსაც ჩვენი წარმოსახვა ხილულს გახდის. მაგალითად, ჩემი აზრით,

ილიას შემოქმედებაში მთავარი იდუმალეა ეს არის თავისი „კარგი ქვეყანა“. ამას ლოგიკით „ვაშა-ურათი“ ვერ მოახერხებ. ეს მისია ღვთიური ძალით იმართება. ამ უნარს ძალიან გამორჩეულ ადამიანებს შეაგრძნობინებს ღმერთი, თუ გულწრფელობაზეა ლაპარაკი, ამ დროს ყველაზე სუფთა ჭურჭელს არჩევს უფალი და ასეთი იყო ილია. ილია იმას კი არ ცდილობს, როგორ გამოხატოს თავისი გულისტკივილი თავისი ქვეყნისადმი, არამედ ვერ აკავებს ამ შეგრძნებას და ცრემლმუშურობი თვალებით გვიმხელს მას. თუკი ამ მდგომარეობას გავატარებთ ჩვენში, მაშინ ჩვენი წარმოსახვა ხედავს — პატარა, ლამაზთვალებიან, თბილ გოგონას, ჩითის კაბაში, ფეხშიშველს წვიმიან ამინდში ეკლესიისკენ მიმავალს. იმის იმედით, რომ ვილაც უშველის და თუ ჩვენ გულწრფელად, უანგაროდ მშველელნი ვართ პატარასი, მაშინ დამერწმუნეთ სხვასაც შევავრძნობინებთ ამ სიტყვებს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოვიწყენია“.

თამაზ გოდერძიშვილი

# „დევიზი არასოდეს მქონია“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?
- როდესაც აღარაფერი გაქვს სათქმელი და არც სურვილი — გქონდეს რაიმე სათქმელი...
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- თბილისში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- როდესაც ემსახურები იმ საქმეს, რომლის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია და იმედოვნებ, რომ ეს საქმე ვიღაცას სჭირდება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ასე არასდროს დამიხარისხებია ლიტერატურული პერსონაჟები...
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი...
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ვისაც მხატვრობა უყვარს, იმას შეიძლება ვინმე ერთი, გამორჩეული, საყვარელი საყვარელი ჰყავდეს?
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, გერშვინი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მაკაცში?
- სულიერ სინამდის.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- გულწრფელობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- თარგმნა და მუსიკის მოსმენა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდათ ყოფილიყავით?
- უწმინდესი და უნეტარესი — ილია მეორე.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მიმტვევებლობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ურთიერთობის სინამდის.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ნამეტანი მიმტვევებლობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- იხ. მ. პლუს ჯანმრთელობა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- როცა ცოცხალი ხარ და არავის სჭირდები.



- როგორი გინდათ ყოფილიყავით?
- მაღალი, ლამაზი, მწვანეთვალა. ჯანმრთელი და გენიოსი!..
- თქვენი საყვარელი ფერი?
- უფრო შავი (ასაკის გამო).
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- კესანე.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ბულბული.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ეს იმას კითხეთ, ვისაც მხოლოდ ერთი წიგნი აქვს წაკითხული...
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გალაკტიონი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ასე გამორჩეული ლიტერატურული პერსონაჟი ქალები არა მყავს..
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან წამებულები და თამარ მეფე.
- საყვარელი სახელები?
- ვაჟა, გელა, მანანა, ქეთევანი, მარიამი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ტყუილსა და ღალატს.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?
- ასეთი ბევრი არიან...
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- დიდგორის ომი.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- სამწუხაროდ, ასეთ რეფორმას ჯერ არ მოგსწრებია.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- მინდა პოლიგლოტი ვიყო.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- იხ. 18-ის პასუხი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- აფორიაქებული.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველაფერს ვპატიობ, კაცისკვლის გარდა...
- თქვენი დევიზი?
- არ მქონია, არცა მაქვს და არც მექნება (კაი დროსია!)
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ნადი, დაისვენე!

გია ხოფერია

# ოპერაცია „პასტანგი“

გაზაფხულს მშვენიერება რომ არასდროს აკლდა, ბავშვობიდანვე მახსოვს, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე გვარიანად აურია დედამინამ და კაცის გონებამ, ტყემალმა მასში დაინყო აყვავილება, ხოლო თემურისა ბალანა, ტარაკანე, კაი მოზრდილი თვეებით გადაცდა კანონით დამტკიცებულ სრულწლოვანებას და თითქმის დაბერებულ მოსწავლეს სული კინალამ ამოჰხადეს ძალიან ჭკვიანი კაცის მიერ მოფიქრებული საგამოცდო შემოტევებით. აწი ინყება შენი გაზაფხულო, სკოლის ჭიშკართან დასწევია დირექტორის ხმა ტარაკანას, მაგრამ ისე სწრაფად გარბოდა ზაფხულისკენ, ნამდვილად ვერ დაენოდა მისივე სოფლის დაკბეჩილ გაზაზე ხოსვა-ხოსვით მგმინავი ბრეუნვისდროინდელი ავტობუსი და, მით უმეტეს, დირექტორის ხმაც.

ეს ორიოდ სიტყვა ანუ ნატკაცუნება თუნდაც ჩაი „მარიას“ ნაცვლად შემოგახარჯეთ, რომელსაც მიირთმევთ თუ არა, სარეკლამო მოფერებითობები გაგახსენდებათ და თქვენს სხეულში დაიწყებს ბორიალს განუკურნებელი ალტაცების ფერად-ფერადი ხილვები...

ეტყობა ბედმა გამიღიმა და ამიტომაც შევნიშნე ლამაზად განვითარებული ხეები, თავიანთი ფოთლოვანებითა და ოდნავ-ოდნავი შრიალით ჩიტების გუნდს რომ უხმობდნენ საავარაკოდ. გაამართლა ამ ზრდილობიანმა მოხმობამ და გაზაფხულს მონატრებულმა ვნახე გაზაფხული. ვერ გეტყვით (იმიტომ კი არა, მრცხვენია!), რამდენი ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ჩიტი მოაწყდა იმ ფოთლოვანებას, მაგრამ იმას კი ვიტყვი, ადგილი ყველას ეყო და უცებვე გამართეს მეზობლური ჭორიკანობა თარჯიმანის გარეშე.

როგორი მჩატენი არიან ჩიტები და როგორ ძლიერია დიდი მცენარე, ტოტიც არ შერხეულა სადმე.

ეტყობოდა, ჭორიკანობას მონატრებული იყვნენ ჩვენი მჩატე მეგობრები და იმდენად გახურებულად მოღვაწეობდნენ, არც კი შეუმჩნევიათ, როგორ მივედი მოქალაქე ადამიანი მათ სიახლოვეს და ვტკბებოდი ორკესტრული ლირიკულობით. თუ აღმომაჩენდნენ, არც ამით დაიქცეოდა მათი წილი ქვეყნიერება, არავითარი აგრესორულ-მკვლევობითი გრძნობები არ მიმატლავდა გულს.

თუმცა თვალი მაინც ოხერია. შეიძლება ტყუილად შესამჩნევიც შესამჩნევი იყოს. როგორც იტყვიან, ამომილო რომელიღაცამ თვალში და თავისივე პატარა ჭკუის კარნახით ამოვარდა გაცხარებული ჭორიკანობიდან. დიდხანს არ დამკვირვებია, ისარივით გამოვარდა საერთობობიდან და, რომ მეგონა, ვილაცის ნასროლმა ტყვიამ გამაგორამეთქი ამ ფიანდაზობაში, ჩემგან სულ ორი-სამი მეტრით დაცილებულ ღონივრად ნამოზრდილ ანწლა-ბალახზე ისეთი სიმსუბუქით დაჯდა ის ფიცხელი ჩიტი, ჩემმა სისხლმა ჩემივე სხეულში ერთი წრის შემოვლა ძლივს მოასწრო.

მიყურა თუ მიცქირა რამდენიმე წამი იმ გამოცალკეებულმა და მშვენიერი ადამიანური გამასლაათებით კაი ქართულენოვანი მითხრა:

- გამარჯობა, მაგრამ მოგზავნილს ჰგავხარ!

- გაგიმარჯოს, მაგრამ არ ვგავარ მოგზავნილს!

- მე გიყურებ და შენ მასწავლი!

- მაშინ არც შენ ხარ ჩიტი!

- ჩიტი კი ვარ, ჩემო ბიძია! თუ გინდა გენყინოს, მაინც გეტყვი, ჩემი ჩიტობის გარკვევას თავი დაანებე, წესით და პრატაკოლით შენ აქ არ უნდა იყო და მიზა გითხარი, რაც გითხარი.

- ნუხელ გლახათ ხომ არ გძინებია, შარიანო?

- ვა, საიდან იცი ჩემი გვარი! ჩიტუნა ვარ შარიანი.

- სახელსა და გვარს ადამიანებს გვიკარგავენ ამ ქვეყანაში და თქვენ დაგიტოვეს?

- დაგიტოვეს კი არა, დანომრილი ვართ სუყველა, ძველებურად, ჩვენს ჭკუაზე რომ დაფერინავდით ხან ალთას და ხან ბალთას, მოთავებულია მაგ საქმე, ყოველი კილომეტრის გაფრენაზე ვაგებთ პასუხს, განსაკუთრებით სახელმწიფო სამსახურში მყოფი ჩიტები.

- კი მაგრამ ასე სხაპასხუბით რომ ჩამოაღერლილე ყველაფერი, ჩემი არ გეშინია?

- გაგემასხრე წელან, შენ არც მოგზავნილი ხარ და არც სხვანაირი კაცი, აპარატი მაქვს, აგერ, ფრთების ქვეშ, შენკენ რომ გამოვფრინდი, უნდა აწივლებულიყო. აწივლება კი, იცი, რას ნიშნავს? იმას, რომ ერთ მეტრზე კი არა, ერთ კილომეტრზე ვერ გენდობი, მაგარი მტერი ხარ ჩიტების. ბოლო თაობის აპარატი მიდგას, ასე მალე რა წაახდენდა, არ აწივლებულა, შენკენ რომ გამოვფრინდი და მიტომაც დაგელერლილე.

- ჩიტების მტერი რატომ უნდა ვყოფილიყავი, რა გაგიფუჭებიათ ჩემთვის!

გინახავთ ჩაფიქრებული ჩიტი? ვისაც არ უნახავს, მოვახსენებ, რომ ცოტაოდნავ ჩაფიქრებული ჩიტუნა შარიანი გენიალურად კალმის მოსმა იყო, მაგარი თვალი სჭირდებოდა ამ სურათის ზუსტად დანახვას. მთლად ზუსტად შეიძლება ვერც მე დავინახე ეს ჩუმი მეტყველება.

სამწუხაროდ, მალე მოთავედა ეს გამაოგნებლობა და რაღაცაზე მიხვედრილივით დინჯად კვლავ შემეხშიანა ჩიორა.

- ბევრი ლაპარაკის დრო ნამდვილად არ გამაჩნია, ახალთახალი დავალება მაქვს მიღებული ჩვენი ნახევრადწვერგაპარსული მინისტრისგან, ყველა ჩემიანს დავლუპავ, მაგი რომ არ გავაკეთო. თუმცა შენც გეტყვი, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გაიგე, რომ შენისთანა ორფენიანებზე მუშაობა უკვე მოთავებულად ითვლება, მეტს ვერაფერს გაუფუჭებთ ერთმანეთს, არც სასარგებლო ხართ ერთმანეთისთვის, არც საზიანო, მაგრამ ცხოვრება ხომ უნდა გაგრძელდეს ოცი-ოცდაათი ბედნიერისთვის. თქვენი გამოყენება ამ საქმისთვის აწი არ შეიძლება, ამიტომაც აამუშავებს ჩვენი ბატალიონები.

- მართალს მეუბნები?



- ნამდვილ მართალს! აპარატიც არ აწრიპინდებოდა, საიდან მოიფიქრებდი ჩიტების სივლახეს!

- კეთილი და პატიოსანი, შე გულახდილო, მაგრამ არ მეტყვი, რატომ დახვავებულხართ ასე?

- ინფორმაციის გაცემის უფლება არ მაქვს, ისე ჩვენს დავალებას თუ ოპერაციას „ვახტანგი“ ჰქვია, გაგებაში არ ვარ, ვინაა ვახტანგი! რატომ მოვედი, იცი, შენთან? რატომ და, ახლავე გუდა-ნაბადი რომ აიკრიფო, ძალიან შორს ნახვიდე აქედან, არაა შენი საქმე, თუ როგორ ვასრულებთ ახალ დავალებებს!

- მე რა ხელი უნდა შეგიშალოთ ჩიტებს, ვიქნები, აგერ, ჩემთვის, წმინდა ჰაერს ჩავყვალავ.

- მაინც არ გაგაჩერებენ შენიანები, თუ გაჯიუტდები, ცხვირ-პირსაც დაგიმტვრევენ, ნახვალ კი არა, შეეხვეწები მერე. ჩიტი კი ვარ, მაგრამ კაცურად გეუბნები, ნადი ბიძა-ჩემო, სადღაც გაინავარდე ფოთლოვანში.

წელან გენიალურად ჩაფიქრებული, ხედავთ, (ვინ ხედავს?!), როგორ მომანვა! მინდოდა გაგებრაზე უფლებიყავ, ნერვები მოშლოდა, გამოვკიდებოდი ამ მომხდურს, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ თუ ნათესაობამ თავისი გაიტანა და მოულოდნელი დანყნარებით ვკითხე ორფრთიან ორატორს:

- გენაცვალე, ჩემო კარგო ჩიტუნია, თხოვნას როგორ არ შეგისრულებ, თანაც ასე ზრდილობიანად მოლაპარაკეს. რომ იცოდე, რამდენი ძმაკაცი მყავს თქვენ შორის, თანაც ძველები, კაები და დარჩეულები, ხომ ნახე აპარატი რომ არ აწრიპინებულა, ერთხელაც არ მიმტყუენია ჩიტებისთვის ჩემი პატარაობიდან მოყოლებული, მართალი თქვი შენ, ჩვენ უკვე დავამთავრეთ ერთმანეთის გაფუჭება, მაგრამ რას გვიპირებენ ახლა თქვენი ხელით, მარტო მე მაინტერესებს ამ ქვეყანაში (პანა ტყუილი საჭიროა ხანდახან), ყველაზე უმნიშვნელო სიტყვის მთქმელი არა ვარ ვინმესთვის, აგერ, შენ თვალწინ დავვიდებ ტუჩებზე ბოქლომს.

როგორც ჩანს, ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა ჩვენს ლამაზ ჩიტს, ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა ათვისებული სამსახურებრივი სისუსხე. ხუმრობა ხომ არ იყო, ბატალიონის მეთაურს არტისტულად შევმუდარებოდი, შემერბილებინა მისი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ნაწილობრივი პროფესიონალიზმი. არ იყო ხუმრობა, მაგრამ ჩემმა ილბალმაც გაჭრა იმ ჩიტუნის გამოუცდლობასთან ერთად და მივიღეთ რამდენიმე სასიამოვნო წინადადება.

- სიმართლე გითხრა, რაც სამსახური დამაწყებინეს სულ ყვირილითა და ბრძანებით მასრულებინებენ ყველაფერს, ხან ერთი მიჩხავის, ხან მეორე. თუ არ შეასრულებთ, რასაც გეუბნებითო, ჰაერში გახს გავუშვებთ და ერთიანად ამოგჟღელთო, თქვენი ბუნდლა არ იქნება არემარეზეო. ისიც გვითხრეს, ადამიანებზე უკვე აღარ მოქმედებს გაზიო, ისე არიან გამოთავყანებულ-გამოშტერებულიო, მარტო თქვენ ამოწყდებითო. რა უნდა გვექნა, სხვა ქვეყანაში გაფრენის უფლება არ მოგვცენ და ხელფასად დაბალხამებულ ჭიბეს გვაძლევენ, მათი რაოდენობაც ჩვენს სიყოჩაღებზეა დამოკიდებული... აბა რა, სულ ყვირილითა და ბრძანებით! რაფერ კაი კაცი ჩანხარ, შენ! მთლად მომიღებ ეს მომცრო გული! მაინც შეგახსენებ, არავის უთხრა, რასაც გეტყვი, თორემ დამხვრეტენ.

- ჩვენს ახლანდელ დამაკაცებებს ვფიცავ!

- ვუჭდა! გამბურმგლა ტანში, შემოგაფრინდები, გაკოცებ ერთს მაინც!

- შემომაფრინდი!..

ჩვენი დამაკაცებელი საუბრის შემდეგ მე დიდად თავი არ გამომიდვია და ნელ-ნელა შევეუერთდი ტყიურ ფოთლოვანებას, ოღონდ მალე შევჩერდი, კარგი მოსაკალათებელი ადგილიც მოვნახე, თვალსაც რომ დაენახა და ყურსაც მკაფიოდ გაერკვია, თუ რამდენად განვითარებული კაცობრიობა და ჩიტობრიობა შეიმართებოდა სამსახურებრივი დავალების აღსასრულებლად...

თითქოს ამ მოსალოდნელი სანახაობის დასათვალისწინებლად და გასაგებად ვიყავი დილიდანვე სახლიდან გამოსული. ამიტომაც საათზე ერთხელაც არ დამიხედავს. ესიარულად დროს, რამდენიც უნდოდა, არც მე ვუშლიდი ხელს და არც სხვა. თუმცა ორიოდე ავტობუსი მაინც მოვიდა იმ ჩიტებდახუნძლულ ხეებთან და არაერთი დაწროულების შემდეგ შეჩერდა.

პარტიზანივით ვარ ჩასაფრებული. ვფიქრობ და ვფიქრობ ჩიტუნია შარიანის ნამბობზე. მოკლედ მითხრა, რაც მითხრა, მაგრამ ფიქრი კაი გრძელი გამომივიდა. ჩიტების ბატალიონის მეთაურად რომ დაუნიშნავთ, ეს კი ვიცით, მაგრამ მთავარი და მუცელგასახეთი იმის მერეა, თუა. დაუბარებია ეს შარიანი განსწავლულობისა და ღრმამცოდნეობის მინისტრს ტიტლია ჩეჩორინს და ორმოცნუთიანი გაუგებარი შესავალი ლექციის შემდეგ საკვამოდ გარკვევით უთქვამს:

- დამთავრდა თეორიულობა. გადავდივართ პრაქტიკულობაზე. ვინცებთ ბალანჭალებიდან. მოზრდილები და დიდები დაბალხამებულია უკვე, არაქათი აქვთ გამოცლილი. მეც მომწყინდა ძველი მეთოდები. შენა, ჭიანჭამივით რომ იყურები, წილად გხვდა პირველობის არნახული ბედნიერება, ნააფრინე შენი შევსებული ბატალიონი, ჩაფრინდი ქუთაისის ახლოს თორმეტი მუხა რომ დგას ზუსტად იმ ადგილზე, პინკოვანის მიდამოებში. მოახდინე იმ მუხებზე შენი ჩიტების დისლოკაცია. თანაც ყველა გააფრთხილე, აბსოლუტურად გამოქექილი ჰქონდეთ ყურები. იმ ყურებზე პანანინა გადამცემები დაუმაგრე, შენი, ჩემი და მთლად იმისი, საოცარ ბალანჭალად შემორჩენილის, პირდაპირი ბრძანება შემდგომი და შემდგომი მოქმედებებისათვის უსწრაფესად რომ აღსრულდეს. გასაგებად გითხარი?

- კი, ბატონო მინისტრო, მაგრამ მაინც ვერ გავიგე!

- რა ვერ გავიგე, ახლადანინაურებულა?

- ოპერაციის მიზანი.

- აბა, წინა ორმოცი წუთი რა ჩემი ის იყო?

- კი იყო თქვენი ის, ბატონო, მაგრამ ჩიტების ლექსიკონში, ბარეორჯერ გადაფურცვლის მიუხედავად, ან განგება გამოტოვებული თქვენ რომ იცით იმნაირი სიტყვებისგან შეერთებული წინადადებები ან ჩვენს არემარეზე მაგნაირობა მიდღემჩი არ გაჭაჭანებულა.

- კარგი, მოვითმენ გადაღლილობას და უფრო მოკლედ გეტყვი: ხომ მოახდინებთ დისლოცირებას მუხებზე!

- კი!

- ხომ გაისუსებით და გაიყურებით!

- აუცილებლად!

- ამ პირველ-მეორე ოპერაციის შემადგენლობიდან არ იქნება გასული ერთი ფიორა დროც კი, ავტობუსები მოგრილდებიან პინკოვანში, ქუთაისელ პირველკლასელებს მოიყვანენ. იმ პირველკლასელებმა თქვენ, ჩიტები, უნდა დაგთვალონ. ვინ რამდენს დაითვლის და როგორ იქნება ეგ საქმე, არაა შენი საქმე. ეს საიდუმლო ოპერაციაა და ყველაფერი კი არ უნდა იცოდე, თუნდაც მეთაურმა. ერთი ზედმეტი ასო არ წამოგცდეს ვინმესთან, არც შენიანთან და არც გარეულთან,

თორემ თუ გყავს შემორჩენილი, იმ მშობლებთან და კიდევ სხვებთან ერთად სამუდამო პატიმრობა მოგესჯება ჯოხის ასჯერ დარტყმის შემდეგ. ახლა ხომა გასაგები!

- იმაზე მეტად, ვიდრე ველოდი!..

ამ სიმშვენიერზე ვფიქრობდი პარტიზანულად ჩასაფრებული, ავტობუსები რომ დაწრიულდნენ. მერე, სხვა უამს, იქაური ერთი ხე მომიყვა, თვალები ჩემი თავის ოდენა მქონია, ძანაც ბუმბერაზული.

ჩამოსკუსკუბდნენ ავტობუსებიდან კოხტად ჩაცმული კოხტა ბავშვები. გაბავშვურდა პინკოვანი. მხოლოდ თორმეტი მუხა იყო გარინდული.

რომ იცოდეთ, ამ ბავშვებს დიდებიც ახლდნენ. ქუთაისშიც კარგად იციან, რომ ტყეში ბავშვების უპატრონოდ გაშვება, საშიშროებასთან ერთად, არაპედაგოგიური საქციელია. თუმცა სპეცოპერაციის დროს ეს ცოდნა უფრო მკაცრად ვლინდება. ამიტომაც ძალიან ზემოდან თითებდაქნეული პედაგოგიური ჩინოვნიკობა და მასთან მიმდებარე დაწყებითი რიგითოსნები შინაგანადაც და გარეგნულადაც იღველებოდნენ. ბუნებრივიცაა, პირველობის ექსპერიმენტი თუკი ვინმემ მოვაშვა, თანაც პერიფერიულს, არ უნდა ანრიხალდე ცოტა ხანს მაინც?!

ჰოდა, წრიალობდნენ. დიდები უუდიდესი პასუხისმგებლობის გამო, ბავშვები - ბავშვურობის გამო.

ფაციფუცი უფრო გაუარესდა პინკოვანში მსუბუქი უცხოური ავტომობილის შემოსრიალებისას.

მოზრდილი ჩინოვნიკი (რა ჯანდაბამ გააკეთებინა იმ სიცხეში მეტრიანი პალსტუხი!) ხელის აწევითა და მრავლისმეტყველი თანამედროვე ლიმილით მიესალმა ყველას, მუხებსაც კი.

ეს ჩინოვნიკი ხუთიოდე ნაბიჯით დასცილდა მსუბუქ უცხოურს და შორისკენ გააქცია სათვალებიანი მზერა. ასეთი პაუზის მნიშვნელობა შესანიშნავად ახსნა შერეულპედაგოგიურმა დამხდურობამ და რამდენიმე წამში ბავშვები ორად გაამკრივეს შორეულისკენ გამზერელის წინ. მეც ვიგრძენი, პარტიზანმა, რომ პინკოვანში ასევე პარტიზანული სიჩუმე დადგა...

ღმერთო, როგორი ლამაზია, კოხტად ჩაცმული კოხტა ბავშვების გამწკრივება თუნდაც თორმეტმუხადახედულ პინკოვანის ველზე. იმ წუთში ისეთი ბავშვური სურნელი შემომელიცინა ძალიან პატარა გავხდი და ჩემი ოცნებები ჩემი მრავალი წლის იქით გაიქცნენ...

გამორჩეულმა ჩინოვნიკმა მოსწყვიტა თუ არა მზერა ეგზოტიკურს, პიჯაკის შიდა ჯიბიდან ქაღალდი ამოაცურა, ნელა გაშალა, ჩაკვირდა, სხვა რაიმე არ იყოსო და ნაკლებმნიშვნელოვანი სიხალისით დაიწყო კითხვა.

- აუ, ბიჭო, ეგი როდის დაამთავრებს ლილინს, მოვკვდი ჩიტი ერთ ადგილზე გაჩიკინებით! - ამოიღულულულა შარიანის მოადგილემ ოპერდარგში.

- ენა ჩეიკმიდე, კაპიტანო ჩაჩიკონა, თვარა დაგახიე პაგონები! - გაისმა ბოხი ხმა მოსასამენში, - ჩაკარი მაგას თავში ჩიტუნია შარიანო!

- განძრუნია უფლება არ მაქვს, ბატონო, თვარა მაგას დაგამადლი!

- კარგი, მერე იყოს!

- ხიდან ხვარ გადავაფსა, მაგისი! ჩავფრინდები, აგერ, ბუჩქთან, უცებ მევისაქმებ და ამოვფრინდები.

- დაგასწრებ, ბატონო, და მე ვეტყვი...ჩაჩიკონა, ოპერაცია არ ჩამიშალო, შე ჩიტგვარგასანყვეტო, თორემ ნელ ცეცხლზე შეგწავა რიკოთამდე, იცოდე!

- კაი, მეთაურო, რახან მძლავრობით მემუქრები, მოვუჭერ კლაპანს!

გამორჩეული კი ახმოვანებდა:

- ჯერეთ პედაგოგებს მოგმართავთ:

კარგად გამოიფხიკეთ ყურები და დაიკრიალეთ თვალები. ჩემი საჭიროებისათვის არ მჭირდება ეს მე. კაი ხელაზე ვარ გადამხტარი უკვე. ახლადგამოცხვარი ბრძანებაა მოსული მისი გონებისა და მუხლების ჭირიმედან. მართალია, თქვენ, ყველა, კაი ხნის ჩამონერილები ხართ, მაგრამ ერთბაშად მასობრივად ვერ შეგცვლით, აყაყანდება ქვეყნიერება, მაგრამ რაც ჩვენს ფიანდაზ სამშობლოში ხდება მარტივი განათლებიდან რთულსა და ურთულესზე გადასასვლელად, შემჩნევით მაინც შეამჩნევდით. საით ვურაკუნებ? იქითკენ, რომ ჩვენს სანუკვარ ახალგაზრდობას გონიერების უნარებს წარამარა ვუვითარებთ და ვუვითარებთ!!! ჩემს ნანერში სიტყვა ვუვითარებს ბოლოს უცოდინარობის გამო კი არ მაქვს სამი ძახილის ნიშანი დასმული, საქმე მოთხოვს ასე, მისი მუხლების ჭირიმეცა და გავავალა სამი ძახილისნიშნა ამოსუნთქვით ამოგველადა თქვენთან ანუ გვესამახილნიშნა. პირადად მე ყოველდღიურად ვივითარებ უნარებს, რისას, გამოგიტყდებით თქვენგან გამორჩეული, მთლად ლიად ვერ ვერკვევი და ვამბობ, მაგრამ სამოცდათორმეტი ტესტიდან პირველივე დატაკებაზე შვიდ-რვას მაინც რომ გავაცილი ლდინს, არ ჩაიქირქილოთ, თქვე უბედურებო, ისეთ დაუხატავ სიამოვნებას ლებულობს გული, ქუთაისში რომ ვარ, ასე მგონია თბილისში ვარ, თბილისში რომ ვარ, დარწმუნებული ვბრძანდები, ქუთაისის ქუჩებში მივაბიჯებ პირველმძღველობის გაგებით, ბათუმში როცა ვარ, არ იკითხავთ, სადა ვარ?! სად და ლანჩხუთში, ხოლო ლანჩხუთში მყოფობისას, ისეთი ამძლავრებული ფრენის შემოიღებება მეუფლება, კი მიწა, ბათუმში გავატარო ერთი-ორი დღე, ისე საჰაიპაროდ, მაგრამ ის ამძლავრებული ფრენა იმდენად დაუოკებელი და ალვირდაუშორჩილებელია, რომ გამაფრენს, ესე იგი, სალადა ბათუმი, გადავცილებულვარ კაი მანძილით და თვალბამღვრული ქვემორედ მხოლოდ მოტიტვლებულ ზღვას ვუყურებ.

აი, ამდაგვარად მრავალრეცეპტოვანი და, მხატვრულად რომ ვთქვა, ნიკოლოზ ბარათაშვილისეული რომანტიზმის ამოფრქვევებია ტესტოვან უნარებში. პირადად ჩემი მაგალითი არ კმარა?! სამოცდათორმეტიდან შვიდ-რვას ძლივს ვაგორებ და ამოდენა სიამოვნებას ვლბებულობ. თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარს მაინც რომ ვეთამაშობოდე, რა მომივა! ხოლო იმის იქით უფრო მეტად რა მომივა!!! აქაც სამი ძახილის ნიშანი მაქვს დასმული ნითელი პასტით.

ამ დილით რალაც უფშურად გამეღვიძა და სამის მეტი ვერ მოვაკვარახჭინე, ამიტომ ახლა თქვენთან რომ ვარ, ნამდვილად ვარ თქვენთან...

- მეტს ველარ ვიკავებ, გამისკდა ბუშტი, თავბრუ მეხვევა, შემინყალეთ, ბატონო, ერთი წამით ჩავფრინდები, ეგერ, ბუჩქთან. არ მიწა სხვების ჩაშვება, მარა ნამეტანი აშკარაა, ჩამოანურნულეს შტოებზე, არც ჩიტის ფერი აქვთ, არც კაცის და არც არაფრის.

- შენ თუ არ შეგწვი შამფურზე ამ ოპერაციის მერე, მე არ ვიყო მინისტრი! - გაიჟღერა საპატიო ხმამ.

- შენ თუ არ შეგწვი ორ შამფურზე ამ ოპერაციის მერე, მე არ ვიყო ჩიტუნია შარიანი! - ჩაინრიპინა ჩვენმა ნაცნობმა, მაგრამ თვითონაც ძალიან გაჭირვებული იყო სითხოვანი შემოტყვისაგან და უფრო სიბრაულული იგრძნობოდა მის განრიპინებში.

- შემწვავთ თუ არა, დიდ გემოს ჩამატანთ! - გადადო თავი ჩაჩიკონამ, - აგერაა ეს პაგონები და მიინებეთ უკანალზე!  
- ვაიიი, რას გიზამ! - ცალ-ცალკე იღრიალეს მოსასმენში იქაურმა და აქაურმა უფროსებმა.

ჩაჩიკონას პასუხი არცერთისათვის არ გაუცია. უკვე ნასიამოვნები იყო შემჩატებისაგან და გატრუნული ახლო მდებარე ფოთოლს ამოეფარა.

- ისე, ბატონო, ჩემგან ღმერთმა დაგიფაროს სწავლები-საგან, მაგრამ პამპერსები რომ გეჩუქებინა ჩვენთვის, არ დეიქცეოდა თქვენი მყარად აწყობილი ქვეყანა. - ძლივს გასაგონი ქართულით ჩაილულულა ჩიტუნია.

- შემდეგ ოპერაციისას მივიღებთ მხედველობაში. ახალი პამპერსები თუ ვერ გიმოვნეთ, გამონაცვალს აუცილებლად შეგახვედრებთ. მოკეტე ახლა და სახელმწიფოებრივი დავალება არ ჩამიშალო, თორემ...

მე ისევ ვდამკვირვებლობდი. ბავშვები ორ მწკრივად იდგნენ. გასუსული მასწავლებლებიც იდგნენ. მუხებიც იდგნენ.

დრო რახან ყველა ჯიბეში მქონდა, გადავწყვიტე რომელიმე მათგანი გამომეყენებინა და ამ ფრიად შესანიშნავი სილამაზის ფონზე ტარაკანე გამახსენდა.

სწორედ ის ტარაკანე, დირექტორმა გაზაფხულის მოსვლა რომ უნინასწარმეტყველა. არც გაუგონია გულდასმით მინაძახები. სახლში მისვლისთანავე თხელი ჩანთა ლოგინის ქვეშ შეაგდო და მამამისს ცალკე მიწა რომ ჰქონდა აღებული საშურიის გვერდზე, იქეთკენ გაპლუტა. კაი შინაარსიანი სახე ჰქონდა, ამოსაკითხავი. უძახე შენ ტარაკანე ცოტა მოშაფფერობის გამო. იმ მინის ერთ კუთხეში, პირველი კლასიდან მოყოლებული, ტარაკანას თვითინიციატივითა და პრაქტიკული შესრულებით, ყოველწლიურად ხუთი ძირი აკაციის ხე ირგებოდა. ყველაზე უფროსი ახლა თორმეტი წლის იყო. დიდებული საქარი ჰქონდა გაშენებული. აქეთკენ მორბოდა ტარაკანე. მეგობრებით უყვარდა ის ხეები და, შინაურულად რომ ვთქვათ, სანამ წელს არ გაიმაგრებდნენ, ცივ ნიაფს არ აკარებდა მათ. იქვე პატარა ხეხილაც ჰქონდა გაშენებული. უფლიდა ის ბავშვი ამ ხეხილს და ის იყო მისი გაზაფხულიცა და ზაფხულიც.

გარდა ამისა, ტარაკანამ საყოველთაო ცოდნის მიხედვით, დაიმახსოვრა, რომ დავით აღმაშენებელი ქართველთა უდიდესი მეფე იყო. „ვეფხისტყაოსანი“ ერთხელ ძლივს გადაიკითხა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მიხვდა, უმეტესად შეყვარებულ და კარგ ადამიანებთან რომ დაიჭირა საქმე, მაგრამ ვერაფრით გაიგო, რასაც ისინი აკეთებდნენ, თვითონ რომ დაჭირვებოდა, რანაირად გაეკეთებინა. მეტი არ გაკარებია „ვეფხისტყაოსანს“. ცოტა რამ ფიზიკაშიც ის-

წავლა, მაგრამ გადამწვარი ნათურა როგორ უნდა გამოეცვალა ახლით, სხვას რომ შეხედა, კარგად დაიმახსოვრა.

მასწავლებლების მონათხრობ ამბებს ტარაკანა მაინც-დამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, არც მოამბის საინფორმაციო გადაცემები აინტერესებდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პრეზიდენტისა და მინისტრების ხანგძლივი სატელევიზიო გამოცხადებანი უჩქროლებდა გულს. მას ყოველთვის ეჩქარებოდა თავის ხეხილისკენ, რომელიმე მონყენილი მცენარისთვის დროულად რომ მიესხა წყალი.

კიდევ რა გამახსენდა მე ჩასაფრებულს? რა და, ტარაკანე პირველ კლასში შესვლისას ძალიან ლამაზი ბავშვი იყო.

მან მოახერხა შეენარჩუნებინა თავისი ქართული სალამაზე, არასდროს აუშლია ნერვები გაუგებარი და გაუგებრად ახსნილი საგნების შესასწავლად. ამიტომაც ვერ ჩააბარა თორმეტწლიანი სწავლის თუ სიარულის შემდეგ ზოგიერთი უსუსური გამოცდაც კი და ზის ახლა, ხეფოთლოვანთა მოვლა-მოთვალეირების შემდეგ, კომპიუტერთან ოდნოკლასნიკებში და უამრავი ნაცნობ-უცნობის ბედ-იღბლითაა დაკავებული...

- გავიგე, გავიგე პირველი, კარგია, პამპერსები შემდგომში მაინც თუ იქნება...

- არ ვჩერდები, ვაგრძელებ თქვენთან სიამტკბილობას, ძვირფასო კოლეგებო. ჩემი მაგალითი რა მოსატანია, უკვე ასაკდაკარგულად ვითვლები, უნარების, თანაც ზოგადის, ჩემდათავად გასაძლიერებლად. ეს საქმე ახალგაზრდებში უფრო გამოდის. ყველაზე მთავარი ზოგადი განვითარებაა. რაც მეტი სომავალი სრულფასოვანი მოქალაქე გვეყოლება ზოგადად რაიმეს დამამახსოვრებელი, ზოგადად მკვირცხლი, ზოგადად დედისა და მამის მოყვარული, ზოგადად მეომარი, ზოგადად ქართულად მოლაპარაკე, ზოგადად, მაგალითად, აბაშიდან ზესტაფონში ჩამსვლელი, ზოგადად სექსის ურთულესი კანონების მცოდნე, ზოგადად ბებიაშის ზღაპრების გამგრძელებელი, ზოგადად ნიშანში მომრტყმელი ანუ ექვსი ვარიანტიდან ვერცერთს რომ ვერ გეზულობს და მაინც მიდის რისკზე, მისი აღმაცერი ჭკუით საუკეთესოსკენ, ასევე ექვსი ან ღარიბად ოთხი ტორტი რომ უდევს წინ და ექვსივე, თუნდაც ის ღარიბი ოთხივეც, სრულიად ერთნაირი რომაა და ზოგადად მაინც უნდა ეძიოს თავისი უკეთესი მომავლის განჭვრეტისათვის და ვითომ კაი ფულიანი სამსახურისათვის ამ ერთნაირობიდან რომელია განსხვავებული.

მთლად მაგარი რომელია იცი? ახალგაზრდას, თორემ ჩვენთვის უკვე დაგვიანებულია, ერთი შეყვარებული რომ ჰყავს, ეს ერთი ხუთად რომ წარმოესახება და ნასწავლი ტესტირებების მიხედვით ისე უნდა განვითარდეს ზოგადად, ამ ხუთში ერთი მართალი უნდა აღმოაჩინოს.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე



ამ გამორჩეულმა პიროვნებამ, ძალიან ბევრი ცოდნა რომ ჰქონია, ისეთმა, ჩემამდეც რომ მოაღწია მისმა უკიდურესობამ მსუსხავი ნაპერწკლების სახით, ჩაათავა თუ არა ზემორე ინფორმაციონობანი, ზოგადად მოიხსნა სათვალე, რადგან ამის უნარიც ჰქონდა, ზოგადად მოიხველა ტუჩები ზოგადად სველი ენით და უკვე წელში გამართული ქართულით ზეპირად მიმართა კონკრეტულ საზოგადოებას:

- კიდევ მინერია ზემოდან მონოდებული ბარეორი ამბავი ამ მჩატე ქალაღზე, მაგრამ იმდენად ზოგადია, ჩემებური დარბაისლურით გეტყვით.

ბატონო დირექტორო, გატყობთ, რამდენიმე შეკითხვა თანმიმდევრობითად დალაგებული გაქვთ ჩემს მიმართ. გთხოვთ შეაკავოთ ისინი. სხვაგან მომანოდეთ მაგ შეკითხვები, თუნდაც წერილობით, იყოს ზოგადად, არაფერი უჭირს.

ახლა მთლად მთავარი მიზეზი ჩვენი საბუნებრიო შეხვედრის...

- მოგკვდი, ქალი, აღარ შემიძლია მეტი, დამიბრუყდა ფეხები. - უკმაყოფილოდ და თითქოს მოჩვენებითი მწუხარებით წარმოთქვა ტატიანამ.

- ჩემი შენ გითხარიო! - ძალუმად კვერი დაუკრა მეორე მასწავლებელმა.

- აუ, რა კაი მუხებია, მაგისი! - ნამოცდა ტყუილად მწკრივში მდგომ გიოს.

- რაფერ კარგად ლაპარაკობს ეს კაცი, ერთი სიტყვაც ვერ გავარჩიე. - ასაკის შეუფერებელი სერიოზულობა და ალოგიკური აზროვნების უნარი აღმოაჩნდა დირექტორის შვილიშვილს.

სხვებიც უფროვე ლამაზები იყვნენ, მაგრამ წყვეტილ-წყვეტილი წინადადებები აწუხებდათ, საერთოდ იქაურობას რომ არ ეხებოდა და არც მე ვახშიანებ...

- სილაბუსი თუ გააკეთე, ვასიკო! - ჩემს არინკინებულ ტელეფონში გაისმა ნესტანის ხმა.

- დამაცადე, გოგო, ჩასაფრებული ვარ!  
- ჯერ ერთი, მე შენი გოგო არა ვარ, და მეორეც, ხომ არ შეგირეკია?

- ჯერ არა! ისე, მალე ვაპირებ!  
- მთვრალი ხარ?

- არა, გოგო, უკაცრავად, კოლეგავ, მაგარ ამბავს ვზვერავ. - შენი მიეთ-მოეთი შენთანვე იყოს! გააკეთე შე საცოდავო სილაბუსი, თორემ ტყავს რომ გაგაძრობს კათედრის გამგე და ისე გაგიშვებს სახლში, მერე დაგრჩება ბევრი დრო ჩასასაფრებლად.

- დიდი მადლობა კოლეგიალური და ძმური გაფრთხილებისათვის! ვითიშავ, მაგარი რამე იწყება.

რა თქმა უნდა, დაიბნა ნესტანი ჩემი დაბნეულობის გამო, რაც მე არ შემიმჩნევია, მაგრამ არც იმას შეუმჩნევია, რაგვარმა ფითქინამ გამიარა სილაბუსის ხსენებაზე. ჩვენთან ამ ბოლო დროს ინოვაციური წყველის თუ გინების სიტყვიერი ფორმულა გაჩნდა. გულმოსასვლელ კოლეგას თუ გინდა რომ წყენა ზუსტად გამოუხატო, ფინთიხად ეტყვი: შენ იყავი ჩემი მესამე გადასწორებულ, მაგრამ დაუმთავრებელ სილაბუსივით!

ამ ფრიად ახალ ინოვაციაზე ანუ ახალ უსიახლესობაზე, შემახსენეთ და სხომის მოგახსენებთ. დაუვინწყებელი ფიანდაზობაა, გესმის!..

- ნამდვილად მთავარზეა ლაპარაკი. დირექტორო ზორბეგა და თქვენც, მასწავლებლებო, რაც ზემოთ მოგახსენ

ნეთ, უკვე წარსულს ჩაბარდა. როგორც მინისტრმა თქვა, არ მითქვიაო ვერ იტყვის...

- რას ბჭუტურობ, შე ჩემისა! - ახრიალდა გამორჩეული მოსასმენი.

- ვაიმე! თუმცა არა! როგორც მინისტრმა ბრძანა, დაგვიანებული ყოფილა მოზრდილების გაზოგადუნარიანობა და სულ პატარებიდან, აგერ, ა, ამ ცუგრუმელებიდან უნდა დავინწყით. თანაც, როგორც მინისტრმა განსაკუთრებული სიმკაცრით გვითხრა, წერილობითი ტესტები და მშრალი თვალსაჩინოებანი კატეგორიულად ამოდებული იქნება ხმარებიდან. ცოცხალ ნიმუშებზე დაგონიერებულ მოზარდს ყოველთვის იერიშული შემართება ექნება თურმე და ასეთი მერე და შემდგომად წამოზრდილი, მე თუ, მაგალითად, შვიდი-რვა ამოხსნილი ტესტიდან, დავეშვათ, ქუთაისში რომ ვიყავი, თბილისში მეგონა თავი, სალორიაზე რომ იყოს და ჩემნაირი მონაცემები ჰქონდეს, ვაშიგტონში აღმოჩნდება, შეიძლება იქიდან მოზრუნებულმა სალორიას ვერ მოაგნოს, მაგრამ არცთუ ნაკლებად მნიშვნელოვან ტერიტორიას იხილავს.

დიახაც, ცოცხალ ნიმუშებზეა ლაპარაკი!

- ჩირდაპირ საქმეზე გადადი, დამინყეს ნერვებმა წინკნა, პირობულია მთელი ჩიტების ბატალიონი! - ორმაგად გამკაცრდა მოსასმენი.

- ახლავე! მომიახლოვდით, მასწავლებლებო. ჰო, ასე, ასე, მოდით ახლოს. რა მოგივიდა, ტატიანა, შენზეა ჩვენი იმედეები დასამყნობი! გამოადგი ფეხი!.. ამ ბავშვებმა, ეგერ, გამოინი, თუ ქალი ხარ აქეთ, ეგერ თუ აგერ მუხები რომ დგას, იმ მუხებზე სპეციალურად გამოგზავნილი ჩიტები სხედან და ისინი უნდა დაითვალონ. თქვენს მარიფათზეა ბავშვების შექება, არ დააბნიოთ ჩვენი ცუგრუმელები. სულ რამდენიმე ვარიანტია დათვლის და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით ნავიდა, სულ ნახევარ საათში მოვრჩებით საქმეს.

წვრილმან პირობებს ცალკე გავაცნობ ჩვენს ტატიანას და ზემოდან გამოგზავნილ კითხვების პაკეტს, რა თქმა უნდა, დახურულ-დალუქულს მაგას გადავცემ. ამით, ისევე რა თქმა უნდა, ბატონო ზორბეგ, არც თქვენი ავტორიტეტი ილახება და არც პასუხიმგებლობას აკლდება რამე. პატივცემულო და ლამაზო ტატიანა, მოდექით, ერთი, გვერდზე, საწვრილმანოს აგისხნით.

მიდგა ტატიანა. ხოლო დირექტორმა ზორბეგამ, რახან უფუნქციოდ არ დარჩა, ჰალსტუხი ოდნავ შეიხსნა და ისევე მოიჭირა ზორბა კისერზე.

ტატიანას თითქმის ეჩურჩულებოდა წელანდელი ორატორი. ქალბატონი ის, თავიდანვე მონადინებული შესცქეროდა მას. მალე სახე გაეხსნა და ოდნავი ჩალიმილებანი კისკისში გადაეზრდებოდა რატომღაც დროდადრო, რაც მე ხომ მიკვირდა და მიკვირდა, მაგრამ მომლოდინეებს უფრო უკვირდათ.

შევაძმინე, წელანდელი ორატორი უხერხულად შეჩქვიფდა ჩვენი საერთო გაკვირვებების შემდეგ. როგორც ტანმა მიაზრა, მოსასმენში ძალიან დამტუქსავი სიტყვები ჩაესმა ქალის გადამკისკისებელს და ორიოდ თვალეზრივი მინიშნების შემდეგ ტატიანა ამაყად წამოვიდა დაავალების უმნიკლოდ შესასრულებლად...

სიამაყის ერთერთი გამორჩეული ნიშანია ყელის მოღერება. ტატიანას ნამდვილად ჰქონდა ისეთი ყელი, რომლის მოღერება იმდენად შეიძლება, რომ არ შეგრცხვეს. გამოიყენა ამ ქალმა თავისი გამორჩეულობა და პარფიუმერიულ სახესთან ერთად შეღერებულმა მარჯვენა ხელით ყველას

დაანახა ნამუსიანად დაცული კონვერტი. შემდეგ ოდნავ ამაღლებულ ადგილამდე სანახაობით ჯეირანივით გაიარ- გათივითკდა, მხოლოდ მისეული ქალურ-მასწავლებლუ- რად შემოტრიალდა და სწორედ მაშინ ვიცანი.

ოი, ტატიანა, ტატიანა! რამდენჯერ ჩაუშლია ხარის- ხობრივად შენს გაღმომილებას ჩემი სიმწრით მომზადებული ლექცია! შეგარგოს ღმერთმა!..

- მოცუნცულდით, ბავშვებო ჩემთან! ჰო, მასე, მასე, მო- დით, აგერ, ყველამ. სათამაშოდ ხომ წასულხართ სადმე, ხომ გითამაშიათ ცელქურად?

- კი...კი...კი... დიახ... რავა არა...
- რო არ მოგწყენიათ, ისე ხომ გითამაშიათ?
- რავა არა...დიახ...კი...კი...კი...

- ჰოდა, დღესაც მოგვინევს თამაში, ოღონდ, ერთად ვი- თამაშებთ ამ კოინდარულ მინდორზე.

- უი, ლა კაია!
- კაია, აპა, ლა!
- მაგრა მისწორდება, მაგისი!
- ხვარ დევისვრებით და ამევიქვარქნებით, მასნ?
- არა, არა, ბავშვებო, რა დაგსვრით! ამდენი მასწავლე- ბელი, დირექტორი, იმისი უფროსი და კიდევ სხვები, ჯერ რომ არ იცნობთ კარგად, აქ იმიტომ კი არ ვართ, რომ დაის- ვართ და ჩაოხრდეთ!

- აპა, ისე რაფერ უნდა ვითამაშოდ?
- გეტყვით, გეტყვით, თქვე ონვარებო, თქვენა!
- მალე, მასნ, ნერწყვი მომდის!
- გშია თუ?

- არა, თამაშისთვის მომდის ნერწყვი!
- მასნ, გოგოები და ბიჭები ერთად ვითამაშებთ?
- აბა, რა, თქვენ ხომ და-ძმანი ხართ!
- უი, არ გამახსენდა, მასნ!

- ბავშვებო, დათვლა ანუ თვლა ხომ იცით? ხომ გასწავ- ლეთ მე და ქეთევან მასწავლებელმა? ხომ არ დაგვინწყებიათ?

- რა დაგვაგინწყებდა, მასნ!
- ჰოოდა, ახლა უნდა მოვახდინოთ ნასწავლის განმეო- რება. ვნახოთ, ვინ უფრო ყოჩაღია თქვენს შორის.
- მაგარი ტექნიკურია! - შემქებადი ალტაცება გამოუშვა მოსასმენში პირველმა.

- ნუ მანითლებთ, თუ შეიძლება!
- რა თქვით, მასნ?
- კი შეიძლება.
- არაფერი, პატარა ნასიზმრალი გამახსენდა.
- მე დავინწყებ, მასნ!

- მე, მასნ, რა! მე... მე... მე...
- დაწყნარდით, შემოგველეთ! დაწყნარდით, გემუდარებით!
- მე, მასნ, რა! მე... მე... მე...

- გაჩუმდით! არ ამომიყვანეს ღვინჭიპე თავში!
- ახლა მიჰქარაგ! - ასისინდა მოსასმენი.
- უი, ბოდიშით!

გაოცებული ბავშვები ხმაგაკმენდილი იდგნენ. ტატიანამ ძალა მოიკრიბა და ოდნავ შესაშინებელი ღი- მილით განაგრძო:

- ვინც ხელს შემშლის, არ ვათამაშებ!
- მასე მოუწევს ზოგიერთს! - ჩაერთო საქმეში ზორბეგი.
- პაუზა არ იყოს! ნუ აყოვნებთ! - ისევ პირველი.
- გამოაცხადე საბრძოლო მზადყოფნა ნომერი პირვე- ლი! - ისევ პირველი.

- არის, გამოვაცხადო საბრძოლო მზადყოფნა ნომე- რი...! - ახმოვანდა ამდენხანს გაჩუმებული შარიანი.

- ბავშვებო, დათვლა რომ გახსოვთ, კარგია, მაგრამ გაკვეთილზე რომ ითვლით ზეპირად, ისე კი არ მინდა.

- აპა, რაფერ, მასნ?
- ამიტომ უნდა მომისმინოთ ორივე ყურით. საით იცქი- რები, ჩხეტია?
- არსად, მასნ!

- ბავშვებო, აგერ, ჩვენ წინ მუხები რომ დგას, იმ მუხებ- ზე პატარ-პატარა ჩიტუნები არიან შემსხდარი. ჩვენი დავა- ლებაა იმ ჩიტუნების დათვლა. ვინც მეტს დაითვლის, გა- მარჯვებულიცა და ყოჩაღიც ის იქნება.

- ჩიტების დათვლას რა უნდა, მასნ!
- ბევრი არაფერი, გაიშვერთ თქვენს ლამაზ თითს და დაითვლით.
- აქედან რომ არ ჩანან?
- ახლოს მივალთ და იქ დავითვლით.
- რომ შეეშინდეთ და გაფრინდნენ?
- არ გაფრინდებიან. ისინი მამაცი და კარგი ჩიტები არი- ან.

- ყველანი რაფერ დევითვლით ერთად?
- ყველანი არა, ჯერ ხუთი ბავშვი წავა დასათვლელად. ხომ ხედავთ, სულ ხუთი ხე დგას.
- კი ვხედავთ.

ტატიანამ ორი გოგონა და ორი ბიჭუნა დააყენა მუხე- ბის წინ, ხოლო ჩიტუნია შარიანმა თავისი ქვეშევრდომები თანაბრად გადაანაწილა მუხებზე.

-დავალება პირველი! - ხმამალლა და საფუძვლიანად წარმოთქვა ტატიანამ, - რამდენი ჩიტი იმყოფება თითოე- ულ მუხაზე? დრო - ერთი ნუთი.

რა თქმა უნდა, ჩიტები გაუნძრევლად ისხდნენ, მაგრამ ბავშვის თვალბისთვის ისინი ბევრი იყვნენ და და მალე აერიათ სათვალავი.

ავილოთ ერთი რომელიმე ვარიანტი:  
- ერთი, ორი, სამი...შვიდი, რვა, თორმეტი, ცამე- ტი...ფუჰ! ერთი, ორი, სამი...,შვიდი..., ცხრა..., ცამე- ტი...თხუთმეტი...ფუჰ!!

- ი ჩიტი ავადაა, მგონია, მასნ, გლახად იყურება, მივამა- ტო?

- შენს საქმეს მიხედე, ქავთარაძე, მიამატე!
- თხუთმეტი..., მერე რამდენია?...ვაიმე, თექვსმე- ტი...ოცი...რა ლამაზი ბუმბული აქვს ამ მეოცეს!
- დრო ამოიწურა.
- მეორე ვარიანტი:

- ხუთი, ექვსი... მოდი, ორ-ორს დავითვლი, მაინც ვერ მიხვდება ტატიანა მასწავლებელი...რვა, ათი..., ცხრამეტი... ცხრამეტი რაფერ გამოვა?...კაი, თვრამეტი...თვრამეტი ამის წინ არ იყო?! ვაიმე, დედა, დევიბენი! სა ჯანდაბაში იყო ამდენი ჩიტი?!

დრო ამოიწურა.  
მესამე ვარიანტი:  
- ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ...მოგკლავ დედა- ჩემს, ცხელი ჩაი რომ დამალევიანა, ენა მენვის!.. რვ, ცხრ, ათი,..რა შტერულად ითვლის აკაკი, მაგი დემენევა მე!

- ჩხეტია, რამდენჯერ გითხრა, გაასწორე თავი!...თოთხ- მეტ...ოცდაორ...
- დრო ამოიწურა.

მეოთხე ვარიანტი:

- ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი... ისევ ხუთი, ისევ ხუთი რაფერ... შვიდი...

- ე ბალანე ნამეტანი გულმოსული გვიყურებს.
- ჩეიგდეთ ენა!
- მასწ, ეგერ რომ ორი ჩიტია, ლაპარაკობს!
- მოლანდებები დაგენყო, ნიქორაძე!
- წესიერად მიმართე ბავშვს!
- ბოდიშით!
- მეშინია, მასწ!
- ნუ გეშინია, ჩემო პატარავ!
- მეტირება, მასწ!
- იტირე, ჩემო პატარავ!
- უხ, შენი!..

დრო ამოინურა.

მეხუთე ვარიანტი:

- ამ ხეზე, მასწ, ბევრი ჩიტია.
- დაითვალე, დროს ნუ კარგავ!
- რად უნდა, მასწ, დათვლა, ხომ გითხარით, ბევრი არი-

ან.

- რა იცი, რომ ბევრი არიან?
- ა, ნახე, მასწ!..
- მონინალმდეგე შეიარაღებულია, ორი ქვა უკავია მარჯვენა ხელში, როგორ მოვიქცეთ?

- ფეხი არ მოიცვალთ ადგილიდან!
- ხომ იცით, ჯავშან-ჟილეტები რომ არ გვაქვს?!
- რამდენ რამეს ითხოვთ, ბიჯო, თქვენ?!
- გვიშველეთ, მაიორო ჩიტუნია! დაგვწყვიტავს ეს მშობელძალი!

- ექსტრემალურობისთვის არ ვართ ჩვენ მზად, ბატონო!

- მატლებს ხომ ჰყლაპამთ უფასოდ!
- ისე შენი კარგიც!..
- რომელი იყო ეს?
- გეიკითხე ჩიტებში და გეტყვიან!
- არ ისროლო ქვა, დათუნია!
- ვესროლე უკვე!
- აფერინდეთ სწრაფად!
- აუ, რამდენი ყოფილან, მაგისი, ხვარ მომიტყუებხარ, მასწ!

დრო გადაინურა...

- რა ჰქენი, ბიჭო, გააკეთე სილაბუსი? - არინკინდა ტელეფონი.

- ვინაა შენი ბიჭო!
- ხო, კაი, არ ხარ ბიჭი! თუ გააკეთე?
- გითხარი თუ არა, ჩასაფრებული რომ ვარ!
- შენ ვერ უნდა იყო, ხო იცი?!
- კი ვიცი!
- ჰოდა, თუ იცი, ნახე, რაც მოგივიდეს, ვაჟბატონო!
- ამაზე მეტი რა უნდა მომივიდეს!..

მიუხედავად პატარ-პატარა ხარვეზებისა პირველმა პირველი დავალება დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. ტატიანა არ შეუცვლიათ ახლად მინიჭებული თანამდებობიდან, ხოლო გაფრენილი ჩიტები უკანვე დააბრუნეს დედ-მამის სულის არასახარბიელოდ მოხსენიებით. პირველი დავალების აღსრულებისას გამარჯვებული აღმოჩნდა შავტუხა ბიჭი ამირანე.

ასე რომ, ტატიანამ სანაქებო ყელი მეორედ მოიღერა და აღმოხდა:

დავალება მეორე!

- ბავშვებო, გილოცავთ პირველი დავალების წარმატებით შესრულებას. გადავდივართ მეორეზე.

ამჟამად ჯგუფურად დავითვლით ჩიტებს. ისინი ფოთლებს ამოეფარებიან, ესე იგი, დაიმალებიან. კაციშვილმა არ იცის, რამდენი ჩიტი იქნება თითოეულ ხეზე, მაგრამ თქვენ ისინი უნდა აღმოაჩინოთ და მოთმინებით უნდა დაითვალოთ.

- მოთმინებით... არ უნდა გეთქვა, შე...

- რატომ მეშლება, აზრზე არა ვარ!..

- დევიწყოთ, მასწ?

- ჩაირთო წამზომი. ხუთი ნუთი გაქვთ დრო!

ბავშვები ყიჟინით გაქანდნენ მუხებისკენ.

- მკაცრად დაიცავით კონსპირაცია! - ბრძანა ჩიტუნიათ,

- ჩაჩიკონა, რაფერ მიდის საქმე შენკენ?

- კონსპირაციულები ვართ, მაიორო!

- კაიცი!

- ნამეტანი გიჟებივით მორბიან, ჩაჩიკონა, მიცახცახობს ერცახე გული!

- ვინაა, ბიჭო, ეს პროვოკატორი, რომ ვერ მივაგენით, თუ არ მიაგენით?! გამოაგდე მთლად რაზმიდან და იფრინოს, მერე, ტყულა!

- გაფაციცებული ვეძებ, ბატონო!

- მაგია ძებნა?! ა, კიდევ მეორე!

- რომელი მეორე?

- დაფსებული გაქვს ყური?

- ვაიმე, დედაა! დედაია ვაიმე! დარჩა შენი ერთაერთი შვილი პინკოვანის მუხაზე, ჩონჩხად დარჩა დედაა!!! რაფერ გამმაგებული მორბიან, ფსიქოლოგიურად მოშლილი ვარ, დედიკონაა!!!

- ჩოუდეი რაცხა მაგას პირში, ჩაჩიკონა!

- ვერ ვხედავ და რაფერ ჩოუდევა!

- ბოვშები მაინც გააჩერეთ ვინცხამ!

- გააჩერეთ ბავშვები!

- გაჩერდით, ბავშვებო!

- ბავშვებო, გავჩერდეთ, მთლად ხეებს ხვარ შევეპოტინებით!..

- გააკეთე სილაბუსი?

- ვაიმე, რა ვქნა?!

- არ გესმის?

- კი მესმის, მაგრამ რა მესილაბუსება!

- ნახავ სეირს!

- ნადი რა, გაიარე!.. გთიშავ!

- ვნახავ, ვინც დარჩება გათიშული!..

- ემასე, გაჩერდით!

- გაჩერებულები ვართ!..

- ჩააგდებით ხმა მა კანტუზიანს!

- შენი ერთადერთი შვილი, დედააა!!!

- მიწვეიხარ დედაშენს!

- რა ქენი ჩაჩიკონა? კიდო ვერ მიაგენი?

- მივაგენი, მივაგენი! თავშიც ჩავარტყი. რა ჩავარტყი, კი არ მასხოვს, მარა მაინც არ ჩერდება, გოუნყვეტელი სლუკუნე აქვს ატეხილი. მგონია, ყრუა ე დედაგასაუშა... რომელი ასო უნდა მერე, დემებლუკა ენა... ქუთაისურად ხვარ შევიგინები!

- მაგან სამედიცინო შემონმება გეიარა?  
 - რომელს ეკითხებით, ბატონო?  
 - შენ გეკითხები, შე გამოთავყვანებულო!  
 - ახლა რანაირად გავარკვიო, მაგი, ბატონო!  
 - ნუ ჩხუბობთ, მაიორო და ბატონო, ბოვშები გაჩერდნენ!  
 - კარგი! დაიცავით კონსპირაცია!...  
 - შე, ბიჯო, რაფერ დამალულან, არც ერთი არ ჩანს!  
 - ერთი, ბუზის წამალი მომცა ახლა! კისრისტეხით გა-  
 მოყვრიდი ყველას!  
 - ბუზის წამალით რას უზამ, ბიჯო, ჩიტს?!  
 - შეგახედებენ თვარაფელს ვუზამ!  
 მიუხედავად ამ ორიოდ ნალაპარაკებისა, ბავშვები გა-  
 ჩუმებული იდგნენ. გაჩუმებული და დაძაბული. ტატიანა  
 მაინც მასწავლებელი იყო და ფიცხელი გადანწყვეტილება  
 მიიღო. ქალური ფინანდაზულობით მივიდა სახვალაოდ აღ-  
 საზრდელვებთან, მიეფერ- მოეფერა ზოგიერთებს, მერე  
 წელში გასწორდა, მბზინავ თმაზე ხელი გადაისვა და მუხე-  
 ბისკენ აიხედა.  
 - მხოლოდ რიგითი ჩიტების გასაგონად ვამბობ. დიდი  
 რაიმე კი არაა, მაგრამ, თუკი თქვენ შორის ვინმეს კამფეტი  
 უყვარს, ერთი წუთით დაგვეჩხოს და, ქალი არ ვიყო, ტკბი-  
 ლი კამფეტი თუ არ მივცე ცოტა ხნის მერე. ახლა მუხაზე  
 ხომ არ შემოგიყრით უზრდელურად.  
 - რას აკეთებ შენ, რას?! ჩიტებს მირყვნი?  
 - ეს მეთოდია, ბატონო! ცოტა წაჯიკება სჭირდებათ  
 ბავშვებს!  
 - რა სჭირდებათ?  
 - მიხმარება იოლ ფორმებით.  
 - კარგი, იოლი იყოს!  
 - კამფეტი რაია, დეიდა?  
 - ჭიაზე ბევრად უკეთესი საკვები.  
 - კუჭს ხვარ აგვიშლის, უკაცრავად.  
 - ვერაფერს გეტყვით.  
 - ერთმა გამოყო თავი უკვე, დევითვალე.  
 - მეორემაც! დევითვალე!  
 - აგერ მესამეც! დავითვალე!  
 - მეოთხემ კუდი გააქიცინა! დავთვალე! ხომ მეთვლება,  
 მასწ, კუდი?  
 - თუ ჩიტისაა, კი!  
 - აბა, ჩემი კატა სახლშია!  
 - ენა!  
 - ვაიმე, ლა კაიებია მეექვს, მეშვიდე, მერვეები! გადავთ-  
 ვალე!  
 - ეგერ, შტოდან შტოზე რომ გადახტა, ორად მივითვალო?  
 - არა!  
 - მაშინ, სამი!  
 - ჩხეტია!  
 - დიდუუ, მასწ, ოც, ცხრამეტი, ოცდაერთ, თორმეტი!  
 - გაასწორე მეტყველებას!  
 - ჩქარა ვითვლი, მასწ!  
 - გეყოფათ! აბა, სულ რამდენი დავთვალეთ, ბავშვებო?  
 - ოცდათორმეტი!  
 - ხუთასიდან ოცდათორმეტი ცოტაა, ქალბატონო ტა-  
 ტიანა!  
 - დამალულთაგან აღმოჩენის თვალსაზრისით არც ისე  
 ცოტა!  
 - მთლად ჩვენიანი ყოფილხართ!

- ვცდილობ!  
 - ორი კილო მივუმატოთ, მასწ, მთლად მოიშორეს ფო-  
 თოლი!  
 - კარგი! ოცდათორმეტი იყოს! გაასწორე მეტყველება!  
 - ჩემი მასწ თუ ხართ, ხუთი კიდეც, მასწ, მე ვუყიდი ამათ  
 კამფეტებს, მასწ!  
 - არ შეიძლება მეტი! გადაცილებულია დრო! დაბრუნ-  
 დით უკან!  
 - დანაპირებს როდის ჩაგვაბარებთ, დეიდა!  
 - ქრთამი არ აილოთ, თქვე ჩიტის ნინილებო, თვარა შემ-  
 დევი ოპერაციიდან მოგხსნით!  
 - სამშაბათს, ჩიტებო!  
 - სიტყვა სიტყვა!  
 - მაგაში ჩავიჭრები?!..  
 - იმან რომ გვითხრა, მოგხსნითო?!  
 - არ დეიჯერო მაგი, შენ!..  
 ტატიანამ ისე ამაყად გააბიჯა და რჩეულ პიროვნება-  
 საც, დირექტორსაც, ტყუილად მდგარ მასწავლებლებსაც  
 და მოსასმენით მომსმენებსაც კრიალა კბილებ-ტუჩებ გა-  
 ცინებით აუწყა:  
 - ეს მეორე დავალებაც წარმატებით დასრულდა!  
 - დავრწმუნდი, რომ მართლა ჩვენიანი ყოფილხართ!  
 - ვცდილობ, ბატონო!..  
 - უკვე აღარაფრად გვაგდებს! ძან არამასწავლებლუ-  
 რად აკვანწალებს ტანს! რაი ვართ ანი, ჩვენ მისთვის, არც  
 კოლეგები, არც მეზობლები, არც თანაქალაქელები.  
 - არაა მასე საქმე!  
 - მეგვეჭრა თავი, გაუგონია!  
 - ყურადღებით იყავით ბავშვებო! გაგაცნობთ მესამე და  
 ბოლო დავალებას. თქვენთვის ნაცნობი თითოეული მუხი-  
 დან რიგ-რიგობით აფრინდებიან უკვე თქვენი მეგობარი  
 ჩიტები. თქვენი ვალია, ისინი ჰაერში დაითვალეთ, რაც შე-  
 იძლება სწრაფად. ნუ გეშინიათ, აგერ ვარ მე! ჰო, ისევე ჯგუ-  
 ფურად ვითვლით!  
 - ახლა თქვენ მომისმინეთ, არწივებო! ხომ გაიგონეთ  
 დავალების შინაარსი. ერთხელ რომ დავიძახებ, აფრინდეს  
 პირველი, კიდური მუხიდან აფრინდებით, თუმცა ჩაჩიკონე  
 მაქაა და არ შეგეშლებათ. მეორეხელ რომ დავიძახებ, თქვე-  
 ნი გვერდითები აფრინდებიან, მესამეხელ - იმის გვერდი-  
 თები, მეოთხეხელ - კილო იმის გვერდითები, ხოლო მეხუ-  
 თეხელ - გავალთ ბოლოში და, საერთოდ, ყველანი ჰაერში  
 ვიქნებით. თქვენი არ იყოს, მეც მომწყინდა ამდოხანს ხეზე  
 ყურყუტი.  
 - ნუ აფუჭებ ეთერს!  
 - ვის ვაფუჭებ, ბატონო?!  
 - უხ, შენი!.. შემართება ნუ დააგდე! ბოლო წინადადება  
 არ ვარგოდა!  
 - გასაგებია, ბოლო წინადადება არ ვარგოდა!.. თქვენ  
 გეუბნებით ისევე, შევარდნებო, ჰაერში აფრინის მერე ტყუ-  
 ლა ბოდიხალი არ დეინყოთ. თავიდან საითაც გინდათ, იქით  
 გაფრინდით, ოღონდ, იცოდეთ, საბოლოო დისლოკაციის  
 ადგილი გოჭოურაზე გვაქვს. იქ მივიღებთ ახალ დავალებ-  
 ბას წინა თვის ხელფასთან ერთად.  
 ამ დროს ბავშვები უკვე გაშლილი იყვნენ კონინდაროვან  
 ველზე. თითოეულს მშვენიერი გამოცდილება ჰქონდა მი-  
 ლებული და სითამამე ეტყობოდა. ამასთანავე თვალეზე  
 აშკარად აჩნდათ სისწრაფის დამჭერი სიმკვირცხლე, რაც

მათი მოწადინებისა და უცაბედად გაზრდის მაუწყებელი იყო. ძნელია, ამ დროს აფრენილი ჩიტები სადმე გაგექცეს, დათვლით მაინც ვერ დაითვალო.

როგორც კი ჩიტუნია შარიანმა ჩაათავა სიტყვიერება, უფრო და ვაშაო რომ წამოქუხდა ერთიანად, მე, იმედიანად ჩასაფრებულს, აცახცახებული ბურღუს ეკალი თუ ეკლები მოურიდებლად დამაცხრნენ, ხოლო მუხების სიახლოვეს მდგომებს რა ბედი ენათ, გარკვევით არ შემიძლია გადმოვცე. თუმცა ეს შფოთიანი წამიერება უმალ დალაგდა კადრობრივად და ვიხილე:

ტატიანას ახალი მოცილებული ჰქონდა თვალეზე ხელები. მასწავლებლები ავტობუსებისკენ გარბოდნენ. ზორბეგი ზურგშექცევით იდგა. თვალსაჩინო პიროვნება მსუბუქ უცხოურთან ჩამჯდარიყო და მარტო ლაპარაკობდა.

ბავშვები უთავბოლოდ დარბოდნენ.

ხანდახან კი იტყვი კაცი, გაუმარჯოს სირბილს, თანაც უთავბოლოსო, მაგრამ ასობით აფრენილ ჩიტს დასათვლელად როცა მისდევენ, ან როგორ უნდა გაეკიდო მათ, მისდევენთქვა, გეუბნებით სალსალამათი პირველკლასელები, მოდი, ვინც გინდა იყავ მხატვარი, იმძველდროინდელიცა და ამახალდროინდელიც, და დამიხატე, თუ ბიჭი ხარ და თუ მხატვარი ხარ.

ჩიტებმა, როგორც ჩანდა, ბავშვების განამანია გაითვალისწინეს და მიუხედავად სახელფასო გასულსწრაფებისა, გაუმართავი ქართულით რომ ვთქვათ, ორჯერ მოახდინეს არაგეგმიური შემობრუნება და შედარებით ნაკლები სიჩქარით ასევე ორჯერ დაანრიულეს მუხების ირგვლივ.

ამ ქველმოქმედებითა დაწრიულებამ ბავშვების სურვილი უფრო გაამძაგა და დათვლაც გაშმაგებული გამოვიდა.

- ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ....

- ერთ, ორ, სა, ოთ, ხუ, ექვ, შვი...

- ე, ო, ს, ო, ხ, ე, შ...

- ორი ე, ორი ო, სხშ...

თავანუელი თუ კისერაგრეხილი ბავშვები ერთმანეთს ეტაკებოდნენ მრავალგვარი მრავალგვარობით, მაგრამ ბრძოლა საპატიო დავალების შესასრულებლად უფრო და უფრო გამძაფრდა. ჩიტები უკვე ძალიან შორს იყვნენ, მაგრამ ბავშვები მაინც ითვლიდნენ ჩიტებს. ზოგიერთ გონებაშენარჩუნებულს კი გარკვევით წამოცდა:

- მამაჩემის სამსახურისკენ გაფრინდნენ, ეს უპატრონოები!

- საფიჩხიისკენ შეუბერეს, მაგის დედა ვატილე!

- ამ გარღვეულ შარვალს ვინ დამიკერებს მეე!

- ტატიანა მასწ, მეორე მუხის უკან მეძიე, ორმოში ვარ ჩათითხნილი, მასწ!

ორიოდე დავარდნილი ჩიტი დამთვლელების ოდნავ მოსულიერებისას გამოფრინდა მუხების ხშირფოთლოვანიდან. იმ ოხრებმა პირდაპირ ჩემსკენ აიღეს გეზი ძალიან დაბლა და მოკლე გადაფრენებით. ერთი ყოჩალი ბიჭი გამოეკიდა დეზერტირებს. სულ ტაკუნებზე ირტყამდა ფეხებს. ჩემი არსებობა არც კი შეუმჩნევიათ სამხედრო წესრიგის დამრღვევებს. გადამიქროლეს და ჰაიდა! სამაგიეროდ ის ბიჭი პირდაპირ მომადგა საფარში.

- რას ეძებ ამ ბურღუში, ბიძია?

- მუნდშტუკს.

- დაკარგე?

- არა, ვნახე და ვეძებ!

- ხვარ შემაშინებ, ბიძია?

- არა, შეშინებულო!

- მაშინ დავბრუნდები უკან!

- წადი, კაი ადგილას მიდიხარ!..

ტატიანას მალევე აღუდგა ლალ მსხმოიარობასთან ერთად ენერგიულობა და ძლივს თავმოყრილ არაპიგიურად ნაბრძოლ ბავშვებს უკვე დაეჭვებული სიამაყით შეაპარა:

- რამდენი ჩიტი აფრინდა ხუთივე მუხიდან, ბავშვებო?

- უთვალავი, მასწ!

- მაგდენი რომ არ გვისწავლებია თქვენთვის მე და ქეთევანას?

- წამოგვცდა, მასწ!

- უთვალავიც რიცხვითი სახელია, ქალბატონო ტატიანა!

- ბოდიშით!

- ბავშვებო, იქნებ ზოგიერთს მაინც დაგამახსოვრდეთ, რამდენი დაითვალეთ?

- მე ცოტა, მასწ, ფეხსაცმელი გამძვრა და მიზა!

- მე ბევრი, მასწ, გლიჯინ-გლიჯინით გარბოდნენ!

- გარბოდნენ თუ მიფრინავდნენ. გაასწორე მეტყველება!

- მე ერთი, მასწ, ყველაზე წინ მიფრინავდა!

- მეც ერთი, მასწ, ყველაზე უკან იყო!

- მე კი ორი ნამდვილად დავითვალე, მასწ, ეგერ, იმ ტყისკენ გაფრინდნენ ძლივ-ძლივობით. იმ ტყეში კაცია, მასწ, ბურღუში მუშტუკს ეძებს, არ შევუშინებთ, მასწ!

- ვინ კაცია ბურღუში?

- არ ვიცი, ბატონო!

- შენ გეკითხები, რესურსების უფროსო? აგენტი იქნება, ვინმე, დაიჭირეთ და წააძვრეთ თავი, მე ვარ ატევიჩარი! ქალბატონო ტატიანა, გააგრძელეთ თქვენი საქმე!

- წამოი ზორბეგა, დავრეჯგვოთ ის კაცი!

- ვერ წამოვალ, კანტუზია მაქვს მიღებული!

- მაშასადამე, ერთი, ორი ანუ ერთს მივუმატოთ ერთი, ცოტა და ბევრი რამდენი გამოვა ერთად?

- უთვალავი, ტატიანა მასწ!

- მართალია, სწორედ უთვალავია ამ დავალების პასუხი!

- ყოჩაღ, ქალბატონო ტატიანა!

- ვცდილობთ, ბატონო!..

- როგორაა „ვახტანგის“ საქმე?

- დიდებულად, უზენაესო!

- აბა, დამშვიდებული გავფრინდები კონგოში!

- ღმერთმა სულ ფრენის ხასიათზე გამყოფოთ, უზენაესო!.. მეორე დღეს სამშობლოს დაუვიწყარ შვილთა მთავარი

გაზეთით „კაკანათი“, ტელეარხით „მიცქირე საიდანაც გინდა“ და ინტერნეტსაიტით „წწწ პატარები.გე“ მსოფლიომ გაიგო, რომ ცოცხალი ნიმუშებით ანუ სწრაფი გადაადგილების ჩიტების ბატალიონის (მეთაური მაიორი ჩიტუნია შარიანი, მოადგილე - კაპიტანი ჩაჩიკონა) ფრთებჩაუხრელი შრომითა და ტატიანა-ქეთევანას წესიერად აღზრდილი პირველკლასელების თავგანწირული მონდომებით ბრწყინვალედ ჩატარდა დიდი ოპერაცია ბავშვური გონების კონკრეტული და ზოგადი განვითარების თვალსაზრისით პინკოვანის მუხათა მიდამოებში. გამარჯვებული გუნდი მეორე კლასში გადასვლისას უფრო მცირე მოცულობის ფრინველთა დათვლაში მიიღებს მონაწილეობას. ქალბატონი ტატიანა დაჯილდოვდა ნითელბათიანი ორდენითა და სიტყვიერი მაღლობით...

ვილაცისაგან მოგზავნილ ვილაცა აგენტის თვალთვალს არავითარი შედეგი არ გამოუღია...

დათო აღფენიძე

# ორი ნოველა

დედა

ვუძღვნი დედას

სალამო ხანი. ოთახში სიჩუმეა. ხანგამოშვებით თუ და-  
ირღვევა მდუმარება კანტიკუნტი გასაუბრებით.

— ბებო, როგორ ხარ?

— კარგად ვარ, შვილო, მე რა მიჭირს... ჩემი პატარა გო-  
გო, ჩემი უბერებელი შვილი... რა ლამაზი იყო... მინაც კი  
გალამაზდა, როცა ჩემი შვილი მიიბარა... ჩემს ბიჭებს კი-  
დევე ვჭირდები, ამიტომ ბედნიერი დედა და ბებია ვარ...

— და სად არიან შენი შვილები? დიდი ხანია თვალიც არ  
მომიკრავს...

— შენ არ მოგიკრავს და მე ყოველთვის ვხედავ მათ...  
აგერ ახლაც აქ იყვნენ და წავიდნენ ჩემი ბიჭები... ჩემი გო-  
როზი და გრუზა ვაჟები... რა, არ გჯერა? — ნიკაპი აუკან-  
კალდა, სასთუმალთან ხელი მოაფათურა და დაკუჭული  
პერანგი დაანახა — აგერ პერანგი დამიტოვა უფროსმა, გა-  
მირეცხე დედაო... უი, ეს რა არის? უმცროსს ჰალსტუხი  
დარჩენია... ენაცვალოს დედა, ძალიან დაღლილი მოვიდა.  
ჰალსტუხი შეიხსნა, სკამზე მიაგდო და ჩამეხუტა, ასე მინ-  
და დავისვენო.

— მამ რატომ არ გარეცხავ მაგ პერანგს? — არ ასვე-  
ნებდა.

— მისი ნაცვამია და ხანდახან რომ მომენატრება, სახეს  
შიგ ჩავმაღავ და ჩემი ვაჟის სხეულით ვსუნთქავ...

— შენს შვილიშვილს ცოლი მოუყვანია...

— ჩუ, მომასვენეთ ახლა. იქნებ ჩემს გოგოს გამოველა-  
პარაკო. ჩემს ქალიშვილს ხმაური არ უყვარს. თუ იხმაუ-  
რებთ, წავა. ჩუ, გაისუსეთ მანდ... — თვალები მიღულა.

— არ უყვარს ამ თემაზე საუბარი. მაგისმა ერთმა შვი-  
ლიშვილმა მეორე შვილიშვილი ცოლად მოიყვანა...

— კი, მაგრამ ის გოგო ხომ აყვანილი ყოფილა, მამასა-  
დამე სისხლი არ აღრეულა...

— კი, ნამდვილად მასეა, შემოგველე, — თვალები გაა-  
ხილა და სასოებით მიაშტერდა მოსაუბრეთ, თითქოს ხავსს  
მოეჭიდაო, — სისხლი არ აღრეულა. აბა, სისხლსა და  
ხორცს ცოლად ხომ არ მოიყვანდა, სულს ხომ არ წაინყმედ-  
და.

ლოგინზე წამოჯდა, შვილისეულ პერანგში ცალი ხელი  
გაუყარა და უღონოდ მიესვენა.

— რომ დაგიჩემებია, არ მინახავს შენი შვილებიო, ვი-  
თომ არ იცი, როგორი დაკავებულებიცი არიან. ეგეც რომ არ  
იყოს, ჩემი გულისთვის ოჯახს ხომ არ დავანგრევიებ. ჩემი  
რძალი არ უშვებს ალბათ... ეჰ, თვითონ იყვნენ ნეტა კარ-  
გად...

ცოტა ხანს სული მოითქვა. პერანგი ჩამაცვითო, მო-  
ითხოვა. ჰალსტუხი თავად გამოინასკვა აკანკალებული ხე-  
ლებით.

— ახლაც ვერ ხედავთ? მოვიდნენ. შეხედეთ, შეხედეთ,  
კარებში ვერ ეტყვიან. ჩემი ქალიშვილიც მოსულა... მო-  
დით, შვილებო... აი ასე, ახლა ყველაფერი წესრიგშია... აი

ასე უნდა ყოფილიყო  
თავიდანვე... ხელები  
თვალებზე დამადეთ...  
უუუფ, რა კარგია, —  
შვებით ამოისუნთქა,  
უკანასკნელად ამოი-  
სუნთქა...

\*\*\*

— სად დავასვენოთ?  
ქალმა ახალმოხვე-  
ტილ იატაკს დახედა.  
კაცმა მის მზერას თვა-  
ლი გააყოლა.  
— ხალიჩას დავა-  
გებთ.

— ახლა ხალიჩა ათელინე ხალხს... სულ არ ფიქრობ შვი-  
ლებსა და ოჯახზე.

კაცმა უმცროს ძმას გახედა. რალაცას წერდა, ანგარი-  
შობდა. ცალი თვალთ ჩახედა ნაწერს:

— რა ტვინს ილლი, დარბაზში დავეუკვეთავთ ყველა-  
ფერს.

— მარხვით გავაკეთოთ?

— იმდენი საპატივცემულო ადამიანი მოვა და ბალახ-  
ბულახსა და ლობიოზე გადავატაროთ?

— რატომ, თევი და სოკოც ხომ შეიძლება დავდოთ.

— კაი, რა... ხალხი რას იტყვის. ფული დაენანათ და დე-  
დას საკადრისი პატივი არ მიაგესო, აი რას იტყვის. თანაც  
ქალაქია. აქ ჩვენს ტრადიციებს საერთოდ არ ცნობენ. სო-  
ფელში ხომ არ ვართ...

— კარგი, კარგი. დავეუკვეთოთ ხორციანი კერძები.

— ხაშლამა ხომ იქნება, მამა? — ჰკითხა 16 წლის ვაჟმა.

— და ჩაშუშული, მამა, ან ჩაქაფული? „ოსტრიც“ კაი იქ-  
ნება, — მხარი აუბა დამ.

— ღვინო ვანოს ვუთხრათ. ყვარლიდან ჩამოიტანს. თან  
იმდენი უნდა იყოს, რომ ორმოცზეც გვეყოს. ცხვარი და სა-  
ქონლის ხორცი აქვე ვიყიდოთ. ლობიო, მხალი, ბადრიჯანი,  
კარტოფილი, ბრინჯი ტკბილი ფლავისთვის და შილასთ-  
ვის... მგონი არაფერი გამოგვრჩა...

\*\*\*

— ლობიო, ბრინჯი, მჟავე, ხორბალი აუცილებელია  
წანდილისათვის. თაფლი, ნიგოზი და ქიშმიში. ღვინო 20  
ლიტრა გვეყოფა მგონია...

— სანთელ-საკმეველი არ დაგავინწყდეთ, — ჩაურთო  
ქალმა, — ჩვენს მოძღვარს ვთხოვოთ, მოზრდნდეს და წესი  
აუგოს.

— როდის მიასვენებენ?

— ტაძარში მიასვენებენ დილით და ნაშუადღევს დაკრ-  
ძალავენ.

თავი უნდვილად გააქიცინა და ბებრული ნაბიჯებით გა-  
შორდა.

\*\*\*

ოთახიდან რამდენიმე ცალი ყვავილი გამოიტანეს. მერე  
თავსახური. ოთახში მამაკაცები ფუსფუსებდნენ.



— სახელურს არ ენდოთ. სამჯერ მოვატრიალოთ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. თავი აუწიეთ... ეს ჩააყოლებო? ეს რა პერანგია? ან ჰალსტუხს აქ რა უნდა?!

— მისი უკანასკნელი ნება-სურვილი იყო. ჩემს შვილებს იქ მაინც ვიგრძნობო, — მოხუცმა ბერიკაცმა უპასუხა.

არაფერი შეიმჩნია. მანქანაში შეასვენეს მიცვალებული. რამდენიმე გამომშრალი კურცხალი შეჰყვა.

ტაძრის მისამართი დატოვა და მანქანაში ჩაჯდა.

— რა გაიძვერა ბერიკაცია, როგორ დაგცინა. შენ კი საერთოდ ვერაფერს ხვდები, — წაისისინა ცოლმა.

— რას ვერ ვხვდები, ქალო!!!?

— რას და, ხშირად მენახე აქო, რომ გითხრა, რა თქმა იყო ეგ. სულ მინდა გიყურო და სულ აქ მყავდეთ. დედაშენი ხომ კარგად იყო, შენც კარგად იქნებო...

შეკრული ღვედი აიხსნა და გაავებულმა მანქანიდან გადასვლა დააპირა. ცოლმა დააკავა, რას ტინგიცობ, სად მიხვალ და რა პასუხი უნდა მოსთხოვო გადარძებულ ბერიკაცს. ალაყაფის კარი უხმაუროდ მიიხურა და უკვე შორიდანაც შესამჩნევი იყო წარწერა: „ქალაქ თ-ს უპატრონო და მიუსაფარ მოხუცთა თავშესაფარი“.

და დაბა მერხეულის მიდამოებში. წყაროსთან მივიდა, ცივ წყალს დაენაფა და იქვე, ქვაზე ჩამოჯდა. გულბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ ჯუჯღუნის და ყვირილი თითქმის სულ უწევდა. თან თავის ცისფერ თვალებს თუ ავად გააკვესებდა, ძნელად იფიქრებდა ვინმე, რომ მრისხანე პოლიციელის მუნდირში ერთი კარგი, ალალი (შეიძლება ითქვას გულუბრყვილო) და ზრდილი კაცი იყო მიმალული. თანამშრომლები

შიშითა და რიდი თეკიდებოდნენ, თუმცა ხანდახან პატარა უბოროტო ხუმრობებსაც არ თავილობდნენ, თან ომარის გულუბრყვილობასა და დაბნეულობას მოხდენილად იყენებდნენ. ახლაც, მის მახლობლად, ომისთვის დამახასიათებელ ავსიუმესა და მორიგი შეტაკების მოლოდინში ბიჭები კროსვორდს ავსებდნენ. ერთობოდნენ, რომ არ ეფიქრათ... (რომ არ ეფიქრათ დანარჩენ საქართველოზე, სადაც ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა... ისე ტრადიციად იქცა ქვეყანას ერთგან ზვარაკად ეწირებიან, ხოლო მათივე მოდგმა სხვაგან კონცერტებზე ირთობს თავს). ამოსაცნობი იყო სამხრეთამერიკული ხარი. ბიჭებმა ომარს მოჰკრეს თვალი და მის გასაგონად ერთხმად შესძახეს: — ოოო, ამას მარტო ძალიან ჭკვიანი თუ გამოიცნობს, — თან ომარისკენ გააპარეს თვალი, — ალექსანდროვიჩ, რაღაც ხარო გვეკითხებიან და...



მხატვარი გევა პაქსაშვილი

ომარს თავი არ აუწევია ისე

გასძახა: — ვაიიი, რა იცით თვენ ხარ-ძროხა... მოზვერი ნახეთ აბა, მოზვერი.

ბიჭების ჩაფხუკუნება არ გაუგონია. — არ ჯდება, ბატონო ომარ, ოთხი ასოა. ომარმა თითები მოიმარჯვა: — კამე-ჩი არა... უ შ ო ბ ე ლ ი არაა... — მოზვერი ვთქვით... ხოო, ჩლიქოსანიო, არა?... მაშინ თხა ნახეთ, თხა...

ბიჭების ხორხოცი სადღაც გამსკდარმა ჭურვმა დაფარა. — ბატონო ომარ, რძის პროდუქტი.

— სმეტანა, — უპასუხა აზარტში შესულმა.

— არა, ქართულად და ექვსი ასო, — შეახსენა ყველაზე აქტიურმა, მეტსახელად პეპომ.

— მაშინ — ა-რა-ჟა-ნი, ვაჰ, შვიდია, კეფირი ნახე, კეფირი, — ბიჭები ნელ-ნელა დგებოდნენ, რომ თავიანთი სიცილით არ გაენანყნებინათ ომარი.

— არა, ალექსანდროვიჩ, ქართულად და „ო“ ურევია.

— ხაჭო ნახეთ, თქვე ცალტვინებო, ხაჭო...

თავს უკვე არავინ იკავებდა და დაუფარავად ხარხარებდნენ. ომარი მძიმედ წამოდგა და დანაყოფის თავმოყრა ბრძანა. — ხედავთ, რომ უთანასწორო ბრძოლები მიმდინარეობს... ჩვენი ამოცანაა ხელმძღვანელობის ბრძანებებისა და საომარი ვითარების შესაბამისად მოქმედება. დღეს ლა-

ომარი

დაუვიწყარია ჰაერში გაფანტული ის სუნი და სურნელი... ჩაისუნთქავდი და ამოსუნთქეა აღარ გინდოდა, უფრო სწორად, შინაგანი შფოთვა გეუფლებოდა, რომ არ გამქრალიყო შენი ცხოვრებიდან ეს მინიერი სამოთხე... იმ პანანინა მინაზე, სულ რაღაც ათიოდე კილომეტრის შუალედებში განსხვავებულად აღიქვამდი გარემოს... სამურზაყანოშივე შემოგვაპრებოდა სულში აღტაცება, გულრიფშამდე გაფაციცებული ჭვრეტდი შემოგარენს, მერე უცებ დასავლეთიდან საამო ზღვაური მოგელამუნებოდა და უკვე კელასურში შესულს, ყვითელი ქვიშარიდან ზღვასთან მიგებებულს ნეტარება გიპყრობდა და ბიჭვინთამდე მიგყვებოდა. იქ უკვე ახალ სამყაროში შემოქმედის სიდიადესა და ბუნების ძალას ხელახლა იწვნივდი შენს თავზე. სოხუმსა და ოჩამჩირეში ზღვა გავეშუბული, დუჟმორეული რომ აწყდებოდა ქვის ჯებირებს, აქ, ამ ღვთითბოძებულ ბუნების უბეში მორჩილად მოლივლივე დანდობილად ეალერსებოდა ბიჭვინთის ნაპირებს... მაგრამ, ეს იყო უწინ...

ახლა კი ის სურნელი დენთის, ომისა და სიკვდილის სუნით გაჯერებულიყო. ომარი გულდანყვეტილი დასეირნობ-

მის ათი საათიდან პაროლი იქნება... პაროლი იქნება — ირ- გვლივ თვალი მიმოავლო და მიგდებულ იქნა „ფორდსკორპიო“ დალანდა — პაროლი იქნება „სკორპიონი“. გადაეცით ცენტრს და გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე. ჩვენი დისლოკაციის ადგილი სტრატეგიულად მეტად მნიშვნე- ლოვანია და წინასწარ გეუბნებით, კიდევ ერთხელ გაფრ- თხილებთ, რომ რუსი ვერაგია და შესაძლოა უნიკალურად შენიღბული აგენტები, მსტოვრები და მზვერავები შემოგ- ვიგზავნონ. არავის ენდოთ. უპაროლოდ ჩიტიც ნუ შემოფ- რინდება...

ოფიცრები საგუშაგოებზე გაანანილა და თვითონ სა- ხელდახელოდ მოწყობილ კარავში გაუხდელად მიწვა, ცოტა თვალს მოვატყუებო. შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა საგუშაგოების შემოვლა დაიწყო. შეძლებისდაგვარად სრულდებოდა ხელმძღვანელთა განკარგულებები და ცო- ტაოდენ დამშვიდებული მოტრიალდა შტაბისკენ. გზად კი- დევ ერთი საგუშაგოს შემონმებაც უწევდა. ფიქრებში გარ- თულს გამაფრთხილებელი შეძახილი შემოესმა: — სტოი, კტო იდიოტ!!! უმაღ გამოერკვა და ხმის მიმართულებით დაბნეულად უპასუხა: — მე ვარ კაცო!!!

- პაროლი!
- მოიცა, კაცო, ერთი... რომელი ხარ მანდ შენ?
- პაროლი!!! — გამაფრთხილებელ შეძახილს ავტომა- ტის გადატენვის ხმა მოჰყვა.
- მოიცა, ფორდი კი არა... მუსტანგი?... არა? ფოოორდ სიერა? არა.
- პაროლი, თორე დაგადულე ადგილზე, — კიდევ ერ- თხელ გაჩხაკუნდა იარალი.
- ფორდი რა შუაშია, ისე ვთქვი... პაროლია ტარაკანა! ბიჭო, ვერ მიცანი? ომარი ვარ, შე კაცო...
- პასუხი არასწორია, ხელები თავზე შემოიწყვეთ და მუხლებზე მალეეეე...
- ობობა, ბიჭო, ღმერთი არ გაგინყრეს...
- პაროლი! კიდევ ერთ შანსს გაძლევ...

— ნურბელა, ხოჭო, ხოჭო...ბიჭო, რომელი ხარ? პეპო, შენ ხარ, გიცანი... „კაპეზეში“ ამოგალაპობ.

— პაროლი არ არის სწორი. ზუსტად დღეს ჩაგვიტარა ინსტრუქტაჟი და გაგვაფრთხილა ჩვენმა უფროსმა, შეიძ- ლება შენიღბული აგენტურა შემოპარვას ლამობდესო... ოჰ, როგორ ამიხდა მისი დარიგება... ომის კანონების შესა- ბამისად ვიღებ გადაწყვეტილებას აგენტის ადგილზე ლიკ- ვიდაციის შესახებ.

— ოხ, პეპო... ამას არ გაპატიებ, შე ჩათლახო... გამოეთ- რიე და მიპატიაკე როგორც წესი და რიგია... სკორპიონს კი ვიპოვი სადმე და კისერზე დაგასვამ...

— ოხ, ალექსანდროვიჩ, ღმერთო მომკალი, როგორ იმ ნუთას ვერ გიცანი, მაგრამ დაზაფრული ვიყავი თქვენი ინს- ტრუქტაჟის მერე, — „დარცხვენილი“ იმართლებდა თავს პე- პო, — რუსი ისეთი ვერაგია... და თქვენც ისეთი დამაჯერებე- ლი და გონებაში გამჯდომი საუბარი იცით... გვზრდით, ბა- ტონო ომარ, თქვენ რომ არ ყოფილიყავით აქამდე ან პლენში ვიქნებოდით, ან... — და მრავალმნიშვნელოვნად ცისკენ აზი- და მუდამ მხიარულებითა და ცეცხლით სავსე თვალეზი.

გულით უყვარდა ეს ახალგაზრდა ოფიცერი, უნდოდა რა- მე თბილი ეთქვა, მაგრამ სენტიმენტები არ სჩვეოდა და ესლა გაიფიქრა: „ეეჰ, შვილო, კიდევ კარგი მართლა არ ავიხდა ჩემი წინასწარ ნათქვამი, თორე ასე თამამად და ყოყლოჩინად არ იკობტავებდი აქ და სახეზეც აღარ გექნებოდა ეგ თავხედი და ურცხვი ღიმი“, ხმამალა კი ესლა უთხრა:

— უღმერთო იყო შენი ჯიმ-ჯილაგი და უღმერთო ხარ შენც. ან განგების ძალა იწამე, ან ცოტა დასერიოზულდი... — მცირედი პაუზის შემდეგ კი დაამატა: — მე შენს ადგილ- ზე ანაფორას ჩავიცვამდი და ბერად შევდგებოდი, ამდენი ცოდვების გადაამკიდე...

პეპოს თვალეზი გაუფართოვდა, შეცბა და დაიზაფრა... ის შეცბუნება და ზაფრა ნიშანი იყო, იტყვის ადამიანი, როცა გაიგებს, რომ პეპო ანაფორით შეიმოსა და ღვთის სამსახურში ჩადგა.

პირველი შთაბეჭდილება

უნივერსალური სიმაართლენი...

ჩრეო ინანიშვილს თავის სამაგიდო რვეულებში ასეთი რამ ჩაუწერია:

„...სიყვარული, პატიოსნება, სიბრალული, სიამაყე, თანაგრძ- ნობა, თავგანწირვა, — აი ის ძველისძველი, უნივერსალური სი- მართლენი გულისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი ნაწარმოები განწირულია და არარაობად იქცევა“

წინამდებარე პატარა მოთხრობების მთელი ხიბლიც სწორედ გულის უნივერსალურ სიმაართლეთა ერთგულებაში მდგომარეობს.

ტოტალური სულიერი რღვევის ეპოქაში, ეგოიზმითა და ამბი- ციით დაავადებულ სამყაროში, საცა ამდენი საცდური და ხაფანგია დაგებული, საცა უღვთოთა მიერ ატეხილი ზათქითა და ხმაურით ყურთასმენაა წაღებული, საცა ზერელობის დამლით ყოფიერების ტემპი აშკარად ჯაბნის აზროვნების ტემპს და საცა სიტყვა გული- დან კი არა გულგარეშე, მხოლოდ მექანიზირებული გონებიდან იბა- დება, რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ხელოვნება, ლიტე- რატურა სულაც არ აპირებს აუტსაიდერის პოზიციიში გადასვლას.

მწერლობა ორმხრივი სიყვარულია და ამიტომ, მიუხედავად ყველაფრისა, მწერლისა და მკითხველის ურთიერთნდობა ისევ მოლოდინით ცოცხლობს. ისევ უპირისპირდება სკეპტიკოსთა დიაგნოზს, რომ ყველაფერი უკვე ნათქვამია და ხელოვნებამ რა- ხანია ამოწურა თავისი თავი.

ლიტერატურამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ ყველაფერი უკვე ნათქვამია, მაგრამ იმდენად რამდენადაც ადამ და ევადან მოყოლე- ბული ჩვენ არ ვიცვლებით, ყოველშემთხვევაში — უკეთესობისკენ, და სულიერად ძნელად ვიზრდებით, მწერლობამ უწინადაც ამიტომ უნდა შეახსენოს ადამიანებს, რომ ისინი ადამიანები არიან.

ადამიანობის შესხენებაზეა დათო ალფენიძის ეს პატარა მოთხრობები, რომლებშიც ასეთი სევდიანი სიფაქიზით ეს მერამ- ბუნედ „აღმოგვაჩენინებს“ ავტორი, რომ დედები „თავსაფრიანი დედაკაცივით“ დროის დაწოლას არ ემორჩილებიან და მშვიდი, მარადიული ერთგულებით ცოცხლობენ. დათო ალფენიძე „სიყ- ვარულიანი“ ირონიით ჩვენთვის იმის გადმოცემასაც შეძლებს, რომ ყოვლის ნამლექავი, გამპარტახებული ომის გამოცდილება ზოგჯერ გენტიკურად, „ჯიმ-ჯილაგით უღმერთო“ ადამიანებ- საც კი ანაფორით შემოსავს და ღვთის სამსახურში აყენებს.

მაკა ჯონაძე





გენო კალანდია

**ვაჟა-ფშაველა**

ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით,  
აბგაში ედო ნაძვის კვარი და იის კონა,  
გულს უხარებდა მშობლიური მდინარის სრბოლა,  
ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით.

ცრემლი ჟონავდა დავსებული თვალიდან თაფლად,  
იდგა, უსმენდა ღამეული არაგვის ქორალს,  
ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით,  
აბგაში ედო ნაძვის კვარი და იის კონა.

\* \* \*

ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას,  
ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე,  
მზე ჩადიოდა ქარიატას, ერგეტას, ყულევს,  
ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას.

ბელურას ჰგავდა საყდრის ახლოს დავარდნილს  
მინდვრად,  
ვერცხლის წვიმაში მოციმციმე შროშანის ფურცელს,  
ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას,  
ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე.

**ნითელი ნიგნი**

ხელი არ ახლო, გვეედრები, ხელი არ ახლო,  
კვერთხსა და გვირგვინს, — წმინდანების კვერთხსა  
და გვირგვინს,  
ოქროსფრად ფერილს წინაპრების ფიცით და ფიქრით,  
ხელი არ ახლო, გვეედრები, ხელი არ ახლო.

სასახლის კარის, ვარსკვლავების, ლაჟვარდის ბაღლო,  
გახსოვდეს ძისა და მამისა წითელი წიგნი,  
ხელი არ ახლო, გვეედრები, ხელი არ ახლო  
კვერთხსა და გვირგვინს, — წმინდანების კვერთხსა  
და გვირგვინს.

**ორნი**

სულ ორნი დავრჩით... გაგვისწორდა ცხოვრება ისე,  
როგორც გრიგალი შემოდგომის ქარვისფერ ბალებს,  
ზოგს ტყვია მოხვდა უცხო თესლის, ზოგს კვერცხი ლაყე,  
სულ ორნი დავრჩით... გაგვისწორდა ცხოვრება ისე.

მაჟრჟოლებს, როცა მესიზმრება თოკი და თასმა  
და შენთან ერთად ვსვამ ოდიშის ბინდების ნალველს,  
სულ ორნი დავრჩით... გაგვისწორდა ცხოვრება ისე,  
როგორც გრიგალი შემოდგომის ქარვისფერ ბალებს.

\* \* \*

მტკვარი მტკვარია და მეტეხთან უფრო ჩქარია,  
აქ მენავეთა, მოისართა იდგა კარავი,  
აქ ნადირობდა მეფეთმეფე — დიდი ვახტანგი,  
მტკვარი მტკვარია და მეტეხთან უფრო ჩქარია.

საით ნავიდნენ ის მხედრები ასე ადრიან,  
ძენი, ძისძენი, ტყუპისცალნი ქსნის და არაგვის,  
მტკვარი მტკვარია და მეტეხთან უფრო ჩქარია.  
აქ მენავეთა, მოისართა იდგა კარავი.

**ფიროსმანი**

დაგიხატია ლხინის სუფრა, ღვინის სარდაფი,  
აბანოს ტურფა, ვერცხლისტერფა ხარიპარია,  
დამთვრალხარ ქიქა არაყით და გაგიხარია...  
დაგიხატია ლხინის სუფრა, ღვინის სარდაფი.

გაგნათებია თვალთა ჭრილი ჭვირი სადაფით,  
თითქოს თასიდან აგიფრინდა ჭიამარია,  
დაგიხატია ლხინის სუფრა, ღვინის სარდაფი,  
აბანოს ტურფა, ვერცხლისტერფა ხარიპარია.

**ოფელია**

ერთი ტბა ვიცი მალაქიტის, ერთი თქმულება, —  
ქალის და ვაჟის უცნაური ტრფობის ამბავი,  
ქალი ნამდვილი ძენა იყო, — წყლის ყელსაბამი,  
ერთი ტბა ვიცი მალაქიტის ერთი თქმულება.

ვერ გაიმეტა სხვისთვის იგი თავად ბუნებამ,  
გულში ჩაიკრა მთელი ძონით, ვერცხლით, სადაფით,  
ერთი ტბა ვიცი მალაქიტის, ერთი თქმულება, —  
ქალის და ვაჟის უცნაური ტრფობის ამბავი.

**თეთრი სახლი**

ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს, თოლიგე,  
აქ მწუხრის ლოცვებს გვიგალობდნენ წმინდა მამები  
და ქრისტესავით ცრემლით ჰქონდათ სავესე თვალები,  
ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს, თოლიგე.

ტ ბ რ ი ო ლ ე ბ ე ბ ი ს ბ ა გ ა ფ ს უ ლ ი

აქ სჯულის კანონს, კარაბადინს ქმნიდნენ მოგვები,  
მკათათვის მწიფე თავთავივით მძიმე თავებით,  
ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს, თოლიგე,  
აქ მწუხრის ლოცვებს გვიგალობდნენ წმინდა მამები.

**ღრუბლები**

რუხის ციხესთან ცას ღრუბელი ჩამოეკიდა,  
ო, ეს ღრუბელი გაზაფხულის ჭრელი ჯოგია,  
გზისპირ ირმის რძეს და სულუგუნს ყიდის ჯოკია,  
რუხის ციხესთან ცას ღრუბელი ჩამოეკიდა.

ქარებს გამოყვნიენ ჭყონდიდიდან, თამაკონიდან,  
აბრაგებივით გამოცვივდნენ სოფლის ბოგირთან,  
რუხის ციხესთან ცას ღრუბელი ჩამოეკიდა,  
ო, ეს ღრუბელი გაზაფხულის ჭრელი ჯოგია.

\* \* \*  
გლეს რომ ბალახი გაექცევა სავსე ყანაში,  
ისე გამექცა ამ სისხამზე სიტყვა ქალაღზე, —  
ახლა სხვის სენაკს, სხვის ცარგვალს და ბანს რომ ანათებს,  
გლეს რომ ბალახი გაექცევა სავსე ყანაში.

მე დავიღალე ჩემი ქვეყნის ყალბი კაშკაშით,  
მე მოისართა და ქართული მინის ქადაგი,  
გლეს რომ ბალახი გაექცევა სავსე ყანაში,  
ისე გამექცა ამ სისხამზე სიტყვა ქალაღზე.

\* \* \*  
არ დაძაბუნდე, საქართველოვ, არ გატყდე სულით,  
გეყო ცრემლი და სინპანული, გეყო: — ვაიმე!  
აღსდექ არაგვის კლდე-კარივით, უხმე რაინდებს,  
არ დაძაბუნდე, საქართველოვ, არ გატყდე სულით.

იქმენ არმაზის შარავანდით და ქრისტეს სჯულით,  
ნარსულის ფერი და მომავლის სხივი ადიდე,  
არ დაძაბუნდე, საქართველოვ, არ გატყდე სულით,  
გეყო ცრემლი და სინანული, გეყო: — ვაიმე!

\* \* \*  
შე მართლა მინდვრის საფრთხობელავ,  
სირცხვილის ლაფო,  
სისხლი და ცრემლი შარბათივით დაგიდგამს ერთად,  
თაფლით და კვერით მარჩენალო უდაბნოს გველთა,  
შე მართლა მინდვრის საფრთხობელავ,  
სირცხვილის ლაფო!

დგას ყორნისფერი ეშაფოტი კვარცხლბეკის ახლოს,  
ვით უფლის დიდი განაჩენი კაენის ძეთა,  
შე მართლა მინდვრის საფრთხობელავ,  
სირცხვილის ლაფო,  
სისხლი და ცრემლი შარბათივით დაგიდგამს ერთად.

\* \* \*  
დედას უყვარდა წმინდა ბარბარე,  
ხშირად მინახავს ეკლესიაში,  
როგორც ცის ნამი მარტის იაში,  
დედას უყვარდა წმინდა ბარბარე.

ყველა ჩუქურთმა, ყველა კამარა  
თრთოდა, ბზინავდა მზე და ნიავეში,  
დედას უყვარდა წმინდა ბარბარე,  
ხშირად მინახავს ეკლესიაში.

\* \* \*  
ერთი ლამაზი კონცხია აქეთ, —  
ზეთისხილების პატარა ბალით,  
იქ ცხოვრობს უფლის ერთგული ხალხი,  
ერთი ლამაზი კონცხია აქეთ.

იქ გალობს ერთი ჭაბუკი მნათე, —  
საყდრის ჩიტივით სუფთა და ლალი,  
ერთი ლამაზი კონცხია აქეთ, —  
ზეთისხილების პატარა ბალით.

\* \* \*  
მადლი მოისხი ნეტარო ჩემთვის,  
შემადლებინე ტაძრამდე მისვლა  
ერთგულების და ოცნების ნიშნად,  
მადლი მოისხი ნეტარო ჩემთვის.

დე, შრიალებდეს მუხა და ვერხვი,  
ვით მინის ძარღვი და სული ცისა,  
მადლი მოისხი ნეტარო ჩემთვის,  
შემადლებინე ტაძრამდე მისვლა.

\* \* \*  
მოდი, ზღვისპირას დავდგათ კარავი, —  
ზაფხულის უცხო დღეთა სადაგი  
ქვიშის ხასხასა ნოხით, ფარდავით,  
მოდი, ზღვის პირას დავდგათ კარავი.

მხოლოდ მე და შენ (და სხვა არავინ),  
მოვრთოთ ძვირფასი ძონით, სადავით,  
მოდი, ზღვისპირას დავდგათ კარავი, —  
ზაფხულის უცხო დღეთა სადაგი.

\* \* \*  
ტყისპირ ტბა იყო — ლურჯი, კამკამა, —  
ერთი ყვავილის გულისოდენა,  
მე რომ მხიბლავდა ერთდროს, ოდესღაც,  
ტყისპირ ტბა იყო — ლურჯი, კამკამა.

მზე ჩადიოდა ტბაში კანკალით,  
მზე თვითმკვლელებით იდგა ლოდებთან,  
ტყისპირ ტბა იყო — ლურჯი, კამკამა, —  
ერთი ყვავილის გულისოდენა.

\* \* \*

სოფელს, — გურული ჰანგების პარნასს,  
ახსოვს სტრავინსკის მრავალი ქება, —  
შაშვის ჭახჭახი და ვარდის ყეფა,  
სოფელს, — გურული ჰანგების პარნასს.

ვით საქართველოს მდულარე აღმასს,  
აქვს უცნაური შუქი და ვნება,  
სოფელს, — გურული ჰანგების პარნასს,  
ახსოვს სტრავინსკის მრავალი ქება.

### კველი ჩონგური

ვნებადამცხრალი, ვით შინაბერა  
ტახტზე ისვენებს ძველი ჩონგური, —  
ცრემლივით სუფთა და მშობლიური,  
ვნებადამცხრალი, ვით შინაბერა.

ოდესღაც მთელი გვარის მშვენება, —  
წარსული ხასს და ვარდს გამობმული,  
ვნებადამცხრალი, ვით შინაბერა,  
ტახტზე ისვენებს ძველი ჩონგური.

\* \* \*

ტრიოლეტებით შევრჩი სანუთროს,  
ვით პურის ყანებს ბაბუანვერა,  
ვით სახლის კედელს წვიმის წარწერა,  
ტრიოლეტებით შევრჩი სანუთროს.

მკათათვის შუქი — სხივი სათუთი,  
ჩემთვის ნამდვილი არის წამება,  
ტრიოლეტებით შევრჩი სანუთროს,  
ვით პურის ყანებს ბაბუანვერა.

### ფრინველების გადაფრენა

გადაუფრინეს ვინრო სანაოს,  
ტყეებს, ხეობებს ფრთების ფართქალით,  
(გრაფის, მარკიზის ფრაკით, სადაფით),  
გადაუფრინეს ვინრო სანაოს.

აღბათ ინდოეთს მიაქვს ნანავით  
ფერი ძონის და ფერი აქატის,  
გადაუფრინეს ვინრო სანაოს,  
ტყეებს, ხეობებს ფრთების ფართქალით.

\* \* \*

შენ გაგიმარჯოს, ჩემო მოძღვარო,  
რუის-ურბნისის მწყემსო კეთილო,  
სულეებს რომ კურნავ უფლის ნათელით,  
შენ გაგიმარჯოს, ჩემო მოძღვარო!

სიტყვა განძივით მარად ცოცხალი  
არის ქვეყნის და მრევლის მფარველი,  
შენ გაგიმარჯოს, ჩემო მოძღვარო,  
რუის-ურბნისის მწყემსო კეთილო!

### კურატი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში

მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე,  
თვალეშიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს  
წმინდა გიორგის სახელის კურატს,  
მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე.

მომლოცველები აქებენ მნათეს,  
მამაოს, — ყველა წმინდანის სუფრაჯს,  
მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე,  
თვალეშიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს.

\* \* \*

პოეტი მოკვდა... შეაცივდა ბაგეზე სიტყვა,  
ვით წუნდის ირემს შემოდგომის ელვა და ცრემლი,  
ვით ჩამქრალ ვულკანს, ცეცხლის დაისს კვამლი  
და ფერფლი,  
პოეტი მოკვდა, შეაცივდა ბაგეზე სიტყვა.

სამურავით ზეზეულად შეაკვდა იღბალს  
და სიტყვა დარჩა მჭვირი, როგორც ქარვა და სთველი,  
პოეტი მოკვდა, შეაცივდა ბაგეზე სიტყვა,  
ვით წუნდის ირემს შემოდგომის ელვა და ცრემლი.

\* \* \*

დაო, ვაზივით გვირგვინდანულო,  
სად მიხვალ შენი ბზა და სუროთი?  
ვის გულს ახარებ შენი სტუმრობით?!  
დაო, ვაზივით გვირგვინდანულო!

ფეხდაფეხ უკან მოგდევს მერწყული, —  
პირველი გზირი და მოგზაური,  
დაო, ვაზივით გვირგვინდანულო,  
ვის გულს ანათებ შენი სტუმრობით?!

### სიზმრად...

ლამე — მიკურთხებს მთვარის დაირას,  
დილა — წვიმების მწვანე მოსასხამს,  
ქარი ჩურჩულით მეტყვის: ოსანა!  
ლამე — მიკურთხებს მთვარის დაირას.

ეუახლოვდები ფიქრით დარიალს, —  
საცხოვრისს ზესთა და ღვთისმოსავთა,  
ლამე — მიკურთხებს მთვარის დაირას,  
დილა — წვიმების მწვანე მოსასხამს.

\* \* \*

ლექსი ყულფია სიკვდილმისჯილთა,  
თუ ვაჟკაცი ხარ, მიდი, იმღერე  
და ყელი ერთხელ შენც მოიღერე,  
ლექსი ყულფია სიკვდილმისჯილთა.

იყავი, როგორც დევის ქინჭილა,  
წარსული იით გაიისფერე,  
ლექსი ყულფია სიკვდილმისჯილთა,  
თუ ვაჟკაცი ხარ, მიდი, იმღერე!

### სტუმრად ანა ახმატოვასთან

სტუმრად ვიყავით ახმატოვასთან  
და ვიგონებდით პოეტ იაშვილს,  
როგორც ნატვრის ხეს თოვლში, ყინვაში,  
სტუმრად ვიყავით ახმატოვასთან.

ცაზე ელავდა ირმის ნახტომი,  
ვით ოქროს ქოში ბზეში, თივაში,  
სტუმრად ვიყავით ახმატოვასთან  
და ვიგონებდით პოეტ იაშვილს.

\* \* \*

არ გამიგია შენი სიკვდილი,  
მთელი ზაფხული მთაში ვიყავი  
იქ, სადაც ბეთქილს ედგა კარავი,  
არ გამიგია შენი სიკვდილი.

ვიყავი, როგორც ქარის წისქვილი,  
როგორც ფრინველი ცას გამყინვარი,  
არ გამიგია შენი სიკვდილი,  
მთელი ზაფხული მთაში ვიყავი.

### ალიბუხარი და შროშანი

ალიბუხარი — ბეგოს ვაჟია,  
შროშანი — მისი ტურფა საცოლვე,  
რა მოხდა თუ ბიჭს ერთხელ აკოცა,  
ალიბუხარი — ბეგოს ვაჟია.

მოჟონავს ხსენი თეთრი ხასიდან, —  
ვაშლის ბალიდან, — ფცასთან, ატოცთან,  
ალიბუხარი — ბეგოს ვაჟია,  
შროშანი — მისი ტურფა საცოლვე.

\* \* \*

რა ვარდებია, რა დარებია,  
რა სამოთხეა აქეთ გაშლილი, —  
ხუნნით, აბაშით, ხონით, მარტვილით?!  
რა ვარდებია, რა დარებია?!

რა სახლებია მუხის კარებით,  
რა ჭა და გვიმი — ვერცხლის ზარნიშით?!  
რა ვარდებია, რა დარებია,  
რა სამოთხეა აქეთ გაშლილი?!

### ვედრება წყალთა უფლისადმი

მოგვეცი წყალი, — წყალთა უფალო, —  
მოგვეცი შუქი, — ყოვლის მომცველი, —  
ფიქრის, ძიების, თრობის, ოცნების,  
მოგვეცი წყალი, — წყალთა უფალო!

ჰყვაოდეს ცისფრად ცა იდუმალი,  
ხარობდეს მრევლი — შენი მლოცველი,  
მოგვეცი წყალი, — წყალთა უფალო, —  
მოგვეცი შუქი — ყოვლის მომცველი.

\* \* \*

ჩვენ რომ საყდარში მივდივართ ერთად,  
ქუჩაში ერთი მოხუცი გვხვდება,  
ჩუმი, ვით ტაძრის ჩრდილი და სევდა,  
ჩვენ რომ საყდარში მივდივართ ერთად.

გული სხვა შვებთ, სხვა კდემით ფეთქავს, —  
გელათს თუ ბოლნისს, ბეთანს თუ მცხეთას,  
ჩვენ რომ საყდარში მივდივართ ერთად,  
ქუჩაში ერთი მოხუცი გვხვდება.

\* \* \*

პირველი თოვლი უხდება ქალაქს,  
ვით სასძლოს თეთრი ყვავილის კაბა,  
ვით ოქრომკედი და გულისაბა,  
პირველი თოვლი უხდება ქალაქს.

ათოვს მთანმინდას, ათოვს სოლოლაკს,  
მეტეხის აღმართს და შავნაბადას,  
პირველი თოვლი უხდება ქალაქს,  
ვით სასძლოს თეთრი ყვავილის კაბა.

\* \* \*

ჩვენ ვინ გვიბოძა ვაჟას სახელი,  
მისი ჩანგი და მისი ფიალა,  
ფშავის ვერცხლი და წყარო წკრიალა?!  
ჩვენ ვინ გვიბოძა ვაჟას სახელი?!

აღმოდებული, როგორც ძახველი,  
ანათბეს მისი ყველა იარა,  
ჩვენ ვინ გვიბოძა ვაჟას სახელი,  
მისი ჩანგი და მისი ფიალა?!



ნინო დოლიძე

## სახლი — სამშობლოს მიღმა

თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში კარგა ხანია ერთ-ერთ ძირითად თემად მიგრანტობა, გადასახლება, სამშობლოს იძულებით დატოვება და ამ მოვლენასთან დაკავშირებული სირთულეები იკვეთება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის – ორი რადიკალურად განსხვავებული სამყაროს შეხვედრა (რაც ამ ტიპის ნაწარმოებებს სდევს ხოლმე თან) ერთ-ერთი უძველესი თემაა, თუმცა დღეს ჩვენს გლობალიზებული მსოფლიოში უფრო სხვა პრობლემამ წამოიწია ნინო. ეს არის დისკრიმინირებული ადამიანის იდენტობის თემა. ცნობილია, რომ პოსტკოლონიურ არაბულ ლიტერატურაში მთავარი ადგილი ე.წ. „ციხის ლიტერატურამ“ დაიკავა. სირიაში, ლიბანში, პალესტინაში, ერაყსა თუ ეგვიპტეში ბოლო პერიოდის ბევრი მწერალი პოეზიისა და რომანების საშუალებით ცდილობდა არსებული რეჟიმების, შეზღუდვების წინააღმდეგ გალაშქრებას. ისინი ციხეში არ ისხდნენ. მათი ქვეყნები იქცა ციხეებად, სადაც წერა ერთადერთ შვებისმომგვრელ საშუალებად რჩებოდა, რადგან როგორც ლიბანელი ლიტერატორი ელიას ხური აღნიშნავს, „მწერლობას ძალუძს სიკვდილთან დაპირისპირება თვითგანახლების სასიცოცხლო ძალის შენარჩუნებად გარდაქმნას.“

„ციხის ლიტერატურის“ უამრავი ნიმუში გაყალბებული რეალობის პირუთვნელად ამსახვლი იმ დოკუმენტად მოგვევლინა, საიდანაც საპატიმროებში ამომწყდარი და საერთო საფლავებში დასამარებული ათასეულობით ადამიანის ხმა აღწევს ჩვენამდე. „ციხის ლიტერატურისათვის“ ორი მთავარი რამ არის დამახასიათებელი: არეული მახსოვრობა და წერა როგორც პროტესტი, წინააღმდეგობა. გმირი საკუთარი წარმოსახვითი სამყაროს შექმნას ცდილობს, წარსულს აცოცხლებს, თუმცა შესაძლებელია არსებული რეალობა მახსოვრობაზე მეტად იყოს დანაწევრებული. ხსოვნის სამყარო „ციხის“ სამყაროს უპირისპირდება. ბოლოს ეს ბრძოლა „ტრუსაღის“ შინაგან არსებაში გადაინაცვლებს.

სწორედ ასე ხდება თანამედროვე ფრანგი რომანისტი და დრამატურგის ერიკ-ემანუელ შმიტის რომანის „ულისე ბალდადიდან“ (2008) მთავარი გმირის შემთხვევაშიც. ერაყელი საად საადი ტოვებს ბალდადს, თუმცა პატიმრის ხუნდებისგან ვერ თავისუფლდება. მის წამოსახვაში ისევ წარსული და ბუნდოვანი მომავალი ცვლიან ერთმანეთს. ანმყო მისთვის დროსა და სივრცეში გადაადგილების საშუალებაა. ანმყო არ ლებულობს მას არსად, არცერთ ქვეყანაში და არცერთ საზღვარზე. საინტერესოა, როცა აღნიშნულ თემაზე არა არაბი, არამედ ფრანგი მწერალი ამხვავლებს ყურადღებას და სვამს კითხვას: ასეთ შემთხვევაში, როცა საქმე პიროვნების იდენტობას ეხება, რა მნიშვნელობა აქვს საზღვრებს?

ბოლო ორი საუკუნეა აღმოსავლური სამყაროს წარმომადგენლისათვის აქტუალური იყო კითხვა: როგორ მოვახერხო მოდერნიზება იდენტობის დაუკარგავად? გათანა-

მედროვება ხომ გადასავლეთურების ტოლფასი გახდა. ბევრ ემიგრანტს უმძიმდა მშობლიური ენით, რელიგიით, ტრადიციებით, სამშობლოში დატოვებულ ახლობლებზე დარდით გაეგრძელებინა ცხოვრება უცხო მიწაზე, რომელიც მას თავისი კანონებითა და შეხედულებებით ხვდებოდა. ემიგრანტი არაბი ტყვილითა და სინანულით ეკედლებოდა დასავლეთის კულტურას. ამ შემთხვევაში კი ჩვენს წინაშეა ერაყელი, რომელსაც ერთი სული აქვს, სამშობლოდან გაიქცეს და ამ დროს იდენტობის დაკარგვისა კი არ ეშინია, პირიქით, საკუთარი თავის პოვნა უნდა. რატომღაც ფიქრობს, რომ წინააღმართი თავისუფლება და უზრუნველყოფილი მომავალი მისთვის შორეულ ლონდონშია.

საქმე ის გახლავთ, რომ რომანის მთავარ გმირს ერაყში ცხოვრების დროსაც არა აქვს ჩამოყალიბებული იდენტობის განცდა. იგი ცხოვრობს ჩაკეტილ ქვეყანაში, სადაც ადამიანებმა არ იციან, რა ხდება საზღვრებს გარეთ (რაც მოგვიანებით იმაზეც აისახება, რომ დიქტატორისგან თავისუფლების შემდეგ ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად სრულიად უსუსური აღმოჩნდებიან). საადი ამბობს: „ყოველი ჩვენგანი საკუთარ თავში რამდენიმე განსხვავებულ იდენტობას დაატარებდა... მე თვითონ ვინ ვიყავი? ერაყელი? არაბი? მუსლიმი? დემოკრატი? გვარის გამგრძელებელი? მომავალი მამა? სამართალსა და თავისუფლებაზე შეყვარებული? სტუდენტი? დამოუკიდებელი? თუ შეყვარებული? ყველაფერი ერთად ალებული!“...

როდესაც ერაყი გარედან მოსულმა ძალამ „დაიხსნა“, მთავარი გმირის მდგომარეობა კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა: „თუ ის ერაყელი იყო, ნავთობით დაინტერესებული აშშ-სთვის დამპყრობელი უნდა ეწოდებინა, თუ დემოკრატი იყო, სიხარულით უნდა შეგებებოდა მას, ვინც იმ დიქტატორის ჩამოგდებაში დაეხმარებოდა, ყველას სიცოცხლეს რომ უწამლავდა, თუ მუსლიმის პოზიციიდან მიუდგებოდა საკითხს, ქრისტიანი ბუშის მიერ გამოცხადებული ომი ვერ უნდა აეტანა. ხოლო თუ სამართლიანობისა და თავისუფლების იდეალების ერთგული იქნებოდა, სწორედ ბუშს უნდა გადახვეოდა“ – აქ იკვეთება, რომ მთავარი გმირის იდენტობის პრობლემა დასავლეთში მოგზაურობასა და სხვა კულტურასთან შეხვედრასთან ერთად არ დანყებულა. მას არც სურს, რომ ერაყს სამშობლო უწოდოს. გაეროს წარმომადგენელ ქალბატონთან, დოქტორ ცირცესთან საუბრისას (რომელმაც მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს – მიანიჭებენ თუ არა ლტოლვილის სტატუსს), საადი ამბობს, რომ მას არ გააჩნია სამშობლო, ერაყი არ არის მისი კუთვნილება, ერაყს ის არ უყვარს, ერაყმა ის არ მიიღო. ამიტომ სიტყვა „სამშობლო“ მას შოკავს...

ერაყი თუ არა, არაბული სამყარო მაინც ხომ უნდა იყოს საადისთვის მშობლიური. რატომ არ რჩება კაიროში, სადაც ის „გაეროსთან არსებულ ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატში“ გასაუბრებისთვის ჩადის? იქ ხომ არ არის ომი. რატომ ეპოტინება მაინცდამაინც ევროპას? საქმე ისაა, რომ მას მთელი არაბული სამყარო სძულს. არაბული სული მისთვის სადამთან, სიცრუესა და ფარისევლობასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, როგორც ქალბატონმა ცირცემ აღნიშნა, ლტოლვილის სტატუსი საადს სადამ ჰუსეინის მმართველობის წლებში უნდა ეთხოვა. სწორედ ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ ახლა, როცა აშშ-ის ჯარებმა ერაყი გაათავისუფლეს, როცა ქვეყანა დემოკრატიისკენ

მიიწვეს და ბედნიერი უნდა იყოს, საადის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩაითვლება. ცირცეს თვალში საადი იმ უხერხემლო ერაყელთაგანია, რომელთაც ქვეყნის „გათავისუფლების“ შემდეგაც კი ვერ მოაბეს თავი ახალი საზოგადოების მშენებლობას.

არადა, რა უნდა მოსთხოვო ხალხს, რომელსაც ელექტროენერგია არა აქვს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება?

დასავლეთი არ აღიარებს, რომ მისი ჩარევის შემდეგ ერაყში ყველაფერი გამოსწორებისკენ არ მიდის. ცირცესთან გასაუბრებისას კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ჩვეულებრივი ადამიანები სინამდვილეში არავის აინტერესებს. მიუხედავად ასეთი გაუგებარი პასუხისა, დასავლეთში გამგზავრება მაინც საადის ცხოვრების მთავარ მიზნად დარჩა. თუ მამა მას ერაყის დატოვებაში ადანაშულებს – ყველა რომ წავიდეს, აქ ვინლა დარჩებაო – თვითონ მკაცრად გადაუნყვეტია – არასოდეს დაბრუნდება ერაყში. ამას ცირცესთან გასაუბრების შემდეგაც ამბობს. უკვე მოქმედებს პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და ათავსავარ უკანონობას სჩადის, მიზანს რომ მიაღწიოს. მისთვის ერაყში დაბრუნება დამარცხებასთან შეგუებას ნიშნავს. ამიტომ თვალი კი არ აეხილება „დასავლეთზე“, პირიქით, უფრო მეტად მიისწრაფის მისკენ.

არადა, ეს ის დასავლეთია, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ სანქცია რომ დაუნესა ერაყს და უამრავი ადამიანი დააზარალა (მაშინაც ჩვეულებრივი ერაყელი არავის აინტერესებდა), მილიონობით მოქალაქე კი აიძულა, სამშობლო დაეტოვებინა, რათა სხვადასხვა ქვეყნებში ეძებნათ თავშესაფარი. ერაყში ჯერ კიდევ მაშინ გაქრა საშუალო ფენა. საგულისხმოა, რომ ერაყის მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც მშვენივრად იყო აწყობილი, ქუვეითის ომის დროს დაზარალდა. ამას დასავლეთის მიერ სანქციის დაწესება მოჰყვა, რის გამოც ყველაფერი უკან-უკან წავიდა. აშშ-ის მიერ ქვეყნის „გათავისუფლების“ შემდეგ კი ერაყში აღორძინდა ნავთობის სექტორი, თუმცა ახალი საავადმყოფოები, სკოლები, მუზეუმები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი აღდგენილი არავის უნახავს. სადალმ ჰუსეინის დროს, ყურის ომის შემდეგ ორმოცდახუთ დღეში მოხერხდა ელექტროენერგიის აღდგენა, აშშ-მა კი წლების განმავლობაში ვერ მოახერხა ეს.

საადს, როგორც ბიბლოთეკარის შვილს, დიქტატორის მიერ აკრძალულ წიგნებზეც მიუწვდებოდა ხელი. თუმცა მისთვის სამშობლო და ისლამი სადამ ჰუსეინთან იყო დაკავშირებული. კუთვნილებათა იერარქია ხომ ბავშვობიდან ყალიბდება. თითოეული ადამიანი იდენტობას თანდათან იძენს იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნის. მოზარდი საადის მიზანი ნებისმიერი საშუალებით დიქტატორის მოშორება გახდა. იმაზეც თანახმა იყო, ამერიკელებს გაეკეთებინათ ეს, აშშ-ის იმ ჯარისკაცებს, რომელთა ენის უცოდინარობას მამამისი სრულიად უბრალოდ შეენირა. ამგვარად, ერაყის საქმეებში ამერიკელების ჩარევამ შედეგად საადის პირადი ტრაგედიაც გამოიწვია (დაეღუპა მამა, სიძეები, დისშვილი) და ქვეყანაში მომხდარი ქაოსიც, რაც ადგილობრივ არაბებს ბრალდებოდათ.



თავიდან ყველა თანახმა იყო ქაოსზე, ოღონდ მოეცილებინათ დიქტატორი, მაგრამ მოგვიანებით დაფიქრდნენ ასეთი ჩარევის აუცილებლობაზე, სადაც კონკრეტულ დამნაშავეს ვერ დაადებ ხელს, ვერც იმ ამერიკელს, საადის მამა შიისგან, საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტით რომ მოკლა. გარდაცვლილი მამის სულს არ სურს დაჯერება, რომ ის განმათავისუფლებელ ამერიკელთა ტყვიამ იმხვერპლა – იქნებ სადამ ჰუსეინის მომხრეები იყვნენო. თვითონ ხომ ანტიამერიკანიზმის მომხრე არასოდეს ყოფილა. „იქნებ ამერიკელების მიერ ის ბინძურ, ნაძირალა არაბად იქნა აღქმული, რომლის გულისთვისაც, ვინ იცის, რამდენი ხნით ამერიკელი ჯარისკაცი თავის ქვეყანას უნდა მოსწყდეს და კიდევ ამდენი მსხვერპლი გაიღოს, ერაყელებს დემოკრატია რომ დაუმყაროს და თან ნავთობი ქაჩოს“...

საადის გაქცევის სურვილი იმდენად ძლიერია, რომ მზადაა იცრუოს, ტერორისტი გახდეს. ნებისმიერ ფასად უნდა დატოვოს ქვეყანა, გაძარცვული მუზეუმების, გაჩანაგებული ქუჩებისა და დანგრეული შენობების ქალაქი. როგორც ცნობილი ლიბანელი მწერალი, საფრანგეთში მოღვაწე ამინ მაალუფი თავის ერთ-ერთ წიგნში „დამილუპველი იდენტობანი“ აღნიშნავს: „რელიგიური ფანატიზმი არ ყოფილა არაბების ან მუსლიმთა სპონტანური, ბუნებრივი ან უშუალო არჩევანი. ამ გზას ისინი მაშინ დაადგენენ, როცა ყველა სხვა გზა უკვე მოჭრილი იყო“. საადიც ძალით „იტერორისტებს“ თავს, რადგან ერაყის დატოვების ფული არ გააჩნია. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა დასავლეთის ჩარევის გამო ეთნიკური თუ სხვა იდენტობები ნაციონალისტ იდენტობებად გარდაიქმნება ხოლმე...

ყოველ ადამიანს, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას, უკეთესი მომავლის იმედი აქვს. საადი გაექცა არაბობას და ვერც კი წარმოედგინა, რომ განსხვავებულ გარემოში „პირნავარდნილი არაბი გახდებოდა“. ის საკნის გისოსებით განაგრძობდა გაქცევას თავისი სამყაროდან, საკუთარი „მესგან“. ბედნიერების განცდას მუდამ წარსული და მომავალი ეძებდა და არა ანმყოფი. მან „დაკარგა“ საკუთარი სახელი, წარმომავლობა, ყახდა ულისე და... ისევ შეეგუა დამცირებას. მხდალი, პირშიწყალჩაგუბებული, ვითომ ამნეზიით დაავადებული, საკუთარი წარმომავლობის უარყოფი, ყველაფრის ამტანი ულისე ეგუებოდა სახიფათო მგზავრობას ბორანით, ითმენდა ძარცვასა და შეურაცხყოფას. როგორც ხშირად ემართებათ გაქცეულებს, ცოტა ხანში მასში სინდისის ქენჯნამ გაიღვიძა სამშობლოს დატოვების, საბუთების განადგურების, მეგობრების დაკარგვის გამო. ის ველარ ირგებდა ანმყოფი არსებულ ბედნიერებას, ვერც იმას, სიცილიელმა გოგონამ, ვიტორიამ რომ მიანიჭა: „სულ ნაღვლიანი იყო და სევდიანი ფიქრებით დათრგუნული. საკუთარი თავისადმი პატივისცემას ის მხოლოდ ლონდონისკენ სვლის შემთხვევაში განაგრძობდა...“

საადს სურდა, ყოფილიყო ღირსეული მოქალაქე, ემუშავა, საკუთარი ოჯახი შეექმნა, შვილები, გვარის გამგრძელებლები ჰყოლოდა. ნუთუ ეს ასეთი რთული მისაღწევია?! ამ ელემენტარული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მსურველი საადი მალტაში, მორიგი პატიმრობისას, ოთხ

კედელს შორის გამომწყვდელი ობობას ქსელს აკვირდებოდა და ფიქრობდა: „შენების ჟინით შეპყრობილ ობობას შეეძლო დღენიდაც ექსოვა თავისი ახალი ადგილსამყოფელი, საჭმელზეც ეფიქრა და სასმელზეც. შეეძლო ოჯახი ნებიერი ადგილზე შეექმნა. მე კი – ნურას უკაცრავად, ამოვიჩემე, ჩემი ნავსაყუდელი ლონდონი იქნებოდა. სხვა ადგილის გაგონებაც არ მსურდა. თუ გონიერება შემგუებლობის უნარში მდგომარეობს, გამოდის, რომ ის პატარა ობობა ჩემზე ათასჯერ ჭკვიანი და მოაზროვნე ყოფილა.“ სად გადის ზღვარი შემგუებლობასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შორის? როგორ უნდა გააკეთო სწორი არჩევანი ისე, რომ პიროვნული ღირსება შეინარჩუნო? თუ ეს ღირსება სამშობლოშიც გელახება და სხვაგანაც, ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში?

შესანიშნავად აღწერს შმიტი მშობლიურ გარემოს მოშორებული ადამიანის ფსიქოლოგიურ პრობლემებს. საგულისხმოა ენა, რომელიც გლობალიზაციის პირობებშიც კი, როდესაც მსოფლიო დავიწროებულია და საზღვრები მოშლილი, პიროვნული იდენტობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად რჩება: „ძნელია წარსულს საბოლოოდ ზურგი შეაქციო და მისკენ არასოდეს გაიხედო. მე ტალღებზე ვტივტივებდი, ვკარგავდი ორიენტირებს. ვგიჟდებოდი იტალიურ ენაზე, რომელსაც ვიტორია ასეთი მოთმინებით მასწავლიდა, მაგრამ განსხვავებული სიტყვების გამოყენება ჩემთვის უკვე ნაცნობი საგნების აღსანიშნავად მათ ნაკლებად რეალურსა და სრულყოფილებიანს ხდიდა, უკარგავდა გემოსა და სურნელებს, ისტორიასა და მოგონებებს. ახალი ენით გადმოცემული სამყარო მშობლიურისაგან განსხვავებით ნაკლებად წარმოსადეგი, ნაკლებ საერძობი და ბევრად უფრო ძნელად აღსაქმელი მესახებოდა.“

გასაკვირია, რომ ასეთ შეგრძნებათა მიუხედავად, სადაც არ იპყრობს ნოსტალგია. ამის ნაცვლად ეუფლება საკუთარი არარაობის შიში: „ნეტა სხვა ქვეყანაში დავბადებულიყავი და სხვა ენა და რწმენა მქონოდა... ევროპელს ხომ ეს ყველაფერი მემკვიდრეობით ერგო, არაფერი გაუკეთებია, გაუმართლა...“ თუმცა, ვინ იცის?! იქნებ როგორც საადის მეგობარი და თანამგზავრი ბუბა ამბობს, „დასავლეთშიც არიან დიქტატორები, უბრალოდ ისინი ღიად არ ჩანან ისე, როგორც აღმოსავლეთში.“

საინტერესოა, რას ფიქრობს დასავლეთზე ევროპაში ჩასული არალეგალი: „ბოლო საუკუნეების განმავლობაში ევროპელები ყველგან დადიოდნენ, სადაც მოეპრიანებოდათ, ვაჭრობდნენ, სადაც მოეპრიანებოდათ, ქურდობდნენ და მამაძალოდნენ, სადაც მოეპრიანებოდათ... თხრიდნენ, აშენებდნენ, სადაც მოეპრიანებოდათ, მრავლდებოდნენ კურდღლებივით, სადაც სურდათ... არც ზოგიერთი ქვეყნის კოლონიზაციას თაკილობდნენ. ახლა კიდევ, აბა, შენ გაბედე და ფეხი შედგი მათ ტერიტორიაზე!... მათგან განსხვავებით, საზღვრის გადალახვას თოფ-იარაღით გაქეცილი არ ვაპირებ, არც ჯარისკაცების ლაშქარი მომყვება უკან, არც კეთილშობილ მისიას ვარ ამოფარებული და სხვისი ენის, კანონებისა და რელიგიის შეცვლა მაქვს განზრახული. არა, ბატონებო, მე მათ არ ვიპყრობ. არც რამის გადაკეთებას ვაპირებ. უბრალოდ, მსურს ჩემთვის ერთი მტკაველი მიწა მოვიწინო და ისე მოვეწყო, რომ არავინ შევანჯხო.“

მეორე მხრივ, კეთილგანწყობილი ევროპისთვის ამდენი არალეგალი დიდ ტვირთადაა ქცეული. ევროპელთათვისაც მომავლებელნი უნდა იყვნენ უკანონო, ენის უცოდინარი

და უქონელი, არაფრის მაქნისი და შემანუხებელი ადამიანები, პარაზიტები, ზოგიერთ მათგანს მუშაობაც რომ ეზარება. თუმცა ალბათ მაინც გაუმართლებელია ის გულგრილობა, რომლითაც მათ ევროპაში ხვდებიან. ისინი ფაქტობრივად არ არიან ადამიანებად აღქმულნი. ყველაზე რთული ასატანი თანაგრძნობისა და თანაგანცდის უქონლობაა.

და მაინც, ფრანგი მწერალი საად საადს ათქმევინებს: „როცა საფრანგეთის მიწაზე შევდგი ფეხი, ბედი ჩემს მიმართ მეტად ღმობიერი და შემწყნარებელი მეჩვენა...“ თუმცა რა გითხრათ... მთავარი ისაა, რომ ყველა ქვეყანაში არიან გულისხმიერი ადამიანები, როგორცაა ლტოლვილთა ბედი შენუხებული ფრანგი პოლინა, მაქსი, ის იტალიელი ოფიცერი, საადს პატიმრობიდან გაქცევაში რომ ეხმარება, დოქტორი შელკერი, რომელიც არალეგალთა დასახმარებლად ყველაფერს აკეთებს. რთულია გამიჯნო ცალკეული ადამიანების საქციელი ქვეყნებისაგან. აქ ისევ მაალუფის „დამლუპველი იდენტობანი“ გაგახსენდება: „თითოეულ ადამიანი ერთი კერძო შემთხვევაა – რთული, ერთადერთი, შეუცვლელი მთლიანობა. ყოველი ადამიანი განსხვავებულია. არ არსებობს სრულიად იდენტური პიროვნებანი. ჩვენ კი გამარტივების მიზნით სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ერთი და იმავე სიტყვით ვაერთიანებთ: „სერბებმა დახოცეს“, „ინგლისელებმა დაარბიეს“, „არაბები უარს აცხადებენ“ და სხვ.“ დამლუპველია ნებისმიერი იარლიყი. არასწორია, როცა არსებობს „ჩვენ“ და „ისინი“, სადაც „ჩვენ“ აუცილებლად უდანაშაულოა და „ისინი“ – უცილობლად დამნაშავენი.

წანარმოებში უჩვეულოა ის, რომ ერაცეული საადი თავის ამბავს პირველ პირში გადმოგვცემს. მისი გაცდებისა და შთაბეჭდილებების „ავტორი“ კი ფრანგია. რომანი ისე მთავრდება, რომ ულისეს საერთოდ არ უჩნდება უკან დაბრუნების სურვილი, არ უჩნდება ნოსტალგია. თითქოს მამასთან ერთად თავისი თავგადასავალიც დაასაფლავა. საინტერესოა, ასეთივე ფინალი ექნებოდა თუ არა წანარმოებს, მისი ავტორი არაბი რომ ყოფილიყო. მართალია, დღევანდელ მსოფლიოში საკუთარი თავისა თუ ადგილის პოვნა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ნუთუ ეს წარსულის დავიწყებით მიიღწევა?! საადმა მთელი გულისყური ლონდონს და იქ დაწყებულ ახალ ცხოვრებას მიაპყრო. და განა მან საკუთარი „მე“, ერაცემი რომ შეებლავა და გზად სულ რომ დაეკარგა, იპოვა ინგლისში?! ულისე ხომ ვერ განგლისელდა და ვერც ინგლისელებში გაერია – ის ინგლისში ჩამოსულ ემიგრანტებს მიეწება. მიუხედავად ამისა, არ დაუკარგავს იმედი. საად საადი ხომ არა მხოლოდ „სევდიან სევდიანს“ (ინგლისურად), არამედ „იმედ იმედსაც“ (არაბულად) ნიშნავს: „სამი ათასწლეულის წინ ერთი ადამიანი, სახელად ულისე, ომმა ძალიან, ძალიან შორს რომ გადაისროლა, შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა. მე კიდევ პირიქით, ომით გავეერთებული ქვეყნის დატოვება მქონდა აკავალტებული. ვიმოგზაურე. გზად ურიცხვი წინააღობის გადალახვა მომიწია. მე ულისეს სრული ანტიპოდი ვავხდი. ის სამშობლოს უბრუნდებოდა, მე იქიდან ვავრბოდი. მას გზა აქეთ ედო, მე – იქით. ის ილტვოდა იმ ადგილისკენ, რომელიც ასე უყვარდა, მე მსურდა საძულველ ქალაქს გავმიჯნოდი. მან ზედმინეწით უწყოდა, სად იყო მისი ადგილი, მე ჯერ კიდევ ვეძებ ნავსაყუდელს. მისთვის წანარმოების წყალობით ყველაფერი იყო განსაზღვრული, წინ უნდა ევლო თავანუელს და

ერთ მშვენიერ დღესაც დამსახურებულად ბედნიერი უნდა გარდაცვლილიყო. მე ჩემს სახლს სამშობლოს მიღმა, სხვაგან, სადღაც უცხოეთში ავაშენებ. მისი ოდისეა ნოსტალგიით იყო გაჟღერებული. ჩემი კი მომავლის იმედით სუნთქავს.“

„ულისე ბაღდადიდან“ საინტერესოა მისი ავანტიურული ხასიათის გამოც. თხრობა საკმაოდ დინამიურია. წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, რაც მხოლოდ ერიკ-ემანუელ შმიტის

ოსტატობის დამსახურება არ უნდა იყოს. ამაში შესანიშნავ მთარგმნელს მერაბ ფიფიასაც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის. ბაღდადელი ულისეს ამბის გაზიარება დაგვეხმარება, უკეთ გავიაზროთ არა მხოლოდ საერთოდ, 21-ე საუკუნეში საკუთარი ადგილის მაძიებელ, ყარბობით დაღლილ ადამიანთა ზვედრი, არამედ უცხო ქვეყნებში ნებაყოფლობით ლტოლვილად ჩაბარებულ ქართველთა მდგომარეობაც.

ღიაღობი

მეორე სიცოცხლე

□

ანა ბარკინიშვილს ესაუბრა ზურაბ კანდელაკი

აი, ამ სამყაროში კი ყველაზე დიდი ძალა ხმას აქვს.

სანახაობა აქ საერთოდ არ არსებობს, მხოლოდ სხვადასხვანაირი ინტონაციითა და ემოციით ახმიანებულ სიტყვებს მიჰყვები და ეს ხმა გიხატავს სამყაროს, ადამიანებს, მათი სულის უღრმეს შრეებს, ჩვენს ყოფას თავისი უცნაურობითა და საცნაურობით, ბედნიერებითა და ტრაგიზმით და მერე...

მერე თითქოს თვალნათლივ ხედავ, როგორ იკვეთება კონტურები ამ უხილავი სამყაროსი, მთელი სიცხადით გრძნობ მის გულისძგერას, არანაკლებ თვალსაჩინო ხდება შენთვის ქვეყნიერება, ადამიანები ამ უსასრულო ქვეყნიერებაზე თავისი ათასგვარი საზრუნავითა და საფიქრალით... ახლაც, აი, ახლაც რა სულისშემძვრელად, რა დამზაფრელად გაისმის:

„მიშველეთ!.. მიშველეთ!.. მიშველელი კი არსადაა.“

მიშველელს ვინ ჩივის — ნეტა მისი ოთახის კარ-ფანჯრები მაინც არ ამოეყოლა... ასე როგორ გაიმეტეს!.. გაიმეტეს, დიახაც, ზედმეტი შიშისგან არ მოსვლიათ ზაფრად — დრო უხელთეს და ჩამოიცლიეს“.

თუ ვინ და რატომ ჩამოიცლიეს, რისთვის და როგორ გაიმეტეს, ამის შესახებ მოგვითხრობს როსტომ ჩხეიძის დეტექტიური ჟანრის პიესა „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“, თემატურადაც და კონცეფციურადაც გაგრძელება რომ არის მისივე პირველი პიესისა „ლეგენდა ისკანდერიისა“.

ერთ დროს კარგად ცნობილი კომედიოგრაფის ზურაბ ანტონოვის დრამატურგიული ნიმუში „მზის დაბნელება



საქართველოში“ კიდევ რომ განხორციელდა თეატრალურ სცენაზე, ძალიან პოპულარული იყო, თუმცა მისი ავტორის ტრაგიკულ აღსასრულს დროის მტვერი წაფარებოდა. სწორედ ეს მოვლენა აღმოჩნდა ის ქარგა, რომელზეც ააგო პიესა ბატონმა როსტომმა და, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ასე გამოხატა მწერლისა და მწერლობის ტრაგიკული ბედისწერა, მისი ამოო მცდელობა თუ მიმოწყდომა — შეცვალოს მძიმე, შემზარავი რეალობა, სასიკეთო კვალი დააჩნოს ცხოვრების მდინარეებს.

სულ ახლახან კი პიესა, ზურაბ კანდელაკის ძალისხმევით, რადიოში დაიდგა და ამ სპექტაკლით კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში შეემატა როსტომ ჩხეიძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ რადიოსპექტაკლთა ციკლს. სწორედ ეს გახდა საბაბი ბატონ ზურაბთან შეხვედრისა და ჩვენი საუბარიც ამ ახალი სპექტაკლით დაიწყო:

— როცა გადავწყვიტეთ რადიოში დაგვედგა ეს პიესა, პირველი, რაც მომაფიქრდა, იყო ის, რომ ჩვენ გვაქვს უნიკალური ჩანაწერი იმ სპექტაკლისა „მზის დაბნელება საქართველოში“. ქართული თეატრი რომ აღდგა კოტე მარჯანიშვილის თაოსნობით, პირველი სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ დაიდგა, მეორე კი — „მზის დაბნელება საქართველოში“. ეს არის 1940-იანი წლების ბოლო, ერთ-ერთი პირველი სტუდიური ჩანაწერი რადიოფონდში. ჩვენ უბრალოდ ფონი გავუკეთეთ,

თითქოს ეს ყველაფერი თეატრში ხდება. ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა. ის ხმები ძალიან შთამბეჭდავად ჩაენერა სპექტაკლში.

— არანაკლებ შთამბეჭდავია მსახიობთა ხმებიც... რამდენიმე მაინც ისეთი სახასიათოა... აი, თუნდაც პლატონ იოსელიანის როლის შემსრულებელი...

— რევაზ თავართქილაძე... უნიჭიერესი მსახიობი, შესანიშნავი პიროვნება, გამორჩეული ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში და ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი რეჟისორისთვის — ბატონი რეზო ყოველთვის ზუსტად ხედავდა პერსონაჟის ხასიათს, მაშინვე აგნებს საჭირო ტონალობას და შენ წინაშე აცოცხლებს ამა თუ იმ გმირს.



**— საერთოდ, როგორ არჩევთ ხოლმე მსახიობებს?**

— გააჩნია რა საშუალებანი გვაქვს. მე, მაგალითად, მიმანია, რომ ხმა და გარეგნობა რალაციით უნდა ჰგავდეს ერთმანეთს, და თუ არაფერი მიშლის ხელს, ვირჩევ მსახიობს, რომელიც, ჩემი თვალსაზრისით, სცენაზეც შეასრულებდა ამ როლს. თუმცა, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც — შესაძლოა სცენაზე მსახიობმა კარგად ითამაშოს, მაგრამ რადიოსპექტაკლში ეს ვერ მოახერხოს, რადგან მაინც სხვა სპეციფიკაა. ამ პიესაზე მუშაობისას მსახიობთა შესახებ ბატონ როსტომთანაც მქონდა საუბარი. ილია აქ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მსახიობი ცოტა უფროსი შევარჩიეთ, რადგან გამორჩეული ხმა გვჭირდებოდა, არა რეკლამებსა და სერიალებში გაცვეთილი, ამავე დროს დამაჯერებელი. ვფიქრობთ, გივი ჩუგუაშვილმა კარგად გაართვა თავი ამ ყველაფერს...

**— ისიც საინტერესოა, მწერლის ხმა რომ შემოდის — სპექტაკლს ხომ როსტომ ჩხეიძე იწყებს...**

— საქმე ის არის, რომ „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“ თეატრალური პიესაა. ეს გარკვეულ სირთულეს ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ სცენაზე ყველაფერს მოქმედებაში ხედავ — ვთქვათ, წინა პლანზე შესაძლოა რალაც ხდებოდეს, სადაც, კუთხეში კი განათდეს სცენა და გაისმას ზურაბ ანტონოვის ყვირილი: „მიშველეთ!“ — რადიოში კი გარემოც, მოქმედებაც და დეკორაციებიც ხმით უნდა შექმნა. ამიტომ ვთხოვეთ ბატონ როსტომს, თვითონ დაეწყო თხრობა — ის გვიყვება და მერე, ჩვენი ჩანაფიქრით, თითქოს სპექტაკლი გრძელდება ისე, როგორც ავტორს წარმოედგინა. სხვათა შორის, მას „ქაქუცა ჩოლოყაშვილიც“ წავაკითხეთ ტექსტი — იქ უფრო მოზრდილი. ერთი სიტყვით, მსახიობადაც ვაქციეთ...

**— ამ სპექტაკლში კი შემდეგ შემოდის მთხრობელი, რომელიც დეკორაციებსაც ავინერს, გარემოსაც... ძალიან უხდება სპექტაკლს და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხელშესახებს ხდის მსმენელისთვის ვითარებას, რომელიც ხდება მოქმედება...**

— ზურაბ ცინციკლაძე ასრულებს ამ როლს და, ვფიქრობ, სახასიათოდ აცოცხლებს სცენას მსმენელისათვის. საერთოდ, თეატრალური პიესის რადიოში განხორციელება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მოთხრობის ან რომანის რადიო ან კინოინსცენირება...

**— სცენარზე მუშაობას გულისხმობთ?**

— დიახ. ჩვეულებრივ, სცენარზე მუშაობას უფრო მეტ დროს ვანდომებ-ხოლმე, ვიდრე სპექტაკლის ჩანერას. დიდხანს ვფიქრობ, რას შეველიო და რას არა. ამ შემთხვევაში გამზადებული პიესა მქონდა ხელთ, მხოლოდ ცოტაოდენი შემჭიდროება დამჭირდა, მაგრამ რომანების შემთხვევაში გაცილებით რთულადაა საქმე. ხმის რეჟისურასა და მუსიკალურ გაფორმებაზე ბაკო ხვიჩიასთან (იპოლიტე ხვიჩიას შვილიშვილია) ერთად ვიმუშავე. ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა. „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“ სცენაზე ალბათ სხვანაირად დაიდგმება, რადიოში კი სხვა ხაზი წამოინია. არის ადგილები, რომლებიც შესაძლოა ავტორისთვის უფრო მნიშვნელოვანია — მაგალითად, ელიზბარ ერისთავის შეხედულება ვაჭრებზე — მაგრამ... სპექტაკლში არ შევიდა. ჯერ ერთი, დრო მაინც შეზღუდულია და თანაც, ასე მგონია, რიტმს დაარღვევდა...

**— ახლა, როცა სპექტაკლი შედგა, მაინც ფიქრობთ, რომ ეს პიესა უფრო სცენისთვისაა?**

— სცენაზე დადგმას ალბათ თავისი სირთულე და ხიბლი ექნება. მე, მაგალითად, ამ რადიოსპექტაკლის ერთ-ერთ სიმდიდრედ მიმანია ძველი ჩანაწერების გამოყენება — სახელდობრ ფრაგმენტებისა ზურაბ ანტონოვის პიესიდან „მზის დაბნელება საქართველოში“ ნიკო გოცირიძისა და ალექსანდრე სიხარულიძის მონაწილეობით. სცენაზე ეს რალაცნაირად ხომ უნდა გაცოცხლდეს. საერთოდ, რეჟისორზეა დამოკიდებული — რა თვლით შეხედავს, რომელ ხაზს წამოწევს... ახლა, როცა „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“ დაიდგა, მგონია, რომ შესანიშნავი რადიოსპექტაკლია.

**— როსტომ ჩხეიძის კიდევ ერთი დრამატურგიული ნიმუში — „ლევენდა ისკანდერისა“ — წარდგინებისას, მახსოვს, თქვენ დაგაეჭვათ მისმა ბედმა — აღნიშნეთ, რომ ამ პიესის რადიოში თუ სცენაზე გაცოცხლება რთული იქნებოდა...**

— რადიო — ნაკლებად, უფრო სცენა ვიგულისხმე. ჯერ ერთი, ჩემი დაეჭვება გამოიწვია იმან, რომ ჩვენი თეატრები ასეთი თემებით ნაკლებად ინტერესდებიან; მეორეც: ცოტათი ძნელი მგონია იმ პერსონაჟთა გაცოცხლება სცენაზე. რთულია ითამაშო პავლე ინგოროყვა, სანდრო ახმეტელი, ოთარ ჩხეიძე... ყველას თავისებურად წარმოუდგენია და ამ მხრივ არსებობს საშიშროება მაცურებლის მოლოდინის გაცრუებისა.

**— რაც შეეხება თემებს... თუნდაც მხოლოდ როსტომ ჩხეიძის რომანების მიხედვით, თქვენ იმუშავეთ რადიოსპექტაკლზე ისეთ მოღვაწეთა ცხოვრების შესახებ, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ორბელიანი, პავლე ინგოროყვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რეჟისორმა კობა ცხაკაიამ დადგა „ეკლიანი და პატარა გზა“ — ილია ჭავჭავაძის შესახებ... და მაშინდელი გამოხმაურებებით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოების ინტერესი ამ რადიოსპექტაკლებს არ მოჰკლებია...**

— თეატრების ინტერესს ვგულისხმობ, თორემ საზოგადოებას ასეთი თემებისადმი ნოსტალგია აქვს. სამწუხაროდ, თვითონ თეატრები მიდიან სხვა გზით. პავლე ინგოროყვას შესახებ რომ დავდგით სპექტაკლი, დავარქვით „ერი შენი იხსენ სახიერებით“. მერე ამ სათაურით გავაერთიანეთ ეს ციკლი, რომლითაც როსტომ ჩხეიძის სხვა ბიოგრაფიული რომანებიც გავაცოცხლეთ მსმენელისთვის. ამ რუბრიკით დაიდგა მარო მაცაშვილის დღიურები, გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის მოგონებანი — მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის სპექტაკლები. სხვათა შორის, გიორგი კვინიტაძის ხმის ჩანაწერიც გვქონდა და გამოვიყენეთ სპექტაკლში...

**— უკვე ხუთი პიესა დაიდგა რადიოში როსტომ ჩხეიძის თხზულებათა მიხედვით... რომელიმეზე მუშაობას ხომ არ გამოარჩევდით?**

— სირთულის თვალსაზრისით, მაინც პავლე ინგოროყვას შესახებ რომანს გამოვარჩევ. მახსოვს, ყველაფერი მინდოდა შემეტანა სპექტაკლში, არაფერი მეთმობოდა, მაგრამ... მერე ფორმა გამოინახა — თავების სათაურების მიხედვით — და აქედან გაიხსნა სპექტაკლის კომპოზიცია. მაშინაც მწყდებოდა გული ბევრ ეპიზოდზე, მაგრამ სპექტაკლი უკვე რალაცნაირად შეკრული იყო და რამის დამატება, ჩემი აზრით, გააფუჭებდა. სხვათა შორის, ამ სცენაზეც ამოსავალი იყო დოკუმენტური ჩანაწერები — პავლე ინგოროყვას გარდა, გვქონდა ვასილ მჟავანაძის, ირაკლი

აბაშიძის... ხმები. ეს ყველაფერი მეტ დოკუმენტურობას, მეტ რეალიზმს მატებს სპექტაკლს.

— **თანაც თვითონ ამბებიც ძალიან საინტერესოა, ბევრი რამ ხომ უცნობია საზოგადოებისთვის...**

— ცხადია... პავლე ინგოროყვას შესახებ სპექტაკლი რომ მოისმინეს, ბევრმა იკითხა: ნუთუ მართლა ასე იყო ეს ყველაფერი. თუნდაც ზურაბ ანტონოვის ამბავი გავიხსენოთ — ის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“ ყველამ იცოდა, მაგრამ თვითონ მისი გარდაცვალების ისტორია მიჩქმალული იყო. ამიტომ ამ ყველაფერს შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს და რაც დრო გავა, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად დაფასდება.

— **ნლების წინათ კი ეს ციკლი „ალექსანდრე ორბელიანი“ დაიწყო...**

— თუ არ ვცდები 1995 წელი იყო. ძალიან რთული ხანა. მაშინ ტელე-რადიო ინსტიტუტში სასცენარო ოსტატობას ვასწავლიდი. მყავდნენ გამორჩეული სტუდენტებიც, მათ შორის, ნათია ხოშტარია და მაკა სხილაძე. შევთავაზე, ემუშავათ ამ სცენარზე. მერე ერთადაც დაეხვეწეთ... სპექტაკლზე მუშაობისას კიდევ ბევრი რამ შეიცვალა... სხვებთან შედარებით, ეს სპექტაკლი ყველაზე შეკუმშულია, მაგრამ, ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა.

— **როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანებით თითქოს ცალკე ციკლი და ხაზი გამოიკვეთა რადიოსპექტაკლების ისტორიაში...**

— საერთოდ, ბატონ როსტომს დიდი წვლილი მიუძღვის რადიოპიესების პროპაგანდაში. ჩვენი თანამშრომლობა — ბატონი როსტომის თანამშრომლობა რადიოთეატრთან, თორემ ლიტერატურულ რედაქციასთან მანამდეც ჰქონდა ურთიერთობები — დაიწყო ნლების წინათ. მაშინ ჩავატარეთ პიესების კონკურსი — გერმანულმა მხარემ შემოგვთავაზა გამოგვევლინა ხუთი საუკეთესო რადიოპიესა, რომლებიც ითარგმნებოდა გერმანულად, მათ შორის გამორჩეულს კი იმ დროისათვის სოლიდური პრემიით დააჯილდოვებდნენ. უიურიში ბატონი როსტომიც იყო. კონკურსის შემდეგ, მისი იდეითა და თაოსნობით, გამოვეცით რადიოპიესების კრებული. მას მეორე კრებულებაც მოჰყვა, რომელშიც ორი უცხოური პიესაც გაერთიანდა. იმ კონკურსმა მთელი ორი წელი გვასაზრდოვა. მახსოვს, ოცი პიესა დავედგით მაშინ...

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები კი მართლაც ცალკე შემეცნებითი და ეროვნული ხაზია რადიოსპექტაკლების ისტორიაში. მათი გაცნობა ძალიან ბევრს გაძლევს ადამიანს. მითუმეტეს, როცა სცენარზე მუშაობ. ამ დროს სხვანაირად შედიხარ ტექსტში, სხვანაირად უღრმავდები, ცდილობ, რაც შეიძლება კარგად გაუგო მწერალს, უკეთ გაიზიარო მისი პოზიცია...

— **და გააზიარებინო მსმენელსაც, რომელიც, როგორც ჩანს, არის და არ აკლდება რადიოს...**

— სხვათა შორის, რაც დრო გადის, ვფიქრობ, რომ მსმენელი არის და, რაც მთავარია, ახალგაზრდები ისმენენ. ეს უკვე ინტერნეტიდანაც ჩანს, რომელმაც ძალიან შეუნყო ხელი რადიოს პოპულარიზაციას. ამას გამოსმაურებანიც მოწმობს...

— **რაკი გამოხმაურებანი ასხენეთ, იქნებ ისიც გვითხრათ, ამ სპექტაკლებს როგორი რეზონანსი ჰქონდა?**

— მახსოვს, „ერი შენი იხსენ სახიერებით“ პირდაპირ ეთერში განვიხილეთ. მერე, თუ არ ვცდები, ამ განხილვის

ლიტერატურული ვერსია დაიბეჭდა კიდევ. იმდენი ზარი შემოვიდა, ისე გამოეხმაურა მსმენელი, ძალიან გვიხაროდა შემოქმედებით ჯგუფს. მაშინ „რადიო 2“ მუშაობდა და პრემიერის შემდეგ განხილვები იმართებოდა ხოლმე. ახლა, სამწუხაროდ, ასეთი რამეები რადიოს აღარ აინტერესებს. სამაგიეროდ, ინტერნეტი აქტიურობს ძალიან და, ვფიქრობთ, იქნებ ინტერნეტგანხილვები გავმართოთ ხოლმე. ევროპაში ეს ჟანრი ძალიან პოპულარულია და დიდ სიმაღლეებსაც მიაღწია. ჩვენთან... ჯერ მხოლოდ ვცდილობთ.

— **თქვენ ახლახან ჩამოხვედით გერმანიიდან, სადაც რადიოსპექტაკლების ფესტივალი გაიმართა და ეს შთაბეჭდილება ალბათ ამ ფესტივალიდან ჩამოგვყვით...**

— უფრო სწორად, გამომყარა ამ ფესტივალმა. ძალიან საინტერესო სპექტაკლები მოვისმინე. წინ მიდიან აშკარად და ტექნიკურ მიღწევებს წარმატებულად იყენებენ. აშკარად მაღალი დონეა. უნგრელების ნამუშევარი მომეწონა ძალიან — ფრანც კავკას შესახებ. ცხრა ენაზე ჰქონდათ ჩართული ნაწყვეტი მწერლის ერთი მოთხრობიდან, გაფორმებული ორიგინალური მუსიკით. სპექტაკლში კავკას უკანასკნელი სიყვარულის ამბებიც შემოდიან. რამდენი ხანია მინდა და ვთხოვ მაია ჯალიაშვილს, გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი სიყვარულის ამბავი პიესად დანეროს და ამის შესახებ დავდგა სპექტაკლი... საერთოდ, გერმანიის ფესტივალი ბევრ ახალ სივრცეს ხსნის ხოლმე ჩემთვის, მერე ახლებურად ვუყურებ რალაცებს...

— **ალბათ გეგმების დასახვის თვალსაზრისითაც...**

— რა თქმა უნდა, გარკვეული გეგმები მაქვს. რაც მთავარია, მიხარია, რომ ეს ჟანრი ვითარდება. ახლახან უნივერსიტეტიდანაც დაინტერესდნენ — იქ ყოველწლიურად ატარებენ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა“ და გამომიგზავნენ შვიდი პატარა მოთხრობა, რათა რომელიმე დაიდგას რადიოში. ამ რუბრიკას „ერი შენი იხსენ სახიერებით“ ისევ გავაგრძელებთ. მინდა მუშაობა და ვინცო მისაკო წერეთელზე, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის — „მგზავრი თიბათვის მზეში“ — მიხედვით. ამავე ციკლისთვის საინტერესო მეჩვენება ვაჟა-ფშაველას თემა, მიხო მოსულიშვილის ბიოგრაფიულ რომანზე დაყრდნობით. მიხაკო წერეთლის სცენარზე მე ვიმუშავებ. საერთოდ, ყველა კარგი ნაწარმოები რთულია დასამორჩილებლად. ეს ნიშნავს, რომ ნაწარმოებს, რომელსაც ერთი სიცოცხლე უკვე მისცა ავტორმა, შენ მეორე უნდა შესძინო; დაშალო ერთი სახლი და ააშენო მეორე. რა თქმა უნდა, მერე თითოეულის შესახებ მიფიქრია, რომ შეიძლება უკეთ გამოეკეთებინა. საკუთარ პიესებთან მიმართებით მქონია კიდევ ცდები შეცვლისა, რემიქსების გაკეთებისა, ხელახლაც დამიდგამს, მაგრამ... ძირითადად მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ერთი და იგივე სპექტაკლი ხუთჯერ დავდგათ, ამიტომაც ვცდილობთ, ბოლომდე დავიხარჯოთ. მინდა მსახიობთა მთელი ის ჯგუფი ჩამოგიტვალოთ, ამ სპექტაკლზე რომ მუშაობდა. ესენი არიან: გივი ჩუგუაშვილი, რევაზ თავართქილაძე, ზურაბ ცინცილაძე, კახა გოგობიძე, ბესო მეგრელიშვილი, სოსო ხანიძრაძე, პავლე ნოზაძე, პაატა კიკვაძე, გიორგი კაჭახიძე, ლილი ხურიანი.

— **თითოეულმა თავისი გამორჩეული შტრიხი და ხასიათი შესძინა სპექტაკლს და შედეგიც თვალნათლივია...**

— ამას უკვე მსმენელი შეაფასებს...

ლია კარიჭაშვილი

## მკვიდრი მამული

საბედისწერო ალტერნატივა – „თუ სანუთრომან დამამხოს“ – სიკვდილის მოლოდინია. რა უნდა იყოს უკანასკნელი სურვილი მორწმუნე კაცისა, თუ არა სულის ხსნა. სწორედ ეს მიზანი აქვს ავთანდილის ვედრებას მეფისადმი, გასცეს მისი საგანძური გლახაკებისთვის, გაათავისუფლოს მონები, რათა ლოცვით იხსენიებდნენ მის სახელს: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. რაც მთავარია, მათი ლოცვა უნდა შეენიოს ავთანდილს სასუფევლის დამკვიდრებაში. სწორედ ესაა მისი უმთავრესი და საბოლოო სურვილი: „ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულმხურვალები, დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურად შევიცვალები, კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა, ნუმცა მწვავს იგი ალები, მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ ჩემი სასურვალები“.

სამოთხე – „მკვიდრივე მამულია“, „მუნ სასურვალები“. რასაკვირველია, ამგვარი სახელდება მამულისა გვახსენებს ადამის უპირველეს სამკვიდროს, ედემს, რომელიც მან დაკარგა და მისი კვლავ დამკვიდრება ადამიანის ესქატოლოგიურ მიზნად იქცა. ეს ტაეპი ისეთივე ბიბლიური ალუზიაა, როგორც მეფე როსტევეანის ნათქვამი: „იგივეა მხსნელი ჩემი, ვინცა მინა გამაკაცა“. აქ ჩანს ადამის, ზოგადად, ადამიანის და პიროვნების ეგზისტენციური მეს გადაკვეთა, ერთობლიობა. ასევე განმსჭვალავს ადამის სახე-ბა ავთანდილის ვედრებას: „მომცეს მკვიდრივე მამული“.

სინტაგმა „მკვიდრი მამული“ პოემამი ორჯერ დასტურდება. ზემომოხმობილ სტროფში თუ ის სამოთხის აღეგორიაა, ტაეპში „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა“, მიწიერ მამულს – სამშობლოს აღნიშნავს. ეს სიტყვები ნესტან-დარეჯანის შთაგონებით ტარიელმა უნდა განუცხადოს მეფე ფარსადანს, როგორც ინდოეთის სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ. ამდენად, „მკვიდრი მამული“ სემანტიკა ბინარულია. მას აქვს პირდაპირი და გადატანითი, საერო და საღვთისმეტყველო მნიშვნელობანი.

ცალ-ცალკე „მკვიდრი“ (სამკვიდრო) და „მამული“ – შინაარსობრივად ახლოსაა ერთმანეთთან. ძირითადად მათი განმარტებები ასეთია:

„მამული – მამისეული.

დამკვდრება – სანიადაგოდ დაპყრობა, სანიადაგოდ დასახლება“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული)  
„მამული – სოფელი, სამშობლო, მამა-პაპა, ტომი.

მამული – მამაპაპური, მამეული, მამობრივი, მშობლიური“ (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

„მამულს“ აქვს როგორც ვიწრო (კერძო მამული), ასევე ფართო გაგება (სამშობლო).

„დამკვიდრებაში“, ისევე როგორც „მამულში“, „იკითხება“ მინა, ნიადაგი, როგორც ამას მიანიშნებს სულხან-საბასეული განმარტება. როდესაც სიტყვა „დამკვიდრება“ უკავშირდება „საუკუნოს“, როგორც „უჟამო ჟამს“ („ცხო-

რება? საუკუნო? დავიმკვიდრო“ მრ.10.17), ხდება მინის „განსულიერება“. აქ ქრონოტოპი ზესივრცული და ზედროულია. სწორედ „სულიერი მინის“ განცდა ჩანს დავით გურამიშვილის ვედრებაში უფლის მიმართ:

**გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხო, ჯოჯოხეთში ნუ ჩამავდებ, მიწყალობე სამოთხეო.**

დამარხვა (ასოციაციურად მინა, მატერია) უფლის „კერძ“ გულისხმობს დამკვიდრებას სამოთხეში. ზოგჯერ „მამულს“ ახლავს ეპითეტი „მიწიერი“, რაც ოპოზიციურად მის არამიწიერ განზომილებაზეც მეტყველებს. ზეციურ და მიწიერ მამულთა ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორც იდეასა და მის მატერიალურ განსახოვნებას შორის.

„ქართულში სიტყვათა სემანტიკურ ბინარულობას ხშირად ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვა განაპირობებს. ამ მხრივ, მიზანშეწონილია დაკვირვება სულიერ სფეროთა აღმნიშვნელ სიტყვებზე, რომლებსაც მეორე, ყოფითი მნიშვნელობაც აქვთ“ – აღნიშნავს რევაზ სირაძე და საილუსტრაციოდ ასახელებს „სიტყვას“ (ლექსიკური ერთეული და ლოგოსი), „ერთს“ (რიცხვითი სახელი და ლვითური ყოვლისმთლიანობა), „სახეს“ (პირისახე და არსობრივი ფორმა), „სამოთხეს“ (ბალი და სულეთი) („ქართული კულტურის საფუძვლები“). ამ სიტყვათა რიგში მოიაზრება მამულიც.

რას ეყრდნობა „მამულის“ ბინარული სემანტიკა, აქვს თუ არა მას „ვეფხისტყაოსნის“ წინარე ლიტერატურული ტრადიცია?

სასულიერო მწერლობაში სასუფეველი ხშირად მოიხსენიება ზეციური ქალაქის, იერუსალიმის სახელით. ის არის ქრისტიანი სულის სამშობლო და საბოლოო სამკვიდრებელი, ისევე როგორც ქრისტიანის „თქსი“ უპირველესად სულიერი ნათესაობაა. „რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი“ (მ. 12.50).

„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ენა ასე განსაზღვრავს სასუფეველს: „ღვთისმსახურებასა საიდუმლოსა შინა ერთი მამული პატივცემულ არს, რომელ არს სამოთხე, პირველისა მის მამისა ჩუენისა საყოფელი, და ერთი ქალაქი, რომელ არს ზეცისა იერუსალემი, ცხოველთა მათ ქვათა მიერ აღშენებული, რომლისა შემოქმედ და ხუროთმოძღვარ ღმერთი არს, და ერთი ნათესაობა, რომელ არს თჳსება ღმრთისა?“.

გიორგი მცირე სულიერ თვალს მიადევნებს გიორგი მთაწმიდელის განსვლას ხორცთაგან: „განიძარცვნა უკუე ტყავისა იგი სამოსელნი და რამეთუ სამოთხისა მკვდრთა არცა თუ ეხმარებიან ესევეთარნი სამოსელნი. არამედ იგი სამოსელნი ჰმოსიან მას, რომელნი იგი სინმიდითა ცხორებისა თვისისაჲთა უქსოვნა თავსა თჳსსა და მოიხვნა ღვთისაგან... განტევებულ იქმნა და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთაჲსა. საბრხე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხორება? ესე ნივთიერი და ნიაღვლო არა თუ ზღვა? იგი მენამული, არამედ შავი ესე და წყვედიადი ზღვა? ამის სანუთროსა. შევიდა ქუეყანასა მას ალთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი ... წარიხადა ხამლი სულისაჲ, და რათა საღმრთოთა მით სლვითა გონებისაჲთა წმიდისა მის ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა იგი შინა იხილვების ღმერთი და თჳსთა საკუთართა ხედავს და განუსვენებს“.

წმინდა მამები სამოთხის აღსანიშნავად ხშირად მიმართავენ სამშობლოს ცნებასაც. „რა დიდი ზღვარი ძვეს თვითგანდიდებასა და თვინიერებას შორის, ან რა განასხვავებს ერთმანეთისგან იმას, ვინც ხედავს ჭეშმარიტ გზას და მის ვერმხედველს, გზას, რომელსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში მივყავართ, რათა არამართო ვიხილოთ, დავიმკვიდროთ კიდევაც იგი“ (ნეტარი ავგუსტინე „აღსარებანი“).

ცნობილია, რომ ნეტარი ავგუსტინეს დედას, მონიკას, სამშობლოდან შორს უნია სიკვდილმა. უკანასკნელ დღეს შვილებს მოულოდნელად განუცხადა: „აი, აქ დამარხავთ დედათქვენს.“ ნეტარი ავგუსტინე იხსენებს: „ჩემმა ძმამ სანუგეშოდ ნაილულულა: ღმერთმა გვარიდოს ეს სიმწარე, რომ სამშობლოდან ასე შორს, უცხო მხარეში დაიმარხო. ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს შეკრთა, ვედრებით შეხედა მას, მერე ჩემზე გადმოიტანა მზერა და მითხრა: „გესმის, რას ამბობს?“ შემდეგ კი ორივეს მოგვმართა: „სულერთია სად დაასვენებთ ამ სხეულს, ერთსა გთხოვთ მხოლოდ, სადაც არ უნდა იყოს, უფლის საკურთხეველთან მოიხსენიეთ დედათქვენი“.

ამ სიტყვებმა გააკვირვა და აღაფრთოვანა ნეტარი ავგუსტინე. დედის ღრმამორწმუნებასთან ერთად სულიერი სიმამაცეც დაინახა: „მე კი, ღმერთო უხილავო, ვფიქრობდი ყველა იმ ნიჭზე, შენს ერთგულთ რომ უნერგავ გულში, მიხაროდა და მადლს გწირავდი. აკი ვიცოდი, რარიგ ღელავდა ყოველთვის თავისი დაკრძალვის თაობაზე, წინასწარ იჭერდა თადარიგს და მტკიცედ ჰქონდა გადწყვეტილი, ქმრის გვერდით დამარხულიყო. არ ვიცი, როდის ჩაქრა მის გულში შენი უსაზღვრო მადლის წყალობით ეს ფუჭი სურვილი. .... უკითხავთ, ნუთუ არ გეშინია, მშობლიური კუთხიდან ასე შორს დატოვო შენი სხეულიო? „ღმერთისთვის არაფერია შორს, უთქვამს დედაჩემს, და არც ისაა საშიში, რომ ქვეყნის დასასრულს ვერ გაიხსენებს, სად აღმადგინოს.“

რადიკალურია გრიგოლ ღვთისმეტყველის პოზიცია: „ჩვენ ყველას ... ერთი სამშობლო გვაქვს – ზეციური იერუსალიმი, რომელშიც დაცულია ჩვენი საუკუნო ცხოვრება. ყოველნი ერთი გვარ-ტომისა და წარმოშობისა ვართ. თუკი ქვენას, ამქვეყნიურს მოვიხილავთ, – ესაა მინა, მტკვერი, ხოლო თუკი უზენაესისადმი მივაპყრობთ მზერას, ეს ღვთაებრივი სულია, რომლის თანაზიარიც ჩვენ შევიქენით, რომლის შენარჩუნებაც ჩვენ აღთქმად მოგვეცა და ... ხოლო ეს ქვენა, ამქვეყნიური სამშობლონი და გვაროვნული კეთილმოზილებანი მხოლოდ ერთგვარი თავმესაქცევია ამ ჩვენი წარმავალი ცხოვრება-წუთისოფლისა. აქ, ამქვეყნიურ სამშობლოებში, ჩვენ ყველანი ერთნაირად უცხონი

და მსხემნი – ებრაელნი ვართ, რაოდენ სხვადასხვა სახელებსა და წოდებებს არ უნდა ვიგონებდეთ და წალმა-უკულმა ვატრიალბდეთ. ქრისტე მეუფეო, შენა ხარ ჩემი ერთადერთი და ნამდვილი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ნეტარება, შენ ყოველივე ხარ ჩემთვის“.

ამიტომაც წმინდა მამათათვის თითქოს უმტკივნეულოა (პატივი საღმრთო მისიისა ადამიანურ გულისტკივილს გადაფარავს) უფლის მოწოდებით დატოვონ თავიანთი სამშობლო და სულიერი ღვანლი აღასრულონ სრულიად უცხო მხარეში (როგორც იყო, მაგალითად, ასურელ მამათათვის საქართველო).

ამდენად, სასულიერო მწერლობაში დიფერენცირებულია „მკვიდრი მამული“, როგორც სამშობლო და სამოთხე – ზეციური სამშობლო. მათ შორის ცხადია, ღრმა შინაგანი კავშირია, მინიერი სამშობლო ზეციურს განასახოვნებს, თავის მხრივ სასუფეველი მინიერი სამშობლოს ღვთაებრივი იდეაა. ორთოდოქსული ქრისტიანული აზროვნებისთვის ცალსახაა, რომ უპირატესი სწორედ ზეციური სამშობლოა. ეს კარგად გამოჩნდა სასულიერო მწერლობასა და წმინდა მამათა ნააზრევში. ამგვარი დამოკიდებულება წმინდა წერილის ეფუძნება: „და შექმნა ერთისგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკვდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინა დაწესებულნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვდრებისა მათისანი მოძიებად ღმრთისა და უკუეთუმცა ვინ ეძიებდა, პოამცა იგი“ (საქმე მოციქულთა, 17. 26). ადამიანი იზადება განსაზღვრულ დროსა და ადგილას „მოძიებად ღმრთისა“. მიზანი მისტიკურია და მისი ვაცნობიერება პიროვნების თვითშემეცნების კვალობაზეა შესაძლებელი (“ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, ნავა სადაო“), ამიტომაც ზეციურ და მინიერ სამშობლოთა შორის ერთგვარი უხილავი ხიდი რწმენაა.

„მკვიდრის“ ბინარულ მოაზრებას ინარჩუნებს აღორძინების ხანის მწერლობა. საგულისხმოა, რომ სამშობლოს აღმნიშვნელ ცნებად „მამული“ არ ჩანს „დავითიანში“ (მას ენაცვლება „ქვეყანა“ ან „სამკვიდრო“ – „მოციტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ხელის შემოკრებით“), მაგრამ „მკვიდრი“ ალგორითული საზრისით საკმაოდ აქტიურია, მიემართება მარადიულ, საუკუნო ცხოვრებას და უპირისპირდება წუთისოფელს:

**რომელი ჩნდეს უფრო მკვიდრად, მას ებლაუჯეო, ნუ აჭმუნვებ მკვიდრ მიჯნურსა, ნუთი დაღრიჯეო.**

**მკვიდრ მიჯნურს ზურგსა შეაქცევს, ნუთს გულზე დაიკონებსა.**



ლია კარიჭაშვილი

**ნუთ მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუნყეს მტრობაო.**

ქართლის ჭირი, გურამიშვილის კონცეფციით, პირდაპირი შედეგია ქართველთა რწმენის შერყევისა, ისინი ასცდნენ ჭეშმარიტების გზას („რაც ცოდვის ბურმან მონისა“). ნაეფარა რა მათ ცნობიერებაში ჩრდილი ზეციურ მამულს, მინიერი სამშობლოს კონტურებიც დაირღვა. ჰაგიოგრაფიაში ცნობილია უკუპროცესიც: გაძლიერებულ რწმენას (და ლიტურგიკულ ენას) შეუძლია ამ დარღვეული კონტურების (საზღვრების) აღდგენა (შემოწერა): „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაა ყოველი აღესრულების...“ (გიორგი მერჩულე). აქ უკვე მჭიდროდაა დაკავშირებული მამული, ენა და სარწმუნოება, რომელთაგან ბოლო ორი, ენა და სარწმუნოება (იმ ისტორიულ ვითარებაში) მამულისა და ეროვნული იდენტობის ფუნდამენტად იქცა.

ეს კონცეპტი თავისთავში გულისხმობს პოტენციას ზეციური და მინიერი მამულის იდეათა დაახლოებისა, რომელთა სიმბოლური სინთეზიც განხორციელდა 60-იანელთა შემოქმედებაში მამულისა და უფლის, როგორც უმაღლეს ღირებულებათა, გათანაბრებით.

XIX საუკუნეში ქვეყნის პოლიტიკურ – სოციალური მდგომარეობის ფონზე გარკვეული იდეოლოგიური კრიზისი ასახა ენობრივმა სინდრომმა – „მამულის“ სემანტიკა დავიწროვდა. ამის შესახებ ილია შენიშნავდა: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენ საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფიზიკური გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავანამცევდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ დავანამცევდით. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითთულის სოფლის საკუთრებას“. თუმცა რომანტიკოსთა შემოქმედებაში მამული იკითხება „სამშობლოს“ მნიშვნელობით, მასზე ლოცულობენ და მზად არიან მსხვერპლად შეენირონ:

**დავენატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად, დავენატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად. (გრიგოლ ორბელიანი, „იარალის“)**

**ვინ გიხილოს დროთა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი, არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი! (გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელო“)**

**დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული. (ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“)**

ამ საკითხს ეხება ზურაბ კიკნაძე წერილში „ილიას მამული“: „ეს ცნება (და მცნება) უკვე არსებობს ილიას დაბადებამდე და, თუ ილია სამოციან წლებს მიანერს მის „გამობრწყინებას“ იგი ამ სიტყვის არა პირველ „ბიოლოგიურ“, არამედ ახალ სულერ დაბადებას უნდა გულისხმობდეს.“

რომანტიკოსთა შემოქმედებაში უკვე არსებობს ერთგვარი რელიგიური მიმართება მამულისადმი, მაგრამ 60-იანე-

ლებმა და, უპირველესად ილიამ, ამ დამოკიდებულებას შესძინეს რალაც სხვა, უფრო შინაგანი და ინტიმური, რასაც ზ. კიკნაძე უწოდებს მიჯნურობას, რომელსაც „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“. „ილიას მიჯნურობასაც მცირდნი თუ მიხვდნენ. რაციონალურ, ჭკვიანურ საუკუნეში ილიამ მიჯნურობის ირაციონალური საწყისი დაუკავშირა პატრიოტიზმს. მამული ისეთივე საგანი ხდება სიყვარულისა, როგორც ძვირფასი ქალია. ეს რალაც უჩვეულო რამ იყო. ამგვარ სიყვარულს ერთეულები თუ მიხვდებოდნენ და გაიზიარებდნენ“ (ზ. კიკნაძე) ყველაზე უკეთ თვითონ ილია გრძნობდა, რომ მისი სიყვარული მამულისადმი უმრავლესობისთვის გაუგებარი იყო. „ჭკვიანნი“ მის ლექსში „ბრიყვად“ გარდაისახა: „ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობ ... (ჩემო კალამო“).

დაუძლეველი მამული და შეგნება მამულიშვილობისა უნდა აზიდულიყო ისეთ სიმაღლეზე, შერაცხულიყო იმგვარ ღირებულებად, რომლისთვისაც თავგანწირვა პატივია, უზუნაესი დანიშნულება და მოწოდებაა, ამიტომაც მოხდა მისი საკრალიზება.

„ქართვის დედაზე“ დაკვირვებით ზ. კიკნაძე შენიშნავს, რომ პოემის სულისკვეთების, მთავარი საზრისის გაგება შესაძლებელია მაშინ, თუ მამულში ღვთის სახელს ამოვიკითხავთ. „ჩავსვით ყველგან მამულის ნაცვლად „ქართვის დედაში“ (ან მშობელი მხარის ნაცვლად აკაკის „განთიადში“) ღმერთი და ყველაფერი გასაგები იქნება.“

გაჩნდა შესაბამისი პოეტური სახეები: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“ (რაფიელ ერისთავი); „ჩემი ხატია სამშობლო“ (აკაკი); „დავიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა ღმერთად მოუცია მარტო მამული“ (ილია); „ვნახე სამოთხე ამქვეყნად, რა ტურფა სანახავია: ხელთ ეყურა კონად შეკრული ჩემის სამშობლოს ხატია“ (ვაჟა). სამშობლო და უფალი თითქმის იდენტურ უნივერსალიზებად, დაუნანვერებელ მთლიანობად მოიაზრება, ამიტომაც სამშობლოს მიწაში განსვენება სამოთხეში დამკვიდრების ტოლფასია:

**ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო, და რომ მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დავიბარეო: დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურამუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო. („განთიადი“)**

ვფიქრობთ, აქ სამშობლოს მიწა „მკვიდრი მამული“ (სამოთხის) რემინისცენციაა ეპოქალური ნიშნით აღბეჭდილი (შდრ. „მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ ჩემი სასურვალეები“, ან „გეაჯები ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“). აქ მამულის საერო და საღვთისმეტყველო მნიშვნელობებმა, შეიძლება ითქვას, ერთმანეთი გადაფარა. მათ შორის არ შეიძლება იგულისხმებოდეს რომელიმე უპირატესობა – ჭეშმარიტება თუ სამშობლო; სამშობლო თუ უფალი, არამედ ესაა სიმბოლური იგივეობა – ჭეშმარიტება სამშობლო.

შემდგომმა ეპოქამ „მკვიდრი მამული“ ან უბრალოდ „მამული“ თავისებური ინტერპრეტაციით გადაიზარა. ამიერიდან ცნება აღარ არის ბინარული, მისი საღვთისმეტყველო საზრისი ათეისტური ლიტერატურის საზღვრებს ვერ გადალახავდა.

ეკა ბუჯიაშვილი

# „ექსკლუზიური ინტელექტუალური თამაში“

□

მიხეილ ანთაძის რომანის წარდგინება

„სტრატეგია“ — ასე ჰქვია მიხეილ ანთაძის რომანს, რომლის წარდგინებაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში გაიმართა, თუმცა ეს უბრალოდ საბაზი იყო მასთან შეხვედრისა, რადგან ვინც მიხეილ ანთაძეს იცნობს, კარგად იცის მისი მრავალმხრივი ინტერესების შესახებ.

— უფრო დასავლეთს სჩვევია ასე — ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება იყოს პოეტიც, პროზაიკოსიც, დრამატურგიც, კინო თუ თეატრალური რეჟისორიც, მსახიობიც... თუმცა ქართულ კულტურულ სინამდვილესაც ჰყავს ასეთი მოღვაწეები, რომელთა შორისაცაა მიხეილ ანთაძე.

საზოგადოებამ კარგად იცის მისი თეატრალური დადგმებიც, ფილმებიც... წლების წინათ კი, როცა მისი მოთხრობები გამოქვეყნდა, საკმაო პოპულარობა მოიპოვა და შთამბეჭდავად შემოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. თავის დროზე ის ახალგაზრდა მწერალთა წრესაც ხელმძღვანელობდა და ნიკა სანებლიძესთან ერთად მართავდა შეხვედრებს, რომლებმაც თავისი კვალი დააჩნია მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას.

საერთოდ, იგი ის ადამიანია, რომელიც დაინტერესებულია არა მხოლოდ ლიტერატურით, არამედ მისი ზედითაც. მახსოვს, როგორ დადიოდა რედაქციებში და დაჰქონდა თავისი მეგობრების ხელნაწერები — მათი, ვისაც უჭირდა რედაქციებთან ურთიერთობა და არაერთი შესანიშნავი მწერალი აღმოუჩინა ქართულ ლიტერატურას.

„სტრატეგია“ კი არაორდინარული წიგნია, ვირტუალურ სამყაროში, რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე რომ გაგატარებს. საკმაოდ დახლართული, დეტექტიური ელემენტებით შეზავებული სიუჟეტი კომპიუტერულ თამაშებზეა აგებული და მწერალი ახერხებს ცოცხლად წარმოსახოს ეს ყველაფერი, რომანის ბოლომდე დატყვევებული ჰყავდეს მკით-

ხველი პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეით, სადაც თითოეული მათგანი კოლორიტულადაა დახატული.

რომანის კვლევა უნდა გაგრძელდეს. შესასწავლია როგორც ის ქაოტური რეალობა — რომანის ისტორიული ფონი — რომელშიც ვტრიალებთ, ასევე მისი მხატვრული გარდასახვა, ოსტატურად რომ ართმევს თავს მწერალი, — ასე წარადგენს „სტრატეგიას“ და მის ავტორს შეკრებილების წინაშე როსტომ ჩხეიძე და სიტყვას გადასცემს ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის — როგორც თვითონ უწოდებს — წარმომადგენელს ნანა კუციას, ვისი საგულისხმო მოხსენებებიც კარგად ახსოვს ლიტერატურული სალონის სტუმრებსაც და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველსაც. იქნებ ამიტომაც ცოტა მოგვიანებით ლევან ქურციკაშვილი, „ცისფერყანწელებთან“ გადაძახილით, კრიტიკოსთა ამ ფრთის წარმომადგენლებს „ზღვისფერყანწელებსაც“ უწოდებს და თავის დამოკიდებულებასაც გაამჟღავნებს მათი მოღვაწეობის მიმართ.

მაგრამ ეს მერე.

ჯერ კი ნანა კუცია საუბრობს „სტრატეგიაზე“.

\*\*\*

„ცნობილი მწერლის, თეატრისა და კინოს რეჟისორის მიხეილ ანთაძის რომანი „სტრატეგია“ (რედაქტორი თამარი ფხაკაძე, 2010) მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ტექსტია.

ამბავს ავტორი, როგორც თავადვე აღნიშნავს „ჟამითი ჟამამდე“ როდი ალაგებს (ანუ ქრონოლოგიის პრინციპთა დაცვით), არამედ — „განზრახული თანააღრეულობით ჰამბისა“, ძველქართული ტრადიციისამებრ.

ზემოთქმულის მიუხედავად, სიუჟეტური ხაზი არსად წყდება, თხრობა ლალია, დინამიკური, ავტორი არ ჟონგლირებს ცნებებით, არ კეკლუცობს ინტელექტით (თუმც სტრატეგია სწორედ რომ ინტელექტუ-

ალური ტექსტია), არ ღლის მკითხველს ცნებებითა და ტერმინებით, პირიქით, ყოველი წილსკვლა გამართლებულია, ამბის მდინარებიდან ლოგიკურად გამომდინარე და, ამდენად — ტექსტულურად გარდაუვალი (კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორი მწერალიცაა და რეჟისორიც, ეპიზოდები თითქოს გასცენიურებულია, ხატწერული, არა მხოლოდ კითხვობ, „ხედავ“ კიდევ).

„თუკი მოდერნისტულ ეტაპზე ჭეშმარიტების არსებობა ეჭვქვეშ დგებოდა (რაც წარმოადგენდა კიდევ მოდერნისტული ეპოქის ადამიანის სულიერი პრობლემების და გარესამყაროს მიუღებლობის მიზეზს), პოსტმოდერნისტულ ეტაპზე ეს საკითხი უბრალოდ, არც განიხილება, არსის ძიება აღარც კი მიმდინარეობს და გარესამყარო, სოციალური და ხელოვნებისმიერი ფორმებითურთ, აღიქმება როგორც ჭეშმარიტებას ანუ ორიგინალს მოკლებული ასლი“ (ბელა ნიფურია).

რომანის ტექსტი მრავალშროვანია, ერთურთს ეწვნიან სხვადასხვა ისტორია, სხვადასხვა დრო, სხვადასხვა სივრ-



ცე, ქრონოტოპოსი დაჩეხილია და აღრეული, მაგრამ „განზრახული თანააღრეულობა ამბისა“ საბოლოოდ მაინც ერთ ამბად ინწყება და მკითხველის თვალწინ წარმოჩნდება XX-XXI საუკუნის საქართველოს მკვიდრთა უაღრესად საინტერესო, ერთდროულად, ტრაგიკული და კომიკური, უკეთ — გროტესკული აბრისი.

რომანის კითხვისას, თავიდან, ჩნდება განცდა, რომ გროტესკული „სიმათლეებით“ იქსოვება „სტრატეგის“ მხატვრული ქსოვილი — თექვსმეტი თანაფორუმელი, ბრწყინვალე გონების — ვინმე ინოხის შეკრებილ-ხელდასხმული, ინყებს ექსკლუზიურ ვირტუალურ თამაშს — „სტრატეგიას“, რაც არაა „თამაში რიოში მარგალიტებით“, არც თამაში თამაშისთვის, უფრო ყოფიერების ნირი თუ ჭეშმარიტების დამინყებელი, საყრდენმორღვეულ დროსა და სივრცეში საკუთარი თავის თუ სხვებთან ერთად გადარჩენის მცდელობა.

თექვსმეტი სრულიად განსხვავებული პიროვნება ინფორმაციულ ველს მიენდობა, რადგან ყველა სხვა ველი დანაღმულია. იმთავითვე ცხადია, რომ ინფორმაციული — ყველაზე მეტადაც, მაგრამ ეს მაინც ახალი სივრცეა, „უვალი, უთელი“ და იქნებ ამ „განწირულმა სულისკვეთებამ“ მაინც არ ჩაიაროს „ცუდათ.“

ინტელექტუალური გონება იაზრებს, რომ „სამყარო ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული მთლიანობაა, რომელიც ელემენტალურ შემადგენლებზე — ნაწილაკებსა და ძალურ ველებზე — არ დაიყვანება. თითოეული ელემენტი გამოსხატავს ყველა დანარჩენს და არაფერია აქსიომატური. ქვეყნიერება არ არის იმ არსებათა ანსამბლი, რომლებიც შემდგომ ანალიზს ექვემდებარებიან და აპრიორი მონაცემებს იძლევიან.“

გროტესკული ტონის მიუხედავად, მიხეილ ანთაძის რომანის კითხვისას გამუდმებით გრძნობ შინაგან განგაშს, შთაბეჭდილებას, ოდესღაც დავით კლდიაშვილის მოთხრობათა კითხვისას რომ აღეძრა ლეო ქიაჩელს: „ლიმორეულ სახეს მოგიქცევთ თავზარდამცემი შიში ადამიანისათვის“. დონ ნაცოს „ცხოვრების თავისებური წესი“ იქნებ სულაც ნეტოკრატის ველისგან თავის დაღწევის მცდელობა იყოს — ოღონდ თამაშისავე სივრცეში!

სიკეთისა და ბოროტების მუდმივ ჭიდილში შენახული, დადილითებას გადარჩენილი ინფორმაცია კოსმიური არსებობის საფუძველიაო, დაასკვნის პერსონაჟი, და დასკვნათაგან მთავარიც კონსტატირდება ბოლოს: „ია მიყვარს. აი ია“. აი ია. სამყაროს მთავარი ენიგმა „მიყვარს“ — სიყვარული — ანი და ჰაე.

„განსაკუთრებით ოპტინელ ბერთა ლოცვას მიეჩვია“ ჩვენი ნაცარქექია...

დაყუდებული შიო მღვიმელივით ლოცულობდა ოდესღაც თეიმურაზ ხევისთავიც საყრდენმოშლილ, ჯაყოს საქართველოში (სხვათა შორის მასაც „ნაცარქექიად“ იხსენიებდა მარგო)...

სერნამე, ასწორდ, შიგნ ინ და ბოლოს ოგ უტ... კომპიუტერული ლინგვა-ფრანკა ტექსტს „მაჯლაჯუნ ფროგვივით“ მიჰყვება, სლოზინა ბაყაყებად გეხეთქება სახეში („ციტატა“ 1978-ის მიტინგიდან — „ენა რად გინდა, ძამია, ვის უნდა გამოუყო?!“).

ინერება მარადი რეალურ-ვირტუალური ტექსტი და, თუმცა რომანის ტექსტუალურ კონტექსტში ციტატას სრუ-

ლიად შეუსაბამო პერსონაჟი („ეგზალტირებული ღვთისმოსავი მარინა“) წარმოთქვამს (მთავარ პერსონაჟს ეუბნება), მაინც ესაა უზუსტესი განმარტება „ინფორმაციული ველისა“: „ინფორმაცია სხვა არაფერია, თუ არა ნება უფლისა, რომელსაც მორჩილებს ყოველი ნივთი, მოვლენა, პროცესი, ესაა უნარი, სწორად აღიქვა შინაგანი მდგომარეობა და გარემოს ზემოქმედება, გარდაქმნა მიღებული ცოდნა და მიღებული ცნობები გადასცე სხვა ნივთებს, მოვლენებსა და პროცესებს, სიცოცხლე უფლის უზენაესი ნებაა... ვერც „სტრატეგიას“ შექმნიდი, უზენაესს რომ არ ენებებინა.“

\* \* \*

— ერთი ჩემი სისუსტე უნდა გაგანდოთ, — იტყვის ბატონი მიხეილი, — არ ვიცი ზეპირად ჩემი ლექსები, ვერ ვიმახსოვრებ და ყოველთვის გაცოცხლებული შევეყურებ ხოლმე მათ, ვისაც შეუძლია ტექსტების დამახსოვრება, ჩემთვის ეს წარმოუდგენელი რამ არისო.

ამას მაშინ იტყვის, როცა **ზაურ გერგედავა** სთხოვს, იქნებ თქვენი ლექსები წაგვიკითხოთო.

— სტრიქონები? სტრიქონებსაც ვერ გაიხსენებთ? — თხოვნას შეუბრუნებს როსტომ ჩხეიძე.

— სტრიქონები რა, რუსთაველი ხომ არ ვარ, — ღიმილით უპასუხებს ბატონი მიხეილი.

— მე კი გარწმუნებთ, რომ ბევრი რამ იცის ზეპირად, — საუბარში ჩაერთვება **ნიკა სანბლიძე**, მიხეილ ანთაძის მეგობარი, მისი შემოქმედების ერთ-ერთი პირველი მკითხველი და შემფასებელი, — შეიძლება საკუთარი ლექსები არა, მაგრამ სხვისი — ნამდვილად! რაც შეეხება „სტრატეგიას“, რაკი ვერ არ წამიკითხავს ეს რომანი, შევეცდები იმ გამოცდილებით ვისაუბრო, რაც მიხეილ ანთაძის შემოქმედებასთან მკავშირებსო, — და იტყვის, რომ პირველი, რაც მისთვის ძალიან საგულსხმოა, არის სათაური „სტრატეგია“, რომლის ხსენებაზეც უწინარესად სამხედრო სტრატეგიის ასოციაცია უჩნდება, ის საკითხები კი, რომლებზეც გამომსვლელებმა ისაუბრეს რომანის მიმოხილვისას, ბევრ საინტერესო თემას წამოწვეს მსჯელობისთვის — აი, მაგალითად, ასეთს:

რაციონალიზმი როგორც მიმდინარეობა, რომელიც ევროპაში განვითარდა, ცოდნის წარმოდგენის გარკვეულ წესს გულისხმობს — ცხად მსჯელობათა გარკვეულ ტიპს. საქმე ის არის, რომ ცოდნის წარმოდგენის წესი იცვლება, კომპიუტერული ცოდნის წარმოდგენის წესისგან განსხვავებით.

არსებობს ცოდნის წარმოდგენის სამი სხვადასხვა ტიპი, რომლებზეც მსჯელობისგანაც ამჯერად თავი შეიკავა ბატონმა ნიკამ, უბრალოდ, ნიმუშად გაიხსენა დერიდას ერთ-ერთი ნაშრომი, სადაც ინტერპრეტაციას ეთმობა 200 გვერდი, ძირითადი ტექსტი კი სულ 10-15 გვერდია.

— მასში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება ადამიანის ცოდნის რაობა და, შესაბამისად, მისი ადგილი სამყაროში. ამიტომ ადამიანი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური დამკვირვებელი, როგორც კლასიკური ექსპერიმენტში, სადაც ყველა ერთსა და იმავეს დაინახავს. ამგვარი მიდგომა სამყაროს აღქმისა დღესდღეობით აღარ მუშაობს (ფიზიკაშიც კი, კვანტურ ფიზიკაში — მითუმეტეს!). ადამიანის აზროვნების ეს თვისება ვერ კიდევ კანტმა აღმოაჩინა დროსა და სივრცეზე მსჯელობისას. ნათქვამია, ადამიანს ღმერთის იქით გზა არ აქვსო. და ეს ყველაფერი რომანის ხელოვნებაში რომ დავიყვანოთ, დიდი ნიჭი და უნარი უნდა.

რომანი შეიძლება დაინეროს ნებისმიერი ფორმით, შიდა-ფორმით — კლასიკური, რეალისტური, პოსტმოდერნული თუ სხვა — მაგრამ მთავარი ფორმა არ არის, გაცილებით მნიშვნელოვანია ის ლირებულებები, რომლებიც ამ ფორმის მიმართ ინვარიანტულია. ამგვარი დაკვირვებანი მიხეილ ანთაძისთვის ჩვეულებრივი ამბავია და მიხარია, რომ ასე ოსტატურად ართმევს თავს, მითუმეტეს დღეს, რადგან თუ დღეს ქართული კულტურა არ იქნება დროის შესაფერისი, უკანასკნელ საყრდენსაც დაკარგავთ, არადა მეტი არ გვაქვს!

ასეთი წარმატებული ექსპერიმენტი კი — მიხეილ ანთაძის ამ რომანის სახით — ადასტურებს, რომ ჩვენ შინაგანი ძალა ისევე გვაქვს. ამიტომაც, რომ სტრატეგია, რომელსაც ავტორი თავის ნაწარმოებში წარმოგიდგენს, სამხედრო სტრატეგიასაც გულისხმობს — ბრძოლის ერთგვარ ფორმას ჩვენი ლირებულებების დასაცავად.

ტრადიციულ ლირებულებებს დღეს ტრადიციული წესებით ვეღარ დაცავ, მაგრამ უნდა დავიცვათ ისე, როგორც დროს შეეფერება. მინდა ამ ლიტერატურული სალონის მესვეურებს, როსტომ ჩხეიძის თაოსნობით, მაღლობა გადაუზხადო იმისთვის, რომ ამას წარმატებით ახერხებენ.

\*\*\*

ამ ბოლო დროს, როცა აუდიტორიაში შედის ხოლმე **მარინე ტურავა** და სტუდენტებს ახალ მწერალს აცნობს, მოლოდინის სანინააღმდეგოდ და ტრადიციის დარღვევით, საუბარს იწყებს არა ბიოგრაფიით, ეპოქის ან ლიტერატურული პროცესის მიმოხილვით, არამედ ტექსტით. მისი თქმით, ტექსტი საუკეთესო საშუალებაა მწერლის სამყაროში შესასვლელად, მხოლოდ ამის შემდეგ ეხება თეორიულ საკითხებს.

ერთგვარი ბიძგი საამისოდ მოპასანის მცირე პროზამ მომცა, ერთ ლექციაზე „ყელსაბამის“ სიუჟეტი მოგყევი ფინალის გარეშე და სტუდენტებს ვთხოვე, რაც შეიძლება მოულოდნელად, არალოგიკურად დაესრულებინათ ნოველა. მოპასანი ჩემი სტუდენტების უსაყვარლესი მწერალი გახდა. არ მინდა წავართვა მათ ის, რასაც მე ვკარგავ თანდათან — კითხვა ჩვეულებრივი მკითხველის თვალთ, სიამოვნებისათვის და არა მხოლოდ ჩაკირკიტებით, პროფესიულად. სწორედ ამგვარად ნავიკითხე მიხეილ ანთაძის მცირე პროზა, ამიტომაც ახლა კრიტიკოსის კი არა, ჩვეულებრივი მკითხველის შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, შევიყვანთ მწერლის მოთხრობების სამყაროში.

პირველი მოთხრობა — „თინი და ჯერი“ — პირველ სიყვარულზეა, გულწრფელზე, ალაღზე. ორივენი სკოლის მოსწავლეები არიან. ჯერის გულით უყვარს, თინის არა, პირველი იმედგაცრუება მტკივნეულია, მძიმეა. მოემის სტილში გვიყვება მწერალი მშვიდად, აუჩქარებლად.

„დამწყები და უსასრულობა“ — ახალგაზრდა პოეტს პირველი ლექსები მიაქვს რედაქციაში, ყველაზე სუსტებს უბეჭდავენ, რადგან რედაქტორი პოეტია. მოთხრობაში ჩართულია სიზმარი — გალაკტიონს თავისი ლექსები — „ღურჯა ცხენები“, „ჰეტერა“, „ფემერა“, „დომინო“, „სილაჟვარდე“, „თოვლი“, „ნიკორწმინდა“ — მიაქვს ასევე ცნობილ პოეტსა და რედაქტორთან. ის უწონებს ლექსებს, მაგრამ უჩრევს პროზაზე გადავიდეს, პროზა უკეთ გამოვივა.

„დიდი ზღაპარი“ — ლიტერატურულ რეცენზიად „გაცემული“ მოთხრობაა, ტექსტი ტექსტში. თანამედროვე

ამერიკელი მწერლის კრისტინან მაისელფის რომან-ბესტსელერის — „დიდი ქართული საიდუმლო“ — რეცენზიად წარმოგიდგენს ავტორი. საუბარია „ხელოვნების პოლდინგზე“, რომლის გენერალური მენეჯერი ავთანდილ ზორბენაძე, ნევრები: მწერალი თამაზ სივსივაძე, არქიტექტორი ლევან მამალაძე, მხატვარი კასა თარგამაძე, კომპოზიტორი ვიტალი კაზარაძე. მოთხრობით მიხეილ ანთაძე ახლო წარსულის მოვლენებსა და ადამიანებს აფასებს.

„ზღაპარი ბიჭზე“ ერთ სოფელში ორი ბიჭი ცხოვრობს — პირველი ობოლია, მამის ვინაობა არც კი იცის, ყაჩაღებს დაუმეგობრდება, რომლებიც გაამეფებენ, დესპოტი, დაუნდობელი, ყაჩალი ხელმწიფეა. იმავე სოფელში ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ცხოვრობს, ახლა ომში უნდა წავიდეს და მტერს შეებრძოლოს — უფალი ფარავდესო, ლოცავს მწერალი.

„სნეული“ იმაზეა. რომ ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს პროტესტის გრძობა, ყველა სიტუაციაში ამხილოს, რაც სამხილებელია... და ასე დაუსრულებლად — მიხეილ ანთაძის მოთხრობებზე დიდხანს შეიძლება საუბარი. რაც მთავარია, მიუხედავად ჩვენი ცხოვრების ტემპისა და მძიმე ფსიქო-ემოციური ფონისა, ეს მოთხრობები ადვილად იკითხება და საფიქრალსაც კარგა ხანს გიტოვებს.

**სალომე კაპანაძის** თქმით კი:

„პოსტმოდერნიზმს ხშირად განსაზღვრავენ ერთი გამორჩეული ნიშნით „ძველ ლირებულებათა გაუფასურება“, მაგრამ ეს მახასიათებელი მაინც შეიძლება დაუქვემდებაროთ რევიზიას, რადგან ნამდვილი ლირებულება არასოდეს უფასურდება. ის ყოველთვის რჩება, მით უფრო როცა საქმე ეხება კულტურულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებს.

მიხეილ ანთაძე ნამდვილად არის ჩვენი ეროვნულ კულტურულ რეალობაში საინტერესო ფიგურა მრავალფეროვანი ინტელექტუალური რესურსით, პროფესიონალიზმით, შემოქმედებითი დამოუკიდებლობით და, რაც ძალიან ნიშანდობლივია, სათქმელამდე მისვლის ორიგინალური მეთოდით, რომელიც რიგითი მკითხველის ფუფუნება არ არის. მიხეილ ანთაძის „განდობილთა“ წრე გართობის მოყვარული მკითხველებისგან არ შედგება. პოსტმოდერნისტული ესთეტიკისთვის ნიშანდობლივი ეს შტრიხი მასთან სრულფასოვნად ვლინდება. ავტორსა და მკითხველს შორის უნდა არსებობდეს თანხმობა და ეს თანხმობა მიხეილ ანთაძესთან მხატვრული ოპუსების გარდა უკომპრომისო გარჯისა და კეთილსინდისიერების შედეგად მიიღწევა.

თავის ახალ რომანში „სტრატეგია“ იგი წერს ადამიანზე, რომელმაც რაღაცა გაიგო, მაგრამ გვანახებს „როგორ უნდა გაიგო ის რაღაცა, რომელიც სიცარიელესაც კი ღმერთად აქცევს“. ვირტუალური სივრციდან რეალობაში „კოპირებული“ ამბავი პოსტინდუსტრიული საზოგადოების მორალურ და ზნეობრივ სახეს გვანახებს. ჩვენ კარგა ხანია შევეგუეთ ბევრ რამეს, შემფოთების გულწრფელი უნარი შაგრენის ტყავივით შემოგვადნა.

დღეს, როცა ისეთი კვაზიმხატვრული ტექსტები მოუმრავლდა ჩვენი მწერლობის ლანდშაფტს, რომლებიც ფონს გასვლას ეპატაჟითა და მრუშნიან-ორგინალური მოტივებით ახერხებენ, მიხეილ ანთაძის ეს რომანი თავს სითამამითა და პასუხისმგებლობითაც გამახსოვრებინებს.

მიუხედავად დრო-სივრცული არასტაბილურობისა და ამ გარემოში პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი პერ-



სონაყთა თანამყოფობისა, ტექსტს იღებ სიმშვიდით, ქარიშხლის შემდგომ მზის გამონათების მოლოდინით. ეს სიმშვიდე ჩემი სუბიექტური ასოციაციაა და იგი გამონეწეულია მიხეილ ანთაძის, როგორც მწერლის კეთილსინდისიერებით. მან ჩაიხედა იქ, სადაც ყველაფერი კარგად არ არის. სადაც წინასწარ, ქვეყნის გარეთ მოფიქრებული სტრატეგიით არსებობა ქმნის განგაშის საფუძველს. „რატომ არის ამ პროგრამისთვის მიტინგი „ვირუსი“? რა არის „ნაცობოლი“, ან „არის თუ არა ეკლესია და რელიგია განუყოფელი“ ჩვენს დღევანდელ რეალობაში? განა არ მიგვანიშნებს საზოგადოებრივი მორალის კრიზისზე ერთ-ერთი გმირის — დელფინის — კომენტარი: „ძმავო, არაფერი გვეშველება, განა არ იცი, რომ ქუდები, სწორედ იმიტომ, რომ სხვადასხვაგვარნი არიან, იოლად გარდაიქმნებიან ერთიმეორედ. მოდის კაცი და ახურავს ნაქსოვი ქუდი, შეგხედება იგივე კაცი მეორე დღეს და, ბიჭოს, უკვე შლაპა არ ჩამოუფხატია?“ ან როცა ინოსს აპატიმრებენ, „ყოველი შემთხვევისათვის იარაღს ჩაუდებენ“. ასეთი პასაჟები მიქმნის სწორედ სიმშვიდის განცდას, რომელიც ვახსენე. სწორედ ეს ღირებულებანი არ ცვდება არასოდეს და მიხეილ ანთაძე, მწერალი, არის მისი ერთგული რაინდი“.

\* \* \*

კინო და თეატრი ორი სხვადასხვა კუნძულია და მიხეილ ანთაძე თითოეულ მათგანთან სხვადასხვა ნავითაა მისული. კინო მისი ბავშვობისდროინდელი გატაცებაა. მიზნადაც ჰქონია დასახული ამ გზაზე ნასულიყო, მაგრამ მაშინ საქართველოში კინოსკოლა არ არსებობდა და უნდოდა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ეცადა ბედი. ბაბუას უთქვამს:

— კინორეჟისორი განათლებული კაცი უნდა იყოს, ამიტომ ჯერ კარგი განათლება უნდა მიიღო, კარგი განათლებისათვის კი 70-იან წლებში საუკეთესო კერა იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ასე მოხდა ამ გზაზე.

ბაბუას რჩევით.

ბატონ მიხეილს მისი სახელი და გვარი არ უხსენებია, სამაგიეროდ, როსტომ ჩხეიძე განუმარტავს შეკრებილებს, რომ: „ეს გახლდათ მიხეილ მგალობლიშვილი, კინემატოგრაფი, კინოსტუდიის მთავარი რედაქტორი, მოღვაწე პიროვნება, კატორღაში ნამყოფი. მოგვიანებით სსრკ-ს საყრდენები რომ მოირყა და გამოჩნდა ის, რაც იატაკქვეშ იქმნებოდა, ერთ-ერთი პირველი, რაც გამოქვეყნდა, იყო მიხეილ მგალობლიშვილის მემუარები, რომლებსაც არა მხოლოდ თვითკმარი ღირებულება აქვს — იმდროინდელ ეპოქას აგვიწერს — მხატვრული ღირებულებითაც გამოირჩევა. ეს არის მწერლის მიერ დაწერილი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუში და აღარ გიკვირს, საიდან გამოჰყავა ბატონ მიხეილს ეს ნიჭი“.

პირველი ყლუპი განათლებისა სწორედ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვა, მაგრამ კინოს სიყვარული არ განელებია.

თეატრში 90-იან წლებში აღმოჩნდა, ძნელბედობის ჟამს, როცა კინომ ხელი დაგვიქნია და... „დადილიეთდა“. მოგესხენებათ, მწერლობით ძნელია თავის გატანა, ამიტომ საბავშვო თეატრი — ზღაპრის თეატრი ჩამოაყალიბა და იმ მძიმე წლებში, როცა სინათლე არ იყო, ხალხს ქუჩაში გასვლის ეშინოდა, ეს პატარა, მოძრავი თეატრი სკოლიდან

სკოლაში, ბალიდან ბალში დადიოდა და თეატრალიზებულ ზღაპარს უჩვენებდა ბავშვებს. სწორედ ზღაპრის თეატრში ჩაისახა ფენომენი, რომელიც ამ საზღვრებს გასცდა და ძალიან პოპულარული ბიზნესის — თეატრალიზებული დაბადების დღეების სათავედ იქცა. მიხეილ ანთაძეს კი...

მიხეილ ანთაძეს თავისდაუნებურად დაერქვა საბავშვო თეატრის სპეციალისტი და წლების მერე საბავშვო თეატრის ხელმძღვანელად დანიშნეს.

მას თუ ჰკითხავთ, ერთი კოლოსალური განსხვავებაა ლიტერატურასა და კინოს — ასევე თეატრს — შორის. ცხოვრება მწერლისა განმარტებულია, მაშინ, როცა კინოსაც და თეატრსაც რეჟისორი ადამიანებთან ერთად ქმნის. ამბობს, რომ კინომ, გარემოებათა გამო, უღალატა, ამიტომ თეატრით ჩაანაცვლა, თუმცა, შემოქმედებითი თვალსაზრისით, მისთვის მწერლობა იყო პრიორიტეტი ყოველთვის. ათამდე ფილმი კი მაინც გადაიღო — მოკლემეტრაჟიანიც და სრულმეტრაჟიანიც — მაგრამ მაინც ვერ მოასწრო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ამ სფეროში. გული სწყდება, რომ კინოხელოვნება დღეს ქრება, ის კი, რაც არის, ორ შტოდ გაიყო: ერთი მხრივ, კინო გახდა კომერციული — გარდა ამისა, დღევანდელმა ტექნოლოგიებმა ადამიანებს მისცა საშუალება შინ, საკუთარ კომპიუტერთან შექმნას ფილმი — მეორე მხრივ, ნავიდა ჰოლივუდის გზა, ბლოკბასტერის გზა, კოლოსალური ხარჯებით და კინო გახდა ატრაქციონული, რომელსაც დიდი შემოსავლები აქვს, მაგრამ ხელოვნებას ნელ-ნელა შორდება. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობს ევროპული კინო, რომელიც ცდილობს, სერიოზული ხელოვნების ფორმატში დატოვოს კინო, მაგრამ ნელ-ნელა ეს ხელოვნება მასობრიობას კარგავს, ისევე, როგორც ბევრი რამ ჩვენს არეულ ყოფაში.

\* \* \*

**ვახტანგ ბახტაძე:**

— ბატონო მიხეილ, „ჩვენი მწერლობის“ წინა შეხვედრა მიეძღვნა პაატა და როსტომ ჩხეიძეების წიგნს კონსერვატიზმის შესახებ. სწორედ კონსერვატიული განწყობილებით მინდა გკითხოთ როგორც მწერალს, ლიტერატორს, თეატრისა და კინოს რეჟისორს, როგორც ქართველ ინტელექტუალს — სად და რაზე გადის ზღვარი თქვენთვის ხედვისა ერთი მხრივ, ჭეშმარიტ კონსერვატიზმსა და პოსტ-მოდერნიზმს და, მეორე მხრივ, დღეს ასე მოძალებულ ფსევდოხელოვნებას, ფსევდოკულტურას — რომელსაც ასე ეძახიან „პოსტ-პოსტ მოდერნიზმს“ — შორის?

**მიხეილ ანთაძე:**

— მე არ დავამთავრე ჩემი სწავლა-განათლება არასოდეს. სკოლაში რომ ვსწავლობდი, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი ზუსტ მეცნიერებაში და ამ მიდრეკილებამ არა და არ დამანება თავი. ამიტომ ჯერ თვითგანათლებას მივდედი ამ განხრით, მერე კი აღმოვაჩინე ასეთი არაოფიციალური ინსტიტუტი — ნოსოფეროს ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორი ირინა კალანდაძე ხელმძღვანელობს და მის სახლში ყოველ კვირას იმართება სემინარები. სწორედ იქ უჭირავთ ხელი მაჯისცემაზე და იციან რა ხდება ამ მხრივ მსოფლიოში.

ისეთი ენთუზიაზმით ჩაეები ამ საქმეში, ვამბობ, რომ კიდევ ერთი უნივერსიტეტი დავამთავრე. არის ასეთი ტერმინი — ინტერდისციპლინარიზმი. ახლანდელი აზროვნება

მივიდა იმ წერტილამდე, რომ ეს გარკვეული სპეციალიზაცია, საუკუნეთა მანძილზე რომ იტოტებოდა (თავიდან ხომ ყველანაირი ცოდნა სამყაროს შესახებ ფილოსოფიის სახელწოდებით ერთიანდებოდა). შემეცნების დიფერენციაციის ამ გზაზე მივიდა ჩიხამდე. პირველ რიგში ეს დაემართა ფუნდამენტურ მცენიერებას, უწინარესად ფიზიკას, რომელიც ამ ზღვარს იქით ვეღარ წავიდა. დღეს მთელ მსოფლიოში მსჯელობენ პარადიგმის ცვლილების შესახებ. ჩვენს ეპოქას ეწოდება კარტეზიანულ-ნიუტონური პარადიგმა. აქ ჩიხია, და ამის იქით ვეღარ ვითარდება ადამიანის შემეცნება. გაუგებარია, რა მოგველის, საით წავა ეს ყველაფერი. შეიძლება იცვლებოდეს — პარადიგმის მიხედვით — ადამიანის დამოკიდებულებანი ძირითად ღირებულებათა მიმართ, მაგრამ თვითონ ეს ღირებულებანი არ იცვლება. ამიტომ მე ოპტიმისტურად ვუყურებ ამ ყველაფერს, არ მაშინებს ის უარყოფითი ნაკადი, დროს რომ მოაქვს. მგონია, რომ ის, რაც მუდმივია და უბრალოდ ახალ სახეს მიიღებს, ახლებურად გამოვლინდება, იმის არსება უფრო გრძელია. ასე რომ, კატასტროფული შიში ახალი საფრთხეებისა არ მაქვს. ძველი საფრთხეების უფრო მეშინია და, მაკალითად, ფუნდამენტალიზმი ჩემთვის გაცილებით უფრო საშიშელი მოვლენაა, ვიდრე გლობალიზაცია.

**ნარგიზ ჭელიძე:**

— ჩემი აზრით, თუ ნაწარმოები მწერლის თანამედროვეობას არ ეხმიანება, დროს ვერ გაუძლებს. რომანმა გულის სიმს თუ არ გამოკრა ხელი, რა აზრი აქვს მის დაწერას?! თვით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიც კი იმიტომაც ასეთი მნიშვნელოვანი და ღირებული ჩვენთვის, რომ მის თანამედროვეობას ასახავს.

დაღეს წერენ ახალგაზრდები... ზოგი კარგად, ზოგი ცუდად... და მაინტერესებს, ახლა კრიტიკა თუ არსებობს? ვინმეს შეუძლია უთხრას მათ, ვისაც არ გამოსდის წერა, რომ სხვა გზას უნდა ეწიონ? ადრე, მაგალითად, ბესარიონ ჟღენტის წერილები არსებობდა და გვიჩვენებდა ვითარებას ლიტერატურაში... ბატონი როსტომისთვის მინდოდა მეკითხა, ახლა თუ არიან კარგი კრიტიკოსები?

**როსტომ ჩხეიძე:**

— კრიტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს და ძალიან კარგი კრიტიკოსებიც გვყავს. დღევანდელი გამოსვლებიც ამის დასტურია. რაც შეეხება ბესარიონ ჟღენტს, ამაზე უფრო ოდიოზური მოვლენა ბევრი არ ახსოვს ქართულ ლიტერატურას და ნიმუშად უნდა დარჩეს — თუ როგორ არ შეიძლება საუბარი ლიტერატურაზე.

**მიხეილ ანთაძე:**

— კრიტიკა არსებობს. კრიტიკა კი არის ისევე იმ აბჯრით აღჭურვილი, მაგრამ დღესდღეობით კრიტიკის საკბილოს უფრო ფართო პიარის საშუალებები გამოუჩნდა. მაქვს შესაძლებლობა, დავაკვირდე ამ პროცესებს. ჩვენს თეატრში ყოველთვის უსასყიდლოდ ვუთმობთ დარბაზს წიგნის პრეზენტაციებს. ამიტომ ხშირად მოგვმართავენ ხოლმე და აღმოვაჩინე, რომ რაც უფრო უნიჭოა მწერალი, მით უფრო დიდი აუდიტორია მოჰყვება. მესმის ქალბატონის გულისტკივილი. ასეთ მოვლენებს როგორ უნდა ვებრძოლოთო, ამას გულისხმობს... კრიტიკას უდიდესი ძალა აქვს. ჩემი ერთ-ერთი პირველი მოთხრობის რეცენზენტი ნიკა სანებლიძე იყო. ჩვენ ერთად მოვყვებოდით „უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს“. მახსოვს, კარგა

გვარიანად გამაძრო ტყავი, მაგრამ ასე რომ არ გაეკეთებინა, როგორც მწერალი ვერ შევდგებოდი. ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის მაგალითი იყო ინტელექტუალისა და მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ.

**კითხვა დარბაზიდან:**

— ბატონო მიხეილ, იქნებ ორიოდ სიტყვით გვითხრათ ამ რომანის „სტრატეგიის“ შესახებ.

**მიხეილ ანთაძე:**

— ამ წიგნის პრეზენტაციაც გაიმართა, თეატრალიზებული წარდგინებაც, მაგრამ არსად მითქვამს ის, რასაც ახლა გეტყვით:

თავდაპირველად „სტრატეგია“ ჩაფიქრებული მქონდა ორ დამოუკიდებელ ნაწილად, რომლებსაც საერთო იდეა გააერთიანებდათ.

ეს წიგნი „სტრატეგიის“ პირველი ნაწილია, რომლის სახელწოდებაც უნდა ყოფილიყო „აი, ია“, მეორე ნაწილი კი ასე მაქვს ჩაფიქრებული: „E=mc<sup>2</sup>“. პირველ წიგნში დონ ნაცომ გაიარა გზა, რომლითაც „აი, ია“ შეიმეცნა, ახლა კი მინდა „E=mc<sup>2</sup>“-მდე გაზარდოს. თუმცა ჯერჯერობით მაინცდამაინც არ წავსულვარ წინ, რადგან თეატრი დიდ დროს მართმევს, თუმცა ამაზე სხვა დროს იყოს.

ჯერ კი... მინდა მადლობა გადავუხადო ყველას ჩემი მოსმენისთვის, ქართული კრიტიკის სოხუმურ ფრთას — ამ საინტერესო მოხსენებებისთვის, რომლებიც ძალიან მინდა დაბეჭდილიც ვიხილო, როგორც კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ კრიტიკა არსებობს და ძალიან კარგი კრიტიკო-

ყოველწლიურად დეკემბერში, შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმში მწერლის დაბადების დღე აღინიშნება. ეს ტრადიცია მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით და მონადინებით დამკვიდრდა. წლებადღეს საღამოს **ამპარ კობახიძე** წაუძღვა. მან საინტერესოდ ისაუბრა **შიო არაგვისპირელზე**, როგორც ფსიქოლოგიური ნოველის ოსტატზე. ვრცლად მიმოიხილა მწერლის ცხოვრების გზა და შემოქმედება მკვლევარმა **სოსო სიგუამ**. მან გი დე მოპასანსა და ანტონ ჩეხოვთან ერთად შიო არაგვისპირელიც ნოველის ჟანრის დამამკვიდრებლად მოიხსენია ლიტერატურაში. ბატონმა სოსომ თავისი ესეიც წაუკითხა მსმენელს.

საღამოს ახალგაზრდული საზოგადოება „**ახალი კანუდოსის**“ წევრებიც ესწრებოდნენ. ახალგაზრდები დაინტერესდნენ, არის თუ არა ავტობიოგრაფიული შიო არაგვისპირელის ნოველები? რატომ უნოდებენ მას ხანდახან იმპრესიონისტს? რატომ არის მის შემოქმედებაში სიყვარულის თემა თავისებურად და უცნაურად ასახული...

საღამოს ცოცხლად, მიმზიდველად წარიმართა. სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა **დალი კინწურაშვილმა** მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ყველას, ვისაც წვლილი შეაქვს შიო არაგვისპირელის შემოქმედების პოპულარიზაციაში, სურვილი და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში თაობები კი არ დაივიწყებენ, არამედ კიდევ უფრო მეტად დაინტერესდებიან დიდებული ქართველი ნოველისტის ლიტერატურული მემკვიდრეობით.



ირაკლი ქასრაშვილი

## მოგზაურობა სამოცდაათი წლის შემდეგ

თანამედროვე რომანი სერვანტესის „დონ კიხოტისგან“, მოგზაურობათა ამ დაუფინყარი წიგნისაგან დაიწყო — ერთი ცნობილი მექსიკელი მწერალი ამბობს. მასზე ადრე კი ასევე ლათინოამერიკელი ბორხესი მოგზაურობის თუ ძებნის ამბავს იმ ოთხ ძირითად ისტორიას შორის ასახელებს, რომლებიც კაცობრიობას შეუქმნია. მწუხარე სახის რაინდის ფათერაკებიანი თავგადასავლების შემდეგ უამრავი კლასიკური რომანი შეიქმნა, რომელთა სიუჟეტიც მთავარი გმირის მოგზაურობის გარშემოა აგებული. მათი დასახელებებისგან მოზრდილი და საკმაოდ საინტერესო ბიბლიოთეკის შედგენა შეიძლება, სადაც „რობინზონ კრუზოსა“ და „განძის კუნძულთან“ ერთად „სენტიმენტალური მოგზაურობა“ და „ულისეც“ მოხვდება. თუკი ჟანრის კანონებს გავითვალისწინებთ, გარკვეული აზრით „ვეფხისტყაოსანიც“ მოგზაურობათა წიგნია. მოგზაურობას ყოველთვის აქვს ფორმალური მიზეზი უბრალო გასეირნების სურვილით დაწყებული და წმინდა გრაალის ძებნით დამთავრებული, მაგრამ საბოლოოდ იგი მოგზაურისთვის ახალი ცხოვრების დაწყებით, შინაგანი გარდაქმნით ან რეალობისგან გაქცევით მთავრდება.

ის სამოცდაათწლიანი გზა, რომელიც საქართველომ და ქართულმა საზოგადოებამ განვლო კომუნისტური მმართველობისას, ძალიან კარგად არის ნაჩვენები ორ შესანიშნავ ქართულ რომანში: ოთარ ჩხეიძის „ბორიასი“ და აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“. თუ ოთარ ჩხეიძე გვიჩვენებს, რით და როგორ იწყებოდა ბოლშევიკური მმართველობა, აკა მორჩილაძე აღგვინერს, რით დასრულდა ის, ანუ რა საბოლოო პროდუქტი მოგვცა. ეს ნაწარმოებები განსხვავდება ერთმანეთისგან — ერთი, სტილით, გმირების ხასიათით, შინაარსით, მოქმედების დროით, მაგრამ ამავე დროს ერთი მათგანი დასაწყისია, მეორე კი — დასასრული იმ უმძიმესი, რთული და ტრაგიკული ეპოქისა, რომელსაც ჩვენი უახლესი ისტორია ეწოდება და რომელმაც დიდწილად განსაზღვრა ამჟამინდელი, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ყოფა.

ორივე რომანის მთავარი გმირი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ისინი თითქმის თანატოლები არიან და იმაში, თუ სად და რისთვის მიემგზავრებიან, ძალიან კარგად ჩანს ის ცვლილებანი, რომელიც ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში და, რაც მთავარია, ამ ხალხში მოხდა მეოცე საუკუნის ოციანიდან ოთხმოცდაათიან წლებამდე. ორივე გმირს, როგორც ნიკუშა (თუ ნიკა) ჩაჩანიძეს, ასევე გიო (თუ გიუშა) მიქაბაძეს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ შინაგანი სინთეზი, გულუბრყვილობაც კი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ თითქოს სხვა შუქით გაანათონ გარემომცველი სინამდვილე. ეპოქები რომ გაეცვალათ, იქნებ მათი მოგზაურობის მიზნებიც შეცვლილიყო. თითოეულს საკუთარი სანჩო პანსა ჰყავს — ერთმანეთის მსგავსი და ერთმანეთისგან განსხვავებული, ლაღი,

უდარდელი, ტრაბახა, უფიცი, თავდაჯერებული და გულგაუტყუელი ლეკო თათაშელი და გოგლიკო, რომლებსაც კეთილი სურვილებიც კი ხშირად ბოროტებად შემოუტრიალდებათ ხოლმე. შეადარეთ თუნდაც ამ ორი ადამიანის მასშტაბი, მისწრაფებანი, სურვილები და კიდევ ერთხელ დაინახავთ იმ ცვლილებებს, რომელიც ამ სამი-ოთხი თაობის განმავლობაში მომხდარა. ლეკო თათაშელს, ყველაფრის მიუხედავად რაღაც დიდისკენ, მნიშვნელოვანის გაკეთებისკენ მიუწევს გული (და ეს საბოლოოდ ლუბავს კიდევ). გოგლიკოს კი, გარემოსთან შეგუების გასაოცარი უნარით დაჯილდოებულ სუბიექტს, რა სურს, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთი უაზრო დღე გადააგოროს? თუკი ლეკო თათაშელის არსებობას რაღაც მიზანი მაინც აქვს ამქვეყნად, გოგლიკოს იგი სამუდამოდ დაუკარგავს და არც ესმის, რა საჭიროა, რომ ჰქონდეს.

ნიკუშა ჩაჩანიძე პირველი დამოუკიდებლობის ხანმოკლე, მაგრამ იმედისმომცემი პერიოდის პროდუქტია, იმ ეროვნული ენთუზიზმისა, რომელმაც ქართველთა საუკეთესო ნაწილში მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გაიღვიძა და სამწლიანმა დამოუკიდებლობამ კიდევ უფრო დიდი სტიმული მისცა. ხალხური სიმღერების შეკრება მისთვის სწორედ ქვეყნისთვის მსახურებას ნიშნავს და ისე არის შემართული ამ საქმისთვის, რომ საერთოდ არ აინტერესებს გარემომცველი სინამდვილე, საცხე უმიზეზო დაპატიმრებებით, პოლიტიკური მკვლევლობებითა და უსამართლობის წინააღმდეგ წინასწარ განწირული ბრძოლით. ის მიდის ხელოვნების ტაძრიდან, რომლადაც დედაქალაქი წარმოუდგენია, რათა ქართლში შეკრებილი ხალხური სიმღერებით კიდევ უფრო გაამდიდროს და გააძლიეროს იგი. დაუჯერებელია, ნიკუშამ თბილისი საზოგადოებრივ საპირფარეოს შეაღაროს, როგორც ამას გიო აკეთებს, რომელიც იქიდან საკუთარ თავსა და ყოფიერების სიყალბეს გააურბის.

ოთარ ჩხეიძეს შესანიშნავად აქვს ნაჩვენები იმ კატასტროფის პირველი ნაბიჯები, რომელმაც სამოცდაათი წლის შემდეგ ისეთი დეგრადაცია გამოიწვია, რომ ახალგაზრდა კაცის უმთავრესი თავგადასავალი საქართველოში ნარკოტიკების ასაღებად წასვლა და ბარიგის გადაგდება გახდა. არა, ხალხური სიმღერები კი არ დავიწყებია ვინმეს და მათ, ალბათ, აგროვებენ კიდევ, მაგრამ ეს საქმიანობა აღარ არის მომავალი თაობისთვის არც მიზნივდელი, არც საამაყო, არც სასურველი. იგი უფრო ვიწრო ჯგუფის სამსახურებრივ, ანაზღაურებად და შესაძლოა მარგინალურ საქმედაც ქცეულა, ახალგაზრდებს კი სხვა რამ სურთ და სხვა რამ იტაცებთ. ამისთვის ისიც საკმარისია, შეადაროთ, რითი არიან დაკავებული ახალგაზრდები ოთარ ჩხეიძის რომანში და რითი — აკა მორჩილაძესთან.

ოცდაოთხ წელს ისინი მიწაზე მუშაობენ, მოსავალს იღებენ და აბინავებენ. სამოცდარვა წლის შემდეგ კი შრომა ლამის სირცხვილადაა ქცეული. აკა მორჩილაძის გმირები არ აკეთებენ და, რაც მთავარია, ვერც გააკეთებენ რაიმე საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს. შრომას ფასი და მნიშვნელობა დაეკარგა. და ეს იმ დროს მოხდა, როდესაც მას ლექსებსა და სიმღერებს უძღვნიდნენ, როცა ითვლებოდა, რომ კომუნისტური გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ შრომის გათავისუფლება, მის საინტერესო და სასიამოვნო საქმედ ქცევა იყო. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ადამიანი გათავისუფლდა შრომისაგან, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მაინც.

ძალიან ზუსტი სახელი მოუგონა მწერალმა ყოვლის და-  
მანგრეველ ბოლშევიკებს – ახალმონესენი. სწორედ ახალი,  
აქამდე უნახავი წესების დასამკვიდრებლად იღვნიან ისინი  
პროგრესისა და მომავალ თაობათა გაბედნიერების ლოზუნ-  
გით. ეს ის წესებია, სადაც აღარ იქნება კეთილშობილების,  
ღირსების, განათლების, ჭეშმარიტი პატრიოტიზმის, რწმენი-  
სა თუ ტრადიციების პატივისცემა. ახალი დროის, ახალი ჭეშ-  
მარიტების, მარქსისტულ-ლენინური უტ-  
ოპიის სახელით ანადგურებენ ისინი ყვე-  
ლაფერს, რაც კი ოდნავ გამოირჩევა რუ-  
ხი მასისაგან, მცირედ მაინც აღემატება  
საშუალო დონეს. მათ უსახური ადამი-  
ანები სჭირდებათ, არსებები საკუთარ შე-  
ხედულებათა გარეშე, რომლებიც ზემდ-  
გომთა ნებისმიერ დანაშაულებრივ ბრძა-  
ნებას დაემორჩილებიან და ამას იმ ხალ-  
ხის თუ ფართო მასების სახელით გააკე-  
თებენ, რომელთა აზრიც სინამდვილეში  
არც აინტერესებთ. ისინი დედამიწაზე  
სამოთხის დადგომისთვის იღვნიან, მაგ-  
რამ ამ სამოთხის შენება რატომღაც ჯო-  
ჯოხეთის შექმნით დაიწყეს. ოთარ ჩხეიძე  
ზუსტად გვიჩვენებს იმათ გამოუვალ ყო-  
ფას, ვისაც ესმის, რა დამლუპველ ძალას-  
თან აქვთ საქმე. რა გზაც უნდა აირჩიო –  
ბრძოლის, თავდადების, განზე გადგო-  
მის, დამალვის, გაქცევის თუ მორჩილე-  
ბისა და მსახურების, შედეგი მაინც ერ-  
თია, მაინც განწირული ხარ, კომუნისტე-  
ბი – ახალმონესენი არ დაგინდობენ, შე-  
იძლება უბრალოდ იმისთვის დაგხვრი-  
ტონ, რომ სიკვდილიმისჯილთა რაოდენო-  
ბა შეავსონ ან იმიტომ, რომ სადღაც შედ-  
გენილ უაზრო რუკაზე შენი სახლის მისა-  
მართია აღნიშნული. შეთქმულებების,  
ყოველ ნაბიჯზე მტრების ძიების პარანო-  
იდული შიში სულ უფრო ძლიერდება. ოც-  
დაოთხ წელს ისინი ჯერ კიდევ აკონტრო-  
ლებდნენ საკუთარ ქმედებებს, არაკე-  
თილმოსურნებისა და თავისიანების  
გარჩევას ცდილობდნენ, მაგრამ გაივლის  
სულ რაღაც ათიოდე წელი და საკუთარ  
წესებს თვითონაც ველარაფერს გაუგე-  
ბენ, მტერ-მოყვარე ერთმანეთში აერე-  
ვათ და ვინც ადრე წყვეტდა სხვების  
ბედს, თვითონ იქნება მონინალმდეგედ  
შერაცხული და განადგურებული.

შეიძლება ასეულობით პატიმარი  
შეყარო ვაგონში და გარედან ტყვიამფ-  
რქვევებით დახვრიტო, რევოლვერ „ვალტერიდან“ კეფაში  
ერთიმეორის მიყოლებით დაახლო ტყვია ოცი ათას ოფი-  
ცერს ან მილიონობით გლეხს უკანასკნელ ნამცეცამდე ჩა-  
მორთვა მოსავალი და შიმშილით სიკვდილისთვის განირო  
ალყაშემორტყმულ სოფლებში, პირნმინდად გაანადგურო  
ზოგიერთი სოციალური კლასი, მაგრამ მთელი ერის მოს-  
პობა მეტისმეტად რთულია და არც არის სასურველი, რად-  
გან ბატონებსაც სჭირდებათ მოსამსახურეები, ხოლო

ბოლშევიკებს – მორჩილი მასა, რომელსაც ბასრი ხიშტე-  
ბით გარეკავენ ნათელი მომავლისაკენ.

ქართველებს, რომლებიც კომუნისტურ საშინელებას გა-  
დაურჩნენ, რაიმე გზა უნდა აერჩიათ, რათა თავი გაეტანათ,  
სიცოცხლე შეენარჩუნებინათ ჩრდილოეთიდან მოსული  
წარღვნის ეპოქაში. მათაც ის აირჩიეს, რაც მრავალჯერ გა-  
უკეთებიათ მათივე წინაპრებს თავის გადასარჩენად – არსე-

ბულ მდგომარეობასთან შეგუება. ეს კი  
თამაშის იმ წესების მიღებას ნიშნავს, რო-  
მელიც დამპყრობელმა თუ ამჟამინდელ-  
მა მმართველებმა დაანესეს. ქართვე-  
ლებს, მართლაც, გარკვეული გაგებით,  
„ჩაუკლეს სული“. ამას იმ საშინელმა შოშ-  
მაც შეუწყო ხელი, რომელსაც ბოლშევი-  
კური და განსაკუთრებით, სტალინური  
მმართველობა სისტემატურად და მიზან-  
მიმართულად ნერგავდა. ისინი საკუთარ  
ქვეყანაში იქცეოდნენ, როგორც დაპყრო-  
ბილ მინაზე და ხალხსაც, რომლის სახე-  
ლით ლაპარაკსაც არასოდეს ერიდებოდ-  
ნენ, სინამდვილეში ისე ეპყრობოდნენ,  
როგორც არასანდო, მტრულად განწყო-  
ბილ საეჭვო არსებებს. იდეოლოგიური  
დოგმები, რომლებისთვისაც კომუნისტე-  
ბი მზად იყვნენ ყველაფერი შეენირათ,  
იმდენად უცხო, უაზრო და მიუღებელი  
იყო ნებისმიერი ნორმალური ადამიანი-  
სათვის, იმდენად აზრს მოკლებული, რომ  
მათი განხორციელება მხოლოდ ტერო-  
რითა და რეპრესიებით თუ შეიძლებოდა.  
აბა, რომელი საღი გონების მქონე კაცი  
დაიჯერებს, რომ მაინცდამაინც მუშათა  
კლასი და უქონელი პროლეტარიატია  
ყველაზე მონინავე კლასი და ყოველ მზა-  
რეულს შეუძლია მართოს ქვეყანა? ახალი  
ბედნიერი სამყაროს, ადამიანური ჭიანჭ-  
ველეთის მშენებლობა მხოლოდ მათი  
უაზრო მწერებად გადაქცევით იყო შე-  
საძლებელი, ეს კი ადამიანში ადამიანუ-  
რის ამომიკვას მოითხოვდა, რითიც  
მეტ-ნაკლებად იყო მთელი სისტემა და-  
კავებული სამოცდაათი წლის განმავლო-  
ბაში. ერთადერთი, რაც საბჭოთა ადამი-  
ანს უნდა შერჩენოდა, თვითგადარჩენის  
ინსტინქტი იყო და მზადყოფნა, ბრმად  
დამორჩილებოდა ზემოდან მომავალ დი-  
რექტივებს. ამ უტოპიის განხორციელე-  
ბასთან დაკავშირებული რეპრესიები სა-  
ქართველოში ხან ძლიერდებოდა, ხან

სუსტდებოდა, მაგრამ შვიდი ათეული წლის განმავლობაში  
ნებისმიერი ადამიანი გრძნობდა მის წნეხს. სტალინის დროს  
ის უფრო განურჩეველი, დაუნდობელი და გამანადგურებე-  
ლი იყო, შემდეგ შესუსტდა, მაგრამ ყოველთვის არსებობდა  
ამკარად თუ ფარულად აქვე, ჩვენ გვერდით.  
ტერორის პიკის წლები ყველას კარგად ახსოვდა. მეოცე  
საუკუნეში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი სა-  
ქართველოს ისტორიის ნიშანვებებსაც ისინი წარმოადგე-



ნენ – ოცდაოთხი წელი, ოცდაჩვიდმეტი წელი, ორმოცდაცხრა წელი, ორმოცდათექვსმეტი წელი, ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილი. მათ შორის იყო სხვისი სამამულო ომი, რომელსაც მოსახლეობის ლამის ათი პროცენტი შეეწირა, ყველაფერ ამას შეუძლებელია ერის მენტალიტეტზე ღრმა გავლენა არ მოეხდინა. ვინც მეტისმეტად განსხვავებული იყო, ხეთერელებისა თუ ოცხელების მსგავსად, სწრაფადვე ანადგურებდნენ, ხოლო ნიკუშა ჩაჩანიძისნაირ „თანამგზავრებს“, თუკი შემთხვევით გადარჩებოდნენ, სამუდამოდ უმახინჯებდნენ ფსიქიკას, ქვეცნობიერ შიშს უნერგავდნენ, რომელიც ლამის გენეტიკურ დონეზე გადაეცემოდა შთამომავლობას. ფარსმან სპარსის გამონათქვამი: „ბრძენკაცი უნდა იყვე და შლეგად მოაჩვენო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი“, სწორედ ტირანიის პირობებში თავის გადარჩენის უნივერსალური ფორმულაა და არა ცხოვრების წესი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამოგვადგება. პირიქით, ნორმალურ ქვეყანაში, რომელიც ყველას და ყველაფერს დაუყოვნებლივ გაბედნიერების უტოპიური სურვილით არ არის შეპყრობილი და სადაც ადამიანის თანდაყოლილ შესაძლებლობებს ბუნებრივი განვითარების საშუალება აქვთ, ასე მოქცევა საკუთარი თავის დამცრობისა და წარუმატებლობის უტყუარი რეცეპტია.

იმ „ახალი ადამიანის“ შექმნა, როგორც კომუნისტებს სურდათ, შეუძლებელი იყო, მათი უაზრო იდეების სერიოზულად მიღება ადამიანთა უმრავლესობისთვის — წარმოუდგენელი. სტალინის უსასტიკესი მმართველობის შემდეგ ახალი ეპოქა დაიწყო — რეჟიმი უკვე აღარ ითხოვდა, ყოველი ადამიანის თავდადებულ კომუნისტად ქცევას და მოქალაქეთა მიერ ლოიალობის საჯარო გამოხატვითაც კმაყოფილდებოდა. აზროვნება დანაშაული აღარ იყო. მთავარია, სხვების გასაგონად არ დაეჭვებულყოფილი იდეოლოგიის სიმართლეში და საკუთარ სახლში, ვინრო წრეში, რაც გასურდა, შეგეძლო ის გელაპარაკა. ჰოდა, დედამიწის ერთ მეექვსედზე და, მათ შორის, საქართველოშიც, ფეხი მოიკიდა ორმაგი ცხოვრების წესმა. ოფიციალურად, საჯაროდ — მარქსისტულ-ლენინური დოგმების ქება-დიდება, პარტიის გაუთავებელი ხოტბა და კომუნიზმის თავდადებულ მშენებლად თავის გასაღება. რეალურად კი — მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახსა და მეგობრებზე ზრუნვა, ფულის კეთება, ბურჟუაზიული ცხოვრების წესი, ფარული შური კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ. საზოგადოდ, საუკუნეების განმავლობაში ქართული ცხოვრების წესი იქმნებოდა, როგორც რეაქცია სხვა, უფრო მძლავრი ქვეყნების ზემოქმედებაზე, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით იპყრობდნენ ამ ქვეყანას და ცდილობდნენ საკუთარი მმართველობა, რელიგია თუ წესები მოეხვიათ ჩვენთვის თავზე.

ამ შემთხვევაშიც, სადაც სამოციანი წლებიდან, როდესაც ლენინურ-სტალინური დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ოდნავ სულის მოთქმის საშუალება მიეცა, ქართველების უმრავლესობამ ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების, საჯარო განხილვებისა თუ ფარული შეთქმულების გარეშე მიაღწია უსიტყვო კონსენსუსს, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ჩვენ ვართ სხვა ქვეყნის ნაწილი, რომელმაც თავს მოგვახვია უცხო სისტემა, მაგრამ რადგან ეს ძალა ჩვენზე გაცილებით ძლიერია და მისგან თავის დაღწევა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ვეცადოთ, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუ-

თარი კეთილდღეობისთვის ეს სისტემა და ის ქვეყანაც, რომლის ნაწილადაც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გვაქციეს. რაც უფრო მეტს წავგლეჯთ ამ უკიდევანო და ამბიციურ იმპერიას, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში, ვითომდაც მოძმე ხალხების დასახმარებლად, ქარს ატანს მილიარდობით მანეთს, მით უკეთესი. მას ბევრი არაფერი დააკლდება, ჩვენ კი — მოგვემატება.

რადგან ამის გაკეთება პატიოსანი გზით არც ისე იოლი იყო და კანონების (ხშირად უაზრო, მაგრამ მაინც - კანონების) დარღვევას საჭიროებდა, ქვეყანაში ნახევრადკრიმინალური საზოგადოება ჩამოყალიბდა, სადაც დიდ როლს თამაშობდნენ მექრთამე პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ფარული თუ აშკარა საქმოსნები, ქურდები და „ძველი ბიჭები“. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში კანონის დარღვევა დანაშაულად კი არა, რეპრესიულ სისტემასთან დაპირისპირებად აღიქმებოდა. პარალელურად იქმნებოდა რომანტიკული მითები საქართველოს შორეულ და არცთუ შორეულ წარსულზე, ამ გამოგონილ ისტორიაში გაქცევა ადამიანებს საშუალებას აძლევდა, თავი დაეღწიათ დამორგუნველი ყოველდღიურობისაგან.

სწორედ ასეთი საზოგადოების ტიპური წარმომადგენელია თენგიზ მიქაბაძე — „მარად ახალგაზრდა თბილისელი კაცი“, იმ ფულიანი და საჭირო კავშირების მქონე კასტის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეს ჩრდილიდან გამოვიდა და მალე ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. იგი იმავე ტიპის პერსონაჟია, როგორც გიორგი ყანჩაველი „ბორიასში“ — ადამიანები, რომლებზეც ბევრს საუბრობენ, მაგრამ რომლებიც იშვიათად (ან თითქმის არ) მოქმედებენ რომანებში. ისინი თითქოს შორიდან, მხოლოდ საკუთარი არსებობით ახდენენ გავლენას მოვლენებზე.

ამ ორი დემიურგის სიტყვით, სურვილით, მინიშნებით ბევრი რამ ხდება ორივე წიგნში და ფუნდამენტური განსხვავება მათ შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ნიკასა და გიოს შორის, რომლებიც საკუთარი მოგზაურობებიდან საბოლოოდ სწორედ მათთან, საკუთარ მენტორებთან ბრუნდებიან. ერთი — იმისთვის, რომ მოძღვარი დაპატიმრებული დახვდეს, მეორე კი — მამისაგან ალიყურის მისაღებად.

ეს ეპიზოდებიც სიმბოლურია. გიორგი ყანჩაველთან ერთად წარსულს ბარდება ძველი საქართველო — იდეალისტების, ნამდვილი ინტელიგენტების, ნესიერი ადამიანების ქვეყანა. მათ ნაცვლად ახალმონეტებმა ტოტალურ გარდაქმნათა ათწლეულების განმავლობაში სხვა ადამიანები გამოზარდეს — ადამიანები, რომლებიც ორმაგი, ოფიციალური და არაოფიციალური ყოფით ცხოვრობენ: კრებებზე ცეკას მდივნებს უკრავენ ტაშს, შინ კი მათ მიხრწნილებასა და ორდენებისადმი სიყვარულს დასცინიან. ის, რაც თავდაპირველად გადარჩენის საშუალება იყო, შემდეგ ცხოვრების წესად და ადამიანთა უმრავლესობის მეორე ბუნებად იქცა.

თენგიზ მიქაბაძე წესებით მცხოვრები კაცია, მაგრამ მას ნესიერებასთან არაფერი აქვს საერთო. ის რაღაც შუალედურია ბურჟუასა და მაფიოზს შორის. თავის დროზე, ალბათ, კომუნისტური პარტიის წევრიც კი იყო და მაგიდასთან რუსებს საშუადამო ძმობას ეფიცებოდა ხელგადახვეული. ის მარტო არ არის. მასთან ერთად მთელი ქვეყანა ამ გამოგონილი ყოფით ცხოვრობს, ბურჟუაზიული ყოფით. ამ დროს საჯაროდ ყველაფერ კაპიტალისტურს აძაგებდნენ, ამერიკა ოფიციალურად ყოველგვარი ბოროტების სა-

თავედ ითვლებოდა, სინამდვილეში კი იქ მცირე ხნით ჩასვლა უმრავლესობისთვის მიუღწეველი ოცნება იყო. ქვეყანაში სამუშაოს სერიოზულად ერთეულები ეკიდებოდნენ, ცხოვრების დონე კი მუდმივად იზრდებოდა, რუსეთის უსაზღვრო რესურსების საქართველოსკენ მოზიდვა და შემდეგ მათი ძარცვა კარგ ტონად იყო ქცეული, პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლა ხშირად ყალბაბანდობასა და საგნების ჩაწყობას ნიშნავდა, პარტიულ კარიერას კი თანამომძმეთა სხეულებზე გადავლით იკეთებდნენ, საყოველთაო ძმობას ქადაგებდნენ, სინამდვილეში კი „თავისიანების“ და „სამეგობროს“ გარეთ არავინ ანალვლებდათ.

მორჩილადის რომანში ეს გამოგონილი სამყარო იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ნამდვილი სიყვარულის ჩანასახი სულის ერთი შეხებით გაანადგუროს. აქ ნამდვილი მხოლოდ ამ სამყაროსგან როგორმე გათავისუფლების სურვილია და არა ის ყალბი ვალდებულების გრძობა, რომელიც მთავარ გმირს აიძულებს უსიამოვნო, სახიფათო და, რაც მთავარია, უაზრო გზას დაადგეს აზერბაიჯანიდან

წამლის ჩამოსატანად. – „გზას არსაით“. საერთოდ, ის ცალკე ფენომენია, რომ ნარკოტიკს, ამ ერთ-ერთ ყველაზე მანვე ნივთიერებას, რაც კაცობრიობას შეუქმნია, საქართველოში „წამალს“ უწოდებენ. რისგან განკურნება შეუძლია მას? სინამდვილეში არაფრისგან. ისიც გამოგონილი სამყაროს ნაწილია და ხშირად უფრო დიდი ილუზიის შემქმნელი.

ის მნიშვნელოვანი, საქმიანი და საინტერესო მიზანი, რაც ნიკუშა ჩანანის უიღბლო მოგზაურობას ჰქონდა ოციან წლებში, სულ რაღაც სამი თაობის შემდეგ, ოთხმოცდაათიანების დასაწყისში, გიუშა მიქატაძის უმიზნო, უსაქმო და უინტერესო მოგზაურობამ შეცვალა, რომელიც ასევე მძიმე და უიღბლო აღმოჩნდა. თუმცა ის და მისი მეგობარი, ნიკუშასგან განსხვავებით, რომელიც ხელცარიელი დაბრუნდა თბილისში, მაინც ახერხებენ „პლანის“ ჩამოტანას ძმობისთვის. ილუზორულ სამყაროში მოგზაურობის მიზანიც მხოლოდ ამ ილუზიის კიდევ უფრო გაღრმავება შეიძლება იყოს, ხოლო ნარკოტიკები ამის კარგი საშუალებაა, ხალხური სიმღერების შეგროვებისაგან განსხვავებით.

მარადი ხელოვნება

ქეთევან ტომარაძე

ბედისწერასთან განმარტობა...

ნუცუბიძის ქუჩასა და მეორე მიკრორაიონის ასახვევს თბილისელები ქართველ მხატვართა იმ თაობას უკავშირებენ, საბჭოთა ტრაფარეტს, კანონიკურ შტამპს ზურგი რომ აქცია და სინდისთან ზიარებულ შემოქმედებით თავისუფლებას კარი ფართოდ გაუხსნა. დღეს აღარავის უკვირს, რომ ჩვენ ერთ-ერთი პირველი აღმოვჩნდით მთელ საბჭოთა სივრცეში იმ ქვეყნებს შორის, სადაც მხატვრები კი არ ჩამორჩნენ, კვალდაკვალ მისდევდნენ და ლამის უსწრებდნენ კიდევ დასავლეთის კულტურაში უშუალოდ, ბუნებრივად განვითარებულ პროცესებს, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი იდეების პოპულარიზაციას ახდენდნენ და კლასიკური ხელოვნების ტრადიციებისგან მკვეთრად განსხვავებულ სტილსა და შემოქმედებით მეთოდს ამკვიდრებდნენ.

მხატვართა ამ თაობამ ეროვნული ფესვების ძიებისა და მოკვლევის, მისი საგულდაგულო შესწავლისა და ყოველივე საუკეთესოს ათვისების, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების თანამედროვე იდეებით შევსების საკუთარი გზა აირჩია. ტრადიციის გათავისებობა და სიახლისადმი ტოლერანტული განწყობით, პალიტრის მრავალფეროვნებითა და დამოუკიდებელ ძიებათა ვრცელი სპექტრით წარდგა თითოეული საზოგადოების წინაშე.

თითქოს განგებამ ინება, რომ ქალაქის ამ ახალ უბანში ახალგაზრდული შემართებით, მაძიებელი სულისკვეთებით გამსჭვალულ მხატვრებს უნდა მოეყარათ თავი. ისინი განსაკუთრებული სიყვარულითა და პოპულარობით

სარგებლობდნენ საზოგადოებაში და დამოუკიდებელ შემოქმედებით ჯგუფად აღიქმებოდნენ – ორი იპოსტასის, ტრადიციულისა და ახლის სინთეზის გზებსა და შესაძლებლობას რომ მიაკვლიეს და დამოუკიდებელი სკოლა შექმნეს, რომელზეც შემდგომი თაობები აღიზარდა.

მხატვარი ნანა ბოტკოველი ერთი რჩეულთაგანი იყო, ამ რთული და არაერთგვაროვანი პროცესის აქტიური და დაუცხრომელი მონაწილე. მისი კოპნია სახლი-სახელოსნოც ამ უბანშია აღმართული. შენობის ყოველი დეტალი მან საკუთარი სურვილისა და ესთეტიკური მრწამსის შესაბამისად გათვალა და განუმეორებელი სამყარო შექმნა, რომელსაც დღემდე მხატვრის ნამუშევრები ამშვენებს.

ნიჭიერი და ენერგიით აღსავსე ქალი, უამრავი კერამიკული, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების ავტორი, აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხატვარს ახლის აღქმისა და გააზრების, ცოდნით მიღებული სიხარულისა და სიამოვნების გაზიარების გამორჩეული უნარი ჰქონდა. მის მეგობრებსა და ახლობლებს, ბევრ უცხოელს არასოდეს დაავინწყდება მშვენიერი საღამოები, მის სახელოსნოში რომ იმართებოდა და არამარტო ნამუშევრების გაცნობას, ზოგადად ქართული კულტურის განვითარებას, ქვეყნის გარდაქმნისა და ახალ სისტემაზე გადასვლის მძიმე წლებით დაღლილი ადამიანებისთვის ცხოვრების შემსუბუქებას, სულიერ საზრდოსთან ზიარებას ისახავდა მიზნად.

მხატვარმა მამა-პაპათა ტრადიციას უერთგულა, ეს გზა წარმატებით გააგრძელა და ქართულ კერამიკულ ხელოვნებას სახელი შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაუთქვა. ნანა ბევრს მოგზაურობდა და სამართლიანად იყო აღიარებული ქართული კულტურის დესპანად. ამაცობდა, რომ უცხოეთის მრავალ ქვეყანას არამარტო საკუთარი ხელოვნებით, საინტერესო ინფორმაციით გაჯერებული ლექციების ციკლითაც აცნობდა თავის სამშობლოს. მან ზედმინევნით კარგად იცოდა სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის ფასი და მნიშვნელობა. მათი

შესწავლისა და ისტორიული წილსვლების მოშველიებით, უძველესი ცივილიზაციის მატარებელი ერის შვილად მი-  
აჩნდა თავი. იცოდა, როგორც ყველა განვითარებულ, მა-  
ლალი კულტურის მქონე ქვეყანას, მის სამშობლოსაც თავისი  
განუმეორებელი მისია ჰქონდა. ნანა მრავალ ეროვნულ  
საქმეში იღებდა მონაწილეობას და თავად შეჰქონდა  
წვლილი ამ მისიის განხორციელებაში. სასიკეთო საქ-  
მეების კეთება ხელენიფებოდა და ქადილის ძალაც შეს-  
წევდა.

ნანა ბოტკოველმა, მრავალი პროექტის ავტორმა და  
სულისჩამდგმელმა, ზუსტად იცოდა, ჩანაფიქრი როგორ  
განეხორციელებინა. რკინის ქალამნებს აისხამდა, ქვეყა-  
ნას ბილიკ-ბილიკ დაივლიდა, სხვისთვის თითქმის მი-  
უღწეველს შესძლებდა და გააკეთებდა, წინააღმდეგო-  
ბას არ შეეუებოდა, უმალ მის დაძლევაზე იფიქრებდა.  
მაღალი რანგის ჩინოვნიკების მჭიდროდ ჩარაზულ კა-  
რსაც ამაყად შეაღებდა, უტყუარ არგუმენტებს მოიყვა-  
ნდა, დაარწმუნებდა და სიკეთის იმგვარ მუხტს გადას-  
დებდა, კაბინეტიდან აუცილებლად დადებითი შედე-  
გით გამოვიდოდა. საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა, ძა-  
ლასა და გამბედაობას სწორედ ეს განცდა მატებდა.

მხატვარს ხალხში ტრიალი უყვარდა. ზოგჯერ გა-  
გიჟვრდებოდათ კიდეც, ეს სიფრიფანა ქალი როდის ას-  
წრებდა ესოდენ რთული და შრომატევადი სამუშაოს შე-  
სრულებას. მაგრამ ფაქტია, ბევრს იღვწოდა, საკუთარი შემოქმედების ნაყოფსაც  
ყველა ახლობელს უშურველად უწილადებდა. მრავალი  
თბილისელის ოჯახში შეხვდებით ნანა ბოტკოველის  
ბრენდს. მისი ნამუშევრები მსოფლიოს არაერთ მუზეუმსა  
და ცნობილი ადამიანის კოლექციას ამშვენებს.

ნანა ბოტკოველი ქართული ხელოვნების უჩვეულო  
გამოცოცხლების ხანს გამოჩნდა ორბიტაზე. მან ძლიერ  
კონკურენციას გაუძლო და საერთაშორისო აღიარება მო-  
იპოვა. კერამიკის განვითარებაში განსაკუთრებული  
წვლილისთვის მხატვარმა მრავალი ჯილდო დაიმსახურა.  
მას სიამოვნებით იხვედნენ ყველგან, სადაც ჭეშმარიტი  
შემოქმედების ყადრი იციან. მხატვარმა ფორმის, ფერი-  
სა და იდეის ერთიანობას მიაღწია, საკუთარი სტილი შეი-  
მუშავა და კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენა, რომ  
უხსოვარი დროიდან ადამიანი ჩვეულებრივ ჭურჭელსა  
თუ ნივთებს მარტოდენ უტილიტარულ ფუნქციას როდი  
ანიჭებდა. ყოველდღიურობაში, ყოფაში ისინი მშვენიე-

რების განცდით შემოჰქონდა და ამკვიდრებდა, ცხოვრე-  
ბას ილამაზებდა და გარესამყაროს ესთეტიკურ აღქმას  
თაობიდან თაობას გენეტიკურად გადასცემდა.

მხატვარი ბავშვებთან მუშაობას დიდ დროს უთმობდა  
და შედეგებით აღფრთოვანებული თავის „პანია ანგელო-  
ზების“ გამოფენებს ხშირად აწყობდა. მათი გამოუცდე-  
ლი, პატარა თითებით გამოძერწილი თიხის ნაკეთობები  
მნახველს არაჩვეულებრივად თბილ და იმედიან განწყო-  
ბას უქმნიდა. მცირე ნიუანსშიც კი კარგად ჩანდა ადამი-  
ანებისადმი ნანას დამოკიდებულება. განსაკუთრებით  
ცდილობდა ნიჭიერ ახალგაზ-  
რდებს დახმარებოდა, თუმცა  
უპოვარისა და სწეულის მხა-  
რში ამოდგომა ცხოვრების  
უპირველეს მიზნად ექცა და  
მცენარეებით მკურნალობის  
ოჯახიდან მიღებულ ტრადი-  
ციას ამისთვის ფართოდ იყე-  
ნებდა.

ნანას ყოველი ქმედება  
ძლიერი რწმენითა და ადამი-  
ანის სიყვარულით საზრდო-  
ობდა. თიხასთან შეხებას, მის  
სასურველ ფორმასა და კონ-  
დიციამდე მიყვანას, ისევე  
როგორც რელიგიურ თემებ-  
ზე ჩაფიქრებული ტილოების  
სერიალზე მუშაობას მხო-  
ლოდ ინტიმურ გარემოში ახ-  
ერხებდა, სიმშვიდისა და ლო-  
ცვის ატმოსფეროში. ერთბა-  
შად რომ გაქრებოდა და ალა-  
რავის ეხმიანებოდა, ყველამ  
იცოდა, ამ დროს ნანა უთუ-  
ოდ ახალ იდეას ამუშავებდა,  
რალაც ორიგინალურსა და სა-  
ინტერესოს ქმნიდა.

ნანა ბოტკოველი

სამწუხაროდ, ნუცუბიძის  
მეორე მიკრორაიონის ასახ-  
ვევი მხატვრის ახლობლებისა და მეგობრებისთვის იმ  
ბრმა, ტრაგიკულ შემთხვევას დაუკავშირდა, თითოეულს  
დღესაც რომ ემძიმება გახსენება. სიცოცხლის უზომო  
სიყვარულითა და შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე ქა-  
ლი სულ რაღაც წამში გაქრა. ამიტომ დღემდე არ გვტო-  
ვებს განცდა, რომ ნანა ჩვეულებისამებრ, ახალი იდეის  
განსახორციელებლად, თავის ბედისწერასთან დროებით  
განმარტოვდა...

ამ ამბიდან მთელმა ათმა წელმა უმონყალოდ სწრა-  
ფად გაიარებინა. ნანა ბოტკოველის ახლობლების, მისი შე-  
მოქმედების თაყვანისმცემლებისთვის, განსაკუთრებით  
მხატვრის ქალიშვილის, ცნობილ ფერმწერ თეა ბოტკოვე-  
ლისთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობითა და ტკივილით  
განმსჭვალული ხანაა – სახელოვანი მხატვრისა და უძ-  
ვირფასესი დედის მემკვიდრეობის ღირსეულად დაცვის,  
მისი სახელის უკვდავსაყოფად განუული მუხლჩაუხრელი  
შრომის ურთულესი ათი წელი.



როსტომ ჩხეიძე

# ავტობიოგრაფიული რომანის ქარბა

— ალექსანდრე ბატონიშვილის ჯერ მარტო კავკასიური თავგადასავალი გაავსებდა საშუალო მოცულობის ორ ტომს.

თუ ვინმეს შეძლება და შეუძლია მზერა გადაეხედოს ამ პერიოკული და ტრაგიკული ფიგურის ცხოვრების მღელვარებას და გონების თვალთ წარმოისახოს ამ ცხოვრების სიბოროტის სივრცე, ერთ უპირველესთაგანს ალბათ უილიამ მანტიესს, ინგლისელ დიპლომატსა და ოფიცერს, ვინც წლობით იცნობდა ერეკლე მეორის უამრავ ვაჟთაგან ამ ერთადერთ მოუხელთებელ ბატონიშვილს, საქართველოში ორჯერ შემოჭრისასაც ხლებია მას, სპარსეთში გადახვეწილს კი ხშირად ხვდებოდა და უშუალოდ მოუსმენია მისი მონათხრობი გადატანულ ხიფათებსა და სიძნელებებზე, და იმ სიხარულის წუთებზეც, რაც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოეცადა.

საშუალო მოცულობის ორ ტომს გაავსებდაო...

ამას ისე, სხვათა შორის კი არ აღნიშნავდა, არამედ გულდაწყვეტით, რადგანაც თვითონ სურდა და, როგორც ჩანს, ძალიანაც სურდა ამ თავგადასავლის გადატანა ფურცლებზე. და თითქოს წინ რა უნდა დადგომოდა ამ მოწადინებას, მითუმეტეს, რომ ბატონიშვილისათვის პირიდან სიტყვები კი არ უნდა ამოგვეღიჯა, ხალისიანი, ენაწყლიანი მთხრობელი ყოფილა და არც შეკითხვებზე პასუხს გაუბობდა.

ჩანერა სჭირდებოდა უილიამ მანტიესს, სხვა კი არაფერი, შესაძლოა ოდნავი ხელის გაკვრა და... დიდებულ რომანისტად მოეგლინებოდა არამარტო ინგლისს, არამედ მთელს ევროპას, ეგებ უოლტერ სკოტისთვისაც გაეჯიბებინათ.

ალექსანდრე დიუმა ვერც გაბედავდა ამ შეჯიბრში ჩაიყვას.

სწორედაც უოლტერ სკოტისათვის.

რალა იმის „აივენჰო“ ან „თილისმა“ და რალა ამის „ალექსანდრე ბატონიშვილი“.

ისე „რობ როის“ ხსენება ხომ არ იქნებოდა უფრო უპრიანი? რაკილა იქ უხვადაა ჩართული დოკუმენტური მასალა, და უილიამ მანტიესიც, მოსალოდნელია, დოკუმენტურ მასალებზეც ააგებდა თხრობას, გარდა უშუალო დაკვირვებათა და შთაბეჭდილებებისა.

რალა უოლტერ სკოტი და რალა უილიამ მანტიესიო...

თუკი ასეა, მამ რას შეიძლება შეეშალა ხელი ინგლისელი დიპლომატისათვის, მთლიანი და თანმიმდევრული ცნობები მოეპოვებინა მისი თავგადასავლის შესახებ?

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის ხალისიან თხრობას ახსენებს, დასძენს: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ბატონიშვილს არა ჰქონია შესაფერისი მოცლა.

\* პროლოგი რომანისა „მზის რაინდი (ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა)“

ანკი როგორ ექნებოდა იმ ცხოვრების წესში ჩაღლულს?!

თანაც:

— ბატონიშვილი და მისი მდივანი ყოველთვის არ იყვნენ განწყობილი, ეთარგმნათ ქართულიდან — რომელზედაც ისინი ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ — თურქულად. ეს კი იყო ერთადერთი ენა, რომელზეც მათ შეეძლოთ საუბარი ჩემთან. ეს გარემოებაც აძნელებდა საქმის წინ წაწევას.

ესეც თავისთავად იგულისხმება — ყოველთვის ვერ იქნები მოყლის განწყობილებაზე. და თუ ხან თვითონვე უთარგმნი შენდამი კეთილგანწყობილ ინგლისელს მდივანთან საუბრის შინაარსს და უკმაყოფილებ ცნობისმოყვარეობას, ხან საამისოდ სულაც არ გცხელა და ვერც ამჩნევ მის გაფართოებულ თვალებსა და მავედრებელ გამომეტყველებას, ეგებ ჩემთვისაც გაგენდოთ, რალაცას ძალზე საინტერესოს რომ ლაპარაკობთ; და გინდათ შეამჩნიოთ, წუთიც გენანება დასაკარგავად.

იმისთვის ხომ არ მოვლენიხარ ამქვეყნად, შენი ცხოვრების აღსაწერად მომართული ბიოგრაფოსი მასალებით ამარაგო.

ეს ცხოვრება ჯერაც წინ არის.

რაც აქამდე მოგიმოქმედებია, მხოლოდ ექსპოზიციურ ნაწილად გესახება, თუნდაც მეტად ვრცელ, გაჭიანურებულ, მაგრამ მაინც ექსპოზიციურ ნაწილად, და ამ გაჭიანურებული შესავლის გადაქცევა უფრო გესწრაფება ნამდვილ ცხოვრებად, ვიდრე აქამდელი თავგადასავლის დეტალური აღდგენა, იმ ეპიზოდების ამოვსება, ბიოგრაფოსს მიკარგული თუ მიყრუებული რომ ჩვენება და ძალიანაც ესახელება, თუ თვითონ აღმოჩნდება ხარვეზების ამომვსები.

არადა, ასეთი ეპიზოდი უხვადაა.

და მათ გახსენებას ხომ არ ვადაწყვები.

ამიტომაც: წინ, წინ და ისევ წინ!..

სიახლოვე მაკავშირებდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, — ყოველთვის ეამაყებოდა უილიამ მანტიესს და გული წყდებოდა, რომ ამ სიახლოვის დოკუმენტური დადასტურება ვერ მოეხერხებინა.

რამდენიმე ტომი კი არა, ერთიც ვერ შეედგინა.

ჯერ მარტო კავკასიური თავგადასავალი რამდენ ერთი-ერთმანეთზე მღელვარე და მიმზიდველ ამბავს მოიცავდა.

ესეც ბიოგრაფიული თხზულების მთავარი ძარღვი.

შევსებული მრავალფეროვანი შენაკადებით.

და ინგლისელ ოფიცერზე არანაკლებ შენ გწყდება გული, ეს ბიოგრაფიული ქრონიკა დაუნერელი რომ დარჩა.

თან შენვე ამტკიცებ, იმიტომ ხომ არ მოვლენილიყო ამქვეყნად, ბიოგრაფოსები მასალებით ემარაგებინაო, და თან შენვე ვერ მოგინებებია წუხილი, რატომ დარჩა მანტიესის ბიოგრაფიული ქრონიკა დაუნერელი, მითუმეტეს — რამდენიმე ტომიანიო.

ახ, ერთი ბიოგრაფიული რომანი ალექსანდრე ბატონიშვილზეო, — დღემდე ოცნებობდა ქართველი მკითხველი, და თურმე ამ უანრის თხზულება მისი თანამედროვის ხელითაც კი შეიძლება შექმნილიყო, მართალია უცხოელის, მაგრამ მის გვერდით მდგომისა და ისეთი ნიუანსების მცოდნის, დრო უკვალოდ რომ გააქრობდა და რალაცების აღდგენა ვარაუდებით თუ გვიხდებდა, რალაცების კი ვარაუდებიც აღარ შევლის.

მაინც როგორ ჩარჩენოდა ხსოვნაში ინგლისელ დიპლომატს ალექსანდრეს პიროვნული თვისებანი, მისი ხასიათის ყველაზე საგულისხმო შტრიხები?



— ამ ბატონიშვილის ხასიათში არ შეიმჩნეოდა არა თუ რომანტიკა და გაბედულება, არამედ ენერჯიაც კი.

ერთხელ წაკითხულს არ ენდობი და კიდევ და კიდევ გადავლებ მზერას, იქნებ თვალი მატყუებს და ის არ იგულისხმება, რაც ერთი შეხედვით მომეჩვენაო; ეგებ ქვეტექსტმა სრულიად ამოაყრავოს ამ ფრაზების გარეგნული შინაარსი... მაგრამ არავითარი ქვეტექსტი აქ არ შეინიშნება და პირდაპირ უნდა გავიგოთ ის, რაც გვამცნეს...

კი მაგრამ, როგორ, რანაირად გავიზიაროთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნული ბუნებისათვის სრულიად უცხო ყოფილა რომანტიკაც, გაბედულებაც და ენერჯიაც.

ისე უილიამ მანტიესს ყველაზე მეტად ენერჯიის არარსებობა უკვირს: ისიც კიო, — თვითონაც გაოცებით აღნიშნავს, მაგრამ ფრაზების საერთო განწყობილება იმგვარია, მიკერძოება არაფრით არ უნდა დავაბრალოთ. მიაჩნია, რომ საკვებით მიუდგომლად გამოთქვამს ამ დაკვირვებებს და რა მისი ბრალია, თუ ახლო ურთიერთობისას ალექსანდრე ბატონიშვილს ეს თვისებანი თუ მისწრაფებანი არ გამოუმჟღავნებია.

არადა, ალექსანდრე ბატონიშვილი ესაა — რომანტიკის, გაბედულებისა და ენერჯიის განსახიერება.

მაგრამ თუ დიპლომატს ეს ვერ შეუმჩნევია მისთვის?

და გიხარია, რომ ალექსანდრეს პირველ ბიოგრაფოსად უილიამ მანტიესი არ მოგვევლინა.

ამ თვალთა და გააზრებით — კეთილი, ნუ მივიჩნევთ ტენდენციურად, მაგრამ ზედაპირული კი ნამდვილად არის — წარმოსახული პორტრეტი რაში შეიძლება გამოგვედგომოდა?!

თუმც მამინვე მეორე ხმაც მოგესმის და ამ განწყობილებას გაგებათილებს: ეპიზოდები რომ იქნებოდა მოთხრობილი, თვითონ ალექსანდრეს მონაყოლით გვეცოდინებოდა უამრავი რამ, თვითმხილველთა ნაამბობიც უხვად შემოგვრჩებოდა და ბოლოსდაბოლოს გააზრებით და შეფასებით ჩვენ გავიზარებდით და შევაფასებდით, თუკი ძალიც შეგვეწევს ქაღილისა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სულის შრეებში შეღწევა ჩვენ მაინც შეგვიძლია.

ისე მაინც რამ წამოაცდენინა ეს სტრიქონები, და თუ უნებლიეთ ჩანერა, გადაკითხვისას როგორ არ წაშალა, გონებაზე წამიერად ბიზნისი გადაამეფარა თუ რა დამემართაო?!

ხალისიან მოყოლას რომ ახსენებს, იუმორით შეფერადებაც უნდა იგულისხმებოდეს, თხრობის სიმსუბუქე, გარდებული ყოველგვარ ბაქიბუქსა და გარეგნულ პათოსს და, ეტყობა, ამანაც შეაცდინა ინგლისელი, რომანტიკულიობა არ ახასიათებს, არც გაბედულება და მაინცდამაინც ენერჯიულობითაც ვერ დაიქანდისო.

ალექსანდრე ბატონიშვილს კი ქცევისა და თხრობის თავისი სტილი ჰქონდა და არაფრად დაგიდევდა, რა შთაბეჭდილება დარჩებოდათ მოხალისე ბიოგრაფოსებზე.

უნებლიეთ რომ მოესმინა ეს დახასიათება, გაიღიმებდა და მისი პასუხიც ეს იქნებოდა: რაცა ვარ, ესა ვარ, ეს რუსები გამაყრევინა აქედან და სამეფო აღმადგენინა და მე თუნდ სახელმწიფო საქმეებშიც არ ჩავერევი, თუკი ჩემი მონაწილეობა აუცილებელი არ იქნებაო.

ვილაცას ეგებ ამისთვისაც თავისი კუდი გამოება: აგერ, ხომ ხედავთ, ენერჯია ლალატობს და ვერც გაბედვით გაუბედავს სახელმწიფო პასუხისმგებლობის ალებაო.

უილიამ მანტიესზე კი მთლად ამ ორიოდ სტრიქონით ნუ შეიქმნით შთაბეჭდილებას, რადგანაც სხვა დაკვირვებანი მრავალმხრივ საგულისხმოა და ერთი მაინც ისეთი, ჩვენით გუმანსაც ვერ მივატანდით.

— ბატონიშვილი არასოდეს არ ერიდებოდა საშიშროებას და დაღლილობას: იგი ჭეშმარიტად უგრძობი იყო ორივეს მიმართ. და თუმც ერთი შეხედვით ბატონიშვილი თავისი მომხრეების გავლენის ქვეშ ჩანდა, მაგრამ იგი მაინც ყოველთვის წარმატებით უჭერდა სადავეს ამ სასტიკსა და გაშმაგებულ ხალხს. ისე რომ მე არ მახსოვს ოდესმე ყური მომეკრას რაიმე შფოთის შესახებ მათ შორის. თვითონ ბატონიშვილი გახლდათ ფიზიკური გონების, დინჯი და არასოდეს არ ვარდებოდა უკიდურესობაში... არასოდეს უამაყია თავისი წარმოშობით და არ ეძლეოდა უსარგებლო სინანულს თავისი კეთილდღეობისა და ბატონიშვილის მაღალი ნოდების დაკარგვის გამო.

ასე თვალდათვალ წარმოისახება ჩვენს წინაშე თავმდაბალი, სასიამოვნო პიროვნება, ვისაც ვერც შეატყობს სამეფოდ თუ გამზადებულა და უარის თქმაც არ გაუძნელდება ტახტზე, თუ გარემოებანი ასე მოითხოვს. ვერც დინჯე ქცევაზე შეატყობს, ამხელა მღელვარებებს თუ ატრიალებს მთელ კავკასიაში და მისი სახელის მეტი აღარაფერი გაისმის — ზოგისთვის ასერიგად აღმტაცი და ზოგისთვისაც საძულველი. ეს სიდინჯეა სწორედ, ვნებებს რომ უოკებს და უკიდურესობებს არიდებს, და გრძნობებზე მეტად გონების კარნახს მიჰყვება.

ნურც ის გამოგვრჩება, რომ ბატონიშვილი არამცთუ არ გაურბის საშიშროებას და ვერც დაღლილობა აჩერებს, სრულიად უგრძობელი რომ ყოფილა ორივეს მიმართ.

და ვისაც საშიშროება ერთიბუნოთივე ვერ შეაფიქრინებს, განა შეიძლება ის იმავდროულად გაუბედავიც იყოს?

და ვინც საერთოდ არ იცის, რა არის დაღლილობა, განა შეიძლება ის უენერჯიო გვეგონოს?

თუმც ღდინამდე ნუ ჩავყვებით ინგლისელ დიპლომატს, ბოლოსდაბოლოს კეთილად განწყობილიყო ქართველი უფლისწულისადმი და წუხდა, საშუალება რომ არ მიეცა მისი ცხოვრების ქრონიკა რამდენიმე ტომად დაეტოვებინა შთამომავლობისათვის. და თუ სრულყოფილად ვერ ჩანდებინა მისი პიროვნებას, რატომ უნდა გავამტყუნოთ. აგერ რაოდენ ძვირფას ცნობას გვატყობინებს, ბატონიშვილი ერთი შეხედვით თავისი გარემოცვის გავლენის ქვეშ რომ იმყოფება, სინამდვილეში კი მარჯვედ აწონასწორებს ყოველივეს და წარმართავს თავის მომხრეთა ყველა ნაბიჯს. გასასტიკებულან? გაშმაგებულან? ალექსანდრესთან ვერ გადადიან ზღვარს, თუმც თავისუფლად ექცევიან, ტოლივით ეპყრობიან, ეთამამებინან, მაგრამ თურმე სრულ წესრიგს არიან დამორჩილებულნი, იმ უხილავ ზეგავლენას, რაც ალექსანდრეს შინაგანი ძალაცაა და მისი შარავანდიც.

ძმასავით საყვარელი და ძმებსავით საყვარელნოო, — ხშირად მეორედებოდა მის პოლიტიკურ წერილებსა და მონოდებებში ეს მიმართვა მეტრძოლთადმი და ალექსანდრე ფრონელი საგანგებოდ მიაქცევიანებდა ყურადღებას მკითხველს ამ გარემოებაზე. და შესაპირისპირებლად მოიხმობდა მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვისათვის ჩვეულ გამოთქმას, ოფიციალურ ბრძანებებში ჯარისკაცები „ამხანაგებად“ რომ მოიხსენია. და გვამცნობდა, რომ რუსი ისტორიკოსები ქებით აქებდნენ და განაზოგადებდ-

ნენ მის ამგვარ საქციელს, უცნაურს მაშინდელ რუსულ სი-  
ნამდვილეში.

აბა, ერმოლოვს რამ მოაფიქრა?

ეტყობა, მართლაც ნაპოლეონ ბონაპარტესათვის მიე-  
ბაძა.

მაგრამ ქართველი უფლისწული?

— ბატონიშვილი ალექსანდრე რომ მეომარ ფშავ-ხევე-  
სურებს და არაგველებს ძმებად და ამხანაგებად იხსენიებს,  
ნეტა ვის მიჰბაძა? ნაპოლეონის ამ-  
ბები ჩვენამდის კანტი-კუნტად მო-  
დიოდა.

სხვისი მისაბაძი, თუნდ სახელ-  
განთქმული პიროვნებისა, რა სჭირ-  
და ალექსანდრეს, როდესაც თვალ-  
წინ ამისთანა მაგალითი ედო, მაგა-  
ლითი, რომლის ზნეობრივ გარემო-  
შიც იზრდებოდა და სხვაგვარად  
მოქცევა ველარც წარმოედგინა.

ასეთი ურთიერთობა ჰქონდა  
ერეკლე მეორესაც თავის მომხრე-  
ებთან — თან აღმერთებდნენ და  
თან ტოლივით ეპყრობოდნენ.

მოგვიანებით ასეთივე ურთი-  
ერთობა ექნებოდა ქაქუცა ჩოლო-  
ყაშვილსაც თავის შეფიცულებთან  
— თან თავყვანებით რომ შეჰყურებ-  
დნენ და თან თავისუფლადაც ექ-  
ცეოდნენ.

სამივე ამ ბუნებისა გახლდათ.

და გარემოცვასა და მომხრეებ-  
თან ურთიერთობა ამგვარი და მხო-  
ლოდ ამგვარი ერჩივნათ.

დაე მანტიისივით სხვანიც გა-  
ოგნებულნიყვნენ, ალექსანდრეს გა-  
რეგნული მორჩილება რეალურად  
მის ძალმოსილებას რომ ამჟღავ-  
ნებდა.

ამიტომაცაა, რომ ვერავინ გა-  
დაიბირეს მისი უშუალო გარემოც-  
ვიდან, გამცემი ვერ გამოძებნეს,  
მიუხედავად იმისა, რომ საიმპერა-  
ტორო კარი წყალობას არა ზოგავდა მოლაღატის აღმოსა-  
ჩენად და ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაცილებლად  
— ამდენი წელი ვერ მიუდგებოდა ვერსაით, იუდად ვერა-  
ვის გადააქცევდა.

ის კი არა, მასთან გაკარებას შეეძლო ადამიანის სასიკე-  
თო ფერისცვალება გამოეწვია.

ანტონ ფურცელაძეს ასხოვდა, თუ როგორ მღეროდა  
XIX საუკუნის 60-იანი წლების გორში მესტვირე ქებაძე  
ლექსებს ვინმე როსებაზე, ალექსანდრე ბატონიშვილთან  
რომ მიეგზავნათ მოსაკლავად, მაგრამ იმას ბატონიშვილის  
გარემოცვაში რომ შეეღწია, ამასობაში კიდეც კარგად გაც-  
ნობოდა და ისე მოხიბლულიყო და აღტაცებულიყო, რა  
მკვლელობა და რომელი მკვლელობა, მთლად მისი უერთ-  
გულესი შექმნილიყო, მისი თანამკვდარი.

ეს ის დროა, არსენა მარაბდელზე რომ ტრიალებდა სიმ-  
ღერები მესტვირეთა წრეში და დიდადაც გავრცელებული-

ყო ხალხში, ჩანერითაც ჩაინერდნენ და, ერთმანეთს რომ  
გადააბამდნენ დამოუკიდებელ ლექს-სიმღერებს, საგმირო  
ეპოსადაც ჩამოიქნებოდა პეტრე უმიკაშვილის ხელით და  
პოპულარობა მერე გენახათ თუ უნდა გენახათ.

ალექსანდრეზე ლექს-სიმღერას ამდენისათვის ვერ მი-  
ულწევია, ჩანავლებულა, გამქრალა, და მარტოდენ ბუნდო-  
ვან ხსოვნად დარჩენილა.

ყაჩაღი გადააჭარბებდა ეროვნულ გმირს, ის გაუთანაბრ-  
დებოდა დაუმორჩილებლობისა და  
თავისუფლების რწმენას, ის გასიმ-  
ბოლოვდებოდა ამაღლებულ მისწ-  
რაფებებთან, და ძალდაუტანებლად  
ჩაენაცვლებოდა ეროვნულ გმირს.

და ეს სწორედ იმისთანა შემთხ-  
ვევა უნდა იყოს, შენ კი არ ყოფილ-  
ხარ დიდი, აქილეუს, დიდი შეგხვდა  
მაქებარო.

დიდი მაქებარი შეხვედროდა  
არსენა მარაბდელს.

ამხელა მაქებარი ვერ ეშოვნა  
ალექსანდრე ბატონიშვილს ვერც  
მესტვირეთა და ვერც სახალხო  
მთქმელთა წრეში და ეპოსის გმი-  
რად ამიტომაც ვერ მოვლენოდა თა-  
ვისუფლების მაძიებელ, სახელმწი-  
ფოს აღდგენაზე მოცინებე ხალხს.

ლეკური ლეგენდა შემოინახავ-  
და მის ჰეროიკულ სულს, ზოგს  
ოსურიც რომ ეგონა, თუმც ასეც  
რას გაუყვია ჩრდილოკავკასიური  
რწმენა-წარმოდგენანი, მათი მითო-  
სური ხედვანი.

ისე პირველად „აკაკის კრებულში“  
რომ გამოქვეყნდებოდა მისი მითოსის  
სიუჟეტური ვერსია (1899, VIII, ნაწილი  
II), სწორედაც როგორც ოსებში ჩანე-  
რილი, თუმც მოგვიანებით პავლე ინ-  
გოროყვა უპირატესობას უფრო მის  
ლეკურ წარმომავლობას მიანიჭებდა.  
დიახ, რას გაეყო ჩრდილოკავკასიური  
მითოსი, მაგრამ მაინც!..

მთავარი ამჯერად ისაა, ოსებსაც რომ თავისად დაეგუ-  
ლებინათ ალექსანდრე ბატონიშვილის ლეგენდა, მფრინავი  
რამისა თუ ზეციური მხედრის მოლანდება, შეეთვისებინათ  
და თვითონაც ამ მოლანდებასა თუ მონატრებაში ჰპოვებდ-  
ნენ შეებასაც და სულეირ სიმხნევესაც.

და მაინც:

ამ ლეგენდის სათავეს ნუ მივყარებთ.

სათავეს — პავლე ინგოროყვას მიერ ზეპირ საუბრებში  
გამოთქმულს დაბეჯითებულ მტკიცებად, დოკუმენტურ  
დადასტურებას ოთარ ჩხეიძის ჩანაწერში რომ ჰპოვებდა.

მისი მტკიცებაც რომ არა, ისედაც საფიქრებელი ეს უფ-  
რო იქნებოდა, რაკილა ალექსანდრეს სახელი დაღესტანს  
მაინც სხვაგვარად დაკავშირებოდა, სულაც გადაჯაჭვოდა  
და, ამ თვალსაზრისით, სხვაგვარ განზოგადებას იძენს ის  
მოგონებაც, ალექსანდრე ფრონელის „კახეთის ამბოხება-  
ში“ რომ ჩართულა იმ მსჯელობის თვალსაჩინოებად, მოუს-



ალექსანდრე ბატონიშვილი

ვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში რომ ამოჰყოფდა თავს, ხან თვით სპარსეთში, ხან დალესტანსა და ხანაც ახალციხის საფაშოში, და, რუსების მოძულე (დავაზუსტოთ: რუსების სამხედრო ექსპანსიის მოძულე), ყველგან სასურველი და სანეტარო სტუმარი გახლდათ, რაკილა მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, ასე ვთქვათ, სინონიმს, და ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცის სახელს ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია...

დიახ, ამ მსჯელობის თვალსაჩინოებად მოხმობილია რუსის სამსახურის პოლკოვნიკის, ანუხელი ლეკის ლიმილითა და თავმონონებით ნაამბობი, თუ როგორ დაბინავდებოდა ხოლმე დალესტანში ასული ბატონიშვილი მათ ოჯახში.

— კარგად მახსოვს, — ბავშვობ-სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდა. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა. სიძველისა გამო დაიფუშა ის ორი ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგა. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდის მოწინებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებს და უფროთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასი სტუმრის ნაქონარ ნივთებს.

ლეკური ლეგენდა შემოინახავდა მის ჰეროიკულ სულსო... აფსუს, მესტვირე ქებაძის დაკარგული სიმღერავს!.. თუმც ესეც საგულისხმოა, ანტონ ფურცელაძე რასაც გვამცნობს, მისი ზოგადი შინაარსი ალექსანდრეს მომწუხებელ ძალას რომ გვიდასტურებს, მისი პიროვნების განსაკუთრებულ ზეგავლენას გარშემომყოფებზე, მტკიცედ რომ ეპყრა ხელთ ყველაფერი, არადა უცხო კაცს პირიქით რომ ეჩვენებოდა: რა არის, ეს რამდენს უბედავენო!..

მოგვიანებით კარგა ხანს იოცნებებდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომანის გმირად წარმოესახა ალექსანდრე ბატონიშვილი, მასალებსაც გულდასმით აგროვებდა და კომპოზიციური ქარგაც შემოეხაზა ზოგადად, სალმასტის (სალმასის ფორმით მოხსენიება რომ ერჩინა) პროვინციაში მისი ყოფნა უნდა მოქცეულიყო რომანის შუაგულში და ადრინდელი ამბები, ეტყობა, რეტროსპექტულად შემოვიდოდა თხრობაში.

მისი უბის წიგნაკის ჩანაწერთა თვალყურებისას არაერთხელ შეგიკუმშავს გულს ტკივილი დიდი განზრახვის ნამსხვრევთა ხილვისას, და მათ შორის ის ფრაზებიც შეგაჟრიალებს, დიდი ჩანაფიქრის არსებობას რომ შეგახსენებს და გრძნობ, რამხელა მღელვარება უტრიალებდა ამ თითქოსდა უბრალო ფრაზების ჩანიშვნისას.

— რომანი „სალმასი“. იხ. შკლოვსკის წიგნის ბოლოში მასალა.

— „სალმასისთვის“.

Свен

Брюш

Возврат

Дизинтерия

Эпидемия Энцифалит (сонная боль)

Маллярия

сыпь

— რომან „სალმასის“ გმირს ჩაენწას ფრეიდის ფსიხო-ერთიული იდეა.

„ჯაყოს ხიზნების“ მხატვრულ-იდეურ მრწამსს აგვისტოს აჯანყებისა და ფროიდიზმის შერწყმაში დაინახავდა და, როგორც ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილზე განზრახული რომანიც ამავე თვალთახედვით შეიქმნებოდა — იდეასთან ერთად, ფორმასაც ფროიდიზმის მოშველიება განსაზღვრავდა და ესეც კიდევ ერთი დასტური იქნებოდა იმისა, რომ ეს თხზულებაც გარდასული ჟამის წარმოსახვა-გაცოცხლებაზე მეტად თანადროულ რეალობას გააშიშვლებდა, თვალწინ ჩავლილ ამბებს შემოიკრებდა თავის სიუჟეტურ ქარგაში. და ისე მოხდებოდა, რომ ეს იდეა მალევე გადაინაცვლებდა „ჯაყოს ხიზნებში“. იმას, რაც უკვე ნაპოვნი გახლდათ, დიდი რამ ჩხრეკა-ქებნა აღარ დასჭირდებოდა.

— „სალმასი“. ავნერო ფატალისტი სპარსელი, მისტიკოსი, დოგმატიკოსი (იხ. გ. ქიქოძის წიგნი. გვ. 158-161).

— „სალმასის“ ჩაერთოს მოლლა ნასრედინის ანეგდოტები.

ეს მარტოეც თხრობის გასახალისებლად არ უნდა სჭირდებოდეს, ანდა კოლორიტისათვის, რაკილა მოქმედების არე ირანის პროვინციაა; უფრო იმ დაფარული სიბრძნისათვის, რაც მხიარული საბურველის მიღმა ჩამალულა და გონიერი კაცი — მწერალი იქნება თუ მკითხველი — ხელიდან არ გაუშვებს შესაძლებლობას, აქედან გახსნას და აქედან შეიმეცნოს ამა თუ იმ თხზულების იდეური ძარღვიც და ფორმის საფანელიც.

— „სალმასი“ — დაკვრა და დასაკრავი აღმოსავლური ყარგუზარისა (გვიტხოზ ოგანეზაშვილს).

— „სალმასი“. მას ძმა ჰყავდა ქართულ პოლკში. სააღდგომოდ პოლკი ეწვევა. ძმა შეხვდება პეტროსიანს, რომელიც კომენდანტად არის. მოიგონებს აკლებას სოუჯბუღალში.

— „სალმასი“. ფერეიდ. ქალი მუდმივ სცდილობს ჩადრი მოიხადოს. ამის გამო მისი მამა ხშირად იცვლის ადგილს.

ყველა ეს ამონარიდი 1924 წელს და თითქმის ერთდროულადაა ჩანერილი დღიურში, და ეს გარემოება ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, თუ როდის ანთებულყო მიხეილ ჯავახიშვილი ყველაზე მძაფრად ამ რომანის დასაწერად, შემდგომ კი ორიოდეჯერ გაიელვებს ეს სახელი და თემა, რაკილა „ჯაყოს ხიზნებმა“, „გივი შადურმა“ და „თეთრმა საყლომ“ უფრო გაიყოლიეს თავისკენ და მერე კი ალექსანდრე ბატონიშვილზე ცალკე რომანის შექმნა, ტრილოგიის პირველი თხზულების, თანდათან გაუქრა ხელიდან.

— ალ. ბატონიშვილი სალმასის შამხალი — გუბერნატორი იყო.

ეს 1925 წლის ჩანაწერია, ეს კი 1927-ისა:

— „შეთქმულნი“. ალექ. ბატონიშვილის (აღა მალღოვისა) სურათი აქვს ნინო ავალიშვილს (ეკითხოს გ. მოზდოკელს).

რაღაც სხვა სურათი უნდა იგულისხმებოდეს და არა ის, რომელსაც ჩვენ ყველა ვიცნობთ — გამოქვეყნებული „აქტების“ V ტომში და ხელმისაწვდომი მიხეილ ჯავახიშვილისთვისაც: ისაი ჯანჯუღაზოვის მიერ დახატული 1840 წლის 21 დეკემბერს და შენახული თავრიზში, საგინაშვილთა ოჯახში, სადაც უნახავს რუსეთის გენერალური საკონსულოს მდივანს ბაკულინს, ფოტოპირი გადმოუღია და „აქტების“ გამომცემლებისათვის ჩამოუტანია.

იცოდა და ჩინებულადაც იცოდა, რომ კავკასიის ისტორიის დოკუმენტური პანორამა ვერაფრისიდეებით ვერ

წარმოისახებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის გარეშე, მისი პორტრეტის უქონლობა კი ბევრს დააკლებდა პანორამის სისრულეს.

შოთა ხანთაძე გვაცნობებდა, რომ გარდა ამ პორტრეტისა, „აქტების“ გამომცემელთ ხელთ ჰქონიათ ბატონიშვილის კიდევ ერთი სახეობა — გადმოღებული ირანში რუსეთის რწმუნებულის, ბერგერის განკარგულებით — გამოხატული თეირანის ნიგაროსტანის აუდიენც-დარბაზის ერთ-ერთ კედელზე. მხატვარს შეუქმნია ფათალი შაჰის ერთ-ერთი აუდიენციის სურათი და იქ მეთავე ხარისხის ადგილზე ალექსანდრეც მოჩანს. ამას წარწერიდან ვიგებდით: ბატონიშვილი ალექსანდრე, საქართველოს ვალიო, — თორემ გამომცემელნი გვერდით გადადებდნენ იმ მოტივით, მხატვრის ფანტაზიის ნაყოფიაო.

მეთავე ხარისხის ადგილი იყო თუ რა იყო, გნებავთ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფადაც მიიჩნით, ალექსანდრე ბატონიშვილის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ თეირანის სასახლის კედლები.

მიხეილ ჯავახიშვილმა იცოდა, ვისთან დაეზუსტებინა იმ უცნობი ნახატის ადგილსამყოფელი.

ჩვენ ვის ვკითხოთ, ვინ დაგვაზუსტებინებს, ვინ მიგვაგნებინებს?!

„სალმასი“ და „სალმასიო“ აკი ხშირად მეორდებოდა და თითქოს ეს სათაური არც არასოდეს უნდა შეცვლილიყო, მაგრამ გავიდოდა წლები და აგერ 1935 წლის ჩანანერში უეცრად სხვა სახელწოდება იელვებდა:

— „ცეცხლის მახე“ — სათაური რომანის ალექსანდრე ბატონიშვილის დროიდან.

ეს დაზუსტებაც დამაფიქრებელია: დროიდანო.

ეტყობა, მთავარ გმირად უკვე გამოგონილი პერსონაჟი წარმოუდგებოდა და არა უშუალოდ ისკანდერი, ვისი ბრძოლების ფონზეც მოიქსოვებოდა მთავარი გმირის თავგადასავალი.

დაუნერელი დარჩებოდა ეს რომანი — „ცეცხლის მახე“. ისიც ხომ დაუნერელი დარჩენილიყო — „სალმასი“.

ნაცვლად ამისა შეიქმნებოდა ეპიკური თხზულება არსენა მარაბდელზე. მართალია ისტორიულ არსენა ოძელაშვილზე მეტად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახე გამოიკვეთებოდა თხრობისას, მაგრამ თხზულებას მაინც არსენას სახელი ერქვა და ესეც არა ალექსანდრე ბატონიშვილის ბედი გახლდათ, რომ ამჯერადაც ყაჩაღის ჩრდილში მოქცეულიყო.

ან ის რაღა იყო, ვასილ ბარნოვსაც რომ გაუსხლტებოდა ხელიდან ეს გმირი და, თუმც მხატვრულ წარმოსახვაში მითოსურ სახემდე აზიდავდა, ფურცელზე გადატანისას ფრაგმენტულ მონახაზს ვერ გაცდებოდა, მინიშნებას — მასში ლეგენდური შარავანდი იგულვითო.

მკითხველს კი ენატრებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა.

ისტორიული თხზულებანი კი შეიქმნებოდა — ნიკო ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის“ ნარკვევებში ჩართავდა მის დრამატულ თავგადასავალს, შემდგომ შოთა ხანთაძე არაერთ ახალ და მნიშვნელოვან მასალას შესძენდა მის ბიოგრაფიას, შემდგომ კი ეთერ ორჯონიკიძე წარუშმდგარებდა ვრცელ შესავალს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებისა და მონოდებების პუბლიკაციას, თავისებურ პოლიტიკურ მატრიანედ რომ წარმოგვიდგება.

ეს — სამანს აქეთა საქართველოში, სადაც ლამის ამოშრობაზე დარჩენილიყო ნალველი ბატონიშვილის ალექსანდრესი.

ამოსაშინთად დასდევდნენ მის სახელს.

და ამიტომაცაა, აკაკი გელაშვილი შოთა ხანთაძის 1961 წელს გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევის შეფასებისას აღნიშნავს არამარტო ავტორის ცოდნასა და კომპეტენციას, არამედ მის დიდ გაბედულებასა და სამართლიანობასაც („ამ ნაშრომში ფაქტიურად პირველად წარმოჩინდა ალექსანდრე ბატონიშვილი ნიჭიერ სარდლად, გულმხურვალე პატრიოტად და სამშობლოსათვის მებრძოლ, თავდადებულ გმირად“).

სამანს იქითა საქართველოში მართალია გაბედულება არა სჭირდებოდა ბატონიშვილის პიროვნებისა და ღვაწლის წარმოსახვას ისე, როგორც სინამდვილეში გახლდათ, მაგრამ ამას პაპავას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას და „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, ერთ ნიმუშს ციკლისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, იმ თვისებას გამოარჩევს, რომ ისტორიკოსისა და მწერლის შერწყმის წარმატებულ მცდელობად გვევლინება და ისტორიულ ნარკვევზე მეტად დაშვებულად დოკუმენტურ მოთხრობად განსაზღვრა.

და ამ ყოველივეს წყალობით, დღესდღეობით უკვე ხელთ გვაქვს მისი სანდო და დეტალური ბიოგრაფია, ფსიქოლოგიური პორტრეტიც ხელშესახებად რომ წარმოჩნდება.

ალექსანდრე ფრონელის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაშიც — „ამბოხება კახეთისა“ იტრიალებდა ხშირად და აკაკი გელაშვილის ისტორიულ მონოგრაფიაშიც „კახეთის 1812 წლის აჯანყება“.

სხვაგანაც არაერთგან იელვებდა მისი სახეობა, მაგრამ, აი, ბიოგრაფიული რომანი...

დაპირებით კი პირდებოდა ალექსანდრე ფრონელი მკითხველს საგანგებო თხზულებას სახელწოდებით „ბატონიშვილი ალექსანდრე“, რომელიც მოსალოდნელია ან ბიოგრაფიულ რომანად წარმომდგარიყო, ანდა მის ჩანასახად (ისეთად, როგორიცაა „მთისა არწივი შამოდის“), მაგრამ ეს თხზულება, სამწუხაროდ, დაუნერელი დარჩებოდა. „სამწუხაროდ“, რაკილა ამ ისტორიკოსის ხელში ბატონიშვილის მონუმენტური შთამბეჭდავი სახეობა გამოიკვეთებოდა.

\* \* \*

რომანი... რომანი...

გადავდებდი, გადმოვდებდი ამ განზრახვას, მოშვებით ვერ ვეშვებოდი მის ლეგენდას, მაგრამ ვერც წამომენყო მისი მონუმენტრი პორტრეტის გამოკვეთა, რაღაც განსაკუთრებულ დროს ველოდი, იმ წამს, როდესაც აღარ გამეძლებოდა ამ ბიოგრაფიული ქრონიკის დაუნერლად, რათა შთავონება სრულყოფილად მეგრძნო.

ამ რაღაც განსაკუთრებული დროის შერჩევა კი იმისთვისაც მჭირდებოდა, რომ ჩემს ბიოგრაფიულ რომანთა ციკლს სათავეში ის უნდა ჩადგომოდა, ისტორიული ქრონოლოგია აქედან უნდა ათვლილიყო, და მამ გამორჩეული მხატვრული დანიშნულებაც ენიჭებოდა, როგორც კიდევ ერთი ციკლის გამხსნელს ქართული ლიტერატურის მდინარეებში.

არადა, მოულოდნელად კი მოვკიდებდი ხელს მისი თავ-  
გადასავლის მხატვრულ-დოკუმენტურ გააზრებას.

ნაუცბათევად, ლამის სრულიად მოუმზადებლად.

ან რალა ლამის!..

ერთბაშად ამიყოლია ალექსანდრე ბატონიშვილის ბედ-  
მა, სიყრმიდანვე ისედაც აყოლილმა.

ჯერ მარტო მისი კავკასიური თავგადასავალი გაავსებ-  
და საშუალო მოცულობის ორ ტომსო...

ისე, რომ დაუკვირდე, თვითონ ალექსანდრემ დაგვიტო-  
ვა თავისი დოკუმენტური ბიოგრაფია.

ცხადია, ერთი გაეღვივებოდაც არ გაუფიქრებია, საკუთა-  
რი ცხოვრების დოკუმენტურ სურათს თუ გვიტოვებდა,  
როდესაც უამრავ წერილსა თუ პოლიტიკურ მოწოდებას  
თხზავდა, მაგრამ როდესაც ეს ყოველივე ერთად მოიყრის  
თავს და შესაფერისი კომენტარები და ექსკურსები დაერთ-  
ვის, მზამზარეული ბიოგრაფიაა და ეგ არის, ბიოგრაფია,  
რომლის მთავარი ავტორიც თვითონ ალექსანდრე ბატო-  
ნიშვილია, შენ კი მხოლოდ ხელის შეშველება მოგეთხოვე-  
ბა, თითქოს მისი პირადი მდივანი იყო და ცალკეულ რეა-  
ლიტებს ავსებდე და აზუსტებდე.

თუ რაიმე არ აკლდა ბატონიშვილს, სწორედ პირადი  
მდივნები და კალიგრაფები — დევნილი, განამებული უფ-  
ლისწული იძულებით ბევრ რაიმეს რომ შეეღოდა — სხვა,  
აბა, რა გზა ჰქონდა — მდივნებს არ იშორებდა გვერდიდან  
და მათ გამოზრდასა და დაოსტატებაზეც დიდად ზრუნავდა.

თუკი შესაფერის უნარსა და მონდომებას შეატყობდა,  
შეეძლო დაღესტნიდან ირანს გაეგზავნა ყმანვილი კაცი და  
შეეთვალა გამოცდილი კალიგრაფისათვის, ძალ-ღონე არ  
დაეშურებინა მის დასახელოვნებლად. მისი ამალის მეთაუ-  
რისათვის კი ეთხოვნა, წყალობა არ მოეკლო ოსტატისათ-  
ვის, რათა იმას მეტი ხალისი ჰქონოდა ბატონიშვილის და-  
ვალეების შესასრულებლად.

ალარ არსებობდა სამეფო კარის სამდივნო.

ამიტომ მას მაინც უნდა შეენარჩუნებინა.

თვითონ გამეფდებოდა?

გამოცდილი მწიგნობრები ეყოლებოდა გარშემო, მის  
სტილისტიკაში ჩახედულნი და განაფულნი.

სხვა დაიდგამდა გვირგვინს ბაგრატიონთა გვარიდან?

იმას გადაულოცავდა დაუნანებლად.

გრძნობდა ამ აუცილებლობას — სამეფოს ხსოვნა სამ-  
დივნოსაც უნდა შეენარჩუნებინა.

მაგრამ ამ აუცილებლობაზე არანაკლებ მწერლურ  
უნარს გრძნობდა — ეს ისე არ მომხდარა, მარტოდენ პო-  
ლიტიკური მიზნით, წერად გადაქცეულიყო ალექსანდრე  
ბატონიშვილი და ბელეტრისტულ მისწრაფებებს პოლიტი-  
კური წერილებისა და მოწოდებათა შეთხზვით იკლავდა.

აშკარაა მისი ფრაზის მოქნილობა და სიცინცხალე.

სტილის სიმძაფრე და ექსპრესია.

ხატოვანებაც.

არტისტული გადაკვრანიც.

გამჭვირვალე ხვეულებიც.

შიგადაშიგ მოხდენილი იუმორიც.

ეპისტოლური ფანრის დიდებულ ნიმუშთა წყება ჩვენს  
თვალწინ, ტოლს რომ არ დაუდებს ამ ფანრის კლასიკურ  
ქმნილებებს და ეპისტოლეთა მსოფლიო ანთოლოგიასაც  
დაშვენდება.

მზამზარეული ბიოგრაფიაა და ეგ არისო...

აბა, ამ თვალთ გადაიკითხეთ ეთერ ორჯონიკიძის წიგნი  
„ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფ-  
ლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილე-  
ბი“, თუ ამ მოსაზრებას არ გაიზიარებთ. წიგნში მისი წერი-  
ლების ძირითადი ნაწილია შეკრებილი, ისტორიული ნარკვე-  
ვი კი ცალკე დაერთვის. ავტორი მწერალი რომ ყოფილიყო  
და არა ისტორიკოსი, უთუოდ ამ გზას აირჩევდა — პუბლი-  
კაციების ნაწილს სრულად შეავსებდა, თავის დაკვირვებებ-  
სა და შეხედულებებს კი წერილებს შორის გააბნევდა.

ასე შევიქნებოდით მომსწრე ეპისტოლური რომანისა  
ჩვენს დროსა და ქართულ ენობრივ სივრცეში — სემუელ  
რიჩარდსონის, ჟან-ჟაკ რუსოსა თუ იოჰან ვოლფგანგ გოე-  
ტეს რომანთა მსგავსის, XX და XXI საუკუნეებიც რომ შეს-  
ძენდნენ ახალ ნიმუშებს.

ეპისტოლური რომანისა, მაგრამ:

ბიოგრაფიულის?

რა გგონიათ — უფრო ავტობიოგრაფიულის.

წერის პროცესში გამიღვებდა ეს იდეა და კინაღამ მივა-  
ტოვებდი დანყებულ თხრობას, რათა მე თვითონ გამომეყენე-  
ბინა ეს ორიგინალური ფორმა — თანაც რაოდენ ამაღლებე-  
ლი და მაცუთუნებელია, რომ უეცრად ალექსანდრე ბატონიშვი-  
ლის თანაავტორი შეიქნებო, მისი წარმოსახვითი მდივანი. ეს  
განცდა უეჭველად შემაცვლევინებდა თხრობის მანერას, მი-  
თუმეტეს, ისედაც მანვალეებს ეპისტოლური რომანის შექმნის  
სურვილი, და უკეთესი საშუალება რა უნდა მომცემოდა, ერთ-  
ბაშად ორი განზრახვა აღსრულდებოდა... მაგრამ მაშინ... მა-  
შინ ისკანდერის მითოსურ სახებას უნდა შეველოდი, გამოვრი-  
დებოდი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ვასილ ბარნოვს და იმ  
მკაცრი რეალიზმის ჩარჩოში მოვმწყვედი ულიყავი, რაც ამჯე-  
რად ვერ იკმარებდა და ძალიანაც ვერ იკმარებდა, გაალარი-  
ბებდა და დაამჭლეებდა იმ სისხლსაც ვერ პორტრეტს, რასაც  
ლეგენდური შარავანდი ანიჭებს ქართველ ჰამლეტს, ვინც შუ-  
რისგებას ვერ აღასრულებდა მამის ტრაგიკული ხვედრისათ-  
ვის, მაგრამ ანდერძად კი დაგვიტოვებდა ამ გაუნელებელ ჟინს  
და გადამწყვეტ იერიშს რუსული კოლონიური უღლის გადა-  
საგდებად მისი სახეზეც ამიტომ წარუძღვებოდა.

რა — მითოსური ნაკადი ინტერპოლაციებად ვერ ჩაერ-  
თვოდა თხრობას?

ავტოინტერპოლაციებად.

მოდერნისტულმა რომანმაც იცის ამგვარი მხატვრული  
ხერხი და პოსტმოდერნისტულმაც.

მაგრამ ასეთ დროს როგორც უნდა გეცადა, ფორმა ვე-  
რაფრისდიდებით ვერ განიმსჭვალებოდა ამ შარავანდით.

არჩევანი და ასეთი?!

ერთი მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილის თანაავტო-  
რობა.

მეორე მხრივ, ბიოგრაფიული ქრონიკის მითოსური  
ფორმაა.

და... გადაივლიდა ნამიერი ცთუნება და ისკანდერი მი-  
თოსურ სულს შეინარჩუნებდა თხრობისას, რომელიც გეზს  
ალარ შეიცვლიდა და ბოლოსდაბოლოს ჰპოვებდა იმ ხორც-  
შესხმას, ასე რომ ენატრებოდა ჩვენს მკითხველს და მეც  
ველოდი, სულ ველოდი მისი აჩრდილის გამოცხადებას,  
კანთიელის, ხელშესახების, თორემ გადაქროლილ-გადმოქ-  
როლილისათვის არაერთხელ შემეველო მზერა.

აბა, ბიოგრაფიულ რომანთა ციკლი უალექსანდრე-  
ბატონიშვილოდ?!.

წინო სადღობელაშვილი

## „ბანკვართული“ მინდიას ოღისაა

ფოლკლორული ხატება კი უძლოდა წინ, მაგრამ სახე-ლის „მინდია“ მარადიულ სიმბოლოდ ქცევა მაინც ვაჟა-ფშაველამ შეძლო, თავის „გველისმჭამელში“. ეს სახელი ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირდა ბუნებასთან თანა-ზიარი, ადამიანურ, ყოფიერ სამ-ყაროსთან შეუგუებელი და ამდენად ტრაგიკული გმირის სახებას და, რა ტექსტიც უნდა წავიკითხოთ ამის შემდეგ, სადაც მთავარ გმირს (ან თუნდაც არამთავარს) მინდია ერქმევა, ფიქრი მაინც თავისით გადასწვდება დიდი მწერლის ფარულ პროტოტიპს, ქართულ ლიტერატურაში ერთ ყველაზე გამორჩეულ და მოელვარე პერსონაჟს — მინდიას.

მით უმეტეს, თუ მწერალი ახალ ტექსტში არც მალავს თავისი გმირის ფოლკლორულ, გნებათ ლიტერატურულ წარმომავლობას და ფარული, ქვეტექსტური ალუზიებისთვის კი არ განაწყობს მკითხველს, არამედ პირდაპირ უცხადებს, შეუფარავად აცნობს მას.

ახლაც სწორედ ასეთ ტექსტზე ვსაუბრობთ — ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანის „განკვართული“ შესახებ, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ სამ ნომერში თანმიმდევრობით იბეჭდებოდა, ხოგაის მინდიას საგა, თავისი მითოსური და მხატვრული პლასტებით.

მთავარ გმირს მინდია ჰქვია, მის მამას კი — ხოგაი. ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელია და მკითხველიც ტრაგიკული ამბის განვითარებას ელოდება, მით უფრო, რომ ეპიგრაფში ავტორი საამისოდ ამზადებს მას: „აჰა, მე მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა...“ (მათე 10, 16). მგლისა და ცხვრის ანტითეზა უკვე ნიშნავს, რომ საქმე ჭეშმარიტ ადამიანურ ვნებებთან, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილთან გვექნება.

ეს ყოველივე კი ძალიან საინტერესო ონტოლოგიურ დროში — მეოცე საუკუნის დამდეგს ხდება. სწორედ ეს დრო — ფასეულობათა ნგრევისა და ახალი სამყაროს შენებისა, რევოლუციური ვნებათაღელვების, ტექნიზაციის, ადამიანში ღვთიურის კვდომისა და სიცარიელის ბატონობის ჟამი — იქცა რომანის გმირის მოღვაწეობის ამსოფლიურ დროდ, ერთგვარ მანძილად, რომლის გზაზეც მას ღრმა ადამიანურ-სულიერი საკითხები უნდა ამოეხსნა.

მინდია ხევსურეთის ერთი-ერთი ქაე-ციხის ბატონ-პატრონის, ხოგაის მხოლოდშობილი ძეა და, ამდენად, მამისგან ერთითად ნაპატრონები, ნაზრუნავი. თანაც, მამის ფარულ შიშს შვილის ბედისწერის მიმართ თავისი საფუძველიც აქვს — ხოგაის ქაე-ციხე მითოსური და ანდრეზული ამბების ნამდვილი შესაკრებელია, ისევე, როგორც მთელი ხევსურეთი და მინდიას დაბადებას წინ მათ ოჯახში მაცილის, ავსულის სტუმრობა უძლოდა, რომელმაც ხოგაის და დააორსულა და, თითქმის ერთდროულად მოველინა ქვეყანას ორი არსება: მინდია და მგელიკა, ანუ კეთილი და ბოროტი, ანაც — ცხვარი და მგელი. ახალშობილი მგელიკა ვიღაც ქვრივს მიაბარეს გასაზრდელად, სოფლის მოშორებით. მინდია კი ისე იზრდებოდა როგორც ჭეშმარიტ ხევსურს შეჰფერის — „ოთხ წლამდე თმა არ მოუკვეციათ მისთვის, თეთრი პერანგი არ გამოუცვლიათ, მერე, აღთქმისაებრ, ხატს მიჰგვარეს მსახურად... ხევისბერის მეთვალყურეობით იზრდებოდა, მასავით ხატისთვის შეწირულ ყრმებთან ერთად, ასკეტურ მორჩილებასა და სანესო რიტუალებს სწავლობდა, რათა ღვთის მსახური შექმნილიყო შემდეგ...“



ზურაბ ლავრელაშვილი

თუმცა იყო კიდევ რაღაც, ძალიან ღრმა და გამჭვირვალე, რაც მას არა მხოლოდ თავისი თანატოლებისგან, არამედ მთელი დანარჩენი საადამიანოსგანაც გამოარჩევდა — მინდია იყო, ხისა და ბალახის, ჩიტის და მდინარის ენა ესმოდა, მათი დარდი იცოდა, ყოველივეს გარშემო გაასმაგებელი სიფაქიზით შეიგრძნობდა და ერთ დღეს კი ამან კაცის მარტოსულობაზე, მის დაკარგულობაზე, ეულობაზე დააფიქრა. ეს ფიქრი კი ერთხელ მაინც თუ სწვევია ვინმეს, კარგად უნყის — რა უკურნებელი სევდითაა აღძრული და როგორ მიაქანებს სულს უმწეობისკენ, უძლურებისკენ.

იქნებ ამის გამოცაა, რომ რომანის ყველა იმ ეპიზოდში, სადაც მინდიას ადამიანურ სამყაროსთან შეჯახება მოუწევს, ადამიანები პირდაპირ ამუნათებენ მას: ლაჩარი ხარო. მისი ფიზიკური მარცხით მთავრდება ყველა ორთაბრძოლა და, ვინ იცის, ცხოვრების რომელ მოკლე მონაკვეთზე დასრულდებოდა მისი არსებობაც, რომ არა ზებუნებრივ ძალთა კანონებით მოვლენილი ხან ვინ მშველელი, ხან რა ქომაგი... ამდენჯერ სხნა, ამდენი ფატალური შემთხვევის ასე შემობრუნება ბადებს ფიქრს: რისთვისაა საჭირო მინდიას სიცოცხლე? ვინ უნდა ამოხსნას რთული კითხვები მინდიას სულით?

ეს, ბუნებრივია, უპირველესად თვით მინდიას აინტერესებს. ამიტომაც არ იხევეს უკან ბედის არცერთ შემოთავაზებაზე, რადგან ძიებისა და აღმოჩენის მწველ ჟინს შეუპყრია, ამიტომ ტოვებს თავის ქაე-ციხეს და მთელ სამშობლოს და ბუნების საიდუმლოებებით გატაცებულ გერმანელ მეცნიერ ვილანდს ევროპაში მიჰყვება.

და თითქოს ცხოვრების (და ტექსტის) ვექტორი მითოსიდან რეალურ სამყაროში გადაინაცვლებს, მაინც ყოველივეს მითოსის მკრთალი საბურველი ახლავს. ეს მეცნიერი ვილანდიც გამოუცნობი გმირია, სახელის ალიტერაციით ბულგაკოვის ვოლანდს რომ წააგავს და ალაგ-ალაგ მისი ზრახვებიც, მისი ბოროტებით ნაკარნახევი კეთილშობილება ან პირიქით, კეთილშობილი ბოროტებაც ახლავს. თუმცა სიუჟეტის განვითარების მანძილზე მისი ხასიათი ნაკლებად ვითარდება და მწერალი მას ისევ მინდიას ერთგვარ მფარველ ანგელოზად ტოვებს, ამ ფუნქციით აღჭურავს, რომ სადაც კი მინდიას სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრება, ყველა შემთხვევაში ჩნდება გერმანელი ვილანდი (არავინ იცის, რა გზებით და ინფორმაციით მიაგნო მან იქ თავის შვილობილს), გადაარჩენს და კვლავ ტოვებს ახალ ხიფათებთან შესახვედრად.

თუმცა ვილანდის მთავარი პირობა, რის გამოც მინდია ევროპაში წასვლაზე დაითანხმა — კაცთა სულელების დამჭერად გაქცევა, შეუსრულებელი დარჩა. მან ვერც სულელების დაჭერა ასწავლა მინდიას და ვერც მათთან გამკლავება, რის გამოც მინდიას სული თანდათან უფრო მყიფე და მსხვერველად გახდა.

12 წელი იმოგზაურა მინდიამ, სამშობლოდან შორს გადატყორცნილმა და ადამიანური საზრისით აძრულმა. საინტერესოა პეტერბურგში გატარებული მისი ცხოვრების ეპიზოდი, სადაც ის რევოლუციით აღტკინებულთა წრეში მოექცა. ადამიანურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ფილოსოფიას რევოლუციამ დიდი გასაქანი მისცა და ახალ ცხოვრებაზე ოცნებით შეპყრობილი სტუდენტები მინდიას ჩათრევას ცდილობდნენ. მით უფრო, რომ ცარისტულმა რუსეთმა მინდიას სამშობლოც მრავალგზის დააზარალა და მასთან საბრძოლველად ხევსურს პირადი შურისგება მაინც უნდა ჰქონოდა. მინდიას კი ადამიანის უძლურების ეჭვი არ განულებია, არც მისი რევოლუციური კათარზისის სჯეროდა დიდად — „გგონიათ, ადამიანი უცებ შეიცვლება?“ — ეს მისი დაეჭვებაა, მის გამოცდილებათა და ნაფიქრის ანარეკლი.

და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო რწმუნდებოდა თავისი ეჭვის სიმტკიცეში. რწმუნდებოდა იმაშიც, რომ „ადამიანი მხეცია“. სწორედ „მხეცთან“ ურთიერთობა იქცა მის მრავალ საბედისწერო ეპიზოდად, მის შინაგან, სულიერ ჭიდილთა ხორციელ გამოვლინებად. პეტერბურგში მან „შემთხვევით“ თავისი მამიდაშვილი, ოლესლაც მაცილიგან დაორსულებული ხოგაის დის შვილი — მგელიკა აღმოაჩინა, ოღონდ მას ახლა ვოლკოვი ერქვა და ადამიანურ საზოგადოებაში მგლის კანონებით მოქმედებდა. ესეც ნიშანდობლივია და ავტორის ჩანაფიქრი უნდა იყოს უთუოდ, სამშობლოდან გადახვენილი ბოროტების შეცვლილი სახელდება, თან იმ ენაზე, რომელიც აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა ბოროტების სახელით ებრძვის მინდიასა და მგელიკას სამშობლოს.

შთამბეჭდავია ამ ორი კაცის — ერთმანეთის ღვიძლი ნათესავების, ოღონდ ორი სხვადასხვა სანყისის — ურთიერთობა: მუდამ საბედისწერო ზღვრამდე მისული, დაძაბული და ყოველ წამს ასაფეთქებლად განწირული, თუმცა გარეგნულად მშვიდი, მზრუნველიც და მოსიყვარულეც, როგორც ნამდვილ ცხოვრებაშია — სადაც ამდენი ათასწლეულია გვერდიგვერდ თანაარსებობენ კეთილი და ბოროტი და ხანდახან ადამიანებს ისინი ერთმანეთშიც კი არევიან...

მინდიას შეუძლია მოკლას ვოლკოვი, ანუ მოკლას ბოროტება, მაგრამ ამას არ ან ვერ სჩადის. ისევ „სილაჩრე“ და უძ-

ლურება უშლის ხელს, საკუთარ თავსაც და მთელს გარემომცველ სამყაროსაც ერთხელ და სამუდამოდ მოაშოროს ეს სიბნელე, სახელად ვოლკოვი... ამ შეუძლებელს, გნებავთ ჩაუდენელი სულიერი აქტის შემდეგ კი ბუნებრივად უნდა დაიბადოს ახალი ეპიზოდი: თუ არ კვდება მგელი, ცხვარი მაინც უნდა მოკვდეს, რადგან სამყარო ჯერაც არ ამალღებულა იმ იდეალამდე, სადაც ცხვარი და მგელი ერთად სძოვს ბალახს...

12-წლიანი ოდისეის (ისევე როგორც ამ ისტორიის მითოსურ ქარგაში), ანუ ქაჯებთან 12-წლიანი ურთიერთობის შემდეგ, მინდია სამშობლოში ბრუნდება. მისი აღსასრულიც სამშობლოში უნდა დადგეს. მინდია ათავისუფლებს ვოლკოვს და მის ნაცვლად თვითონ ჯდება ტყვეთა შორის. თუმცა საგულისხმოა, რომ ის ადამიანთა ხელით როდი კვდება, არამედ მის აღსასრულშიც მითოსის კვალი ურევია — მინდია და ბებერი მგელი, ხანგრძლივი ორთაბრძოლის შემდეგ, მთვარით განათებულ ოქროსფერ თოვლში იხოცებიან.

რომანს „განკვართული“ ჰქვია და, ჩემი ფიქრით, ამ სათაურში რამდენიმე პლასტი იკითხება. კვართის სიმბოლო ყველასთვის კარგადაა ნაცნობი და მისი სიძვირფასეც მინდიას ფოლკლორულ და ლიტერატურულ არქიტექსს ჭეშმარიტი სამოსივით შვენის. მინდია თავიდანვე რჩეულად ჩაიფიქრა ბუნებაში, როცა თავისი ცოდნა და ენა გაუზიარა, ამიტომ რჩეულთა ხვედრისამებრ — ის ტრაგიკულიცაა, რადგან ეს მისი პირადი არჩევანი როდია, ეს მისი ჯვარი და კვართია, რომელსაც ხანდახან უარყოფს და ირიდებს კიდევ. მინდიას წასვლა სამშობლოდან, მამის აღტქმის დარღვევა, რომ ხატისთვის შეწირულ ყმად ემსახურა, ალბათ სწორედ ამ პროცესს — განკვართვასაც გულისხმობს, და სწორედ მისი სასჯელია მთელი დანარჩენი ცხოვრება.

განკვართვა ხანდახან გათავისუფლებასაც ნიშნავს, გაშიშვლებას წარსულისგან, ტრადიციისგან, განწმენდას, როცა შენივე თავით, შენი საზრისით შეძრული დგახარ სამყაროს წინაშე და შენი ადამიანობის კვართი — ცხვრის (ან მგლის) ტყავი გაცვია, გააჩნია, საით უფრო ბევრი გაქვს საბრძოლი — სიკეთისკენ თუ ბოროტებისკენ...

„განკვართული“ მინდია მარტოა თავისი მგრძობელით, სულიერებით, ღვთის განგების წინაშე უძლურების შეგნებით, ის რწმენისგანაც განკვართულია და ალბათ ამიტომ დარია ხელი სიკვდილის წინ სიცარიელის მძინვარე განცდამ. ეს ერთი ყველაზე საზარელ მხეცთაგანია, კაცის სულს რომ ერჩის და, მინდიაც, თავისი დროის, ეპოქის სახე-სიმბოლო, ამ სიცარიელეს ვერ დაეხსნა. სამყარო ვერც მან შეცვალა, ბუნებას ვერც ის ერთი ვერ ეყო...

ასეთ სულთა აღსასრულებს პოეზია თუ დაადგამს დაუჭკნობ გვირგვინს, უსასრულობასთან მათი შეყრის წამს გაასამუდამოვებს და კაცთა მოდგმას საფიქრალად დაუტოვებს — ვინა ვართ, რისთვის ვართ, წარმავლობით და ცოდვა-მადლით დალდასმულები, საით მივედინებით?...

**მზე ნითლდებოდა, ცხრებოდა,  
ხოგაის მინდი კვებოდა,  
ჩამოდიოდა მასკვლავი,  
მთვარე უკულმა დგებოდა.**

პირველ შთაბეჭდილებადა, აი, ეს ფიქრები ჩაინიშნა გონებაში ამ ღრმა და არაერთხელ მისაბრუნებელი რომანის ნაკითხვის შემდეგ.



ჯიბრან  
ხალილ  
ჯიბრანი

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) XX საუკუნის ცნობილი ქრისტიანი ლიბანელი ფილოსოფოსი, მწერალი, პოეტი და მხატვარი ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ბაშარიში დაიბადა. 11 წლისა დედასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა — ამერიკაში. ადრევე დაინტერესდა მხატვრობით. მისი პირველი გამოფენა 1904 წელს მოეწყო ბოსტონში. პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები არაბულ ენაზე შექმნა. 1918 წლიდან ინგლისურად დაიწყო წერა. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი პოეტური ესეები, რომანები, მოთხრობები: „მესაფლავე“, „წინასწარმეტყველი“, „წინასწარმეტყველის წალკოტი“, „იესო, ძე კაცისა“, „პოეტი“, „თვითმკვლელობამდე“, „ჩემი დაბადების დღე“, „მონობა“, „ხილვა“ (მთარგმნელები: გიორგი ლობჯანიძე, დარეჯან გარდავაძე, იზოლდა გრძელიძე, მანანა გიგინეიშვილი, ნინო დოლიძე, დავით გოგიბუაძე). აქ წარმოდგენილია ნაწყვეტი წიგნიდან „ქვიშა და ქაფი“, რომელიც იგავთა და აფორიზმების კრებულია. პირველად 1926 წელს გამოიცა ინგლისურად და მას შემდეგ მრავალ ენაზე ითარგმნა.

## ქვიშა და ქაფი

\*\*\*

განთიადს ვერ მიაღწევ თუ ღამის ბილიკს არ გაივლი.

\*\*\*

საოცარია, ზოგი სიამოვნების სურვილი ტკივილს მაცენებს.

\*\*\*

შვიდჯერ ავიგდე აბუჩად ჩემი სული:  
პირველად, როცა მოკრძალება შევატყვე, წარმატების მიღწევა რომ შეძლო.

მეორედ, როცა ხეიბარს თავი კოჭლად მოაჩვენა.  
მესამედ, როცა არჩევანი ჰქონდა რთულსა და მარტივს შორის და მარტივი აირჩია.

მეოთხედ, როცა შეცდა და თავი იმით დაიმშვიდა, სხვებიც ცდებიანო.

მეხუთედ, როცა სისუსტის გამო მოითმინა და ეს მოთმინება ძლიერებას მიაწერა.

მეექვსედ, როცა სახის სიმახინჯე შეიჯავრა და არ იცოდა, რომ ეს მისი ერთ-ერთი ნილაბი იყო.

და მეშვიდედ, როცა პირფერობა ღირსებად ჩაეთვალა...

\*\*\*

ყველაფრის საწყისი ძლიერი სურვილია.

\*\*\*

ჩვენ მხოლოდ სილამაზის აღმოსაჩენად ვცხოვრობთ. სხვა, ყველაფერი ლოდინის ფორმაა.

\*\*\*

როგორ აეხსნება ჩემს გულს ბეჭედი, თუ არ გატყდა?

\*\*\*

მხოლოდ დიდ მწუხარებას ან დიდ სიხარულს შეუძლია წარმოაჩინოს შენი სიმართლე.

თუ სიმართლე გამჟღავნდა, ან შიშველმა უნდა იცეკვო მზეზე, ან ჯვარი ზიდო.

\*\*\*

თავისუფალი ხარ მზისა და ღამის ვარსკვლავთა წინაშე;

თავისუფალი ხარ, როცა არც მზეა, არც მთვარე და არც ვარსკვლავები.

მაშინაც თავისუფალი ხარ, როცა ყველაფერზე თვალს ხუჭავ.

მაგრამ მონა ხარ მისი, ვინც გიყვარს, იმიტომ, რომ გიყვარს.

და მონა ხარ მისი, ვისაც უყვარხარ, იმიტომ, რომ უყვარხარ.

\*\*\*

სახლს სტუმრები აცოცხლებენ. ასე რომ არ იყოს, ყველა სახლი სამარეს დაემსგავსებოდა.

\*\*\*

განსხვავება უმდიდრესსა და უღარიბესს შორის მხოლოდ შიმშილის ერთი დღე და წყურვილის ერთი საათია.

\*\*\*

რა შეიძლება ვთქვა იმ ადამიანზე, ვინც სხვებს დევნის და დევნილის როლს თამაშობს?

\*\*\*

ვინც ჭუჭყიან ხელებს ტანსაცმელზე შეგანმნდს, გაატანე შენი სამოსი. მას შეიძლება ისევე დასჭირდეს, შენ კი ნამდვილად აღარ გამოგადგება.

\*\*\*

რამდენჯერ მიმინერია საკუთარი თავისთვის დანაშაული, რომელიც არასოდეს ჩამიდენია, რათა სხვა ადამიანს, ჩემი თანდასწრებით, თავი კომფორტულად ეგრძნო.



\*\*\*

მე ყოველთვის ვისეირნებ ამ ნაპირებზე,  
ქვიშასა და ქაფს შორის,  
მოქცევა ნაშლის ჩემს ნაფეხურებს,  
ქარი გაფანტავს ქაფს,  
ზღვა და ნაპირი კი სამუდამოდ დარჩება.

\*\*\*

ბოლოსდაბოლოს, ეს არც ისე ცუდი ციხეა, მაგრამ მე  
არ მომწონს კედელი ჩემსა და მეზობელი პატიმრის საკ-  
ნებს შორის;  
მიუხედავად ამისა, გარწმუნებთ, აზრად არ მომდის  
ციხის მცველს ან მშენებელს ვუსაყვედურო.

\*\*\*

როცა მოგდევენ, მხოლოდ მაშინ გარბიხარ მარდად.

\*\*\*

თუ ყველაფერი, რასაც სიკეთესა და ბოროტებაზე ამ-  
ბობენ, სიმართლეა, მთელი ჩემი ცხოვრება ერთი უწყვეტი  
კრიმინალია.

\*\*\*

მხოლოდ მათ შეიძლება შურდეთ ჩემი ან ვძულდე,  
ვინც ჩემს ქვევითაა.  
ჩემი არასოდეს შეშურებიათ და არც შევძულებივარ;  
მე არავის ზევით არა ვარ.  
მხოლოდ მათ შეუძლიათ შემაქონ ან დამამცირონ,  
ვინც ჩემს ზევითაა.  
მე არასოდეს შევეუქივარ და არც დავუმცირებივარ  
ვინმეს; მე არავის ქვევით არა ვარ.

\*\*\*

უფრო გონივრული ხომ არ იქნება, ხეიბარმა თავისი  
ყავარჯნები მტერს თავზე არ გადაამტვიროს?

\*\*\*

უცნაურია, მაგრამ ყველანი ჩვენს შეცდომებს უფრო  
თავგამოდებით ვიცავთ, ვიდრე სიმართლეს.

\*\*\*

ყველას რომ ჩვენ-ჩვენი ცოდვები გველიარებინა, ერთმა-  
ნეთს ორიგინალურობის ნაკლებობისთვის დავცინებდით.  
ჩვენ-ჩვენი ღირსებანი რომ წამოგვეჩინა, იგივე მიზე-  
ზით დავცინებდით ერთმანეთს.

\*\*\*

ინდივიდი ადამიანის შექმნილ კანონებზე მაღლა დგას,  
ვიდრე დანაშაულს ჩაიდენდეს ადამიანური პირობითობის  
წინააღმდეგ; ამის შემდეგ ის არც ვინმეზე მაღლაა, არც  
დაბლა.

\*\*\*

არ არსებობს უფრო დიდი ნაკლი, ვიდრე სხვათა ნაკ-  
ლის ძიება.

\*\*\*

თუ სხვა ადამიანი დაგცინებს, შეიძლება შეგებრალოს,  
მაგრამ თუ შენ დასცინებ, შეიძლება ვერასოდეს აპატიო  
საკუთარ თავს.  
თუ სხვა ადამიანი დაგჭრის, შეიძლება დაგავინყდეს  
ჭრილობა, მაგრამ თუ შენ დაჭრი, ყოველთვის გემახსოვ-  
რება.  
სინამდვილეში სხვა ადამიანი შენი ყველაზე მგრძნო-  
ბიარე მეორე სხეულია.

\*\*\*

ამბობენ, რომ ბუღბუღი მკერდს ყოველთვის ეკლით  
ისერავს, როცა სიყვარულს უმღერის.  
ჩვენც... სხვანაირად როგორ ვიმღერებდით?

\*\*\*

ჭეშმარიტად თავისუფალი ის ადამიანია, ვინც მონო-  
ბის ბორკილების ტვირთს მოთმინებით ზიდავს.

\*\*\*

ჩემი ცხოვრების ხმა შენსას ვერ მიწვდება, მაგრამ მო-  
დი ვისაუბროთ, რომ მარტოობა არ ვიგრძნოთ.

\*\*\*

როცა მღერი, მშიერ ადამიანს მუცლით ესმის.

\*\*\*

შესაძლოა, ის, რაც ადამიანთათვის დაკრძალვაა, ან-  
გელოზთათვის საქორწინო დღესასწაული იყოს.

\*\*\*

ცხადია ის, რასაც ვერასოდეს ვხედავთ, ვიდრე ვინმე  
მარტივად არ ახსნის.

\*\*\*

ცეცხლის ალი ვარ და ხმელი ბუჩქი; ჩემი ერთი ნაწილი  
მეორეს ანადგურებს.

\*\*\*

არ შეიძლება იცინოდე და, იმავდროულად, გულში ბო-  
როტება გედოს.

\*\*\*

ჩემს გულთან ახლოა მეფე, ვისაც სამეფო არ გააჩნია,  
და ლატაკი, ვისაც მათხოვრობა არ შეუძლია.

\*\*\*

სიცოცხლეს ვუთხარი: “მსურს სიკვდილის ლაპარაკი გავიგონო.”

სიცოცხლემ ხმას ოდნავ მოუმატა და მითხრა: “ახლა შენ ის გესმის.”

\*\*\*

დაბადება და სიკვდილი სიმამაცის ორი უკეთილშობილესი გამოვლინებაა.

\*\*\*

სიყვარული და ეჭვიანობა ვერასოდეს მორიგდებიან.

\*\*\*

თუ შენი გული ვულკანია, რატომ მოელი, რომ შენს ხელში ყვავილები იხარებენ?

\*\*\*

ჭეშმარიტად სამართლიანია, ვინც შენი დანაშაულისთვის თავს ნაწილობრივ დამნაშავედ მიიჩნევს.

\*\*\*

როცა ხედავ, კაცი ციხეში მიჰყავთ, გულში თქვი: „იქნებ ამით უფრო სასტიკ ციხეს გადაურჩა“.

და როცა მთვრალ კაცს ხედავ, გულში თქვი: „იქნებ სიმთვრალით რაღაც უფრო უღამაზოს დააღწია თავი“.

\*\*\*

რა სულელია, ვინც ცდილობს თვალებში ჩაბუდებული სიძულვილი ღიმილით დაფაროს.

\*\*\*

ისინი მეუბნებიან: “თუ საკუთარ თავს შეიცნობ, ყველას შეცნობას შეძლებ“.

მე ვამბობ: “მხოლოდ სხვათა შეცნობის დროს შევძლებ საკუთარი თავის შეცნობას“.

\*\*\*

დიახ, ნირვანა არსებობს! ნირვანაა, ცხვარს რომ გაუძღვები მწვანე საძოვრისკენ, ნირვანაა, შვილს რომ დასაძინებლად დაანვენ და ლექსის ბოლო სტრიქონს დაწერ.

\*\*\*

სევდა სხვა არაფერია, თუ არა კედელი ორ ბალს შორის.

\*\*\*

ძლიერი სურვილი ნახევარი სიცოცხლეა; გულგრილობა — ნახევარი სიკვდილი.

\*\*\*

რწმენა ის ოაზისია ადამიანის გულში, რომელსაც ვერასოდეს ჩანვდება აზროვნების ნაკადი.

\*\*\*

თუ მზისკენ ზურგით დგახარ, მხოლოდ საკუთარ ჩრდილს დაინახავ.

\*\*\*

კუს შეუძლია მეტი გითხრას გზის შესახებ, ვიდრე კურდღელს.

\*\*\*

მამაჩემმა და დეაჩემმა ისურვეს შვილი და გავჩნდი მე. მე ვისურვე დედ-მამა — გაჩნდა ღამე და ზღვა.

\*\*\*

ნისლში გახვეული მთა ბორცვი არ არის; არც მუხის ხე იქცევა ტირიფად წვიმიან ამინდში.

\*\*\*

როცა წინ სუფთა სარკე დაგიდგი, დაჟინებით შემომხედე და საკუთარი გამოსახულება დაინახე.

შემდეგ თქვი: „მიყვარხარ“. სინამდვილეში, ჩემში საკუთარი თავი გიყვარდა.

\*\*\*

ვერ იქნები ერთდროულად ახალგაზრდა და ბრძენი; რადგან ახალგაზრდობა ძალიან დაკავებულია ცხოვრებით, რომ შეიმეცნოს, და ცოდნა ძალიან დაკავებულია საკუთარი თავის ძიებით, რომ იცხოვროს.

შენ შეიძლება ფანჯარასთან იჯდე, გამვლელებს უყურებდე, ამ დროს მარჯვნიდან მომავალი ძიძა და მარცხნიდან მომავალი მეძავე დაინახო.

და შეიძლება შენი უმანკოებიდან გამომდინარე თქვა: „რა კეთილშობილია ერთი და რა უკეთური — მეორე!“

მაგრამ თვალები რომ დაგეხუჭა და ცოტა ხნით ყური დაგეგდო, ჩურჩულს გაიგონებდი: „ერთი ლოცვაში მეძებს, მეორე — ტკივილში“.

\*\*\*

ას წელიწადში ერთხელ იესო ნაზარეველი ბაღში, ლიბანის ბორცვებს შორის, იესო ქრისტიანს ხვდება. ისინი დიდხანს საუბრობენ. ყოველი შეხვედრის ბოლოს, წასვლისას, იესო ნაზარეველი იესო ქრისტიანს ეუბნება: “მეგობარო, ვმიშობ, ვერასოდეს შევთანხმდებით”

\*\*\*

ყოველ დახურულ კარს მიღმა შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი საიდუმლო იმალება.

\*\*\*

შეიძლება დაგავინწყდეს ის, ვისთან ერთადაც იცინოდი, მაგრამ ვერასოდეს დაივიწყებ მას, ვისთან ერთადაც გტიტირია.

\*\*\*

საკრალური რამ უნდა იყოს მარილი. ის არის ზღვაში და ჩვენს ცრემლებში.

\*\*\*

ღრუბელზე რომ მჯდარიყავი, ვერ დაინახავდი სასაზღვრო ზოლს ქვეყნებს შორის, ვერც სასაზღვრო ღობეს ფერმებს შორის. სანაყენია, ღრუბელზე ჯდომა რომ არ შეგიძლია.

\*\*\*

ნამდვილად საცოდაობაა, თუ ცარიელ ხელს გავუწოდებ ადამიანებს და არაფერს მივიღებ, მაგრამ სრული უიმედობაა, თუ სავსე ხელს გავუწოდებ და მერე იქ აღარაფერი დამხვდება.

\*\*\*

ძლიერ მსურს მარადისობა, რადგან იქ ჩემს დაუნერულ პოემებსა და დაუხატავ ნახატებს შევხვდები.

\*\*\*

ხელოვნება ნაბიჯია არსობიდან მარადისობისკენ.

\*\*\*

ხელოვნების ნაწარმოები გამოსახულებაში ჩაქსოვილი ნისლია.

\*\*\*

ზარმაც ხელებს ის ხელებიც კი სჯობს, ეკლის გვირგვინს რომ აკეთებენ.

\*\*\*

იესოს დიდ პაპას რომ სცოდნოდა რა იმალებოდა მასში, საკუთარი თავის წინაშე მოკრძალება არ გაუჩნდებოდა?

\*\*\*

ყოველი ფიქრი, რომელიც ფრაზაში დავატყვევე, ჩემი ღვანლით უნდა გავათავისუფლო.

ინგლისურიდან თარგმნა ირმა მახარაძემ

# გულგტკივნეულ შვილს ხევსურეთისას

(პასუხად ბატონ ნოზრიკვან არაბულს)

აქ ამოსულს რატომღაც თქვენი წერილი გამახსენდა, საოცარი ტკივილითა და დარდით სავსე...

გიორგობა... ჩვენი სოფლის ზემოთ პატარა ეკლესიაა, ძველ ფუძეზე აღდგენილი, ქრისტეს წმინდა მხედრის სახელობის. სანამ ტაძართან მივალთ, საკმაოდ შემადლებული ადგილი უნდა გავიაროთ (თვითონ ტაძარი ქვემოთაა, მიმყუდროებულ-მიყუჩებული, შემოდგომის ფერებში ჩამტკბარი), აქედან ისე კარგად ჩანს ალაზნის ველი...

გადავყურებ უსასრულო სივრცეს და მახსენდება იმდროინდელი ჩოხელის სტრიქონები: „რომ მოვკვდები საჯიხვეზე ამომიტანეთ, აქედან კარგად ჩანს საქართველო“.

კიდევ ის დიდებული კადრი მახსენდება ფილმიდან „თუში მეცხვარე“ — უკვე ჭარმაგი მწყემსი თვალუნდენელი უფსკრულებისა და ცასმიბჯენილი მწვერვალებისკენ რომ გაახედებს პატარა ბიჭს და რაღაც იდუმალი სიამაყით ეტყვის: „აი, ბაბლო, შენი სამშობლო!“

თქვენც სწორედ ასე შეძელით მკითხველისთვის ხელისგულზე დაგედოთ ძირძველი ფხოვი თავისი ძნელბედობით — დიდებული, უკვე მხოლოდ მოგონებათა ბურუსში გახვეული წარსულითა და უნუგემო ანწყობით. ერთმანეთს ენაცვლება საოცარი სურათხატები „ზვიადი მთების გულუბრყვილო შვილების“ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა...

და სწორედ აქ, ამ შემადლებიდან თვალშეუდგამი შორეთისკენ მზირალს მახსენდება მზის მოპაექრე ქალთაზენი და გაფრენილი ყორნის აჩრდილს გადევნებული ვაჭები; სულეთის გზაზე დამდგარი რჯულის კაცები დაქარგვა-კერვის ოსტატები. იმავ შორეთში ჯერ არნახულ, მომლოდინე პეიზაჟებსაც ვჭვრეტ: აბუდელაურის ტბაში ჩავარდნილ მზეს და ცისთვის შენატყუორცნ მიცუს ციხე-ქალაქს; ახიელის, ლეზაისკარისა და გუროს შუბისწვერად შემართულ ციხეებს და ჟამისწირვას გუდანის ჯვარში...

ხევსურეთში მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, შატლიოზაზე. ასეთ დროს იქ იმდენი ხალხი ირევა, რეალობა თვალსა და ხელს შუა გაქრება. ვერ იგრძნობ, ვერ დაინახავ იმას, რაც საგრძნობი და დასანახია. პირადად მე ასეთი დღეობები სიხარულის ნაცვლად სევდას უფრო მგვრის ხოლმე, რადგან ფასადური ზეიმურობის მიღმა ხშირ შემთხვევაში სულ სხვა სინამდვილე იჩქმალება. ის სინამდვილე, რომელზეც თქვენ წერთ: „სადაც ფული არ კეთდება, ის მხარე აღარავის აგონდება“.

რამდენიმე საათის წინათ ზუგდიდიდან ნესტან ფიფია შემემხიანა, თქვენი წერილით ერთიანად აფორიაქებული.

კვდება ხევსურეთი! განამებულ სულს ლაფავსო! — რა ძალიან მწარე და მართალი სიტყვებია!

ხომ აღარც ის ხევსურეთია, გოგი ოჩიაურმა ასე რომანტიკულად რომ დაგვიხატა — ლელასა და დედიკას, გარსიასა და გავას, ომაისა და ბანზე გადმომდგარი ბალებების ხევსურეთი... და ახლა მართლაც ისე ძალიან, ძალიან მინდა წავიდე, მივუსწრო, ვნახო...

ბოლოს კი გავბედავ და დიდი ილიას სიტყვებით დავასრულებ — კვდება ხევსურეთი! „სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩაირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“

P.S. თქვენს წერილზე პასუხის დაწერას კი ვფიქრობდი, მაგრამ რაღაც მაყოვნებდა, რაღაცას ველოდი თითქოს, ალბათ, ამ დღეს! ალბათ, ამ ემოციას!

ეთარ ბერიანური

დაიბადა 1969 წელს. დაამთავრა ლატვიის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლობდა ინგლისურ ფილოლოგიას კოლუმბიის უნივერსიტეტში. პირველი პროზაული ნაწარმოებები გამოაქვეყნა 90-იანი წლების დასაწყისში. მრავალი პროზაული კრებულის და რამდენიმე რომანის ავტორია. 2001 წელს დაჯილდოვდა ლატვიის ლიტერატურული პრემიით, როგორც წლის საუკეთესო პროზაიკოსი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ევროპულ ენებზე. ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. არის ლატვიის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ორგანიზაციის, ლატვიის ლიტერატურული ცენტრის, ერთ-ერთი დამაარსებელი.

ნორა იკსტენა

ნადკა

ფანჯრები შიგნიდან დაიორთქლა. ძველ სანერ მაგიდაზე წითელი მოცვის მარცვლებია გაბნეული. ფანჯრებს მიღმა ნელა თენდება და ნადეჟდა მიხაილოვნას ოთახი შუქით ივსება.

დილით ადგომა უჭირს. ვალვიძება არ უნდა და თავზე ნაფარებულ საბანში ამწყვდევს ძილს. შემდეგ ფრთხილად გამოიჭყიტავს საბნის ჭუჭრუტანიდან, რომელშიც სწორედ იმდენი შუქი აღწევს, რომ მიხვდეს — თენდება.

პირველად ყოველთვის ფეხებს გრძნობს. ხის მორებივით მძიმე ფეხებში უცნაური მიმოქცევა ქვემოთ ექაჩება. ჭიანჭველები დაუდიან დაბუჭებულ ფეხებში. შემდეგ კი საერთოდ ვეღარ გრძნობს მათ. მოხრის და გაშლის, თითებს ამოძრავებს. მისი ფეხები ყოველ დილით ძველი, დაჟანგული ზარის მექანიზმივითაა, დაიჭრიალებს და ამუშავდება, ტორტმანით დაძრავს მის კუნძივით სხეულს.

ნადეჟდა მიხაილოვნა საკუთარ თავს სარკეში უყურებს. წარმოიდგენს ხოლმე, როგორ გამოიყურებოდნენ მისი მშობლები, რომლებმაც გააჩინეს. ფართო სახე აქვს, ელამი თვალები, სახეზე მიჭყლეტილი ცხვირი, თითქოს ვილაცამ მძიმე ხელი გადაუტარა სახეზე და დარჩა სახე ასე დაბრტყელებული. ზურგიდან კისერი არ მოუჩანს, თითქოს თავი მხრებში ჩაურგავსო. წინიდან კი ჩანს, რომ უბრალოდ მოკლე კისერი აქვს.

სკოლა-ინტერნატში სწავლის დროს არცერთ ბიჭს არ შეუხნევას მისთვის. თუ მაინც შეხედავდნენ, ამრებით აქცევდნენ ზურგს. ყველაზე კეთილგანწყობილები „მეფის ასულ ბაყაყს“ ეძახდნენ, სასტიკები — უბრალოდ გომბეშოს. ბედნიერი იყო, როცა სკოლის შემდეგ რომელიღაც პატარა ქალაქში კონსერვების საამქროში მიიღეს სამუშაოდ. მცირე, მაგრამ საკუთარი შემოსავალი გაუჩნდა.

მასთან დიდად არავინ მეგობრობდა, მაგრამ არც დასცინოდნენ. ნადეჟდა მიხაილოვნამ ცოტაოდენი ლატვიურიც ისწავლა და მალე არაფრით გამოირჩეოდა ადგილობრივ მკვიდართან. ბინაც მიიღო ძველ სახლში, ოთახი და სამზარეულო პატარა ბაღით. შემოდგომაზე ზამთრის მარაგს ამზადებდა. რაც რჩებოდა, მალაზიის შესასვლელთან ან დიდი გზის პირას ყიდდა.

გარშემო ტყეებში ყველა გზა, ბილიკი, ჭანჭრობი და ჭაობი იცოდა. ხშირად სამუშაოდ წასვლამდე ასწრებდა ტყეში სოკოსა და კენკრის შეგროვებას ან ყვავილების დაკრეფას. ჭალისყურას, თეთრასა და ვარყას ყიდდა. თვითონ ყველაზე მეტად დათვის სოკო უყვარდა, რომელსაც ადგილობრივები არ ეტანებოდნენ, და კიდევ წითელი მოცვის მურაბა.

ნადეჟდა მიხაილოვნა ცდილობდა სარკეში არ ჩაეხედა. როგორც კი კბილებს გაიხეხავდა და თმას დაიბანდა, პირსახოცს ჩაბლუჯავდა და სარკეს ზურგს აქცევდა. ზოგჯერ მაინც მოჰკრავდა თვალს საკუთარი სხეულის ნაწილებს. სარკეში ხან მისი ელამი თვალი გაერთებოდა, ხან დაბრეცილი ზურგი, ხან უცნაური, მსხვილი ძუძუს თავი, ხან დამრეცი ტურნის კუთხე. რაც არის, ეს არის. საკუთარი თავიდან ვერ ამოძრება. საკუთარ თავს ისე დაატარებს, როგორც დიდი ლოკოკინები დაატარებენ მის ბაღში ნიჟარებს. ოღონდ მისი უშნო ტანი ვერ შეედრებოდა ლოკოკინების გრაციოზულ ნიჟარებს.



სალამოს, როცა სიყვარულზე ფილმებს უყურებდა, თვითონაც უნდებოდა სიყვარული. ტკბილი ჟრუანტელი დაუვლიდა კეფიდან მუცლამდე და ქვევით. სცადა საკუთარ თავს მოფერებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა, სცხვენოდა. სიზმარში კი ხშირად აკითხავდნენ ფილმების გმირები და ეუფლებოდნენ. მაშინ ბედნიერი იღვიძებდა. გაოფლილი და სველი იწვა საწოლში.

ხანმოკლე სიამოვნების მისაღებად არაყს სვამდა. ერთხელ, როცა დალია, მოეჩვენა, რომ სხვა ქალად იქცა. თითქოს სარკემ გომბეშო მეფის ასულად გარდაქმნა. ძველი კარადიდან ტანსაცმელი გამოყარა. ხან ერთი ჩაიცვა, ხან მეორე, იცვლიდა, სარკეში იყურებოდა და საკუთარი თავით კმაყოფილი იყო. იმ ღამეს კაბითა და ფეხსაცმელებით ჩაეძინა საწოლზე. დილით დამნაშავესავით ჩუმად და სწრაფად წამოკრიბა ოთახში მიმობნეული ნივთები, ხელსაბანთან სარკე შეაბრუნა. თბილი შარვალი და სქელი ბრეზენტის ქურთუკი ჩაიცვა, თავზე ყურებამდე ნაქსოვი ქუდი ჩამოიცვა და საამქროში წავიდა. ჩვეულმა გუგუნმა დაამშვიდა, თავის ტკივილი დაუამა.

...ქილა, სახურავი, ქილა, სახურავი, ქილა, სახურავი, ქილა, სახურავი, ქილა, სახურავი... ნაჩვევი, გამოზომილი მოძრაობები...

თავში საოცარი სიცარიელეა. სიცარიელე არ ტკენს, არ ამცირებს, სიცარიელეში არც ზიზღია, არც სიძულვილი.

საწოლიდან დროულად დგება. ქურაზე ჩაისთვის წყალს დგამს ასადულებლად. აბაზანაში წყალს უშვებს, სარკეში საკუთარ დაბალ, ჯმუხ გამოსახულებას ესალმება. რა სასაცილო ჭიპი აქვს, ტელერეკლამის ლამაზმანის

კობტა, პაჭუა ღილაკივით კი არა, დანაოჭებული ჯუჯას თვალივით ერთგან მოჭუტული, მეორეგან ფართოდ გახე-  
ლილი. თმასაც ვერაფერს უხერხებს. წამში ეზრდება, გან-  
საკუთრებით იდლიებში.

ნადეჟდა მიხაილოვნა ქაფს ასხამს აბაზანაში. მისი სუ-  
ნი უყვარს. ყოველთვის, როცა მაღაზიაში ამ ქაფს ყიდუ-  
ლობს, გამყიდველი აფრთხილებს, რომ ეს მამაკაცის  
სურნელია. სულერთია, მას მოსწონს მკვეთრი, აღმგზნე-  
ბი სუნი, რომელსაც აბაზანის შემდეგ კიდევ დიდხანს აფ-  
რქვევს მისი სხეული. აბაზანა მისი მესამე ნივანაა, სა-  
წოლისა და ტყის შემდეგ. ოდესმე, როცა შეეძლება თავს  
ამის უფლება მისცეს, მის ცხოვრებაში მხოლოდ ეს სამი  
რამ იქნება — საწოლი, ტყე და აბაზანა. იმედი იმისთვის  
არის საჭირო, რომ ახდეს. არც ისე დიდი ხნის წინათ ოც-  
ნებაშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ საკუთარი აბაზანა ექ-  
ნებოდა.

ეს ისე სწრაფად მოხდა. დამოუკიდებლობა გამოაცხა-  
დეს. ხალხი მღეროდა. ტრაქტორები და კომბაინები დაძ-  
რეს ქალაქისკენ მტრებთან საბრძოლველად. ნადეჟდა მი-  
ხაილოვნას სცხვენოდა, რომ მისი მშობლიური ენა მტრის  
ენა იყო. ისიც წავიდა ქალაქში. სამი დღე და ღამე დარჩა,  
თვალი არ მოუხუჭავს. სხვებთან ერთად იყინებოდა,  
სხვებთან ერთად ხვრებდა წვნიანს. იცდიდა. სანთლებს  
ანთებდა დახვრეტილთა ხსოვნის პატივსაცემად.

ეს ისე სწრაფად მოხდა. კონსერვების ქარხანა დაიხუ-  
რა. ყველანი სამუშაოს გარეშე დარჩნენ. სახლი, რომელ-  
შიც ნადეჟდა მიხაილოვნას ერთი ოთახი და სამზარეულო  
ეკავა, კანონიერ მფლობელს გადაეცა. მიწას, რომელზეც  
მისი ბალი იყო, სხვა პატრონი გამოუჩნდა.

ნადეჟდა მიხაილოვნა იმ მიტოვებული სახლის ვინრო  
საკუჭნაოსთვისაც მადლობელი იყო, რომელიც ჯერ არა-  
ვის ეკუთვნოდა. საკუჭნაოში სხვებიც შესახლდნენ, ისე-  
თები, ნადეჟდა მიხაილოვნასავით წასასვლელი რომ არ-  
სად ჰქონდათ. მთელი თავისი ავლადიდება საკუჭნაოში  
გადაიტანა და თავივით გაიტრუნა. პირველ ღამეს  
იატაკზე იჯდა და ტიროდა. გათენებას დაელოდა და ტყე-  
ში წავიდა.

ტყე ჩუმი, კეთილმოსურნე და სურნელოვანი იყო. ჩი-  
ტი ნისკარტი ეხახუნებოდა ხის კენწეროს. შველმა ჩაირ-  
ბინა. გველმა გაისრიალა. ნაძვების გადახლართულ ტო-  
ტებში თეთრი აბლაბუდებია. ნადეჟდამ პიტნის დაცვა-  
რულ ფოთლებში შეაცურა ხელი და სახე მოიბანა. რა მოხ-  
დება, რომ არ დაბრუნდეს, ჭაობში შევიდეს და იქ დარჩეს,  
ჭაობის ჩქერსა და შტომის ბუჩქებით დაფარულ ბორც-  
ვებს შორის, ჩაწვეს თეთრ, სველ ხავსში, დაიძინოს და  
თვალი აღარ გაახილოს, ელოდოს სიკვდილს, ტკბილ მე-  
გობარს. შეუძლია დიდხანს ელოდოს. ისიც მოვა და წაიყ-  
ვანს.

აი, გზის პირას ვარყა ამოსულა, პატარა, ხრაშუნა,  
წვეტიანი ქუდებით. მელისყურას ნარინჯისფერ ფეხებს  
ხედავს გვიმრის ბუჩქებში, თეთრას დანაოჭებულ მუშ-  
ტებს — ხავსსა და ქვიშაში, ოდნავ შეწითლებულ შტომს  
— ბუჩქებზე, მოცვის მძიმე მტევნებს — მიწაზე. ნიყვით  
მოფენილი პატარა მდელო მოჩანს შავ ფოთლებში.

ნადეჟდას ფილტვები დილის ჰაერით ევსება. ძალა მი-  
ცვა, დაიხარა და სოკოს აგროვებს...

... იხრება, აგროვებს... იხრება, აგროვებს... ნაჩვევი,  
გამოზომილი მოძრაობები...

თავში საოცარი სიცარიელეა, სიცარიელე არ ტკენს,  
არ ამცირებს. სიცარიელეში არც ზიზღია, არც სიძულვი-  
ლი.

აბაზანის შემდეგ ნადეჟდა წასასვლელად ემზადება.  
შავი ხისტი კორსეტი მოშვებულ სხეულს კრავს. საცვლე-  
ბი არ აცვია, ჯერ ისე არ ცივა, მხოლოდ ჯინსები, ყელია-  
ნი სვიტერი და თხელი ქურთუკი. ჩანთაში ბუტერბროდს,  
სიგარეტის კოლოფსა და არყის მათარას, ხელსანმენ-  
დებს, პრეზერვატივებსა და წყალბადის ზეჟანგის პატარა  
შუშას ალაგებს, მზის სათვალეს იკეთებს. წასასვლელად  
მზად არის.

იმ დღეს ტყიდან სავსე კალათებით გამოვიდა. კალა-  
თები გზის პირას, ავტობუსის გაჩერებასთან დატოვა და  
ყუთების მოსატანად წავიდა. ორი დიდი ყუთი მოათრია.  
ერთზე სოკოები დაალაგა პატარა, კობტა გროვებდა. მე-  
ორეზე თვითონ დაჯდა და გზას მიაცქერდა მომლოდი-  
ნედ. პარასკევი იყო, ნაშუადღევი. მანქანები მიქროდნენ  
ერთმანეთის მიყოლებით, ყრუ გრუხუნით. არავინ აჩე-  
რებდა. ნადეჟდა უკვე იმედს კარგავდა, როცა მოშორე-  
ბით მსუბუქი ავტომობილი გაჩერდა. ავტომობილიდან  
ორი მოკლეკაბიანი თმაგანწილი გოგო გადმოვიდა. მან-  
ქანა დაიძრა. გოგოებმა ნადეჟდას შეუბღვირეს.

— არ იცი, რომ ეს ადგილი დაკავებულია?

— თქვენც რამეს ყიდით?

სიგარეტს მოუკიდეს, ეწვეიან, ამბობენ, რომ ისეთ რა-  
ლაცას ყიდნიან, რაც სოკოზე ბევრად ძვირი ღირს.

ნადეჟდა უყურებს, როგორ ივარცხნიან განწილი  
თმას, იღებებიან, ითხუპნიან დაბერებულ სახეებს, სვამენ  
ბოთლიდან. ასეთი ბოთლი ნადეჟდას ადრე არასდროს  
უნახავს. შემდეგ ერთმანეთისგან მოშორებით დგებიან და  
გზაზე მომავალ მანქანებს გამომწვევი ძახილითა და ხე-  
ლის ქნევით ეგებებიან.

აბაზანის თბილი სურნელი ჯერ კიდევ არ ჩამოშორე-  
ბია ნადეჟდას. გზის პირას გაკვალული ბილიკით მიაბი-  
ჯებს. ბილიკი თვითონ გაკვალა გზიდან არც ისე შორს,  
რომ მიმავალი მანქანიდან ვერ შეემჩნიათ, მაგრამ არც  
ისე ახლოს, რომ შემთხვევით მანქანა დაჯახებოდა ან  
დამდნარი ჭუჭყიანი თოვლის შხეფები შესწმოდა თოვლის  
დნობისას ან უამინდობაში.

მშრალი, მზიანი დღეა. გზა მშრალია. მანქანები დაქ-  
რიან, არც უწყვეტი ნაკადით, მაგრამ არც კანტიკუნტად.  
ნამდვილი მუშაობა ნაშუადღევს იწყება. ნადეჟდა ცოტა  
ადრე გამოდის გოგოებთან სალაყბოდ, შთაბეჭდილებე-  
ბის გასაზიარებლად.

იქვე ავტობუსის გაჩერებასთან პატარა საკუჭნაო  
აქვთ — გაუქმებული ელექტროგადამცემის ყუთი, სადაც  
კოსმეტიკის, სასმელების, პატარა აფთიაქისა და ისეთ  
წვრილმანთა შენახვა შეიძლება, ყოველდღიურად რომ გა-  
მოადგებათ მუშაობისას. გზაზე კარგად მიდის საქმე. სუ-  
ტენიორები არ აწუხებენ, რადგან გზაზე კლიენტი არ  
არის, რუსეთიდან მომავალი, შორეულ მარშრუტებზე გა-  
დაგებული, დიდ ფურგონთა მძღოლების გარდა. რა უნდა  
გადაიხადონ ასეთებმა? და ვინ იცის, რამდენი დაავადება  
სჭირთ, ქეციანი ძაღლებით არიან.

გზაზე მუდმივი კლიენტებიც ჰყავთ. ზოგჯერ გარენ-რებსაც გადაეყრებიან, მაგრამ ხშირად არა. ასე შოულო-ბენ სარჩოს პატიოსანი შრომით.

გოგოები ბევრს სვამენ. ზოგი კიდევ იკეთებს ან აბებს ყლაპავს. ხშირად ნადეჟდას მოსავლელები ხდებიან, ზოგს კუჭის ამორეცხვაში ეხმარება, იქვე ბუჩქებში არწყევი-ნებს, ზოგი საავადმყოფოში მიჰყავს, თუ სხვა გზა არ არის. იმასაც უჩიჩინებს, რომ უნდა ისწავლონ და რალაცას მიაღწიონ, მთელი ცხოვრება გზის პირას ხომ არ იდგებიან. ერთი-ორის დარწმუნება მოახერხა კიდევ.

უკვე მერამდენედ იხსენებს, ბილიკზე მიმავალი, იმ საბედისწერო დღეს, როცა სოკოებით სავსე კალათებით ტყიდან გამოვიდა და ავტობუსების გაჩერებასთან ახალგაზრდა კახებს გადაეყარა.

რალაც უხილავი ძალა მართავდა იმ დღეს. დაელოდა, ვიდრე გოგოებს კლიენტები გამოუჩნდებოდათ, შემდეგ ადგა, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა, ავტობუსის გაჩერებას მოშორდა, შორიახლოს გზის პირას გაჩერდა და ხელი გაიშვირა, რალაც დაიძახა, ზუსტად ისე, როგორც თმაგანენილი ბოზები იძახდნენ. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ვილაცამ მანქანა გაუჩერა. ძველ მანქანაში შუახნის მამაკაცი იჯდა, გარეგნობით ჩვეულებრივ სოფლის მცხოვრებს ჰგავდა. მანქანაში უკან კარტოფილის ცარიელი ტომრები და რალაც ყუთები ეყარა. ნადეჟდას დანახვაზე კაცი შეცბა, შემდეგ ხელი ჩაიქნია, ჩაჯექო. ნადეჟდამ უთხრა, სოკოები უნდა ნამოვილოო. კაცი არ შეინააღმდეგებია. ერთხანს ჩუმად ისხდნენ. შემდეგ კაცმა უთხრა, აქ ადრე არ მინახიხარ, არც ისე ახალგაზრდა ხარ, გზაზე რას გამომდგარხარ, ნუთუ სხვა საქმე არ გაქვსო. თავისდა გასაკვირად, ნადეჟდამ უპასუხა, რაც გენდომება, ყველაფერს გავაკეთებო. ტყეში შევიდნენ. ნადეჟდა ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ფილმებში ენახა. ყველაფერს უფლება მისცა, უარი არავერზე უთქვამს. სიამოვნებას ძლიერი ტკივილი ცვლიდა. ბოლოს კაცმა უთხრა, ხუთ ლატზე მეტს ვერ გადაგიხდი, დღეს მეტი ვერ ვივაჭრეო. ნადეჟდამ ის მიიღო, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა, თან ხუთი ლატიც გადაუხადეს. აღლევებული იყო, გონზე ვერ მოსულიყო. სოკო წაიღე, ცოლი და ბავშვები გაახარეო, კაცს უთხრა. კაცს გაუკვირდა და ესიამოვნა, ეკითხებოდა, სადმე ხომ არ მი-

გიყვანო მანქანითო. ნადეჟდამ სიცილით უთხრა, სადაც ამიყვანე, იქ ჩამომსვიო. უკან რომ ბრუნდებოდნენ, კაცი ნადეჟდას საკუთარ ცხოვრებაზე უამბობდა, ავადმყოფ დაზე, მეურნეობაზე, რომელსაც ამდენი შრომა შეაღია. ხშირად იდგები აქო, ჰკითხა, როცა ნადეჟდა მანქანიდან გადადიოდა.

— ჰო, — უპასუხა ნადკამ, — ყოველთვის, როცა მოვახერხებ.

— რა გქვია? — ჰკითხა ისევ.

— ნადეჟდა, ნადია, — უპასუხა ნადეჟდამ. კაცმა გაუღიმა.

— არა, ნადკა გქვია. შენ ნადკა ხარ, — ხელი დაუქნია და მანქანა დაძრა.

ვერ გაიგო, რატომ დაარქვეს ნადკა, ან რას ნიშნავდა ეს სახელი, მაგრამ მაინც მოეწონა. საღამომდე 20 ლატი იშოვა. იმ დღიდან მისი ცხოვრება თანდათან შეიცვალა.

ყოველთვის, როცა გზაზე ახალი გოგო გამოჩნდებოდა, ეჭვის თვლით უყურებს ნადკას, ფიქრობს, კლიენტის გემოვნებას ვერაფერს გაუგებს, თუმცა ეს გომბეშო რომ არავის უნდოდეს, აქ არ იდგებოდაო. ნადკას იქ ყოფნა ყველასთვის კარგია. მეძებარი ძალღის ყნოსვა აქვს, არაფერი გამოუპარება. ბოროტ კლიენტს შორიდან ცნობს... შევიცოდებს, ფულს გასესხებს, შინიდან ნამოლებული ტკბილეულით გაგიმასპინძლებს, განსაცდელისგან გიხსნის... საკუთარ თავს პატივს სცემს. უსიტყვოდ იტანს ახალგაზრდა მამრების დაცინვას და მათ უშვერ ლანძღვას, როცა გო-

მხატვარი კარლო ფაჩულია

გოს ასაყვანად მანქანას გააჩერებენ და ნადკას გადაანყდებიან. ნადკას კლიენტები — გამორჩეული ხალხია, ნესიერი მამაკაცები. თავმდაბლად ესალმებიან მას, მანქანით გზაზე რომ ჩაივლიან.

ყოველ მომდევნო კლიენტთან ურთიერთობა სულ უფრო არწმუნებდა ნადეჟდას მიხილოვნას, რომ მამაკაცები ამქვეყნად ყველაზე უბედური და უცნაური არსებები არიან. მან ისინი შეიყვარა, ყველანი, როგორც მოცვის მტევნები ტყეში, როგორც სოკოები ბალახში და თეთრი აბლაბუდა ნაძვის ტოტებში. თითქოს ღმერთი აფარებდა ხელს, ნადკა არასდროს უცემიათ, არასდროს დაუმცირებიათ. ერთი კლიენტი ჰყავდა, რომელიც ალერსიანი საუბრით იწყებდა, შემდეგ კი, როცა გადამწყვეტი მომენტი დგებოდა, უკანალზე მწარედ ურტყამდა ნადკას და უყვიროდა: ბოზო, ძუკნა, ძუკნა, ბოზო! როგორც კი გაათა-

ვებდა, ეფერებოდა და ბოდიშს უხდიდა. სხვებზე მეტსაც უხდიდა.

ბევრს ლაპარაკი უნდოდა, საკუთარი უბედურების ამონახვევი. ნადკა უსმენდა. მათი დაცინვისგან, წარუმატებლობისა და ლალატისგან გატეხილი ერთგული გულელები ცრემლებად იღვრებოდნენ ნადკას კუნძივით სხეულში. ილანძღვებოდნენ და ქვითინებდნენ, ქვითინებდნენ და ილანძღვებოდნენ. ზოგჯერ ამის შემდეგ ნადკასთან ერთად შეექცეოდნენ მის შინიდან წამოღებულ საგზაულს, წრუპავდნენ მისი მათარიდან.

დღეს თბილა, შემოდგომის მზიანი დღეა. ნადეჟდა პირველი მოვიდა. ასე ურჩევნია. საველე საკუჭნაოს ანესრიგებს, ნაგავს ყრის. შემდეგ ფიცარზე ჯდება და ცას გაჰყურებს გზის გადაღმა.

რა ცოტა დააკლდა, რომ ჭაობში დარჩენილიყო. სწორიც იქნებოდა, უნდა დარჩენილიყო კიდეც, თუ მისი ცხოვრება ასე არ შეიცვლებოდა... დარჩენილიყო და დალოდებოდა სიკვდილს, ტკბილ მეგობარს.

მაგრამ ღმერთს ჰყვარებია. დიდხანს ატარა შემოვლითი ბილიკებით, სანამ დიდ გზაზე გაიყვანდა. ნადკა სიკეთეს სწადიოდა და ღმერთმა სიკეთითვე გადაუხადა. ნადკა გასცემდა და იღებდა. ფულმა შეცვალა მისი ცხოვრება, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ერთხელ ავად გახდა და გზაზე ვეღარ გადიოდა. ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნებულს უამბებს, რომ ბევრი აკითხავდა. ნადკას ამბავს კითხულობდნენ და მის ნაცვლად არავინ მიჰყავდათ. მთავარი ეს იყო. ვიღაცას ენატრებოდა მისი დაბალი, კუნძივით სხეული, რომელიც შეეძლოთ ეხმარათ, რომელშიც შეეძლოთ გამოეტირათ. ღმერთმა მის ცხოვრებას აზრი შესძინა და ამისთვის მადლიერია, აბაზანისთვისაც და სამზარეულოსთვისაც, ბალისთვისაც, რომელიც ძველი მფლობელებისგან გამოისყიდა.

დღეს შეეძლო გზისგან დაესვენა და ტყეში წასულიყო. ახლა მოცვის დროა. სოკოც ამოვიდა. გოგოები იგვიანებენ: ზოგი ბავშვთან ზის სახლში, ზოგი ნაბახუსევია, გუშინდელისგან ვერ გამოსულა, ზოგს წამალი შემოაკლდა და ტანში ამტვრევს.

ნადკა ადგა და უკვე წასვლას აპირებდა, როცა გზის პირას სატივითო მანქანა გაჩერდა. ნადკა ამ კაცს არ იცნობდა. უსიამოვნო წინათგრძნობამ დაუარა გულში, მაგრამ კაცმა უთხრა, რომ ვიღაც დაემგზავრა და მისგან შეიტყო ნადკას შესახებ. სიმართლეს ჰგავდა. კაცი კი ისეთი ზრდილობიანი ჩანდა. ნადკა მანქანაში ჩაჯდა და დაიძრნენ. კაცი ხმას არ იღებდა, მხოლოდ დროგამოშვებით გახედავდა ნადკას. სად მივდივართო, იკითხა ნადკამ, რაღაც აშინებდა.

— სად გინდა, რომ წავიდეთ? — ჰკითხა კაცმა და ცარიელი თვალებით შეხედა.

— ტყეში, — უპასუხა ნადკამ.

კაცი ისევ არაფერს ამბობდა. მალე ტყისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს. ნადკამ შვებით ამოისუნთქა. აქ ყველაფერი ნაცნობია მისთვის, ყველა გზა და ბილიკი იცის, ყველა ჭანჭრობი და ჭაობი. რატომ არ ასვენებენ უსიამოვნო ფიქრები? რატომ ეშინია? ყველა მისი კაცი ხომ ასეთია, ერთი ტიპის — არცთუ ახალგაზრდა, მაღალი, სასიამოვნო სახის. ესეც მათ ჰგავს.

მანქანიდან გადმოვიდნენ და ტყეში შევიდნენ. კაცმა

ასე მოინდომა. ჭაობისკენ მიმავალ გზაზე კი უცებ გაჩერდა, ხეს მიეყრდნო და ნადკას უთხრა:

— მუხლებზე დადექი და პირში აილე.

ნადკამ გააკეთა, რაც უბრძანეს. იგრძნო, როგორ ჩაეღვარა პირში თბილი სითხე. კაცმა უცებ კეფაში წაავლო ხელი და სახით გზის აზელილ ტალახში ჩაამხო. ნადკა წამით ჩაკვდა ტალახში, შემდეგ წამოდგომა სცადა. კაცმა მაგრად ჩაარტყა მძიმე ჩქეჩიანი ფეხი.

— ესეც შენ, მახინჯო, გომბეშო, ესეც შენ! — კაცი ნადკას ურტყამდა, თავში, მუცელში, მკერდში, ყოველ დარტყმაში გიჟური, აწყვეტილი ძალა. ანჯღრევს, თითქოს უნდა მორყეული ხის ბოძი ამოგლიჯოს მიწიდან, ტალახში ახეთქებს თავით, როგორც კომპოსტზე დასალპობად მოსროლილ გოგრას.

ნადკა უკვე გაუნძრევლად წევს ტალახში. ის კი მაინც ურტყამს, კიდეც ერთხელ, ყოველი შემთხვევისთვის. შემდეგ გაოფლილ შუბლს ინმენდს და ტყის ბილიკით უკან ბრუნდება.

ტყე ისეთი ჩუმი, კეთილმოსურნე და სურნელოვანია. ზემოთ ჩიტი ეხახუნება ხის კენწეროს. შველმა ჩაირბინა, გველმა გაისრიალა. ნაძვების გახლართულ ტოტებში თეთრი აბლაბუდებია.

ნადკა მიხობავს, როგორც დაჭრილი დანალმულ ველზე, ჭაობამდე უნდა მიიღწიოს, ჩანვეს თეთრ, სველ ხავსში ჩქერსა და შტომის ბურჩებით დაფარულ ბორცვებს შორის, დაიძინოს და თვალი აღარ გაახილოს, ელოდოს სიკვდილს, ტკბილ მეგობარს, შეუძლია დიდხანს ელოდოს, ისიც მოვა და წაიყვანს... რა კარგია, რომ მაშინ არა, რა კარგია, რომ ახლა. მაშინ არაფერი ჰქონდა გასაცემი. ახლა აქვს.

თავში საოცარი სიცარიელეა. სიცარიელე არ ტკენს, არ ამცირებს. სიცარიელეში არც ზიზღია, არც სიძულვილი.

ტყეში ბილიკზე ნადკას ჩანთა დარჩა, შიგ შებოლილი ხორცის ბუტერბროდი და ნადკას დამწნილებული კიტრია. შეეძლოთ ეს ყველაფერი ერთად ეჭამათ.

**ლატვიურიდან თარგმნა  
აია გომოლაქია**



22 დეკემბერს ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებიდან 118 წელი შესრულდა. დიდი მწერალი სულ ახალგაზრდა — ორმოცდახუთი წლის ასაკში გავიდა ამ ქვეყნიდან. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისის ჯვრის მამის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა. პანაშვიდი ტაძრის მოძღვარმა დეკანოზმა **თავმას ჩოხელმა** გადაიხადა. პანაშვიდს ესწრებოდნენ ახალგაზრდები: **შალვა ელოშვილი, ოთარ წამლაიძე, ნიკა გელაშვილი, მანანა მარსაგიშვილი, სოფო ავსაჯანიშვილი, თამარ მახარაძე, ანი ელოშვილი და ანა გელაშვილი.**

ტიარა სკვითა მეფისა

1896 წლის მარტი. პარიზი. ლუვრის ერთ-ერთი კაბინეტი. მაგიდის ერთ მხარეს სხედან ფრანგი ანტიკვარი ანტიუან ფოგელი და ავსტრიელი მაკლერი ლეოპოლდ შიმანსკი. მეორე მხარეს — ლუვრის დირექტორი კემფენი, მუზეუმის ანტიკური ხელოვნების განყოფილების გამგე ერონ დე ვილფოსი და ავტორიტეტულ სწავლულთა მთელი სინკლიტი: მიშონი, ბენუა, ლაფენეტრი, მოლინიე, პიანტონი, ვენსანი, რავესონი... ხოლო მაგიდაზე განისვენებს ქალაქოლგის ბერძენ კოლონისტა ფასდაუდებელი ძღვენი — ოქროს ტიარა, ოდესღაც თავზე რომ დაადგეს მრისხანე მეზობელს, სკვითთა მეფეს საიტოფერნს (დაახლ. 200 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

აღტაცებთა ნაკადი საცაა ნალეკავს კაბინეტს: ასეთი გვირგვინი ხომ არც ერთ მუზეუმში არ მოიპოვება! მისი ხელიდან გამკვება არ ეგების! ეს ლუვრის სიამაყე იქნება!

მაგრამ 200 ათასი ფრანკი?! იმხანად ეს იყო უზარმაზარი თანხა. საფრანგეთის პარლამენტმა დასტური მისცა.

განძის პატრონმა, ოდესელმა ვაჭარმა შეპსელ გომანმა ჩაიჯიბა 86 ათასი, ფოგელმა — 74 ათასი, შიმანსკიმ — 40 ათასი.

საიტოფერნის ტიარამ საპატიო ადგილი დაიჭირა ლუვრის მუდმივ ექსპოზიციაში და დასავლეთ ევროპის უდიდესი მუზეუმის მრავალრიცხოვან მნახველთა აღფრთოვანებული გაცემების საგნად იქცა.

XIX საუკუნის დამლევს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში რუსი არქეოლოგების აღმოჩენებმა ანტიკური კულტურის სფეროში დიდი ინტერესი აღმოაცენა მთელ სამეცნიერო საზოგადოებაში და სიძველეების მოყვარულთა თუ კოლექციონერთა შორისაც. მარიფათიანი საქმისნები მყისვე წურბელებივით მიეტმასნენ აღმოჩენებს, ხელი რომ მოეთბოთ. ყალბი მონეტები, ლარნაკები, კერამიკული ქანდაკებანი, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ნარწერები ანტიკური მარმარილოს ნამსხვრევებზე — როგორც სოკოები ნანვიმარზე, ისე გაჩნდა ვითომდა გათხრებისას მოპოვებული უთვალავი ნაყალბევი.

და აი, 1896 წლის მაისში (ცხელ კვალზე!) რუსმა მეცნიერმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ვესელოვსკიმ განაცხადა: საიტოფერნის ტიარა ყალბისმქნელთა ნახელავი არისო. იმავე წლის აგვისტოში იმავე თემაზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა იმ დროის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მკვლევარმა მიუნხენიდან ადოლფ ფურტვენგლერმა.

იგი წერდა: დააკვირდით ტიარაზე გამოსახულ ფიგურებს, მათ მოძრაობას, შეესტებს, სახეებს, სამოსელს. განა ეს ანტიკური პლასტიკის სტილია? ეს ხომ პროვინციული აქტიორები არიან, რომლებიც თეატრალური პათოსით ლამობენ მოხივეჭონ ძველი გმირების თანდაყოლილი გრაცია და კეთილშობილებათ.

ფურტვენგლერს უკვირდა, გამარჯვების ქალღმერთი ნიკე რატომ ამკობდა დაფნით საიტოფერნს. ნუთუ იღბლიანი ნადირობის გამო ამკობდა? ორი ათასი წლის წინათ ნადირობა ხომ იმდენად ჩვეულებრივი საქმიანობა იყო, რომ...

ფურტვენგლერმა ტიარის პერსონაჟთა მთელი რიგი პროტოტიპები აღმოაჩინა იმ ნაკეთობებზე, სხვადასხვა დროსა და ერთმანეთისგან საკმაოდ დამორებულ სხვადასხვა ადგილას რომ დაემზადებინათ.

ფურტვენგლერს მხარი დაუჭირა ოდესის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა ფონ შტერნმა. 1896 წელსვე არქეოლოგთა კონგრესზე რიგაში მან წაიკითხა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ მართალია ოლგიაში ჩატარებულ გათხრებს სახელმწიფო არაკონტროლებდა, მაგრამ ასეთი სენსაციური აღმოჩენა რუს არქეოლოგებს არ გამოეპარებოდათო.

ზემოთქმულ საგანგაძო სიგნალებს ყური არ ათხოვეს ლუვრში. ავსტრიელ და ფრანგ მეცნიერთა საიმედო დასკვნები შორს უკუაგდებდნენ ყოველგვარ დაეჭვებას. სკეპტიკოსთა ხმები ჩაცხრა.

გამოხდა ხანი. შვიდმა წელიწადმა ჩაიარა წყნარად და უშფოთველად. საფრანგეთში იშუამად დრეიფუსის გახმაურებულ საქმე უფრო აღელვებდათ, ვიდრე ტიარა სკვითთა მეფისა.

და აი, უეცრად იფეთქა ბომბმა. 1903 წლის მარტში პარიზის ერთ გაზეთში გამოჩნდა ცნობა: მხატვარი მონმარტირიდან, ვინმე მაიანსი ამტიციებდა, საიტოფერნის ტიარა ჩემი ნახელავი არისო.

ყველა გაზეთმა აიტაცა სენსაცია. ორიოდე დღის შემდეგ კი გამოქვეყნდა პარიზელი იუველირის ლიფშიცის ლია წერილი, სადაც ის უარყოფდა მაიანსის ავტორობას და წერდა, ტიარის ნამდვილი შემოქმედი საკუთარი თვალით მინახავსო. ასახელებდა კიდევ: ოდესელი იუველირი და ოქრომჭედელი იზრაილ რუზომოვსკი, რომელსაც 1895 წელს დაუმზადებია ტიარა და რვათვიანი შრომის საფასურად მიუღია ორი ათასი მანეთი.

აუჰ, რა აურზაური ატყდა! გაზეთები ყირაზე ვადადიოდნენ. კაბარებში ლილინებდნენ შაირებს სკვითთა მეფის ტიარასა და გაბითურებულ სწავლულებზე. ცნობისმოყვარეთა ბრბოები მიანყდა ლუვრს, მაგრამ ტიარა ვეღარ იხილეს. მუზეუმის თანამშრომლებს უკვე გადაემალათ.

მთავრობა იძულებული გახდა, რომ საგანგებო კომისია შეექმნა საქმის ყველა გარემოებათა გამოსაკვლევად. კომისიას სათავეში ჩაუდგა მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულების — კოლეჟ დე ფრანსის პროფესორი კლერმონ-გამო.

მთავარი გმირი ამ სკანდალისა ამასობაში რასა იქმს და რას უბნობს?

მთავარი გმირი მთავარ ბომბს აფეთქებს! ლიფშიცის წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღე გავიდა და პარიზული გაზეთის რუსმა კორესპონდენტმა ოდესიდან უდებუმა საფრანგეთს: „გრაფიორი იზრაილ რუზომოვსკი, მცხოვრები ოდესაში, მიძინების ქუჩა, 36, დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ იგი არის საიტოფერნის ტიარის შემქმნელი. რუზომოვსკი მზადა ჩავიდეს პარიზში, რათა დაამტკიცოს თავისი ნათქვამი, თუკი მას აუნაზღაურებენ მგზავრობის ხარჯებს 1200 ფრანკის ოდენობით“. ორ ბანაკად გახლეჩილი პარიზი დულდა და გადმოდულდა. ოდესელი იუველირის სახელი ყველას პირზე ეკერა.

1903 წლის 5 აპრილს რუზომოვსკი ჩაბრძანდა პარიზში. სასტუმროში ინკოგნიტოდ გაჩერდა, მაგრამ იმდროინდელმა პაპარაცებმა მალე მიაგნეს. სასტუმრო ალყაში იყო მოქცეული. ოდესელი იუველირისა და მისი ტიარის სურათები იბეჭდებოდა ყველა გაზეთში. ჟურნალისტები დაწვრილებით აღწერდნენ ეგზოტიკური სტუმრის გარეგნობას, ტანსაცმელს, ჩვეულებებს და მისი სადილის მენუსაც! მთელი პარიზი ხარხარებდა!

რუზომოვსკის პირველსავე დაკითხვაზე გაიკვია, რომ ოდესელ იუველირს ანტიკური არქეოლოგიის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა. ჩაატარეს ასეთი ცდა: ტიარა არ უჩვენებიათ მისთვის და მოსთხოვეს, ზეპირად გაემეორებინა მისი რომელიმე ფრაგმენტი. იუველირი არ დაბნულა, დაასახელა ძველებური რეცეპტი მისთვის აუცილებელი შენადნობისა და განცვიფრებული კომისიის თვალწინ გამოქვდა ფიგურული ფრიზის ფრაგმენტი, რომელიც ტიარასთან შედარებისას სავესებით იდენტური გამოდგა.

მთავრობის კომისიამ დაასკვნა, რომ ოდესელი ბერძენთა ძღვენი სკვითთა მეფისადმი თანამედროვე ოდესელი იუველირის იზრაილ რუზომოვსკის ნახელავი გახლდათ.

რუზომოვსკი დაბრუნდა ოდესაში. ღარიბ ოქრომჭედელს, ალბათ, ეგონა, გაემდიდრდებო. მაგრამ იმედები გაუცრუვდა. მალე დაივიწყეს და სიკვდილამდე გულში ინახავდა წყრომას თავქარიან რეპორტიორებსა და უმადურ ბრბოზე.

საიტოფერნის ტიარა ლუვირდან გააძევეს და გადასცეს დეკორატიული ხელოვნების მუზეუმს, სადაც სათანადო ადგილი მიუჩინეს სხვა ნაყალბევთა შორის, როგორც XIX საუკუნის საიუველირო ხელოვნების მშვენიერ ნიმუშს.



სტენდალი საქართველოში

ყოფილა თუ არა საქართველოში დიდებული ფრანგი მწერალი სტენდალი — ეს კითხვა, „ყოფნა-არყოფნისა“ არ იყო, დიდხანია გვანვალებს და მოსვენებას არ გვაძლევს.

ფრანგული და ქართული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ სტენდალი, ვაგლახ, საქართველოში არ ყოფილა, ერთხელაც არ დაუდგამს ფეხი ჩვენს დალოცვილ მინა-წყალზე, ერთხელაც არ შეუვლია თვალი გორიზი მყინვარწვერისათვის, ყური არ დაუდგია ბობოქარი თერგის ღრიალისათვის, წუთითაც არ დამტკბარა ალაზნის ველის ჭვრეტით და ხარბად არ ჩაუსუნთქავს ბახმაროს სამოთხისდარი ზეფირი. მაგრამ საქართველოს, როგორც უბადლო ლეგენდებისა და ჭაღარა მითების მხარეს, უეჭველია, კარგად იცნობდა. ყოველმხრივ განსწავლულ და განათლებულ მწერალს როგორ გამორჩებოდა სახელგანთქმული ფრანგი ვაჭრისა და მოგზაურის ჟან შარდენის ნიგნი „მოგზაურობა სპარსეთში“, სადაც საქართველოს აღწერილობას საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს და მართლაც რომ ობოლი მარგალიტით ამშვენებს პარიზში 1811 წელს გამოცემულ ამ ატომიან თხზულებას.

სტენდალს კი, რასაკვირველია, სამუდამოდ დაამახსოვრებოდა ის თვალისმოჭრელი პასაჟები, რომლებიც საქართველოს ქებათა-ქებას და სადღეგრძელოებს წარმოადგენს.

აი, მაგალითად: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი... ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან... მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ... ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბრონეული... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, წლის არც ერთ დროს არ შეიძლება აქაურზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანმა“.

რაც შეეხება იმ საკითხს, იცნობენ თუ არა სტენდალს საქართველოში, პასუხი მარტივია და ამომწურავი.

აი, სტენდალის ქართული გამოცემების მოკლე ნუსხა:

„იტალიური ქრონიკები“ (1928), „წითელი და შავი“ (ნიგნი

I — 1934, ნიგნი II — 1937), „პარმის სავანე (1958), „ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება“ (2007).

კეთილი და პატიოსანი. ახლა კი იმ პირველ, ყველაზე სანუკვარ კითხვას მივუბრუნდეთ და კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონოთ, წუთუ არავითარ დაეჭვებას არ უნდა ინვედეს კატეგორიულად გაცემული უარყოფითი პასუხი: არა და არა, სტენდალი საქართველოში არა ყოფილა, ერთხელაც კი არ უნახავს ჩვენი უტურფესი ქვეყანა...

ამას წინათ თბილისში, ჩვენდა საბუნდოვროდ, ერთი დანგრეული სახლის ნანგრევებში ამერიკელ ქართველოლოგთა მიერ აღმოჩენილ იქნა უცნობი ქართველი ავტორის დღიური. სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად ჩვენთვის ფრიად საინტერესო ამბავაც გაიღვავა, ვითარცა აღმასმა ფერფლში.

როგორც ირკვევა, გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველ მეცნიერთა მრავალათასიანი არმიის ერთ რიგით ჯარისკაცს შავლეგ ჭოჭიშვილს თბილისში დაუცავს სადოქტორო დისერტაცია უაღრესად საყურადღებო თემაზე: „მტკვრისა და არაგვის მასტიმულირებელი როლისათვის ლერმონტოვის შემოქმედების კუმულაციურ ეტაპზე“.

ანონიმი ავტორის დღიურში მოტანილია ორი დარბაისელი მამაკაცის გაბაასება დისერტაციის შემდეგ გამართული ე.წ. დისერტაციის თაობაზე.

სუფრა რავარი იყო, სუფრაო? — ეკითხება პირველი ხმა მეორეს.

მეორე ხმა პასუხობს: გადასარევი იყო. სუფრას არაფერი აკლდა — არც ჩიტის რძე და არც თევზის ტურტლიო. შულის ნუკრის ხორციც ოხრად იყო, ჩემო ბატონო, და უმანკო კრავისაცო. ერთი სიტყვით, რასაც ქართველი კაცის მადა ინატრებს, ყველაფერი გახლდათო.

სტენდალი თუ იყო, სტენდალიო? — დაჟინებით ჩაეკითხება პირველი ხმა.

აბა უსტენდალობა ვის გაუგია! სუფრის მშვენება იყო სტენდალი და მერე როგორი სტენდალიო!

მოდით და ამის შემდეგ ამტკიცეთ, სტენდალი საქართველოში არ ყოფილაო.

16 დეკემბერს საპატრიარქოსთან არსებულ სამების ახალგაზრდულ ცენტრში ტარიელ ხარხელაურის საიუბილეო საღამო გაიმართა იგი 65 წლის შესრულდა. ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი იყო გიორგი ფერეიშვილი.

საღამო ტარიელ ხარხელაურის ლექსების მხატვრული კითხვით გაიხსნა, პოეტის შვილიშვილმა პატარა რატი შაფათავამ წაიკითხა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „ვერკვლის ციხე ვარ“. მხატვრული კითხვა გააგრძელეს თბილისის მერიასთან არსებულ სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო სკოლის ბავშვებმა. აგრეთვე, ახალგაზრდა მსახიობებმა: ნათია დევიძი, ნიკა ლენჯერიძე და ლაშა გუჯაბიძემ.

პოეტს იუბილე მიულოცა და დარბაზში მყოფთ მიმართა თიანეთის და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა, მეუფემ ბრძანა, რომ ქართველ ერს დღეს ტარიელ ხარხელაურის სახით ჰყავს უდიდესი პოეტი.

სიტყვით გამოვიდნენ პოეტები: ერეკლე საღლიანი, თემურ ჩალაბაშვილი, თინათინ მღვდელიაშვილი, ნოდარ ოდიშელიძე, დავით შემოქმედელი; ექიმი ლადო კახიძე.

ფილოლოგმა მექა ხანგოშვილმა წაიკითხა ჩეჩნურ ენაზე თავის მიერ ნათარგმნი ტარიელ ხარხელაურის ლექსები. ისაუბრა პოეტს შემოქმედებაზე და აღნიშნა: დღეს თითზე ჩამოსათვლელი ნამდვილი კავკასიელები გვყავს და მათ შორისა ტარიელ ხარხელაური. მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება ჩემს

მშობლიურ ქართულ ენაზე წავიკითხო მისი ლექსები, დიდი სურვილი მქონდა ჩემი, ჩეჩენი ხალხისთვისაც მიმენიჭებინა ეს ბედნიერება და ამიტომაც ვთარგმნე მისი ლექსები ჩეჩნურ ენაზე.

საინტერესო სიტყვა თქვა ახალგაზრდა ფილოლოგმა თამარ ყალიჩავამ: გილოცავთ, XXI საუკუნის სინამდვილეში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, ვაჟა-ფშაველას გზის გამგრძელებელი „კაი ყმის“ — ტარიელ ხარხელაურის ჩვენს შორის ყოფნას.

მჯერა, მრავალგზის გამოგვიწვდის ხელს ჯერ ჩვენს თაობას და მერე ძალიან მრავალს ამ მშვენიერსა და ნათელჩაღვენთილ პოეზიაში დამზრალი სული რომ მოვიბრუნოთ, ერის, ადამიანისა და მშვენიერების სიყვარული რომ შევიმცნოთ და რამდენჯერაც უმასპინძლებს ამ ულაშაზეს პოეზიას ჩვენი გული და გონება, იმდენჯერ ვიგრძნობთ ხელახლა შობის სიხარულს ჩვენცა და ჩვენი დიდი მეგობრისც.

სალამოს მუსიკალურად აფორმებდა ქალთა ანსამბლი „ინანა“. თამუნა ალადაშვილმა ანსამბლ „პოპურის“ თანხლებით შეასრულა ტარიელ ხარხელაურის ლექსზე შექმნილი სიმღერა „დილაო ავდრიანაო“, სიმღერის ავტორი და შემსრულებელი თონა ქუმისაშვილია.

დასასრულ, ტარიელ ხარხელაურმა წაიკითხა თავისი ლექსები, მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან აუდიტორიას სიყვარულისთვის, რომელსაც გრძნობს თავისი მკითხველისგან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისგან.